




국립중앙도서관  
국립중앙도서관

652 /  
1962 / 2

2  
1962

대한민국헌법

헌법



# საქართველოს აჭარა

ლიტერატურულ-მხატვრული და  
საზოგადოებრივ-პოლიტიკური  
ჟურნალი

სამართვამ ოს საბჭოთა მფრლემის  
კავშირის აზარის განყოფილების  
ორგანო

## შ ი ნ ა კ რ ს ი

მ. კაზაკვიჩი — რაულიფი (ნაწევები მოთხრობიდან „ლურჯი რვეული“, თარგმნა ტ. ხინთიბიძემ)	3
ბ. სალუქვაძე — ლექსები	10
ბ. სანადირაძე — მოთხრობები	12
მ. ვარშანიძე — ლექსები	21
ბ. პაპიტაძე — მოთხრობები	24
შ. როჟვა — ლექსები	28
ნ. მოღვაძე — მოთხრობები	31
ახალგაზრდა კომეტების ლექსები	38
ბ. შრუშაძე — ნიშანი (ესკიზი)	40
რ. გამაათოვი — მშობლიური ენა (ლექსი, თარგმნა ფრ. ხალვაშმა)	42
ქ. ლაფიტი — როზ ფრანსი (მოთხრობა, ფრანგულიდან თარგმნა კლ. ჯაშმა)	44
<b>დღეები და აღმინანები</b>	
ს. ბელმესი — ხალხის ნდობით აღჭურვი- ლი	49
რ. ჩანაშ — მეჩაიე გოგონა — საბჭოთა პარლამენტის წევრი	52
<b>კრიტიკა და კუბლიცისტიკა</b>	
რ. სირაძე — სკკპ პროგრამა — მეცნიერუ- ლი კომუნიზმის დიდმნიშვნელოვანი შენა- ძენი	56
შ. ქურიძე — ბუნება და ადამიანი კოლაუ ნადირაძის პოეზიაში	61
პ. ხმალაძე — ღუტუშ მეგრელი	68
ს. ჩხაიძე — „და“ კავშირისათვის „ვეფხის- ტყაოსანში“	71
ჟ. ნოღაიძელი — ერთი ტერმინის გამო	74

9082

# 2

## 1962

მარტი  
აპრილი



ლიტერატურული კალენდარი

ლ. ჩიქოვანი — დიდი რუსი რევოლუ-  
ციონერი დემოკრატი (ა. ი. გერცენის  
დაბადების 150 წლისთავის გამო) . . . . . 76

ფოლკლორი

ნ. ღუმბაძე — დიდაქტიურ-აღმზრდელო-  
ბითი მოტივი ქართულ ხალხურ შრო-  
მის პოეზიაში . . . . . 79

აზარის წარსულიდან

ხ. სხველიანი — ხალხის ერთგული  
შვილი . . . . . 85

წიგნის თარო

ბ. ხუჭუბ — ქართული (აქართული) ხალ-  
ხური სიმღერების კრებული . . . . . 90

სატირა და იუმორი

რ. მიშველიანი — როგორ გავხდი პოეტი . . . . . 93



რედაქტორი შოთა ქურდიე  
სარედაქციო კოლეგია

ხ. ახვლედიანი, ნ. გვარიშვილი, მ. ვარშანიძე (პემგ. მდივანი), პ. ლორია,  
ალ. ჩავლეიშვილი, ფრ. ხალვაში.

## მანუაქ კუხაკვიჩი

### რ ა ზ ლ ი ვ შ ი

მნახველები იშვიათად მოდიოდნენ, ალბათ, ეშინოდათ, მაძებრებს კვალი არ აეღოთ. სამ-ოთხ დღეში მხოლოდ ერთხელ გამოჩნდებოდა „ბერგი“ — იგივე ალექსანდრე ვასილის-ძე შოტმანი. წაბლისფერი წვერით, პენსნესა და თეთრ პანამაში იგი ნამდვილ მებატონეს ჰგავდა. ეს მდგომარეობა, კონსპირაციის თვალსაზრისით, საესეებით შეესაბამებოდა ნადეჟდა კონდრატეს ასულის სულიერ განწყობილებას. კიდევ უფრო იშვიათად მოდიოდა ზოფი. ზოგჯერ ჭიშკარში ჩუმად შემოვიდოდა ქვრივის ტანისამოსში გამოწყობილი სიტყვაძვირი ქალი, რომელსაც ხან პურის კვერი, ხან კი საცვლები მოჰქონდა.

ყველა ისინი ჩნდებოდნენ და ქრებოდნენ მხოლოდ დაღამების შემდეგ.

ნადეჟდა კონდრატეს ასულს ძლიერ გაუკვირდა, როდესაც ერთხელ შოტმანი დილით მოვიდა სადგურიდან. იგი ჩქარობდა. ნადეჟდა კონდრატეს ასულს გამოკითხა, ხომ არ შეუნიშნავს რაიმე საეჭვო აგარაკის ირგვლივ. ქალმა რომ დაამშვიდა, შოტმანმა გააფრთხილა იგი. საღამოს ორ კაცს მოვიყვანო („ცეკას წვერებს“, — შიგ ყურში ჩაუჩურჩულა მას). შემდეგ საჩქაროდ დაბრუნდა სადგურში.

მართლაც, საღამოს 6 საათზე ნადეჟ-

და კონდრატეს ასულმა ჭიშკართან ორი კაცი დაინახა: ისინი წუთით შეჩერდნენ, თითქოს რაღაცაზე ჩაფიქრდნენო. შემდეგ ხელი ჰკრეს ჭიშკარს და შემოვიდნენ. ქალი შესახვედრად გაეშურა. ერთი მათგანი იყო კაფანდარა კაცი პენსნეთი, ვარჯი შავი წვერითა და ძლიერ მუქი სევდიანი თვალებით. მეორე კი გამხდარი, ნაზსახიანი, წვეტიანი წვერით.

— როგორ ცხოვრობს კარპოვიჩი? — ბოხი, სევდიანი ხმით ჰკითხა ქალს პენსნიანმა, თითქოს მართლა ვინმე ახლობლისა და განაწამები ადამიანის ამბავს კითხულობდა.

— ეჭიმები ამბობენ, რომ ჯანმრთე-  
ლადაა — სწრაფად უპასუხა ნადეჟდა კონდრატეს ასულმა და ბუნებრივი ხმით დასძინა: — ახლავე გადაგიყვანთ.

— ანდრეი, — წარუდგა პენსნიანი.

— იუზეფი, — გაეცნო მეორე. წაწვეტებულწვერიანი.

მოსულნი ჩამოსხდნენ ძელსკამზე. ეტყობოდათ, ძლიერ დაღლილები იყვნენ. ისინი მეოცნებე თვალებით მიჩერდნენ ყასმინის ბუჩქს ლობის ახლოს.

— ა? — იკითხა „ანდრეიმ“, ოდნავ

გაიღმა და უასმინსაკენ გადაიქნია თავი.

— ჰო. — უპასუხა „იუზეფმა“ და ზუსტად ისევე გაიღმა.

— დაგვეიწყა, რომ ასეთი რამ არსებობს ქვეყანაზე, — ნახევრადკითხვით თქვა „ანდრეიმ“.

— ჰო, — დაეთანხმა „იუზეფი“.

ნადეჟდა კონდრატეს ასულმა ჩუმად მოსტეხა უასმინის ტოტი და „ანდრეის“ მიაწოდა. მან სახეზე მიიღო ტოტი და ხელიდან არ გაუშვია. ისე ჰკითხა:

— მოვუცადოთ დაბნელებას?

— არა, — სწრაფად უპასუხა ნადეჟდა კონდრატეს ასულმა. — გადადით ახლავე. თან წაიღეთ ანკისი, თითქოს მეტევზეები ხართ.

ქალი რომელიღაც ბავშვის მოსამებნად წავიდა. კონდრატე ბალში წიგნს კითხულობდა. მან წიგნი დედას გადასცა და წავიდა ნიჩბებისა და ანკესებისათვის, რომლებიც ნაპირზე ქილაში ეწყობო. სტუმრები მდუმარედ გაჰყვნენ მას. ეზოს ბოლოს მათ წინ გადაიშალა პატარა ტბა. ბოძზე მიბმული ნავი წნორის ტოტებქვეშ იდგა.

კონდრატე საჭეს მიუჯდა „ანდრეი“ კი ნიჩაბს. ნავმა გასცურა პატარა ტბა და მალე ფართოდ გაშლილ უზარმაზარ ტბაზე აღმოჩნდა, რომლის ნაპირები შორს იკარგებოდნენ. აქ თითქმის ზღვის ტალღები მიმოდიოდნენ. „იუზეფს“ ანკისი ვერტიკალურად ეჭირა ისე, რომ მისი დანახვა სხვებსაც შეძლებოდათ. „ანდრეი“ ძლიერად და მარჯვდ უსვამდა ნიჩბებს.

მათ შეხვდა ნავი მოავარაკეებით. ლამაზი ქალი კიჩოზე წამოწოლილიყო, ტირიფის ტოტს ფოთლებს წყვეტდა და ნავის გვერდზე ყრიდა ჩაფიქრებული სახით. „ანდრეიმ“ ნიჩბები დადო და ცოტა ხანს ნავის კვალს და წყალზე მცურავ ფოთლებს დააკვირდა. მან ჩაიცინა და ისევე აიღო ნიჩბები.

— ხალხი ისე ცხოვრობს, — თქვა მან, — თითქოს ამ ქვეყნად არაფერი

განსაკუთრებული არ ხდებოდეს. უკეთესი როგორც ერთი, ორი, ათი წლის წინათაც ტოლსტოიმ ესეც შენიშნა საღდაც და სასვებით სამართლიანად.

— შეიძლება უბრალოდ სურთ თავდავიწყებას მიეცნენ, — შენიშნა „იუზეფმა“.

ცოტა ხანს დუმდნენ.

— როგორი სიწყნარეა! — თქვა „ანდრეიმ“. — შეუჩვენებლობის გამო არეტიანებს კაცს.

— თქვენ კარგად უსვამთ ნიჩბებს. — მოწონებით შენიშნა იუზეფმა.

— გადასახლებისდროინდელი ჩვევაა. სამი წლის წინათ ტურუხანის გადასახლებაში პაწაწა ნავი დავიჭირავე. ჩემს გარდა, ვერავენ ვერ ბედავდა ეცურა ენისიზე იმ ნავით. მე დავცინოდი ამხანაგებს, რომლებიც მიწინასწარმეტყველებდნენ, რომ თევზები დიდი ხანია მიცდიან, როდის გაეხდები მათი ლუკმა. მაგრამ მე ხომ ვიცოდი, რომ არ ვიქნებოდი მათი სასუსნავი, ვინაიდან ძლიერ მჭლე და უგემური ვარ. ამიტომაც მივდიოდი. თავს კარგად ვგრძნობდი. ჯერ მივცურავდი საკმაოდ შორს ზევით, ხოლო შემდეგ, როცა დინებას მიჰქონდა ნავი ქვევით, ვიჯექი წყნარად და ვოცნებობდი. ვკითხულობდი ლექსებს ხმამალა. მაშინ გატაცებული ვიყავი ლექსებით.

„იუზეფის“ თხელმა, ძალზე თეთრმა სახემ ჩაფიქრებული გამომეტყველება მიიღო. მან ჩაიცინა, მაგრამ არაფერი უთქვამს.

„ანდრეიც“ გაჩუმდა, მაგრამ რამდენადაც ნაპირს უახლოვდებოდა, უფრო და უფრო ღელავდა. ამ მღელვარებას, რაც ლენინთან მომავალი შეხვედრით იყო გამოწვეული, კიდევ ერთი გარემოება აღრმავებდა. საქმე ისაა, რომ „ანდრეის“ პიჯაკის ჯიბეში ელო ჯერ კიდევ გადასახლებაში დაწყებული შრომა „ნარკვევები საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ისტორიიდან“. უკვე რამდენიმე თვეა ოცნებობდა ეჩვენებინა თავისი

ხელნაწერი ლენინისათვის, მაგრამ ვერ  
შედეგდა. ყოველთვის ირცხვენდა და  
სიტყვა პირში უწყდებოდა. დღეს კი  
გადაწყვიტა თან წამოეღო ხელნაწერი:  
ჩქნებ ეყოს გამბედაობა და დაუტოვოს  
ლენინს. შესაძლოა, ლენინმა წაიკით-  
ხოს თავისუფალ დროს. „ანდრეი“

თვითნასწავლი იყო. გადასახლებაში  
დამოუკიდებლად შეისწავლა გერმანუ-  
ლი და ფრანგული ენები; წაიკითხა ბევრი  
წიგნი. მას ძლიერ სურდა ეწერა, მაგ-  
რამ არ ჰქონდა საამისო დრო და საკუთა-  
რი უნარის რწმენა. იგი დასცინოდა  
თავის „ლიტერატურულ საღერღელს“,  
სწყუროდა და თან ეშინოდა ეჩვენებო-  
ნა ლენინისათვის ხელნაწერი.

კონდრატემ ნავი ნაპირისაკენ წაიყ-  
ვანა. ნავი დანასავით შეიჭრა სანაპიროს  
ლელთანში. გვერდით შეირხა ნაპირზე  
მიმბული მეორე ნავი.

— აქ? — იკითხა „ანდრეიმ“.

ისინი ნაპირზე გადავიდნენ და ირ-  
გვლივ მიმოავლეს ცნობისმოყვარე  
თვალი. ამ დროს ბუჩქებიდან ცამეტი-  
ოდნე წლის ბიჭუნა გამოვიდა. მან ყუ-  
რადლებით შეათვალიერა მოსულნი და  
უცებ ტყეში მოჰკურცხლა.

— რას ნიშნავს ეს? — ყურები  
სცქვიტა „იუზეფმა“.

— ჩემი ძმა, — აუხსნა კონდრატემ  
და გაიღიმა. — გაიქცა, რათა გააფრთ-  
ხილოს, მზვერავია.

ისინი ბილიკით წავიდნენ და მალე  
აღმოჩნდნენ უკვე საღამოს ბინდში ჩა-  
ძირულ მინდორზე. მის შუაგულში მალა-  
ლი ლილისფერი ზვინი იდგა. გვერდით  
პატარა კოცონი ციმციმებდა, ირგვლივ  
არავინ ჩანდა. უცებ ხშირი ტირიფნარი-  
დან მზიარულად და საყვედურით გაისმა:

— ამხანაგო სვერდლოვ!.. ამხანაგო  
ძერუენსკი!.. თქვენ? ე, ეს არ არის კო-  
ნსპირაციული.

სვერდლოვმა ხელები გაშალა:

— რა გაეწყობა, ვლადიმერ ილიჩ! სა-  
ჭიროა!

ლენინი ისე ფეხგამლით იდგა ტირიფ-  
ნარში, თითქოს ჩაეხარდაო ამ უდაბურ

ჰაობიან მიწას. ჩამავალი მზის სინათლეში  
ზე, რომელიც საგნებს მკვეთრ მხატვ-  
ლობას აძლევდა, ლენინი მუქი ლითო-  
ნისაგან ჩამოსხმულ ფიგურას ჰგავდა.

შის ირგვლივ ეყარა გაზეთები, რომ-  
ლებიც ქარისაგან დასაცავად კენჭებით  
ან ტოტებით დაემარებინათ.

— აბა! მობრძანდით. ვთხოვთ ჩვენა  
კარავში. — ეს გამოთქმა აქ საოცრად  
შესაფერისია.

ის ხუმრბრბის ტონით ლაპარაკობდა,  
თუმცა მისი თვალები არაჩვეულებრი-  
ვი სიხარულითა და მღელვარებით ელა-  
ვდნენ. მას არ უნდოდა მეტისმეტად გა-  
მოემყდნენინა თავისი გრძნობები,  
რომ სვერდლოვსა და ძერუენსკის. ხო-  
ლო მათი მონათხრობით, კრუჰსკაიასა  
და სხვა ამხანაგებს. ეჭვი არ აეღოთ, რომ  
ლენინს უმძიმს ამ ტბისიქითა მიყრუე-  
ბულ ადგილას ყოფნა.

— აბა, რაკი მოდით, მოჰყევით, მოჰ-  
ყევით, მოჰყევით ყველაფერი.

— გვადროვეთ, ვლადიმერ ილიჩ! —  
გაიღიმა სვერდლოვმა. — თქვენ ყოველ-  
თვის ასეთი ხართ — არ გვაცლით გონს  
მოსვლას.

— მაშ, კარგი. დასხედით და გონს მო-  
დით. გრიგოლ, სადა ხარ? ჩვენთან სტუ-  
მრებია. ბოლოს და ბოლოს. ჩვენ ყვე-  
ლაფერს გავიგებთ პირველი წყაროდან.

ზინოვიევი კარავიდან ნამძინარევი გა-  
მოვიდა, მაგრამ სტუმრებს დანახვისას  
გამოცოცხლდა და ჩაიდნისათვის გაიქ-  
ცა.

— ახლავე გაგიმასპინძლებით ჩა-  
ით. — ფუსფუსით თქვა მან, — მაგ-  
რამ მხოლოდ ადუღებული წყლით. ჩაი  
არა გვაქვს, მოცხარის ფოთლებით ვა-  
ზავენბთ.

ლენინი კუნძზე ჩამოჯდა. სახე ძლიერ  
სერიოზული და დაფიქრებული გაუხდა.

— მომიყევით.

კოცონი უცებ გაძლიერდა და ირგ-  
ვლივ ყველაფერი გაანათა. ემელიანო-  
ვი კოლიასა და კონდრატესთან ერთად  
ვახშმის მზადებას შეუდგა.

— ყრილობისათვის ყველაფერი მზა-



დაა. — დაიწყო სვერდლოვმა, — სხდომები ჩატარდება ვიბორგის მხარეზე, სამსონის სიფხიზლის საზოგადოების შენობაში. თვალთვალის შემთხვევისათვის მხედველობაში გვაქვს კიდევ ერთი შენობა. ყველა დელეგატს დაურიგდება თქვენი ბროშურა „ლოზუნგისათვის“. დღეს ამთავრებენ მის ბეჭდვას კრონშტადტში. შოტმანი დღესვე მოგიტანთ საკონტროლო ეგზემპლარს.

ლენინს მღელვარებისაგან სახე გაუფიტრდა.

— კი, მაგრამ თქვენ წაიკითხეთ ბროშურა? — იკითხა მან.

— წაიკითხეთ. ცენტრალური კომიტეტისა და პარტიული კონტროლის ყველა წევრმა წაიკითხა.

— თქვენი აზრი?

— მდგომარეობის თქვენს შეფასებას სავსებით ვეთანხმები. მშვიდობიანი პერიოდი დამთავრდა. — უთხრა სვერდლოვმა.

— უნდა ვემზადოთ ძალაუფლების ასაღებად. — თავი დაუქნია ძერჟინსკიმ.

ლენინმა ზინოვიევისაკენ ირიბად გაიხედა, შემდეგ კვლავ პიტერელებს მიუბრუნდა.

— თქვენ კი არ გაფიქრებთ ლოზუნგის „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!“ მოხსნა? — იკითხა მან და პასუხის მოლოდინში გაქვავდა.

— ერთადერთი სწორი დასკვნაა ივლისის ამბებიდან. — უპასუხა სვერდლოვმა.

— თუმცა კი მოულოდნელი ბევრისათვის. — გაიღიმა ძერჟინსკიმ.

— და თქვენ არ გეჩვენებათ, რომ იგი დაწერილია გულფიცხად, მეტისმეტად მწვავედ?

— მეტისმეტად მწვავედ? ჩვენს წინააღმდეგ მომართული ხიშტები კი ჩლუნგია? — აღშფოთებით დაიძახა სვერდლოვმა.

— ასე, ასე... — ლენინმა კმაყოფილებით დაისრისა ხელები. — და თქვენ ფიქრობთ, რომ ყველა გაიგებს?

— არა, არ ვფიქრობთ.

— ეს კარგია! არ ფიქრობთ. სწორედ ლენინმა ცბიერად მოჭუტა თვალები — აი, გრიგოლიც ფიქრობს, რომ ყველავერ გაიგებს.

— მომხსენებლების მხრივ სიძნელეები გვაქვს, — განაგრძო სვერდლოვმა.

— თქვენ იატაკქვეშეთში ხართ. ბევრ ამხანაგი საპურობილეშია, მაგრამ როგორმე გავიტანთ.

— რასაკვირველია, გაიტანთ. მაღლობა ღმერთს. ჩვენ საეპარისად გვყავს ძლიერი, მომზადებული ამხანაგები.

— ცეკას პოლიტიკური ანგარიში შინდობილი აქვს ჯულაშვილს. ის სავსებით იზიარებს თქვენს თვალსაზრისს მიმდინარე მომენტზე და გადაჭრით დაიცავს მას ყრილობაზე.

— მერე რა, კარგია. სტალინი საქმიანი და მტკიცე კაცია.

— ორგანიზაციული ანგარიში მე დამავალეს. შემდეგ წავა მოხსენებები ადგილებიდან. პიტერიდან, მოსკოვიდან...

— კრონშტადტი აუცილებლად!

— აჰა!.. არის!.. შემდეგ — ფინეთი; ცენტრალური სამრეწველო ოლქი, ჩრდილოეთი — ვოლოგდა, ნოვგოროდი, ფსკოვი, — პოვოლჟიე, დონეცის ბასეინი, სამხრეთი — ოდესა და კიევი, — ურალი, კავკასია, ბალტიისპირეთი — რეველი, რიგა, — ლიტვა, პოლონეთი, მისსკი ჩრდილო-დასავლეთიანად...

— დამაჯერებლად ჟღერს, თითქოს ძალთა დათვალაიერებაა. კარგია! არ დაგავიწყდეთ ყრილობის სახელით მისალმების გაგზავნა ყველა პარტიმარი ამხანაგებისადმი.

— პარტიმარი და იატაკქვეშელი ამხანაგებისადმი. უკვე დაწერილია, — თქვა სვერდლოვმა და განაგრძო: — კიდევ ერთი ახალი ამბავი გვიანდა ვაცნობთ. აი ისიც, ეს სიახლე — და ჯიბიდან ბატარა ფორმატის ვაზეთი ამოიღო. — პიტერში ისევ გამოდის ბოლშევიკური ვაზეთი „რაბოჩი ი სოლდატ“. აი, პირველი ნომერი. რედაქციის სახელით ვთხოვთ, ითანამშრომლოთ.

— შესანიშნავია, — წამოიძახა ლენინმა, — როგორ მოახერხებთ ეს?

— ჩვენმა „ვოენკამ“ — მიშა კედროვმა და პოდვოისკიმ ყველაფერი მოაწყვეს. მათი საქმეა. ჯერ კედროვმა სცადა „ნოვიაა ყიზნში“ შეეყოცხერი, მაგრამ ლადიუნიკოვმა მას ისტერიკა გაუმართა: „თქვენს ორგანიზაციას მიეტმასნენ ჯაშუშები, პროვოკატორები და ყოველგვარი ვიგინდარები. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ პოდვოისკიც პროვოკატორია“. მაშინ კედროვმა და პოდვოისკიმ თვალი დაადგეს ერთ პატარა სტამბას გორობოვზე. ამ სტამბას „ხალხი და შრომა“ ჰქვია. ისინი მოელაპარაკენ ადმინისტრატორს, შეპირდნენ, რომ გახეთიიქნება წყნარი, მშვიდი, თითქმის „გულითაღი სიტყვა“. პირველი ნომრის ტირაჟი ოცი ათასია, რამდენიმე საათში გაიყიდა.

— ყოჩაღ! — ლენინი კუნძისაკენ დაიხარა, რომელიც მაგიდის მაგივრობას უწევდა, და ერთი დასტა ნაწერი ქალაღდები აიღო. — აი პასუხი პეტროგრადის სასამართლო პალატის „მხილებზე“. დაბეჭდეთ ჩემი სრული ხელმოწერით. აი კიდევ სტატია „კონსტიტუციური ილუზიების შესახებ“. ხელა შევეცდები დავამთავრო და გამოვგზავნო. ჩემი აზრით, სტატია ალზე მნიშვნელოვანია. მას ვწერდი, გარდა სხვა რამისა, თვითდამშვიდების გულითათვის. დიახ, არ გაგიკვირდეთ. ამ სტატიით საბოლოოდ დავუმორჩილე გრძნობა გონებას. მე დავუმტკიცე ჩემს თავს და, იმედია, ყველა პარტიულ ამხანაგსაც — სისწორე გადაწყვეტილებისა სასამართლოში გამოუცხადებლობის შესახებ. თქვენ შესანიშნავად იცით, თუ როგორ ძნელი იყო ჩემთვის ამ გადაწყვეტილების მიღება. სწორი და ფრიაღ რევოლუციური მეგონა სასამართლოში გამოცხადება და თქმა ყველაფრისა, რაც რევოლუციონერს შეეფერება ასეთ დროს... ორი თვის წინათ ასეთსავე ვითარებაში აუცილებლად გამოვცხადდებოდი. ახლა უკვე საკმაოდ

გავიზარდე... რევოლუციაში აღმოვაჩინე, რომ ბიქარა იწიფებიან... ძალზე მსხარა, რომ გახეთის გამოშვება მოხერხდა. ამ დღეებში შემიძლია გამოგვით კიდევ ერთი სტატია — „რევოლუციის გეგვითლები“, ან რაღაც ამის მსგავსი. — მან დაჟინებით შეხედა სვერდლოვსა და ძერჟინსკის, მისი თვალეები სითბოთი აივსო. — მშურს, რომ პიტერში დაბრუნება შეგიძლიათ. ვადაეშვებით ამ ორომტრიალში. იტრიალებთ ამხანაგებში. მე კი, ნეტავ, ცალი თვალით მაინც შემახედა ყრილობისათვის! — ეშმაკური ნაოქები დაუგროვდნენ თვალეებქვეშ. — თქვენ კი როგორ ფიქრობთ? ხომ გამოუცნობი გაგხდი, თქვენ არ გინახივართ პარიკით. აი მე მაქვს პარიკი. რამდენიმე ცალი მომიტანეს ამოსარჩევად. თქვენ თვითონ შეგხედეთ. ღმერთმანი, ეს არ არის საშიში.

— ვლადიმერ ილიჩ, თქვენ უფლება არა გაქვთ ასეთი რისკი გასწოთ, — უთხრა ძერჟინსკიმ ნელი, მისებური თავდაჭერილი, პათეტიკური ხმით. — მდგომარეობა კვლავ უაღრესად რთულია. აქ მეტისმეტად მშვიდად გრძნობთ. თავს. იქ კი დაპატიმრებებია. თქვენი დაჭერისათვის დიდი ჯილდოა დაწესებული. არა მარტო მილიცია და კონტრდაზვერვა, არამედ ათასობით მოხალისეც დაგეძებთ. ამ დღეებში დამკვრელი ბატალიონის ორმოცდაათმა ოფიცერმა სახეიმო ფიცი დადო, რომ ან გიპოვიან, ან მოკვდებიან. გუშინწინ კონსტალტში ნავსადგურის კომენდანტმა ტიტრღვმა კონტრდაზვერვისაგან შიფრი მიიღო. მას აცნობებდნენ, რომ თქვენ იმალებით სახაზო ხომალდზე „ზარია სვობოდი“. ტიტრღვი ხომალდზე გამოცხადდა და სცადა გაეჩხრიკა იგი. მართალია, რახმმა არ დაანება ჩხრეკა, მხოლოდ ოფიციალურად დაარწმუნა, რომ თქვენ ხომალდზე არ იყავით. ყველგან სადგურებზე დაძრწიან მაძებრები თქვენი ფოტოსურათებით. სურათები დაურვიგეს სადგურის ჟანდარმებსაც. არ ვიცი, წაიკითხეთ თუ არა გახეთებში, რომ თქვენს კვა-





ლზე მიშვებულა ცნობილი მამებარი ძალი ტრეფი... თქვენ ნუ იცინით, ვლადიმერ ილიჩ, გვედრებით. აქ სასაცილო სრულებით არაფერია. ყოველი შემთხვევისათვის, იცოდეთ, თუ ჩვენ ვერ შევძლებთ თქვენს დაცვას, შიგ შუბლში დავიხლი ტყვიას.

ლენინმა ძერქინსკის უკანასკნელ სიტყვაზე ღიმილი შეწყვიტა, გამომცდელად შეხედა მას მოკიაფე თვალებში და გაიფიქრა: „როგორ გგონიათ? ეს მართლაც დაიხლის... და ძლიერ ადვილად“.

დადამდა. სამუშაო კოცონის სინათლეზე დაამთავრეს, შემდეგ ივანეშეს ახალი თევზით, რომელიც კარვის მობინადრეებმა წინა დამეს ბადით დაიჭირეს.

ლენინი ვახშმის დროსაც ეკითხებოდა მათ პიტერის ქარხნებში, ჰელსინგფორსსა და კრონშტადტში, ჩრდილოდასავლეთის ფრონტზე, ციმბირისა და სამხრეთის გუბერნიებში არსებული მდგომარეობის შესახებ. კითხვებზე უმთავრესად სვერდლოვი უპასუხებდა. უპასუხებდა ძუნწად, მაგრამ ამომწურავად, ზეპირად ასახელებდა ციფრებს, ძალდაუტანებლად იგონებდა უამრავ გვარს, სახელსა და პარტიულ შერქმეულ სახელებს. ლენინი უდიდესი ყურადღებით უსმენდა და მხოლოდ ხანდახან, როდესაც ფიქრს შეაწყვეტინებდა ბოლი, რომელიც ქარის მიმართულების ცვლილების დროს თვალებს უწვავდა, ან კიდევ როცა ემელიანოვი შეეპატიებოდა, უფრო მალე ეჭამა, მოაგონებოდა, თუ სად იმყოფებოდა. მაშინ იგი უგულოდ გაიცინებდა და შეუძმინევლად გამხიარულდებოდა იმის მოგონებით, რომ მის წინაშე სხედან თავმდაბალი, რამდენადმე მორიდებული ადამიანები, რომელთა ხელში თავმოყრილია ყველა ძაფი ბოლშევიკური ორგანიზაციისა — ბურჟუები კი იტყოდნენ: „ბოლშევიკური შეთქმულებისა“.

შემდეგ ყველანი წავიდნენ, რათა ნავისაკენ გაეცილებინათ სვერდლოვი

დაც“. მაგრამ გულმოსულად თქვა: — ამხანაგო ძერქინსკი! ტყვიანობაში! რაღაც ანარქისტული ეფექტებია... არ არის კარგი; არ არის კარგი! განა რუსეთის რევოლუცია შეიძლება ერთ კაცზე იყოს დამოკიდებული?! მამ კარგი, ნუ იჭმუხნებით, არ წამოვალ.

მან ბავშვივით მოიწყინა და შებრუნდა. შემდეგ ამოიხრა და თქვა:

— აბა მაჩვენეთ, რაც გაქვთ — თეზისები, რეზოლუციები, დღის წესრიგი, მომხსენებლები... მაჩვენეთ.

\* \* \*

და ძერქინსკი. ნაპირთან შეჩერდნენ. ამოგორდა მქრქალი მთვარე. მათ არ უნდოდათ ერთმანეთთან დაშორება:

— აქ, ალბათ, კარგი სანადირო ადგილებია, ირველივ სიწყინარეა, თითქმის ტაიგაა. — თქვა სვერდლოვმა.

— დიახ, — დაუდასტურა ემელიანოვმა. — ბევრია სოლო და როჭო, არის აგრეთვე იხვიჩები და იხვები.

— მონადირეები, ალბათ, აქეთაც დაეხეტებიან, არა?

— კი, როცა სეზონია, სვერდლოვმა თავი გააქნია.

— უნდა ვიფიქროთ ბინის გამოცვლაზე სეზონის დასაწყისისათვის.

ლენინი დუმდა. მხოლოდ გამომშვიდობებისას თქვა:

— მე დავავალე მომინახონ ერთი ლურჯი რვეული. ნადეჟდა კონსტანტინეს ასულმა იცის. მოაგონეთ მას. საქმე ძლიერ სასწრაფოა.

ლენინის ლურჯმა რვეულმა სვერდლოვს თავისი ხელნაწერი მოაგონა, რომელიც პიჯაკის ჯიბეში ედო, მაგრამ ამჯერადაც ვერ გაბედა გადაეცა იგი ლენინისათვის. „ამისი დრო ჯერ არა აქვს, — გაიფიქრა მან. — შემდეგ, ხოლო, შესაძლოა, უკვე სოციალიზმის დროს, როდესაც ექნება საკმაო თავისუფალი დრო. ეს ნაწარმოები ხომ მაინც დიდი არაფერია. არ არის საჭირო მისი შეჩვენება“.

მან მოიწყინა და ლენინს ქული დაუ-  
ქნია.

— გეთაყვა: მომეცი თ ნება ნიჩბებს  
მივუჯდე, — სთხოვა ძერყინსკიმ.

მათ გასტურეს. რამდენიმე ხანს სი-  
ჩუმე ჩამოწვა. კონდრატე საჭესთან იჯ-  
და. სვერდლოვი უგულსყუროდ ყნოსავ-  
და ჟასმინის ყლორტს, რომელიც მან  
ნაეში დატოვა. იგი უკვე დამჟკნარიყო  
და მის სურნელს ერთოდა ნოტიოსა და  
ლპობის სუნი.

ის სულ ლენინზე ფიქრობდა და,  
როცა ლენინი მოაგონდებოდა, გაიღი-  
მებდა იმ ხანგრძლივი და კეთილი ღი-  
მილით, როგორც აღიბეჭდება ადამია-  
ნების სახეზე, როდესაც ისინი რაღაც  
განსაკუთრებულ სასიამოვნოს ნახავენ.

ძერყინსკიც, როგორც ჩანდა, ლენინ-  
ზე ფიქრობდა.

— მისი გატეხა შეუძლებელია, —  
თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა მან  
სიბნელეში.

სვერდლოვი მკვირცხლად გამოეხმაუ-  
რა.

— დიახ, ასეა. ლუნჩარსკი მომიყვა,  
რომ ზუსტად ასეთი ფრაზით მიმართა  
მან პარიზში მწერალ რომენ როლანს:  
„ლენინის გატეხა შეუძლებელია, ის შე-  
იძლება მხოლოდ მოკლა“...—წუთით სი-  
ჩუმე ჩამოვარდა, შემდეგ სვერდლოვმა  
სათქმელი დაამთავრა რამდენადმე შეცვ-  
ლილი ხმით: — აი სწორედ ამის მეშინია.  
ვღიარებ, რომ ამასთან დაკავშირებით

სხვადასხვა საშინელ სიზმრებსაც  
ხულობ.

ისინი განაგრძობდნენ საუბარს ლენინ-  
ზე, და თვითეული მათგანი მასზე ლაპა-  
რაკობდა იმას, რასაც თავის თავშიც აფა-  
სებდა.

— თავმდაბალია, სრულიად თავისუ-  
ფალია პატივმოყვარეობისაგან. ეს იშ-  
ვიათია ბელადისათვის, — თქვა სვერ-  
დლოვმა.

— იწვეს, — თქვა ძერყინსკიმ, — რო-  
გორც ჩირაღდანი, ნათელი ალით.

— იგი მეტად ადამიანურია და კეთი-  
ლი. — თქვა სვერდლოვმა.

— მკაცრია მტრებისადმი. მხოლოდ  
მტრებისადმი. — თქვა ძერყინსკიმ.

კვლავ სიჩუმე გამეფდა. ნავი ისარი-  
ვით მიქროდა.

— თქვენ შესანიშნავად ხმარობთ ნი-  
ჩბებს, — შენიშნა სვერდლოვმა.

— ესეც გადასახლებიდან, — გაიღი-  
მა ძერყინსკიმ, — სამჯერ მომიხდა  
გამოქცევა, მათ შორის ორჯერ ნავით...  
ოთხმოცდაცხრამეტში — კაიგოროდს-  
კიდან. ცხრას ორში — ვერხოლენსკი-  
დან... შემდეგ დიდხანს მქონდა კოყრე-  
ბი, ისე გამეტებით ვუსვამდი ნიჩბებს.

— სპორტსმენი უნებლიედ, — გაი-  
ცინა სვერდლოვმა.

კონდრატე საჭესთან ჩუმად იჯდა და  
მოეჩვენა, რომ თმის ძირები უცივდე-  
ბა ალტაცებისა და ამ ადამიანებისადმი  
სიყვარულისაგან.

თარგმნა ტ. ხინთიბიძემ.



## პირობი საღუძვამი

### მ ი ზ ა ნ ი

ჩვენი ვზა არის ნათელი,  
ჩვენ ვართ შვილები მზისანი,  
სიკეთე, გონიერება —  
ეს არი ჩვენი მიზანი.

ჩვენ გვიყვარს კაცნი მაშვრალნი,  
შვილნი სხვადასხვა მზრისანი.  
ვინც არის ადამიანი,  
ძმად და მეგობრად ვიცანით.

ძლევის სძმურას ვგუგუნებთ —  
ძრწოდნენ ხროვანი მტრისანი.  
— მშვიდობა დედამიწაზე!  
აი პირველი მიზანი.

ამას ითხოვენ ბალები,  
მოხუცნი ასი წლისანი,  
ამას ითხოვენ დედები,  
ომის მომგონის მრისხავნი.

ქვეყნიერებავ, ისმინე:  
ჭერნი ავყარეთ ცისანი,  
კოსმოსი დავიმორჩილოთ,  
მშვიდობის მტრედებს გიგზავნით.

ისმინე ხალხთა სურვილი:  
გატყდეს ვადანი ხმლისანი,  
გაწყდეს ატომის ხსენება,  
ზრახვანი სულბნელისანი,

მშვიდობა!

შრომა!

სიკეთე! —

აი ცხოვრების მიზანი.

## ნ ე ტ ა ვ ი

თვალით გაგზომავს მოყვარე,  
თვალი დარჩება შენზედა,  
ღიმილით ჩაიბუღებულებს:  
„ნეტავი, ბიჭო, შენს დედას!“  
კაცური მადლით ცხებულა,  
რაც შენი ხელით შენდება.

შენ დაგელოცოს მარჯვენა,  
ნეტავი, ბიჭო, შენს დედას!  
ვარსკვლავებს ეთამაშები,  
ვარსკვლავი ბრწყინავს მკერდზედა.  
შინ სასაოებით მოგელის,  
რა დაალონებს შენს დედას!

### მიყვარს თბილისი შემოდგომური

მიყვარს თბილისი შემოდგომური,  
მაგრამ ზღვისპირის მხიბლავს  
ზღაპარი...  
მოუთმენელი დეღვით რომ მელის,  
მოუსვენარი შავი ზღვა არი.  
ლურჯი ჰაერის რბილი ხავერდი  
ანარინჯებულ მზეში ხასხასებს.  
შხეფიან ზღვაურს ტალღის ხმა  
ერთვის,  
ნავებმა ლურჯი სარკე გახაზეს.

თოლიამ ქარში გამოიძინა.  
ბადეზე თევზმა გაიციმიძიმა.  
...  
...  
...  
მხოლოდ მე ვიცი როგორ იცინის  
და როგორ მღერის ბათუმის წვიმა-  
მიყვარს თბილისი შემოდგომური,  
მაგრამ ზღვისპირის მხიბლავს  
ზღაპარი...  
ბათუმისაკენ მიმიწევს გული,  
ახლა იქ ისე ლურჯი ზღვა არი!..

\* \* \*

ცაზე როგორც ღილო-ჭრელი  
ღრუბლებია დაფანტული,  
დაბლა ჩემი სოფელია —  
საყვარელი ნაკადული.  
ბროწეულის ფოთლებია  
დაცვარული ალიონზე  
და ყვავილი ღვივის, როგორც  
ნაკვერჩხალი ყალიონზე.  
გაპარულა ჩუმად ბინდი,

ძლივძლივობით დასანახი.  
მორაკრაკებს „ინდი-მინდი“,  
მიფრიალებს ყაბალახი,  
დედას მოაქვს მომცრო დოქი, —  
გამეგზავნე წყაროზე...  
...  
...  
ო, იმ დილის შექნათელით  
გამინათე ბევრჯერ, მზეო!

### მ ი ს ა მ ა რ თ ი

იფიქრებ ზოგჯერ: „არა მწერს განგებ“.  
მაგრამ პასუხის დადგება ჯერი.  
ფოსტალიონი ადვილად გაგნებს  
და მისამართზე მოგიტანს წერილს.  
ახლა ოცნება სრულდება მალე.  
გარღვეულია ზესკნელის გარსი...  
და მისამართი იქნება მთვარე,  
და მისამართი იქნება მარსი.





## ბიოგრაფიული

### შ თ ა გ რ ე ნ ე გ ა

იგი მოქანდაკეა. მიმწუხრზე თავის პატარა ქალიშვილს დასეირნებს მუდამ. ამ დროს მზე ჩადის და დიდებული სანახავია მზე. ისინი დიდხანს უყურებენ მოლაპლაპე სივრცეს. ცაზე ღრუბლები მიცურავენ. ჰაერი კედარის სურნელითაა გაქლენილი და გოგონა ამბობს: მამა, სად იმალება მზე?

მამა ახოვანია, მკვრივი ტანი აქვს. ქვიშაზე წევს. უსმენს ზღვის შხუილს. მისი ფიქრები სადღაც შორს ტრიალებენ, ბივრილისფერ ჰორიზონტს მიღმა. — მზე არ იმალება. როგორც კი მიუახლოვდება ზღვას, მაშინვე ვეშაპი გადაყლაპავს, — ღიმილით ამბობს მამა.

— უჰ, — ოხრავს გოგონა, — რა მატყუარა ხარ?!

გოგონა ქვიშაზე გარბის. ქვიშა ხმაურობს ფეხქვეშ. სიჩუმეში დარბეულ ქვიშის შრიალს წკრიალა სიცილი ერთვის. ზანზალაკია თითქოს. ფიქრობს მამა. თვითონაც დგება.

ისინი სანაპირო კაფესაკენ მიემართებიან. კაფეში მუდამ სივრილეა. არის დღეები, როცა მამას მაგიდასთან უამრავი ხალხი იყრის თავს. პატარა ლალი თითქმის არავის იცნობს. ერთხანს უსმენს, როგორ კამათობენ ისინი ხელოვნებაზე. კამათობენ და ყავას წრუბავენ. რომელსაც ასე გადასარევედ ამზადებს დეიდა ლიზა. დეიდა ლიზა კეთილია და ძალზე თეთრი თმები აქვს. როცა ლალის

დაინახავს, თვალს ჩაუკრავს. გოგონა შეუმჩნევლად ჩამოცოცდება სკამიდან, მაგიდის ქვეშ გაძვრება და ბუფეტისაკენ გარბის. ბუფეტში მოხალული ყავის სურნელი დგას, ხოლო განჯინაში ყველაზე უგემრიელესი ნამცხვარი — ბაქლავა ელოდება. იგი მზარეულ ქალს საგანგებოდ მოაქვს გოგონასათვის.

კაფეს გვერდით ბაღია. მზე რახანია მოეფარა მაგნოლიათა კენწეროებს ბაღის ბოლოში. მამას ვიღაც ახოვანი ჭაღარა მამაკაცი ართმევს ხელს, უცინის.

— რა კარგია რომ შეგხვდით, — ამბობს იგი, — ეს ცუგრუმელა თქვენია? მამა თავს უქნევს. უცნობი განაგრობს:

— გუშინ თეატრში ვიყავით. ფოეში თქვენი ახალი ნამუშევარია. შესანიშნავია! ჩვენც. მუზეუმის მუშაკებსაც, გვინდა გვჭონდეს ასეთი რამ.

— ეს შეუძლებელია. თვითონაც ხელავთ, — სერიოზულად ამბობს მამა, — ორი ერთნაირი ქანდაკება მე არასოდეს მქონია.

— იქნებ „გოგონებზეც“ გვეტყვიო უარს?

— რა ვქნა, — შეწუხდა მამა, — „გოგონები“ გამოფენაზე გავგზავნე. უცნობი ყოყმანობს.

— შეიძლება სახელოსნოში გესტუმროთ?

— თქვენი ნებაა. — მხრები აწურა მამამ.

მაგიდაზე უწესრიგოდ ყრია ქალაღდის ნაგები და ჩიტები. პატარა ლალიმ იცის, რომ ისინი ცხვირგაძელა პოეტის ნახელავია. როცა ყავას მორჩება, პოეტს უყვარს ქალაღდის ხელსახოცებისაგან ათასნაირი სათამაშოების კეთება. უცნობი მიღის. იგი რატომღაც კმაყოფილია. მამას შუბლი ეჭმუხნება, თვალებს ქვემოთ ოდნავ შესამჩნევი ლურჯი ნაოჭები უჩნდება.

- ეინაა? — ეკითხება ლალი.
- ისა? აღამიანი.
- რა ჰქვია?
- აღამიანი.

გოგონა მოუთმენლად ათამაშებს ფეხებს:

— მითხარი, მითხარი, მითხარი! რატომ მამბრაზებ?

- მაგრამ მამა ისევ იღიმება.
- ბევრი რომ იცოდე, აღრე დაბერდები.

ლალი ვერ ხვდება, რად სიამოვნებს მამას, როცა მას ამბრაზებს.

ისინი აღერსიანად ემშვიდობებიან მაგიდის გარშემო მსხლომთ და მიდიან. გზადაგზა მამას ქალები აჩერებენ. ისინი მამას ხელზე უჭერენ ხელს და თვალბში უტკერინან. მამას ლამაზი თვალები აქვს, ცისფერი თვალები.

— აჰ, ეს თქვენი გოგონაა? რამოდენა გაზრდილა! ღმერთო, როგორ გარბიან წლები!

- პრანკიაა, — ფიქრობს ლალი.
- ეს კი მეტიჩარაა, — ფიქრობს მეორეზე.

ისინი ხეივანში სეირნობენ. ირგვლივ გვირილებია, საუტხოო, მშვენიერი გვირილები. აქედან ამ მომადლო გორაკიდან ჩანს, როგორ შედის უზარმაზარი თეთრი გემი ბოლანში. მამა ისევ ჩაფიქრებულია. იგი ვერაფერს ამჩნევს, არც ესმის. ბელურები, გვირილებს შორის რომ დახტოდნენ, რახანია გაფრინდნენ. ლალი ანჯღრევს მამის მკვრივ ხელს. მას ძალიან უნდა ჰკითხოს ბელურებსა და თეთრ გემზე, მაგრამ მამა ფიქრებულია.

ლალიმ მოიწყინა. ბოლოს, ვერ მოითმინა:

- მამა, ეს რა ყვავილია?
- რომელი? ისა? რა ყვავილი უნდა იყოს, ბაბუაწვერაა.
- მაშ, ბაბუაწვერა ყვავილი არაა?
- რა თქმა უნდა.
- თვითონ იცის, რომ ყვავილი არაა?
- ესლა აკლია! მამინ ყვავილებში არ გაეროდა.

უკვე შინ დაბრუნების დროა. კორტებზე აღარ თამაშობენ ჩოგბურთის თეთრმაისურიანი გოგონები. მამამ იქეთაქით გაიხედა. მერე გაზონიდან მიხაკი მოწყვიტა და ჰიბეში ჩაიდო.

- რატომ მოწყვიტე? — საყვედურით ეკითხება გოგონა.
- სუ, — იღიმება მამა.

აგრილდა. მამას ჰიბით მიაქვს მიხაკი. შინისკენ, შინისკენ. უნდა იმუშაოს. და ლალიც გარბის, გარბის კი არა, მიხტის ბელურასავით.

ლალის საწოლი ოთახის გვერდით მამის სამუშაო ოთახია. ანდა სახელოსნო, როგორც დედა ეძახის. ერთი გაფაჩუნებაც კმარა, რომ თაღმა გუგუნი დაიწყოს. ამიტომ ლალი ხშირად შეიბარება ხოლმე იქ და მღერის. სახელოსნოს შუაგულში ხის გეჯა დგას. გეჯა პირთაგდეა აპიბინებული სოველი თიხით. ამ თიხისაგან ოთახში სიცივე, სინესტე და რაღაც არასასიამოვნო სუნი დგას. მაგრამ ყველაზე უფრო ლალის ამ დარბაზში უყვარს თიხის უზარმაზარი თოჯინების ჰკრეტა. ესენი ქანდაკებებია, როგორც მამა ამბობს. მუშაობის დროს მამას ლურჯი ხალათი აცვია და ხელის რამდენიმე მოსმით შეუძლია თიხის გროვა სასაცილო და ზარმაც ბიჭუნად აქციოს. ასეთი ფიგურა სახელოსნოში უთვალავია. ისინი ტაბურეტებზეც აწყვია, იატაკზეც, გრძელი, დათითხნილი მაგიდის ქვეშაც. მამა დილით და საღამოთი მუშაობს. მზის ამოსვლამდე და მზის ჩასვლის მერე. დღე კი სხვა საქმე-

ებს უნდება. იგი დეპუტატი და ათას ადგილას უწევს წასვლა. კარგი ადამიანიო, ამბობენ მასზე. თუ მამა არსად მიდის, კითხულობს ან სეირნობს. მაგრამ, როგორც არ უნდა იყოს დაკავებული, ზღვისპირა კაფეში შესასვლელად მაინც გამოძებნის დროს. ეს ჩვეულებად გადაქცა...

როცა კაფედან ბრუნდებიან, უკვე კარგა შებნელებულია. გაზეთის კიოსკთან, რომელიც მათი სახლის ვეკრდითაა, მოტოროლერი შეჩერდა. საღამოს გაზეთები მოიტანეს. მამა არასოდეს არ დგება რიგში. მისთვის საგანგებოდ გადაინახვენ. იცის აქვეა ძველი რესტორანი „გემო“ და დაბაღრ სახლების რიგი, რომლებშიც სადალაქო. ფეხსაცმლის შესაკეთებელი სახელოსნო და პურის ფარდულია. ამ უბნის სახლები-სათვის უჩვეულოა მძიმე ფარდები. ვისაც დრო აქვს და ცნობისმოყვარეა, მუდამ შეუძლია ჩასწვდეს მცხოვრებთა ყოველდღიურ წვრილმანებს. მაგრამ აქ არ არიან ადამიანები, რომლებსაც თავისუფალი დრო აქვთ. ყველაფერი რასაც შემთხვევით, თვალის ერთი მოკვრით სარკმელში ამჩნევ, ამჩნევ თავისთავად. მსუბუქმა მანქანებმა ჩაიქროლეს, მერე რესტორანთან მშვენივრად ჩაკმული წყვილი გამოჩნდა. ისინი იმ შენობისაკენ გამართნენ. სადაც უზარმაზარი ასოებით ანთია: ტაქსი! იქვეა რედაქცია. ეს კარგად იცის ლალიმ. როცა მამას რედაქციის მუშაკებმა მოუწყვეს შეხვედრა, ისიც თან ახლდა.

ქუჩაში, ქაფურის ხეების ახლო, ფარანი აინთო. მერე სახლებშიც აინთო შუქი. როცა სარკმლებს კეტავს, ლალი ამჩნევს, რომ მოპირდაპირე სახლში ვანშმის თადარიგს შეუდგნენ. მამა უკვე სახელოსნოშია. მამა ან დუმს ან ღიღინებს. ეს ისეთი ლამაზი, ისეთი კარგი სიმღერაა თეთრ თოლიებზე, რომლებიც ფარფატით აცილებენ ხომალდებს. მაგრამ ორი კვირაა მამა დუმს. არც ძერწავს. იარაღს — ძვლის დანას თიხის გროვამი არჭობს, თვითონ კი მოშორე-

ბით დგას. თითქოს ხელის შეხებულა ეშინია, ორჭოფობს. როცა დედამისის რეცხვას შეუდგება, ლალი დროს მოიხელთებს და სახელოსნოს კარებს აღებს. მამა ვერც ამჩიევს მას. მამა გაქვავებული დგას. ახალ ნამუშევარს დაპყურებს. ეს, ლალის აზრით, დიდი თოჯინაა. რაც მამა ამ თოჯინას ამზადებს, ლალის ორი კბილი უკვე ჩამოძვრა. ორივე კბილი ლალიმ მეზობელი სახლის სახურავზე ააგდო: „თავგო, ჩემი კბილი შენ, შენი კბილი მე“. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. ლალის უნდა გაიგოს, როგორი იქნება დიდი თოჯინა საბოლოოდ. მაგრამ მამა რატომღაც არ ჩქარობს. წინათ კი ადვილად ასდიოდა ხელს, ალბათ, იმიტომ, რომ ლამაზ სიმღერას ღიღინებდა თეთრ თოლიებზე. მამას, ამ უზარმაზარ კაცს, არ სიამოვნებს, როცა გოგონა ზის სახელოსნოში. საერთოდ იგი არასოდეს არ მუშაობს სხვების თასდასწრებით, რა თქმა უნდა, თუ მენატურე ქალს არ ჩავთვლით; რომელმაც ამ უკანასკნელ დროს რატომღაც აიკვეცა ფეხი. იქნებ აუღადა?

ლალი იღლებს. თანაც სახელოსნოში გრილა. ახველებს. მამა თავს აბრუნებს.

— იქნებ, ბორჯომის წყალი გინდა, მამა? — სწრაფად ეკითხება ლალი. თან ცდილობს ისე მოაჩვენოს თავი, თითქოს ეს-ესაა შემოვიდა.

— რა ჭკვიანი ხარ, გეთაყვა. როგორ მიხვდი?

ლალი სამზარეულოში გარბის და ბოთლი მოაქვს. მაგრამ უკან დედა მოჰყვება.

— ასე შეიძლება. თამაზ? — წყრება დედა. — აქ ხომ გამჟოლი ქარია. ბავშვს გააცივებ. — მერე უცებ მშვიდდება, ქანდაკებას უმზერს. დედა ლამაზი ქალია. ცისფერი თვალები და მუქი წაბლისფერი თმები აქვს. დედა ხან მიუახლოვდება ქანდაკებას, ხან შორიდან უმზერს.

— ვერ გამოიგია, თამაზ. მაინც რა გინდა?! ამ ქალის ტანში საყმარისზე მეტი

გრაციულობაა, სიამაყეც. განა შენ არ  
ოცნებობდი ამაზე?

მამა პირდაპირ ბოთლის ყელიდან  
წრუპავს ბორჯომს, თან თავს აქნევს.

— არაფერი გესმის, გეთყავა: — ამ-  
ბობს მამა, — როცა მიქელანჯელოს  
„მოსეს“ ირგვლივ თავშეყრილ ხალხს  
ეუყურებდი, მომეჩვენა, ის ქანდაკება  
უფრო დიდი და მშვენიერი იყო ვიდრე  
ჩვენ ყველანი. ჩვენ ვმოძრაობდით მის  
წინ, ის კი უძრავი მაინც გვჯობნიდა, რა-  
დგან ცოცხალ ადამიანებში ბევრი იყო  
სიმრუდე, სიტლანქე.

მამას უყვარს დიდ მხატვრებზე ლაპა-  
რაკი. ოცნებობს შექმნას ქანდაკება ჰარ-  
მონიული, დასრულებული: შესანიშნავი,  
სადაც შესრულების მანერაც ახალი იქ-  
ნება; სადაც უძრავ ფიგურაშიც შეინიშ-  
ნება დაფარული, პოტენციური მოძრა-  
ობა.

დედა იღიბება, დედამ იცის, რომ  
ამაო მამასთან კამათი. იგი ხელს კიდებს  
ლალის და სამზარეულოში გაყავს. იქ  
დიდ ქილებში ახალმოძღვრებული მუ-  
რაბა ასხია. დედა კვერცხს ცხელ წყალ-  
ში დებს, მერე ჩქარა იღებს და თავს  
უფცქვენის. კვერცხის გარსი ოდნავ შე-  
თეთრებულია.

— უკვე თოთოა? — ეკითხება ლალი.

— კი. აბა გადაყლაპე.

როცა კვერცხს მორჩა, იკითხა:

— ეს რატომაა, რომ მამიკო ორივეს  
გეთყავას გვეძახის?

— იმიტომ, რომ მამას შენც უყვარ-  
ხარ და მეც.

— რა კარგია, — თქვა ლალიმ. მერე  
ჩაფიქრდა. შუბლი მოუსინათლდა. მერე  
იგი დედის ზღაპარს ისმენს და ტანზე  
იხდის. მისი ლოგინი სარკმელთანაა,  
ტიტველი ფეხებით ნოხზე დაბტის.  
ლეიბი თბილია, ეტყობა მთელ დღეს  
მზის ყურზე იდო.

მოულოდნელად ლალიმ ქვევიდან  
ახედა დედას, გრძელი წამწამები  
ააფხახულა.

— მითხარი, ღმერთი არსად არ მუ-  
შაობდა?

დედამ მხრები აიჩეჩა.

— რა თქმა უნდა, არა.

— და მაინც აქმევდნენ საკმელად?

— აბა, როგორ, იგი ხომ ღმერთი იყო.

ლალი ისევ ფიქრობს. ისევ აფხახუ-  
ლებს წამწამებს.

— მაშინ ძია ივანეც ღმერთი ყოფი-  
ლა. ისიც ხომ არსად არ მუშაობს და  
მთელი დღე ჭამს.

დედა ჯერ იცინის, მერე კი ტუქსავს,  
არბევს არსად წამოცდეს. ესღა ავლი-  
ათ. ივანესთან წალაპარაკდნენ. ივანე  
ძალზე ზანტი და უსულგულო კაცია.  
ცოლის ხელის შეწყურეს არაფერი აინ-  
ტერესებს ქვეყნად.

ლალი მაგრად ეხვევა საბანში. სარკ-  
მილიდან ჩანს — ხის ტოტზე უზარმაზა-  
რი მთვარე ჩამომჯდარა და იღიბება.  
ლალი ერთხანს უყურებს მთვარეს, მე-  
რე თავლებს ხუჭკვს და ფიქრობს: რა-  
ტომ არ მოსწონს მამას თავისი თოჯინა?  
რატომ აქვს ასეთი შეწუხებული სახე?

გაღვიძებისას ლალი მუდამ ერთსა და  
იგივეს ხედავს. ოთახის ყვავილებს თავი  
აუშართავთ. მათ ფოთლებზე განთიადის  
მქრქალი სინათლე დათამაშობს. ლალი  
ჩუმად წევს, ჯერ კიდევ ადრეა, მაგრამ  
სამზარეულოში უკვე შიშინებს მადის-  
აღმძვრელი კერძი. ქვევით, ქუჩაში, მან-  
ქანა გაჩერდა. ლალიმ იცის, რომ ფრ-  
დულში ახალი პური მოიტანეს და ცოტა  
ხნის შემდეგ დედა მოზრდილი ჩანთით  
ხელში დაეშვება კიბეზე.

ლალი საუზმობს. იგი უხასიათოდაა.  
რა ცუდია, ფიქრობს იგი, სულ ჭამ და  
გძინავს. მერე აყურადებს, ღიღინებს  
თუ არა მამა. მაგრამ სახელოსნოდან ჩქა-  
მიც არ ისმის. გოგონა ფეხაკრეფით მი-  
იპარება კარებთან. აღებს. იგი გაოცე-  
ბულია. თოჯინა, რომელსაც ამდენი ხა-  
ნია ძერწავდა მამა, აღარაა. მის ადგი-  
ლას მხოლოდ რკინის უშნო ჩონჩხიღა  
მოჩანს. მამას ხელებში ჩაურგავს თავი.  
გეჯა ისევ სასეა. თიხა იატაკზეც ყრია,  
ტყავგადაკრულ სოფას გაყრლებით.  
ლალის ჯერ შეყვირება უნდოდა. მერე  
ცრემლები წასკდა და ასე ატირებული  
გავარდა გარეთ. „რატომ დაშალა მამამ



თოჯინა?“ ფიქრობდა მთელ დღეს. მერ-  
გადავიწყდა და მეზობლის ბიჭებთან  
ერთად უყურებდა როგორ დაგოგმან-  
ბდნენ სახლის სახურავზე ვეყანი მტრე-  
დები.

როცა მზე გადაიხრება, დედა ლალის  
ნებას რთავს. კლასობანას სათამაშოდ  
წავიდეს. მაგრამ მას რატომღაც  
არ უნდა კლასობანა. შეწუხებული და-  
დის ეზოში. ეზოში მაღალი ხეებია და  
ხეები შრიალებენ. წინათ თვალს ადევ-  
ნებდა, როგორ დახტოდნენ ბელურები  
ყვითელ ტოტებზე. ახლა კი ჩაფიქრე-  
ბული ზის. თვითონაც არ იცის რა უნ-  
და. დრო და დრო იმ ფანჯრებსაკენ გა-  
იხედავს. სადაც მამის სახელოსნო ევა-  
ლება. სახელოსნოს ფანჯრები დიდია,  
ფართო. ისინი ხან მუქად ზიმზიმებენ,  
ხან კი, თითქოს ცეცხლი წაუკიდესო, ისე  
ლალაპებენ. მოეჩვენა, იქ ვიღაც და-  
დის. მიიმედ, მიიმედ... ბაფთას, რომე-  
ლიც სიჩქარეში ჩამოძვრა. ჯიბეში იჩ-  
რის. მერე ფეხსაცმლის ზონრებს იკ-  
რავს და კიბეზე არბის. მამა მოვი-  
და, — ფიქრობს იგი, — რა კარგია!..  
კარებთან გაქვავებული ჩერდება. საკ-  
ლიტურის ქუტურტანაში იხედება. სახე-  
ლოსნო ცარიელია.

მამა გვიან ბრუნდება. ლალიმ რახანია  
შეჭამა მაწონში ჩაფიქვნილი ორცხო-  
ბილა და დასაძინებლად ემზადება. ეს-  
მის, როგორ ჩურჩულებენ სამზარეუ-  
ლოში.

— ნამდვილი უნიკო ვარ. — ეს მა-  
მა.

— რა სისულელეა. — ეს დედა.

— იქნებ, ლინოგრაფიურას გავყო-  
ლოდი, როგორც შენ მიჩრევი წინათ.

— წინათ სხვა იყო. კარგი ქენი, რომ  
არ დამიჯერე.

— რა თქმა უნდა, მე მეგონა ეს მო-  
წოდება იყო...

— არც შემცდარხარ...

— ოო, — იცინის მამა. ლალი გვერდ-  
ზე ბრუნდება. თვალს ხუჭავს. — რა-  
კუსი. — იმეორებს იგი გაგონილს. — ნე-  
ტავ რა არის ეს რაკუსი? ალბათ, გვა-

რია. მაინც რა უცნაურ ხალხს  
მამა! ხის ტოტზე ისევ ჩამოძვარდა  
რე. მთვარე ვარცლის ოდენაა. ლამაზი.

მერე მთელ დღეს მამა ერთხელაც არ  
შესულა სახელოსნოში.

ხანდახან ლალის აიკიდებს — ნავსა-  
დგურში მიდიან. ნავსადგური არც ისე  
შორსაა. იქ ბევრი ხალხია მუდამ.

— მამიკო, საიდან მოდიან ეს გემები?

— ღმერთმა უწყის, ალბათ, დედამი-  
წის ბოლოდან.

— აკი შენ ამბობდი, დედამიწას ბო-  
ლო არა აქვსო?!

— ჰმ, — ჩაახველა მამამ. — აბა კარ-  
გად გაიხსენე?

ლალი არ უსმენს. უზარმაზარ ხო-  
მალს ათვალეირებს. მერე თავს აბრუ-  
ნებს.

— აქ ძალიან ღრმაა?

— ღრმაა, — ამბობს მამა.

— დიდი თევზებიც დატურავენ?

მამას თვალები უციმციმებს.

— რა თქმა უნდა. — ამბობს იგი.

ასფალტზე აქა-იქ ქადრის უზარმაზარ  
ფოთლები ყრია, კიდევბუყვივითლე-  
ბული, ძარღვიანი ფოთლები. ქარი იტა-  
ცებს ამ ფოთლებს, ჰაერში ატრიალებს.  
შავთვალა ბიჭუნა, რომელსაც კომლები-  
ანი ქული ახურავს, ფოთლებს აგრო-  
ვებს. ეს შეყვითლებული ფოთლები კე-  
ცა-კეცად უჭირავს მუჭში.

— მამიკო, რად უნდა იმ ბიჭს ფოთ-  
ლები?

— ალბათ, ქუდს დაწნავს.

— მერე და გაგონილა ფოთლების  
ქული?

— შენაც გქონდა ფოთლების კაბა, არ  
გახსოვს?

— მე ხომ ვთამაშობდი...

— ჰმ, — ჩაახველა მამამ, — თამაშო-  
ბდი! ამასაც სათამაშოდ უნდა.

ბიჭს სუფთად აცვია. იგი ჯებირის კი-  
დეზეა თითქმის. იქით ზღვაა. ლურჯი და  
მშვიდი ზღვა. ქარმა ცოტა კიდევ წინ  
წასწია ფოთოლი, წინ, კიდისაკენ. გადა-  
იხარა ბიჭუნა. ის იყო ლალის დაყვირება  
უნდოდა, რომ ბიჭიც გაქრა.

...მერე ლალი მარტო რჩება. მამა მას მერხზე ტოვებს, თვითონ კი ჯებირისკენ გარბის. ბიჭის გადასარჩენად ორი მეზღვაური გადაეშვა ერთანძინი კატარლიდან, რომლის გემბანი ქვანახშირითაა მოსერილი. ხალხი ყვირის. საშინელი გუგუნია ირგვლივ. ამ გუგუნში ერთი ადამიანის ხმა გამოიყოფა ყველაზე მკვეთრად. ეს მალალი. ქერათმიანი ქალის ხმაა. „ბიჭის დედაა“, ფიქრობს ლალი. ამ ქალს თმები გაშლია. ქარი უფრიალებს წითელ ყელსახვევს, სახე კი ისეთი მკაცრი აქვს. ისეთი მკაცრი... მას დაბალი, ჩაფსკენილი მამაკაცი ამშვიდებს. იგი რაღაცას ეუბნება ქერათმიანს. მაგრამ ქალი ხელს იქნევს. თვალები გაფართოებულია.

„სად მინახავს ეს სახე? — ფიქრობს მამა, როცა ბიჭი ამოიყვანეს და თეთრხალათიან ექიმებს ჩააბარეს.—სად მინახავს...“ აბსტრაქტული, ჯერ კიდევ გაურკვეველი მინიშნება ამოძრავდა საღვთაქმების მესხიერების ფსკერზე.

ლალი ტიროდა. მამას არ ესმოდა, რას ელაპარაკებოდა გოგონა.

არც ის ახსოვს, როგორ მივიდნენ შინ. ოთახში თბილა. მამა ერთხანს ჩუმად ზის. ეჩვენება, თითქოს თავი ტრიალებს სხეულის ირგვლივ. სინამდვილეში კი თვალები დაძრწიან ჭერსა და იატაკს შორის. ისინი წრეხაზს ქმნიან. ყოფენ რადიუსებად და კედელზე, თითქოს დიდ ეკრანზე, ხედავენ: — ფოთლებს, ტალახიან გზას. გზა ტანკებითა და ნალმებითა გადათხრილი. მაშინ ამ გზით მიიწევენდნენ წინ. ფარაჯები სველი ჰქონდათ, მძიმე. შიბიჯებდნენ ღამით, როცა წვიმა ასხამდა და ტყეები ზუზუნებდნენ. დილაბნელზე ერთბაშად გადაიკარა. მზემ ამოიჭვრიტა და გაელამუნა სოველ მიწას. სწორედ მაშინ დაინახეს ის... მალალი, ხანშიშესული ქალი. ტყვიებით დაცხრილული ბავშვი თივაზე დაწვინა. თივა სისხლით იყო დაწინწკლული. თვითონ შორს იყურებოდა, აელვარებული ჰორიზონტისაკენ. თმები ჩამოშ-

ლოდა და ჩამოშლილ თმებს ქარი უწევდა...

შებინდებისას ლალი მტრედების საშერლად მიდის. ოთახიდან გასვლამდე იგი კარებში ჩერდება, წამით ჩერდება, რათა დააყუროს მშობლების საუბარს.

— შენ გიფიქრია ოდესმე რა საშინელებაა ომი?

— ბევრჯერ. — ამბობს დედა. ატყობს, მამა უცნაურადაა აცტებული, თითქოს ღელავს კიდევაც.

მამა სახელოსნოსაკენ მიდის, ლალი კი ეზოში ეშვება.

როცა კარგად დამდება, ლალის ბურანში ჩაესმის, როგორ იღება სახელოსნოს კარი და როგორ ამბობს დედა:

— თამაზ, აბა, გეყოფა. მე რძე მოგიტანე.

მამა სვამს რძეს. დუმილი.

— რა უნდა დაარქვა? — ამბობს დედა.

— არ ვიცი. ან „მრისხანე უამს“, ან „ეს არ უნდა განმეორდეს“.

— ორივე კარგია. — ამბობს დედა.

— ჰო.

— შენ კმაყოფილი ხარ?

— როგორც ხედავ. მაგრამ მე არ დავლილვარ.

— სულერთია. უკვე დროა დაიძინო.

მერე დამდება, თენდება, დამდება და ისევ თენდება.

სახელოსნოს კარები მჭიდროდაა მიხურული, მაგრამ მაინც ისმის, როგორ ღიღინებს მამა სიმდერას ღამაზე თოლივებზე, რომლებიც ფარფატით მიაცილებენ ზომალდს. ლალი ჩუმად, ფეხაკრებით მიდის კარებთან, აღებს. მამა ვერ ამჩნევს. მაგრამ ლალი არც ფიქრობს დაიმალოს. იგი მამის ახალ ნაშუშევარს უმზერს. ლალიმ მაშინვე იცნო იგი. მალალი, თმაგაშლილი ქალი, რომლის ყელსახვევს ქარი აფრიალებდა. ფეხებთან პატარა ბიჭუნა უწევს. თვითონ კი შორს იციქრება, შორს. ქალი ღამაზია. მკვრივი ტანი და ძლიერი ხელები აქვს. უყურებს და გოგონია, ეს-ესაა წამოდგება, აიმათება. ლალი გაფითრდა. გონების



კუნჭულში რაღაც შეინძრა, ამოძრავდა, შეიშმუნა. ბიჭი? — გაიფიქრა მან, — თვალდახუჭულს ძინავს, იქნებ...

— მამიკო, — ცრემლნარევი ხმით წამოძახა, — მამიკო, ბიჭი არ მოკვდება?

— ა? — ვერ გაიგო მამამ. უცებ მობრუნდა. მკაცრად შეხედა გოგონას. თვალეში ვარსკვლავები აუციმციმდა, თავზე გადაუსვა ხელი და მკერდზე მიიკრა. „თითქოს ფოთოლია, ქარში მოცახცახე ფოთოლი“, — გაკენწლა აზრმა. მერე გაიღიმა.

## კ ე ლ ე ლ ი

ატმები გასულ სამშაბათს აყვავილდნენ. ეს კარგად მახსოვს, რადგან იმ დღეს ამ გრძელსა და რუხ კედელზე ვილაცას სასაცილო, დიდთვალა გოგონა დაეხატა. გოგონას ორივე ხელში ვაშლები ეჭირა და ვაშლები ნამდვილს გვანდნენ. ნახატს წარწერა ჰქონდა: „ეს მე ვარ. მე ვაშლები მიყვარს“.

— შეხედე, — მითხრა მერძევე იასონამ, რომელმაც ის იყო თავისი მუხმუხელა ფორანი ეზოდან გამოაგორა. — ეს ბავშვები გადაგრევენ სწორედ.

— ჰო, — ვთქვი მე და გზა განვაგრძე. როცა სანოვავით დატვირთული ვბრუნდებოდი უკან, კვერცხებითა და კონსერვის ქილებით სავსე პარკუჭანები კინალამ ხელიდან გამივარდა. კედელზე, ძალზე სასაცილო გოგონას გვერდით, რომელსაც ვაშლები ეჭირა, ასეთივე სასაცილო, ფეხგაჩახული ბიჭი მიეხატა ვილაცას. მასაც წარწერა ჰქონდა: „ეს კი მე ვარ“. დილით ამ წარწერას კიდევ ახალი სიტყვა დაემატა — „დიდყურა“.


კედელი გრძელია; რუხი. იგი მთელი ქუჩის გაყოლებით იცავს ხეხილის ბაღს. ეს ქვეთკირის კედელი იმდენად მალაღობია, რომ ჩემი სახლიდანაც ძლივს ჩანს მის იქით აღმართული ხეთა კატრები. ხეთა კატრებს ნიაფი აქანავებს. ქუჩის

— არა, გეთაყვა, რა თქმა უნდა, უნდა შენ არასოდეს არ უნდა იფიქრო ახლა, კარგი? ახლა კი გაიქეცი და ტანზე ჩაიცვი; ყველაზე კარგი კაბა ამოირჩიე, კინოში მივდივართ.

ლალი კარებს ღიად ტოვებს. იგი აუჩქარებლად მიდის თავისი ოთახისაკენ და, სანამ თავისი ოთახისაკენ მიდის, ესმის როგორ ღიღინებს მამა სიმღერას თეთრ თოლიებზე, რომლებიც ფარფარით მიაცილებენ ხომალდს.

მეორე მხარეს დაბალი აგურის სახლებია. ამ სახლებში მეთევზეები ცხოვრობენ.

როცა ცხელა, ბავშვები ფეხშიშველი დატანტალებენ ეზოებში, მამებს ბადის გაშლაში შევლიან-ადულებენ ფისს, რათა კარჭაბის დატკეპული ფსკერი ამოგმანონ და აღარ გამოყოფოს წყალმა. თითქმის ყველას ვიცნობდი. მაგრამ ვერაფრით წარომედგინა, ვის მოუვიდა აზრად ამ „ავტობორტრეტების“ დახატვა. შეიძლება ბიჭი იყო თხუთმეტი წლის, შეიძლება უფრო ნაკლებისაც. სკვერის პირდაპირ, ძველი რესტორანის გვერდით, ოთხსართულიანი სახლი იდგა. შეიძლება ამ სახლში ცხოვრობდა იგი. ლამაზი, მუდამ გახამებული პერანგითა და ახლახან მოღაში შემოსული ბუკლეს ქუდით რომ დადის სკოლაში. ხანდახან თვალწინ გოგონაც დამიდგებოდა, ვხედავდი კიდევაც, როგორ გამოჰყავდა მრგვალი ასოებით — „დიდყურა“. იგი ცელქი იყო, ეშმაკურად აფახულებდა გრძელ წამწამებს და თეთრი, წვრილ-ჭვინტიანი ფეხსაცმლების კაკუნით არბოდა კიბეებზე. შეიძლება მამამისი ის კეთილი მეწაღეა, რომელიც ყოველ განთიადზე ფართოდ აღებს სახელოსნოს კარებს და ღიღინებს. ვინ იცის!



მეორე დილით ბიჭს ჩაუვლია კედელთან, თავისი წარწერის ქვეშ უნახავს — „დიდყურა“, და გაბრაზებულა. მაგრამ ბიჭი კეთილშობილი იყო. ბიჭი მიხვდა — გაეხუმრნენ და ვაილიმა. „არა გრცხვენია? — დაწერა მერე. — მე მგონა შენ კარგი გოგონა იყავი“.

გოგონას შერცხვა.

გოგონა, რომელიც შეიძლება სამუსიკო სასწავლებლიდან ბრუნდებოდა, შეჩერდა და მსხვილი, ძალზე მსხვილი ასოებით დაწერა: „მე ხომ ვიხუმრე“, — და ბიჭის ნახატის ქვეშ სიტყვა „დიდყურა“ წაშალა. იგი ეშმაკურად აფახულეზდა გრძელ წამწამებს, თვალთა კაკლებში კი ციცინათლები ჩაფრენოდა.

შეიძლება ბიჭი ქალაქის მეორე თავში ცხოვრობდა. აქ კი ნათესავი ჰყავდა და ნათესავთან დადიოდა.

„სად ცხოვრობ“, — დაწერა მან, როცა ხელახლა დაურჩა აქეთ გზა.

„ჰმ. — გაიფიქრა გოგონამ, — რა უცნაური ვინმეა: ჯერ გამომლანძლა, ახლა კი მეკითხება სად ვცხოვრობ. არაფერსაც არ დაწერ, აი!“ — მედიდურად შეათამაშა კიკინები, წასვლა დააპირა. უცებ შედგა. ცნობისმოყვარეობამ წააძლია. რად აინტერესებს, სად ვცხოვრობ? იქნებ, ბრაზიანია და ერთი სული აქვს, როდის დამქაჩავს თმებს? მაგრამ შინც აიღო ცარცი, აიღო და დასწერა: „სად ვცხოვრობ? აქვე, აი, იმ სახლში, სკვერის პირდაპირ რომ დგას“.

მიმწუხრის უამს კედელთან ჩავიარე. გოგონას ნაწერს ქვემოთ ბიჭის ბატისფეხური ვიცანი: „მე კი შუქურასთან ვცხოვრობ“.

მერე გათენდა და კედელზე ახალი წარწერა გაჩნდა.

„შენ მართლა გიყვარს ვაშლები?“

„რა ფქმა უნდა, მაგრამ ნაყინს ვამჯობინებ“.

ისევ დაღამდა და გათენდა.

„კვირობით დადიხარ პარკში“, — წავიკითხე სამსახურიდან დაბრუნებულმა და ლოდინი დაუწყე, რას მიუწერდა გოგონა. გოგონა არ ჩანდა. მთელ სამ

დღეს არ ჩანდა გოგონა. ხანდახან თვალს ვადევნებდი კედელს. ერთხელ დახატა წითურა ქალიშვილმა. სახე ჭორფლით რომ ჰქონდა დაკენკილი, წარწერას კითხვითი ნიშანი დაუსვა და ეშმაკურად ჩაიცინა. აი, თურმე როგორი ყოფილა! — გავიფიქრე ჯერ, მაგრამ მალე მივხვდი, რომ იგი არ უნდა ყოფილიყო ის, ვინც მშვენიერი, უზარმაზარი ვაშლები დახატა.

ჩემი ოთახის სარკმლები ქუჩას გადაჰყურებდნენ. თბილოდა. ახალწვიმარზე, როცა მზე ასე გულდაგულ დაჰყურებდა ასფალტს, ასფალტის სარკე ზიმივებდა. მდინარეა თითქოს, გავიფიქრე, მდინარე, რომლის ფსკერზე უზარმაზარ ღრუბელთა ლანდები გაწოლილან. ამ დროს ქუჩაში იშვიათად ჩაივლის ვინმე. მეთევზეთა ბავშვებიც პორტში გაკრეფილან ფინეთიდან მოსული ტანკერის დასათვალიერებლად. ვზივარ სარკმელთან და მესმის — ტროტუარზე მკვირივლანჩიანი ფეხსაცმლები მოკაქუნებენ. ქვევით ვიხედები და ვხედავ: წითელკაბიანმა გოგონამ გადაკვეთა ალუჩისა და იასამნის ყვავილებით მოფენილი სკვერი. ცვიბა ტანისაა; კიკინებიანი. წიგნების ჩანთას მიარხევს, მიარხევს და ღიღინებს. კედელთან ჩერდება, აქეთ-იქით იხედება. ქუჩა ცარიელია. გოგონა ცალი ხელით ოდნავ შლის კაბის კალთას და მოწიწებით უხრის თავს სასაცილო, თვალდაპრაწულ ბიჭს. მერე ცარცს იღებს და წერს. გოგონა ვერ მამჩნევს. მე ძალიან მინდა დავინახო მისი სახე, დავინახო ახლოდან. ტანზე ვიცვამ და გავრბივარ. მაგრამ კედელთან აღარავინაა. გოგონას ნაჩქარევი, მაგრამ მრგვალი ასოებით დაუწერია: „გინდა ჩემს კონცერტზე დაგაბატყებ? მე ჩაიკოვსკის ვუკრავე“.

„ძალიან“. დამხვდა დილით, როცა სამსახურში მივდიოდი.

მეორე დღე კვირა იყო. კვირას მთე-

ლი ოჯახით აგარაკზე მივდიოდით. როცა მანქანაში ვჯდებოდით, მოვიხედე.

„მე თამაზი მქვია, — დაეწერა ბიჭს, — შენ?“

„მე ცირა“, — დაეწერა გოგოს.

ამის შემდეგ კედელს არაფერი შემატებია.

მე ვფიქრობდი: ელეგანტური, მაღალი ბიჭი წითელკაბიან გოგონას კონცერტზე წავიდა. გოგონა უკრავდა ჩაიკოვსკის. შეიძლება ეს იყო ნაღვლიანი საფორტეპიანო პიესა „თოჯინას სიკვდილი“. შეიძლება, ბიჭი პირველ რიგში იჯდა და, როცა გოგონამ უკანასკნელად აიღო კლავიშებიდან თავისი თეთრი, ფაფუკი ხელები, თვალები აუბრწყინდა. შეიძლება, კონცერტის მერე ისინი ხეივანში სეირნობდნენ. პაერი კედარისა და წვიმის მოტკბო სურნელით იყო გაჟღე-

ნთილი. შეიძლება... შეიძლება მთელი ანათებდა, დიდი, მრგვალი მთვარე.

მაგრამ კედელზე მეტი აღარაფერი დაწერილა.

ერთ დღით წითურა გოგონამ ჩაირბინა. გოგონამ დიდხანს უყურა წარწერებს, მერე რატომღაც ჩაიციხა, აიღო ცარცი და გოგოსა და ბიჭის სახელებს შორის უზარმაზარი, უშნო პლუსი ჩაახატა.

— ხი, ხი, ხი, — ჩაიხიხითითა მან და წავიდა.

შეიძლება წითურა გოგო მართალი იყო. შეიძლება. მაგრამ რატომღაც მაინც მეწყინა. კარგი კიდევ, რომ დღით მეეზოვემ ჩაიარა ღიღინით. მან ნახა წარწერებით დაჩხაპული კედელი. თავი გააქან-გამოაქანა, კასრით წყალბ მოიტანა, ცოცხი მოიმარჯვა და ყველაფერი პირწმინდად ჩამორცხა.



## მამია პარხანიძე

### პირიმზე

მზე რომ ამოარღვევს ლაქვარდების ღილებს,  
ჩემი სოფლის მთაზე ჩამოჯდება პირველ...  
რა ჰქვია ჩემს სოფელს? — პირიმზე, პირიმზე!

მზე რომ ჩაგორდება ზღვის ოქსინოს ჩახვეს,  
ოქროს მას უტოვებს (მოდის, ერთი ნახე!)  
და პირიმზე მიძღვნილს ატლასებში ჩახვევს.

ჩემი ჩუმი სოფლის მადლმა გამაჩინა,  
ჩემი ალალ სოფლის მჟადმა დამარჩინა...  
თოვლში ცეცხლი მომცა, მზეში — მუხა ჩრდილად.

ჭიბონიც მან მომცა: „დედა ენაც“ მომცა,  
მან მასწავლა ჩუმიდ სატრფოს ტუჩზე კოცნა.  
ფეხშიშველი იყო, დაეძებდა ლუკმას...  
რა ბაჯაღლო გახდა, რა ჩანგებზე უკრავს!

გაზაფხული მოვა, მერე განა მიდის?!  
შემოდგომა მოვა და რთვლობაა დიდი.

უჩეხავდნენ ვენახს, გული დაეწყულულა...  
ანგელოზი მისი ახლა ღვინოს წურავს.

უნაბნაო იყო, სულ მონებდა მეჩეთს...  
აწ, შეხედე ტაძარს, ზედ ვარსკვლავა ბეჭედს,  
ციურ სხევთა თავთავს და ლაქვარდის ნათალს,  
მზეს აქ მადლიანი დაუბერტყავს კალთა.

ქალს შეხედე მცინარს, ფერფლად რომ ჰყო ჩადრი,  
შენ კი, დედაჩემო, ყურყუმეთში ჩადნი!  
არ ვიცინო განა? განა არ ვიხარო?  
აწ, ბუდეში გძინავს, კახაბერის ხმალო!

აწ, მკვარტლებში გძინავს, მაჭახელავ ჩემო!  
ცა ღირუხვებს მიშენს, ჩემი მუხა — ჩეროს,

მიწა — ფერთა ფუნჯებს... ო, სოფელი ჩემო,  
ჩემო პირიმზეო,  
შენი ჭირიმეო!

ჩემო თბილო ბუდევე, ჩემო ნადვერდალო,  
ვინმემ გაბედოს და მკერდი შემოგბწყალოს,  
გუდად გავბერო და შენ წაიღე, წყალო!

ო, რა პატარაა, ერთი გასახტომი:  
დავინახავ, ვეფხმა რომ დაადოს ტორი?!

სად დავუღო ზღვარი არა გასაყოფელს?  
მას ვუერთებ ყველა მთის და ბარის სოფელს:  
ერთად საქართველო, ვამბობ სიყვარულით,  
მისთვის მიჩუქნია ერთკაკალა გული.

### პიონერის ქანდაკება

შორს, მთას გაჰყურებს ხელებგაწვდილი?  
ნისლო, გაიწი, ნისლო აცალე!  
იქნება, მინდვრის ყვავილებს უცქერ,  
დაკრეფა გინდა, შენ გენაცვალე?  
აქეთ მომხედე ნაზი თვალებით!  
იქნებ, გაჰყურებს სოფლის ელსადგურს,  
ბებერი ღამე რომ გააძევა?  
იქნებ, იმ კლდეებს, ჟამით დადაგულს,  
მაინც რომ დგანან ასე უძლევედ, —  
ბიჭო, მომხედე, გენაცვალე!  
იქნებ, ვასცქერის ნარინჯის ბაღებს,  
სად ღამაზები ოქროებს ხვეტენ...  
იქნებ, ბობოქარ შავი ზღვის ტალღებს...  
საკოცნელადაც ვერ გავიმეტე,  
ღამაზო ბიჭო, აქეთ მომხედე!  
იქნებ, ვასცქერის მალალ სართულებს,  
ასე ტოლ-ტოლად აქ რომ აღმართეს...  
დუმხარ და ვფლარ მომიქართულე,  
მე კი გავყევი ფიქრთა აღმართებს.  
ო, როგორ მინდა ხელებს მომხვევდე!  
თვალებს უსწორებ, აი, აღმართებს,  
და შანდალივით ღამეს ანათებ.  
შენს დასალოცად ხელნი აღემართე,  
შვილო, ამაღამ შენთან გავათევ,  
შენი ტრფიალი ვინმე ჭაღარა.  
მერე მოვნახავ იმ კაცს მადლიანს,  
ვინც ჩამოგქერწა, პატარა ბიჭო.  
აჰა მიიღე ჩემი ვარდები,  
მე მოგცემ, შენ არ გადმოაბიჯო,  
ასე ნათელი, ასე ღალანავ!

განა საკვირველია, ეს მთა თუ ჩამოიქცა,  
ანდა ღორღზე, ნაყარზე ვარდმა ტანი აჰყარა?  
მერე როგორ აყვავდა!

მხოლოდ იცი?

ო, შეხედე ამ ციციქნას...  
ჯერ პატარავ, ამ ცივ ქვას  
შენი სიტბო ვინ მისცა?!

იქნებ, შენმა მშვენებამ  
ვინმეს გული დაღარა?  
იქნებ, შენმა დიდებამ  
ქვაც კი ააღლანა?

განა საკვირველია, ეს მთა თუ ჩამოიქცა,  
ანდა ღორღზე, ნაყარზე ვარდმა ტანი აჰყარა?  
ნუ იკითხავ, ნუ-მეთქი, ვარდი როგორ აყვავდა,  
ის გოგონა იკითხე, ცივ ქვას სიტბო რომ მისცა!

### ბ ა ბ შ ა

ერთი გოგონა შეჩერდა უცებ,  
ბიუსტს შეხედა გაფაციცებით,  
თავზე ვარდები გადააფურცლა,  
ო, იმ ვარდებზე დაეფიცებდი!  
მითხრეს, ბაბუა ყოფილა მისი  
და დაცემულა სადმე ყირიმთან,  
სულის მტკივანი ჩუმი ხმა ისმის,  
მე ბოღმით სახვე ეზორგავ, ვყვირი და

ცივ ქვას შვილივით ვესათუთები  
და სინანულის რეკენ წუთები,  
სული და გული დამეთანაღრა-  
ეჰ, სადაური სად დაკარგულა?!

იყოს ჭაბუკი, გინდაც ჭაღარა,  
ვინაც გველურად, ვინც ვერაგულად  
იქ, სასროლეთის მთაზე აიწვეს,  
უმალ დამიწღეს, იქვე დამიწღეს.

### ამ გულს ლამკრად ზენ მოგიტან

მე შენს საფლავს ვერ დავხედავ, ვერ გაჩვენებ თვალებს წყლიანს,  
ამ გულს ლამკრად შენ მოგიტან, გავანათებ შენს ბნელ-წყვედიანს.  
ჯერ სითეთრე შორით დუმდა... მომკლავს, მომკლავს სინანული...  
ო, იცოდე, ო, იცოდე, როგორ მტკივა მე ეს გული.  
შენ სალ კლდეებს მხრებს აჭრიდი, ცამდე დგამდი მღალ ტაძრებს,  
შენი ჭირი შემეყაროს, ძმავ, უშენოდ როგორ გავძლებ?!

შენ სალ კლდეებს მხრებს ახლეჩიდი, ცამდე დგამდი სასახლეებს...  
და მე გრძნობის იდუმალი, განა ჩვენს გვარს ვასახლებ?!





გელა კაკიშაძე

სტუდენტობის სახსოვარი

მირბიან წლები და ცხოვრებას შებ-  
მული ხშირად ვიგონებ სტუდენტობას,  
მეგობრებს... რაც დრო გადის, მით უფ-  
რო ტკბილი და სიამის მომგვრელია მათ-  
ზე ფიქრი. შესანიშნავი წამოწყებაა და-  
მთავრების ათი წლისთავის, ოცის და  
ხშირად უფრო მეტის აღნიშვნა. გული  
მწყდება... ჩემს მეგობრებს ერთხელაც  
არ უფიქრიათ ამაზე, თორემ შევერცხ-  
ლილი თმები, მძიმე ნაბიჯები, და ბევ-  
რის ღირსეული ადგილი საზოგადოება-  
ში — დროის გასვლის უტყუარი საბუ-  
თია.

ჩემს სტუდენტობას ვერ ვიგონებ  
ხელგაშლილობით. ომი ახლად დამთავ-  
რებული იყო და ამისათვის აღარ გვე-  
ცალა. ყველას გვიხაროდა, რომ ცოც-  
ხალი გადავრჩით და ვიბრძოდით უკე-  
თესი მომავლისათვის. ცხოვრებას მაინც  
ნახატებით ვიცნობდით. ლამაზი ნახა-  
ტებით... ის თურმე ინსტიტუტში არ  
ისწავლება... უფრო ღრმა და თავისე-  
ბური.

დავამთავრეთ თუ არა, ყველანი ად-  
გილებზე გაგვანაწილეს. წავედით... სხვა-  
გვარად ვერც წარმოგვედგინა. დიდად  
მაოცებს ზოგიერთი თანამედროვე  
კურსდამთავრებულის უშნო კაპრიზი.  
სოფლად წასვლას ქალაქში უსაქმოდ  
ყოფნა ურჩევნია. იქნებ, მართლაც არ

აძლევს „განათლება“ ამის უფლებას?..  
საკითხავია...

რისი თქმა გინდაო. — მეტყველ, ალ-  
ბათ, მკითხველი. ბევრს არაფერს ვიტ-  
ყვი. ჩემს ხელნაწერებს ერთი საერთო  
რვეული შემორჩა სტუდენტობის სახ-  
სოვარი და იმაზე მინდა გესაუბროთ.

პირველ კურსზე ვიყავი მაშინ. აუდი-  
ტორიიდან აუდიტორიამდე დავბოდი.  
პირველ მერხზე მიყვარდა ჯდომა. უფ-  
როსკურსელებს ეცინებოდათ ჩემს  
მუყაითობაზე. ხშირად უთქვამთ ირო-  
ნიულად: „გადადექით, პირველკურსე-  
ლები მოდიანო“.

მარქსიზმს ვაბარებდი... ალბათ, ბევრ  
თქვენგანს გამოუვლია გამოცდების  
ავადმყოფობა. უგუნებობა, რაღაც გა-  
ურკვეველი ტკივილი, ბილეთის აღების-  
თანავე რომ იკურნება. თავის ქებად არ  
ჩამომართვით და მართლაც ღირსეული  
ხუთიანი, დავიმსახურე. ლექტორმა  
პრაქტიკუმის რვეული მომთხოვა. სას-  
წრაფოდ გადავეცი.

— საიდან გამოიწერეთ ეს რვეუ-  
ლი?.. — ირონიულად მითხრა მან და  
რვეული მაშინვე უკან დამიბრუნა.

მინდოდა მეთქვა, ბებიაჩემს აბრეშუ-  
მის ჭიებზე დასაფარებელი ქალაღლი  
მოვპარე და ასე გამოვიწერე-მეთქი, მა-  
გრამ თავი შევიკავე.

— მაჩვენეთ, მაჩვენეთ! — დაინტე-



რესდა მარქსიზმის კაბინეტის გამგე. მას ჩვენი ლექტორი პატივცემულ მერის ეძახდა.

რვეული გადავეცი. გადაფურცლა... კარებთან დამელოდეთო. მითხრა და ლექტორის რაღაც გადაუჩურჩულა.

ფერი დამეკარგა. ნეტა რა ჭირს ჩემს რვეულს ასეთი?.. და გულმოსულმა კარებში შემხვდურ სტუდენტებს შევეუბლიერე.

— რა მიიღე, რა მიიღე?! — მოისმა აქეთ-იქიდან.

— რვეული... — ვთქვი ნერვულად.

მალე კაბინეტის გამგე მოვიდა. ხელით მანიშნა, გავყოლოდი. ერთი სული მქონდა, რას მეტყოდა. ნაკუწებად მინდოდა მექცია ჩემი რვეული.

— ყოჩაღ, ვია, — დაიწყო მან. — შესანიშნავად უბასუხე. თავი მომაწონე. ასეა, შეილო. ამხელა გზა გამოგივლია. ქალაქში ჩამოსულხარ, სტუდენტი გქვია და სირცხვილიცაა არ ისწავლო. შენი ჯგუფის არც ერთ გამოცდას არ გამოგტოვებ... — უჭრა გამოსწია, იქიდან ახალთახალი საერთო რვეული ამოიღო და გამომიწოდა.

— გმადლობთ. რვეულები მაქვს, რატომ წუხდებით? — ძლივს მოვახერხებ და ერთიანად გავწითლდი.

— განა იმიტომ გაძლევთ, რომ არა გაქვთ?.. პირიქით, მაპატიეთ, ასე მცირე საჩუქარს რომ ვთავაზობთ, მაგრამ იმ ღამაში პასუხისათვის, ჩემო კარგო, ნუ დამძრახავთ! — მითხრა და რვეული სულ ახლოს მომიტანა.

გამოვართვი. მადლობა გადავუხადე. ამის შემდეგ დავმეგობრდი. ისე შევეჩვიე, რომ მერი დეიდას ეძახდი... მას უყვარდა ჩემი საუბარი. მეც ჩემს ნამდვილ დეიდაში არ გამეჩრეოდა. ასე გაიარა ოთხმა წელმა.

როგორ შეიძლება დაივიწყო ქალაქი, სადაც შენი ჭაბუკობის ყველაზე ღამაში წლები გაგიტარებია, გოცნებია, გიფიქრია, სტუდენტის სახელი გიტარებია?... როცა ინსტიტუტის ჭიშკარს შევადებ და იმერეთის ცას დავიხურავ ქუდად,

ისეთ სიბზოს ვეგრძნობ, თითქმის დედის კალთაში მედოს (თუმცა დედაჩემი ხშირად მესაყვედურება, რა დაგემართა, ბიჭო, აღარ დადიხარ, დედის კალთა ასე მალე გაიკვდაო?). სიტყვა გამიგრძელდა და სათქმელი მაინც ვერ ვთქვი. მე კი ის მინდოდა მეთქვა, რომ რამდენიმე წლის შემდეგ ვეწვიე ჩემს ქუთაისს. მოვინახულე ინსტიტუტი. ბევრმა ვერ მიცნო. ბევრი ვერც მე ვიცანი. ვისაც თავი მოვაგონე, ყველამ ასე მითხრა: აღარ დადიხარ, ისე დავაქცალებულხარ, ცნობაც გავგიჟირდაო. ბევრი ჩემი პირადი ცხოვრებით დაინტერესდა. ფაკულტეტის მდივანმა შურა დეიდამ შევიღვით გადამოკცნა და ახალი ლექტორები გამაძრო. შემავიანდა... ერთი სული მქონდა შევსულიყავი მარქსიზმის კაბინეტში და ჩემთვის ყველაზე საყვარელი მერი დეიდა მენახა. თითქმის მივირბინე კარებამდე. ყვავილენების თავგულს ქაღალდი მოვხსენი. წინ პირველკურსელები შემომეფეთნენ. მათი ცნობა არ არის ძნელი. გარბოდნენ. არც გამცინებია და არც გამკვირვებია...

კაბინეტში მერი არ დამიხვდა. მის სკამზე უცნობი ქალი იჯდა. ვიფიქრე, ალბათ, საქმეზე გავიდა და მალე დაბრუნდება-მეთქი... ჩამოვკეჭი.

გაიარა ათმა წუთმა, ოცმა... მეტი მოთმენა აღარ შემეძლო. წამოვდექი. რაღაც ცუდად გავხდი... ფეხის გაღადგმაც გამიჭირდა და ენაც დამება. სულ ორი სიტყვა მინდა ვთქვა და ვერ ვახერხებ... ბოლოს, თავს ძალა დავატანე და დავიწვი:

— პატივცემულო... მერი მინდა... ხომ ვერ მეტყვით, სად იქნება?


— მერი?... — გაოცებით მკითხა ქალმა და შემომამჩერდა.

— დიას... — ვუთხარი და პასუხის მოლოდინში სუნთქვა შემეკრა.

— მერი?! — კვლავ გაიმეორა მან და ნერვულობა დაეტყო.

— დიას, მერი... — ვთქვი ჩუმად.

— თქვენ დიდი ხანია ქალაქში არ ყოფილხართ? — მკითხა მან.



— თითქმის ხუთი წელიწადია.

— ჰოდა დაგაგვიანდათ... მეორე წელია... — ცრემლით აევსო თვალები...

სახტად დავრჩი. ირგვლივ ყველაფერი აირია... ის კი კვლავ ჩემს წინ იდგა... რვეულს მთავაზობდა... მესმოდა მისი თბილი ხვერდოვანი ხმა: „განა იმიტომ გაძლევთ, რომ არა გაქვთ?.. იმ ლამაზი პასუხისათვის, ჩემო კარვო. ნუ დამძრახავთ“. სისხარულით უბრწყინავდა ნაოჭებშემოვლილებული უძირო, სევდიანი შავი თვალები.

კარების ჭრიალი მოისმა. სტუდენტები. შემოვიდნენ.

— „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“ — ასწრავოდ გვეპირდება. — დაიწყო ლიშვილმა.

— დაგაგვიანდათ, ეს წუთია გაიტანეს. დააბრუნებენ და სიამოვნებით, — უთხრა მათ ჩემი ვინაობით დაინტერესებულმა ბიბლიოთეკარმა ქალმა.

„მეც დამაგვიანდა“, მითხრა გულმა... დამრჩა ერთი რვეული — სტუდენტობის სახსოვარი და მერი დეიდას სიყვარულით სავსე გული, რომელიც არასოდეს განუღდება.

## მოდ, ჩემო მოვილო

ნუში შებინდებისას დაბრუნდა შინ. კარებთან ატუხულ პატარა ბიჭუნას მიუღალერსა, სამაზარეულოდან ძროხის საწველი კასრი გამოიტანა და ბოსლისკენ გასწია.

ლამაზას ბავა ცარიელი დაუხვდა. დედამთილს დაეხმინა და ჭიშკარი მიიხურა.

— ლამაზა, ლამაზა, — იძახდა ნუში და ბინდშებარებულ სოფლის რაბოში შიშით წინ მიიწევდა. დღემ საბოლოოდ ჩაყვინთა ღამის ბნელ თვალებში. სახლისკენ წამოსვლა დააპირა, შემობრუნდა... კვლავ სურდა დაეძახა. „ლამაზა, ლამაზაო“, მაგრამ ფეხის ხმამ შეაკროთ: „ნეტა ვინ უნდა იყოს?“ — გაივლო გულში და ნაბიჯს აუჩქარა.

მხარზე ჯღავადადებული მამაკაცი წამოეწია, ვაუთანასწორდა და მიესალმა.

— ვაგიმარჯოს, — ძლივს გაეპასუხა ქალი. ნუშის ახლაც არ ახსოვს, როგორ მოხვდა მისი ხელი უცნობის მძიმე ხელებში.

— ვერ მიცანი?..

— ვერა... — ათრთოლდა ქალი.

უცნობს გაეცინა...

— ბიჭიკო! საიდან, საიდან, როდის ჩამოდი?.. გიას გეფიცები, არ გამიგია, თორემ... — ერთხანს დუმდნენ. აღძრათი უბრად აიარეს. მყუდროებას წისქვილის ხმაური არღვევდა მხოლოდ, რომლის სარკმლიდან გამონატყორცნი სინათლის სხივები იმედის ნაპერწკლებად ეფინებოდა ნუშის შიშნაკრავ გულს.

— რა გეჩქარებოდა, გოგო. გათხოვება, ვერ დაცადე?.. — დასცდა ბიჭიკოს.

— ვისთვის დამეცადა?.. ასეთი იყო, ალბათ, ჩემი ბედი...

— ვისთვის დაგეცადა?! კარგადაც იცი, ვისთვისაც...

ნუშის პასუხი არ გაუცია. სახლს მიანლოვებულმა გული გაიმაგრა.

მთელი ღამე არ ეძინა ნუშის. ფიქრებმა გაიყოლიეს. იქნებ, მართლაც ბედნიერი ვყოფილიყავით, უთხრა გულმა. ეს რა ფიქრი მომივიდაო... გაბრაზდა ქალი და თვალებზე ხელი მაგრად მიიფარა. ერთხანს იყო ასე გალურსული შემდეგ გვერდი იბრუნა და მეუღლის ცარიელ ბალიშს მიესათუთა. ალიონმა დაამსხვრია ბინდი ღამისა. ნუში გათუნებამდე ეწვია ფერმას.

— მისწერე, შვილო, წერილი იმ ბიჭს. სამ თვეში მეზობლის ამბავს იკითხავს კაცი...

ხუშმამ გაკვირვებით შეხედა დედამთილს. სურდა გაპასუხებოდა, მაგრამ მის ლოყებზე სიმინდს მიშვებულნი წყალივით გაბნეულმა ცრემლებმა ენა დაუბეს. თებროლე ერთხანს დუმდა. თვალი გაუსწორა მოღუშულ რძალს, „ბიჭი გამიგარეგანდაო“, ამოიხვნეშა და ისე ჩაირტყა დაძარღვეული მუჭი გამოცლილ მკერდში, რომ ნუშის ცოდვის კურცხლები დასცვივდა.

მამლის პირველ ყვირლზე ნათურა აციმციმდა ნუშის ოთახში. მგლოვიარესავით თმებჩამოშლილი ქალი ბარათის წერას შეუდგა, ხან რისი წერა დაიწყო ხან რისი, მაგრამ თავი ვერ მოაბა და ვერა. ბევრი რამ უთხრა იმ დამეს ნუშმამ მეუღლეს, მაგრამ სალანძღავად მანც ვერ გაიმეტა. ჩემო გოგილოო, — სწერდა ბოლოს: — ვიცი განიხიბლე ჩემგან... მეორე წელია დამეკარგე... წინათ თვეში ერთხელ მანც განხულობდი და ამითაც კმაყოფილი ვიყავი... ბოლო ხანებში სულ აგვადე ხელი... მე შევეჩვიე უშენობას, მაგრამ გია?... რას ერჩი ბავშვს?!. გახსოვს, მანდარინი რომ მოვინატრე იანვარში, ოღონდ ბიჭი იქნებოდესო, ოღონდ შენ ინატრეო, მითხარი და წელამდე თოვლში ქობულეთიდან ამომიტანე ის. ბოლოს გია... თვალწინ მიდგას შენი ნათელი სახე. ბედნიერი ვარო, იძახდი და ბავშვივით მკოცნიდი. მე ახლაც ის ნუში ვარ, შენი სიყვარულით რომ მქონდა გული სავე. მოდი, იცხოვრე ჩვენთან სოფელში. თუ გსურს, წაგვიყვანე ქალაქში. ჩემთვისაც მოიპოვება სამუშაო ქარხანაში. შეიბრალებ დედაშენი. მე ძლიერ მებრალება ის, მაგრამ გაუწიე ანგარიში იმასაც,

რომ შენი სიყვარულისათვის მივატოვე საკუთარი დედა... დაგვიბრუნდი, ჩემო გოგო. მოდი ჩემო გოგილო.

მეორედ იყვილეს მამლებმა. ნათურა კვლავ ბრწყინავდა. ნუშის თითებით დაეფარა სახე და ბავშვივით ზღუქუნებდა.

\* \* \*

ჩემს გზას არავინ გეკითხება. ისლა მაკლია, ქალების კჳკუით ვიარო! — წერდა საპასუხო ბარათში გოგი.

\* \* \*

— მამა ძალე მოვა? — გულსაკლავად კითხულობდა გია ყოველ საღამოს.

— მოვა, შვილო, მოვა. — უპასუხებდა ნუში და ცრემლიან თვალებს არიდებდა მამას მონატრულ ბიჭუნას.

\* \* \*

ფერმიდან მომავალი ხუში სულ იმას ფიქრობდა, სახლში დახვდებოდა თუ არა ლამაზა. ლამაზა, თითქოს ჯიბრზეაო, ყოველ საღამოს იკარგებოდა. წელწყვეტით აყვებოდა აღმართს ნუში. გაივაკებდა თუ არა, ყოველთვის ერთსა და იმავე ადგილზე გრძნეულივით იბადებოდა ბიჭიკო. საღამის შემდეგ ყასიდად იკითხავდა ნუშის შეწუხების მიზეზს... ამ წუთში მოგიყვანო, — ეტყოდა ქალს და თვალის დახამხამებაში ჩირგვებში ქამრით მიბმულ ლამაზას ძუნძულით გამოიყვანდა... ნუში მორცხვად მადლობას ეტყოდა ბიჭიკოს. „რა მადლს ითხოვო“ — გაიღიმებდა ბიჭიკო და მასლაათით ჩამოყვებოდნენ დაღმართს.

\* \* \*

გავიდა ხანი... ნუშის ახალი სადარდო გაუჩნდა. ფერმიდან წამოსული, სულ ერთსა და იმავეზე ფიქრობდა: ნეტავ, არ დამხვდებოდესო სახლში ჩემი ლამაზა...



## შოთა რუყვა

### წისქვილის სევდა

ამ ხევში, სადაც დღეს მიღეულად  
ღელე ჩამორბის ნელი სიცილით,  
დგას მიგდებული მისთვის ეულად  
დაყრუებული ძველი წისქვილი.

დილა მზის სხივით ქოჩორს  
ივარცხნის,  
წისქვილზე ნისლიც მინდია თითქოს,  
ხავსიან ლოდზე ზის ბერიკაცი,  
დაპყურებს ღელეს, ფიქრობს და  
ფიქრობს...

მოხუცო ჩემო, წამოდექ ზეზე,  
ამდენი ფიქრი რად დაგჩვევია?  
ამ ხევში ერთი, ნეტა რას ეძებ,  
ამ ყრუ წისქვილთან რა დაგჩენია?

მოხუცი, როგორც აუხსნელ სიზმარს,  
იგონებს დღეებს და სიხალისეს —  
ქათქათა წვერზე ხელს გადაისვამს  
და ღელე თითქოს სიცილს დაიწყებს...

რას, რას დაგცინის ეგ წყალი, პაპა?  
რას დაგხითხითებს, გართმევს  
იმედებს?

არა, მოხუცო, მაგ ლომის ფაფარს  
ის დასაცინად ვერ გაიმეტებს...

მაგრამ ვის უნდა შენი წისქვილი,  
ახლა რას უტდი ამ ხევში მარტო, —  
იქნებ მინდისთვის, იქნებ

მინდისთვის?  
არა, მოხუცო, შენ სხვაზე დარდობ!..

სისხლით და ხორციით როცა დგოიდი  
და ელვარებდა ფერებით ჭალა,  
შენ დადიოდი, შენ დადიოდი,  
მინდისთვის არა, მინდისთვის არა...

როგორ ჰყვავოდა მიდამო შენი,  
ო, რას გაუგებ ცხოვრების ზღაპარს,  
საით წასულა ის შინდის ფერი,  
შენ რომ ამ გზებზე გეხატა, პაპავ.

ამ წისქვილს ახსოვს, ამ წყალს  
ახსოვდა,

ახლა დაეძებ, რას გეტყვის მერე?  
შენი მჩქეფარე ახალგაზრდობა  
თან წაუღია ამ ვერაგ ღელეს...

დილა ისევ ქოჩორს ივარცხნის,  
წისქვილზე ნისლიც მინდია თითქოს.  
ხავსიან ქვაზე ზის ბერიკაცი,  
ჯოხს დაყრდნობილი, ფიქრობს და  
ფიქრობს...

სიჩუმეს არღვევს ლიკლივი ღელის,  
და უცებ გზიდან ისმის ხივილი, —  
ახალგაზრდები მოდიან ლხენით  
და ბერიკაცი დგება ღიმილით...

პირზე ღიმილით გააპყრობს მზერას,  
აქეთ მოდიან... აგერ, ისინიც...  
ისმის სიმღერა...

ღელე კი, ღელე  
მიდის და მიდის ნელი სიცილით...

მე იმ დღეების ნათელი მიდგას,  
 ის ყვაილი და ეზოს სიმწვანე, —  
 დედამ რომ მითხრა, — იმ მეზობლიდან  
 მიდი, და ცეცხლი გადმოიტანე...  
 — მე როგორ წავალ? — ვუთხარი მშობელს, —  
 გზა ხომ არ ვიცი მათთან მისვლამდი? —  
 მითხრა: პატარავ, მიჰყევ ორლობეს,  
 ცეცხლს მომიტან და გზასაც ისწავლი...  
 მეორე დღით, იმ მეზობლიდან,  
 ქალის ხმა მოწვდა ჩვენს კარმიდამოს,  
 — ცეცხლი ჩამიქრა, და ორლობიდან  
 აქ შენმა ბიჭმა გადმომიტანოს!..  
 მე დედას ვუთხარი: შენი ბიჭი ვარ,  
 მას ცეცხლი მისმა ბიჭმა წაჰგვაროს.  
 — ჩემი ხარ, მაგრამ ხომ შეგიძლია,  
 სხვა დედის გულიც რომ გაახარო?  
 სიკეთის ასე გავხდი მთესავი,  
 ეუსმენდი დედებს — სიტყვა ოქროთა,  
 და ორლობეში, პრომეთესავით,  
 ცეცხლი მიმქონდა და გამომქონდა...  
 და იყო ჩემთვის დიდი სიკეთე,  
 იმ ეზოების მახსოვს სიმწვანე,  
 მე დედის გულს და სიტყვას მივენდე  
 და გზა პირველად ასე ვისწავლე.  
 ახლაც იმ გულით,  
 იმ ნორჩი გუნებით,  
 იმ სიყვარულით დავალ ამ ქვეყნად,  
 და მინდა ყველამ ისწავლოს გზები,  
 დედების გულის გასახარებლად.

## რთველი და წვიმა

ზღვიდან მთებისკენ წამოდებულმა  
 ქოროხზე დაგვცხო შხაპუნა წვიმამ.  
 ჯერ მთაში რთველი არ დაწყებულა  
 და რქიან ვაზზე ქარვები ბრწყინავს.  
 ნათურებივით ჩახჩახა მტევნებს  
 დედა ვაზებზე გააქვს ბრიალი,  
 შემოგანათებს და დაგატყვევებს  
 მარცვალი მჭიდა და თაფლიანი.  
 — ადრე ან გვიან, ნეტა სად იყო,  
 ავნებს წვიმა და ზვარი დაწდება,  
 დაშაქრულ მტევანს წაართმევს სიტკბოს, —  
 იწყინა გლეხმა წვიმის დაწყება.

— უკეთესია, შემორეცხს მთა-ბარს,  
ამდენ ნაადრევ მტვერსაც შემოლევს,  
როგორც პატარძალს,  
ვენახს პირს დაბანს. —  
დაბეჯითებით ამბობს მეორე.  
გლეხი კვლავ ზეცას მიაპყრობს მწერას.  
ამ წვიმის ოინს ვეღარ მიმხედარა.  
უეცრად, თითქოს გვისმინა ყველას,  
გადილო წვიმა და გადიკარა.  
შეწყდა შხაპუნა  
და ტყე ნაწვიმი  
ხარბად სუნთქავდა ორთქლით და თქორით,  
ცისარტყელა კი, მოხრილ ყანწივით,  
ჩადგა ზვარსა და საწნახელს შორის.

### ნუ ამიხირდები

შენ ჯავრობ, პატარა რამისთვის,  
ათასგვარ ფათერაკს მპირდები,  
რა იქნა, დაწყნარდი, დამშვიდდი,  
ნუ ამიხირდები!..  
იქნებ დავაშავე, რაიმე შეგცოდე,  
დაფიქრდი — მე კვლავაც გპირდები.  
თუ შევცდი — შენც გული გეწოდეს,  
ნუ ამიხირდები!  
საგულეს გული მაქვს და არა შავი ზღვა, —  
როს წაველენ-წამოვლენ ზვირთები,  
ნუ დამემდურები პატარა რამეზე,  
გეთაყვა, ნუ ამიხირდები!

### სად მიჰყოფნენ ის არწივები

სავსე ქარიშხლით და მღუმარებით  
ეზოდან ეზო ვიდოდა მგზავრი,  
გენიალური იდუმალების  
იყო მეფე და არ სჭირდა ჯავრი.  
ის იდგა ხელში ლექსის ნათელით,  
მას იალბუზიც გრძნობდა გოლიათს,

გულით ანთო ყველა სანთელი  
და მგზნებარება გაიყოლია...  
და დახვდა მთაზე შემდგარი მღვიმე,  
ახლა ქარს დააქვს მისი სიმები,  
ყრმას არწივებმა გადაუფრინეს,  
სად მიჰყოფნენ ის არწივები?..



## მოდარ მოღებამ

### გრმა

სკოლაში ჩვენ მერხზე ერთად ვისხედით. იგი ერთი კაფანდარა გოგონა იყო. სიარულის დროს ოდნავ ირწეოდა. შავი, ხეული თმის ტვერი მხრებზე ეფინებოდა. შუბლზე კი პატარა, სწორად შეკრეჭილი კულულები ეყარა. მომხიბლავი და ბავშვური — მოკრძალებული შემოხედვა ჩვეოდა. ჩვენ იმდენად ახლოს ვიყავით ერთმანეთთან, არავითარ საიდუმლოებას არ ვუმაღავდით ერთი მეორეს. გაიგებდა თუ არა რაიმე ახალს, იგი მაშინვე მეტყოდა, ხოლო ჩემს საიდუმლოებას ყოველთვის მას ვუმხელდი.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ერთმანეთს დავშორდით. მე მოსკოვში ვსწავლობდი ხუთ წელიწადს. არდადეგების დროს მხოლოდ ორჯერ შევხვდი მას. როცა მის უნახავად მივემგზავრებოდი, გული მწყდებოდა. მისთვის ბევრი რამ მქონდა სათქმელი. ვიცოდი, მასაც ბევრი რამ ექნებოდა გასანდობი.

დავამთავრე უმაღლესი სასწავლებელი, დავბრუნდი შინ და მეორე დღესვე მასთან წავედი. სახლში დამხვდა. მართალი გითხრათ, პირველად გავიფიქრე, ამდენი ხნის უნახავი მეგობარი გადაშეკონა. მაგრამ როცა კარი გააღო და ამისვენ საკოცნელად გავიწიე, მან უცხო

ქალის მოკრძალებით ხელი გამომიწოდა და მითხრა — გამარჯობა, თენგო!

უხერხულობა ვიგრძენი.

— გაგიმარჯოს, ლია, — დაბნეულად მივუვებ და ხელი ჩამოვართვი. იგი თვალს ვერ მისწორებდა, თანაც სახეზე ისეთი სიწითლე მოედო, მე თვითონ დავიმორცხვე და შუა კარებში გავშეშდი.

— მობრძანდით, მობრძანდით.

მინცდამინც არ მესიამოვნა მისი ოფიციალური შეხვედრა, მაგრამ მცირე ხნის შემდეგ ჩვენ მაგიდასთან ვისხედით და, როგორც წინათ, ბავშვური გულუბრყვილობით ვსაუბრობდით, მოვიგონეთ წარსული. ბევრი რამ ვუამბე ჩემზე — რას ვაპირებდი. ისიც ბევრ რამეს მოჰყვა. მხოლოდ ერთი რამ შევამჩნიე, იგი ისეთი მშვიდი არ იყო, როგორც მახსოვდა. ზოგჯერ სიტყვა ყელში ეჩხირებოდა, თითქოს გულზე დაადგაო. შეეთანხმდით, მეორე საღამოს ქალაქში გავვესიერნა.

მე იმ საღამოს განსაკუთრებულად ჩავიცვი. ასე სტუდენტობისას ვიცვამდი, საღამოებზე. შემომხედა თუ არა ლიამ, ჩემი ჩაცმულობა თვალში ეცა და მითხრა:

— ნამდვილი დენდი ხარ, თენგო.

თენგოს მხოლოდ ის მეძახდა და, ალბათ, სხვას არც კი მივეცემდი ამის ნე-





ბას. მომეწონა მისი ქათინაური. მეც მინდოდა სამაგიერო მეთქვა, მაგრამ თავი შევიკავე. ისე კი ნამდვილად გემოვნებით ეცვა. სასიამოვნო იყო ამ კაფანდარა გოგონასთან ქუჩაში გავლა. მერე და რა მსუბუქად, კობტად დადიოდა! მაგრამ ყველაზე საოცარი ის იყო, როცა ხელშკლავი გამიკეთა და თავისი პაწია ხელი ხელში ჩამიდო, შევატყვე, რომ ცახცახებდა. გამიკვირდა და ვკითხე, რა მოგივიდა-მეთქი.

— არაფერი, — მითხრა და დაღუძმა. წინათ ქუჩაში რომ მივდიოდით, იგი ბევრს ლაპარაკობდა: ხან ამ მთისას, ხან იმ მთისას, ვინ ესტუმრა, ვის შეხვდა. ახლა ხმას არ იღებდა. ის სევდაც, გუშინ რომ შევნიშნე მის თვალებში, არ შორდებოდა.

— ლია, ხომ არავინ გიყვარს? — ვკითხე მე.

მან ისე შემომხედა, მყისვე ვინანე, არ უნდა მეკითხა-მეთქი.

— ჰო, შეყვარებული ვარ, თენგო!

— ვისზე?

— არის ერთი ადამიანი.

— კარგი ბიჭია?

იგი დღუძმა.

შევასწენე. ჩვენ ხომ არაფერს ვუმაღავთ ერთმანეთს-მეთქი.

— ჰო, კარგი ბიჭია. ტანად შენი სიმალლისაა, შენსავით პირსაცხე. თმაში თეთრი აქვს გარეული, და მერე იცი, როგორ უხდება?.. თვალები კი... — შემომხედა, — შენსავით თვალები აქვს. — იგი უეცრად ისე ალაპარაკდა, ვიფიქრე, მასში ბავშვობამ გაიღვიძა-მეთქი.

— მერე?

— მერე ის, რომ... მან არაფერი იცის.

— მითხარი ვინაა და მე ვეტყვი.

— შენ?

— ჰო.

არაფერი მიბასუხა, მაგრამ შევატყვე, კვლავ მოიწყინა.

ერთ საღამოს კინოდან ვბრუნდებოდით. წვიმა და ძალზე ბნელოდა. უეცრად ლიამ ხელი გამკრა და მითხრა, აი

ის, ეგერ მოდისო. ძალიან მკვიფრული და მისი დანახვა, მაგრამ მწვერულზე იმ დროს ვაჟმა კუთხეში შეუხვია და მხოლოდ მის ზურგს მოვკარი თვალი. დავედევნები-მეთქი, ვუთხარი ლიას. არ მინდა შეგვამჩნიოსო. და მის სიამაყეს პატივი ვეცი. ლია მომიბრუნდა და მოჰყვა იმ ვაჟის ქებას. ხმაზე, სახეზე ეტყობოდა, რომ ძლიერ შეყვარებული იყო. მომიყვა, როდის შეხვდა მას, როგორ დაიწყო მასზე ფიქრი და, ბოლოს. ისიც აღიარა. უმისოდ სიცოცხლე არ შემიძლიაო.

მე ვუსმენდი ლიას და მეხარბებოდა იმ ვაჟის ბედი. მინდოდა, მეც ასე ძლიერ ვყვარებოდი ვინმეს.

— თენგო, ხვალ საღამოს კიდევ გავისერიწოთ, — მითხრა გამომშვიდობებისას.

— კარგი, ლია, გავისერიწოთ.

— იცი, რატომ?

მივხვდი, გულში რაც ედო, და მაშინვე მივუთხე:

— ვიცი, ვიცი.

მეორე საღამოს კვლავ ერთად ვსერიწობდით. უცბად ლიამ წამჩურჩულა, ეგერ არისო, კუთხეში მალალი, მოსული ტანის ვაჟი იდგა და ქუჩას გაჰყურებდა. ლია მკლავზე ჩამომეყრდნო, თვალებში შემომციკინებდა. ხმადაბალი საუბრით ვაჟს წინ ჩაუჯარეთ. ვერავის ვერ დააჯერებდით, რომ ჩვენ შეყვარებულები არ ვიყავით.

ქუჩის მეორე კუთხეში შევჩერდით.

— ერთი რამ უნდა გკითხო, თენგო.

— მითხრა ლიამ.

— რა?

სახეზე სიწითლე მოედო და ხმა აუკანკალდა.

— აი, მაგალითად, გოგომ რომ ბიჭს უთხრას, მიყვარხარო, თუ შეიძლება?

— როგორ არა, მაგრამ...

— რა მაგრამ?..

— რა და არ არის ლამაზი.

— რატომ? — მკითხა და ისევ მოიწყინა, თითქოს რაღაც დიდი იმედი დამესხვარაო.



— რატომ? ხომ შეიძლება იმ ბიჭმა ეს ამბავი მთელ ქალაქს მოსდოს! კიდევ მეტი, თქვას, გოგოები მესევნიანო.

— მე კი არ მეგონა, ბიჭები ასეთები თუ იყავით.

— ყველა არაა, რა თქმა უნდა, ასეთი, — ვუთხარი. — მე, მაგალითად, ქალიშვილის გულახდილობით ცუდად არ ვინსარგებლებდი.

— შეიყვარებდი?

— შეიძლება, — მხრების აჩეჩვით ვუთხარი. — მე სხვებივით არ მოვიქცევი. თუ ღირსია, შევიყვარებდი.

— ჰოო? — თქვა მან და დაღუშდა. ვინანე, რომ ლიას ის პატარა იმედიც გავუცრუე.

— ნახვამდის, თენგო, — მითხრა მან თავის სახლთან და ხელი არც კი გამომიწოდა. არც შემოუხედავს.

როცა ლია თვალს მიეფარა, ამოვიოხრე. შემეხარბა იმ ვაჟის ბედი, ლიას რომ ასე უყვარდა.

მეორე საღამოს ლია არ შელოდა. მაგრამ შედამდა თუ არა, მის კარებზე დავაკაკუნე. მართალი გითხრათ, ჩემი დანახვა გაეხარდა.

— რა კარგი ხარ, თენგო, რომ გამოიარე. — მითხრა მან.

— ვიცოდი, გავიხარდებოდა და იმითმომ ვამოვიარე. — გავწითლდი. ალბათ, იმიტომ, რომ იგი სარკის წინ თმებს ისწორებდა და მე სარკეში ვუყურებდი მის პატარა ლამაზ ტუჩებს. ისევ ვიგრძენი სინანული, რომ მას სხვა უყვარდა.

გარეთ გავედით. ახალმოსადამურებელი იყო და ქუჩებში ლამპიონები ჯერ არ ენთო. ლია თვალეში შემომცქეროდა და, თუ რაიმეს ისეთს ვეტყვოდი, რაც არ სიამოვნებდა, ბავშვივით მებუტბოდა. უეცრად მკლავში ჩამაფრინდა. შეეხედე, თვალეები გაფართოებოდა.

— აი, ეგერ მიდის.

— ვინ?

— ისა.

სრულიად არ ჰგავდა იმ ვაჟს, რომელიც გუშინ დამანახა.

— ისაა, ის, წამოდი.

ნაბიჯს ავუჩქარეთ და იმ ვაჟს საკმაოდ დაეუახლოვდით. ლიას სრულიად არ ეტყობოდა, რომ ის ვაჟი უყვარდა ხან მე შემომხედავდა ღიმილით, შემპარავად და მის თვალეში რაღაც იღუმალეზს ვხედავდი. ხან კი იმ ვაჟს გახედავდა. რა თქმა უნდა, არ მსიამოვნებდა, როცა იგი სხვას უყურებდა.

— გუშინ სხვა ვაჟი დამანახე, ეს კი სულ სხვა ვინმეა.

— არა, ცდები.

— როგორ თუ ვცდები? — ვუთხარი და ის გაწითლდა.

გავჩერდით. — შენ გეჩვენება, თორემ ის ვაჟი ნამდვილად არაა.

მას არაფერი უთქვამს. კარგა ხანს უსიტყვოდ ვიდექით. მის თვალეში სრულიად არ შემიმჩნევია სინანული, რომ შევჩერდით და იმ ვაჟს უკან აღარ გავყევით.

— თენგო, ნუთუ მართლა სირცხვილია, ვაჟს რომ უთხრა მიყვარხარო?

— გააჩნია ვაჟს. — ვცადე თავი დამეძვინა პირდაპირი პასუხისგან.

— იცი... შენც გაგიკვირდება. ძალიან წყნარია, კეთილი. სხვა ბიჭებივით ამაყი კი არაა.

რაც არ უნდა კეთილი ყოფილიყო ის ვაჟი, მე ხომ ახლა არ მინდოდა ლიას ვინმესთვის ეთქვა, მიყვარხარო.

— არა, ლია, არ ღირს.

— რატომ? ისეთ ვაჟს რომ ვუთხრა, რომელსაც იცნობ?

— არა, მინც არ გირჩევ. მოითმინე და შენც გაგიკვირდება, ისე შეუძნეველად გავივლის ეს სიყვარული. სხვა გამოჩნდება ისეთი, რომელიც შეგიყვარებს და შენც ის შეიყვარე.

— ვინ იქნება ისეთი?

— რატომ გგონია, რომ არ იქნება.

— მაშ არ ვუთხრა? — სინანულით მკითხა მან.

— არა, ნამდვილად არ გირჩევ.

მეგონა, საქმე გავიკეთე, მოვა დრო და მე ვეტყვი ლიას მიყვარხარ-მეთქი, მაგრამ როცა შინ ვაკითხავდი, კარებს

ლიას დედა აღებდა და ოდნავ ნაღვლიანი ხმით მეუბნებოდა, ლია შინ არ გახლავთო. ერთხელაც არ უთქვამს. შემობრძანდით ოთახში, ან სხვა დროს გამოიარეთო. ბოლოს, ეს იყო კარგა ხნის შემდეგ, ლიას დედამ ოთახში მიმიწვია და მითხრა, ლია მეორე ოთახში წევსო.

— როგორ თუ წევს, ავადაა? — ვკითხე გაცემით.

— ჰო, ავადაა.

— დიდი ხანია?

— ასე, ერთი თვე იქნება.

ლიას ოთახში რომ შევედი, ვგრძნობდი აწითლებული ვიყავი. მივუახლოვდი მის საწოლს და იქვე სკამზე ჩამოვჯექი. რა მოგივიდა-მეთქი, ძლივს მოვახერხე შეკითხვა. გავცივიდიო, მითხრა და სუსტად გაიღიმა. განაცემა არ ჰკავდა. წოლისაგან ეს კაფანდარა გოგონა მთლად მიღუულიყო. მე გაცემული ვუყურებდი მას, ხმას ვერ ვიღებდი, თუმცა ძალიან მინდოდა მეთქვა, რასაც მაშინ განვიცდიდი. მან საბნიდან ხელი გამოიღო და ხელზე დამადო. იმდენად ნაზი, ჰაეროვანი იყო ეს ავადმყოფი ხელი, კინაღამ საკოცნელად დავიხარე. სრულიად არ ვგრძნობდი, რომ მას სხვა ვაჟი უყვარდა და ოთახში დედამისი იყო.

— არასოდეს არ შეგხვედრია? — მკითხა მან.

— ვინ?

— ის.

— ძალიან გინდა ნახო?

მან თავი დახარა.

— გეტყობა, შენ ბევრს ფიქრობ მასზე, ლია.

შემომხედა. შევნიშნე, სველი თვალები უბრწყინავდა.

— შენ არავინ გიყვარს? — მკითხა მან.

არ ვიცოდი, რა მეთქვა. შეიძლება წინათ სხვა ვინმე მიყვარდა, მაგრამ ახლა ხომ მასზე ვფიქრობდი, ეს კი როგორ მეთქვა!

— მერე? — ვკითხე მე.

— და შეგიძლია არ იფიქრო მასზე? ავდექი.

— ახლავე მოვიყვან მას, — ვთქვი მე, — სადაც არ უნდა იყოს, ვნახავ და მოვიყვან.

ლიას ტუჩებზე ღიმილმა გადაურბინა.

— შენ მას ვერსად ვერ ნახავ.

— რატომ?

— არ იცი ვინაა და იმიტომ.

— ვიცი ვინცაა. კარგად მახსოვს მისი სახე. — და მყისვე შევბრუნდი. კარებთან მხარზე ხელის შეხება ვიგრძენი. მოვიხებდე. ცრემლმორეული ლიას დედა იდგა ჩემს წინ.

— თენგიზ, შევილო, სად მიდიხარ?! — და მან ლიასკენ გაიხედა.

მოვბრუნდი. შევხედე ლიას. მას შავი დაშოლტილი თმა მკერდზე ეფინა, ტუჩებზე მკრთალი ღიმილი მოსდებოდა და წყლიან დიდრონ წამწამებს ახამხამებდა. მერე თვალის უბებზე კურცხაღე გადმოუგორდა და ავადმყოფ, გაცრეცილ ლოყებზე სველი ზოლი ჩამოეხაზა. მან პაწია სუსტი ხელები ასწია, შემომხედა თავისი ყუყუნა თვალებით და...

მე სწრაფად დავიხარე იმ პაწია ხელებისაკენ.

## სხვას ასე ჰგონია...

ლოდინით დაღლილი ოთახიდან ოთახში დადიოდა. ზოგჯერ ფანჯარას გამოაღებდა და ქუჩაში იყურებოდა, მაგრამ ნაცნობ სახეს რომ ვერ შენიშნავდა, ისევ განაგრძობდა ბოლთას. მეზობლისას უკვე ესადილათ და იქიდან ახლა სიცი-

ლი ისმოდა. მას ეგონა, უკვე დიდ დრო გავიდაო.

ქმარს მთელი ერთი საათი დაავიანდა. მაინც მხიარული შეხვდა. შემოსვლისთანავე ყელზე მოეხვია. მერე მაგიდა გააწყო და ვიდრე ქმარი ტანისამოსს გამოიცვლიდა, თვალგაბრწყინებულნი

ელოდა. ქმარი მაგიდას მიუჯდა. ისიც  
კარგ გუნებაზე იყო. ქალი ათას რამეს  
ყვებოდა, იცინოდა. ბოლოს, ქალმა მოი-  
წყინა და კარგა ხანს ხმა არ ამოუღიათ.  
ქალს ნერვები დაეძაბა და ქმარს თვალე-  
ბში ვერ უყურებდა. მერე უნებლიეთ  
ისევ გაეღიმა. ღიმილი ცოტა ქარაფშუ-  
ტული გამოუვიდა.

— შენ დღეს შეცვლილი მეჩვენე-  
ბი, — უთხრა ქმარმა.

ქალმა ისევ გაიღიმა.

— მე ისეთი ვარ, როგორც ვიყავი.  
მხოლოდ შენმა დაგვიანებამ გამაბრაზა.

— ქალის თვალეები სიყვარულით ცია-  
ლებდნენ. — შენ არ გამოვიციდი: ალ-  
ბათ, რა ძნელია ლოდინი.

— მეორედ ასეთი რამ არ მითხრა. ეს  
ქალური სენტიმენტალობაა და მეტი  
არაფერი. დარწმუნებული იყავი, ჩემო  
თამარ, რა გვიანაც არ უნდა წამოვიდე  
შინ. გზა არასოდეს ამერევა.

ქალმა წყენით შეხედა.

— ესაა ყველაფერი?

— არა, ყველაზე უმოკლესი გზით მო-  
ვალ შენთან. — მერე გადაიხარა და  
ცოლს მიეაღერსა.

ქალს დაძაბული ნერვები უეცრად  
მოეშვა.

— რევაზ, გთხოვ, შინ თავის დროზე  
მოხვიდე. თუ, საქმე გექნება, შემდეგ წა-  
დი. — ქალმა თვალეებში შეხედა ქმარს  
და გაუღიმა. — ხომ მოხვალ თავის დრო-  
ზე?

ისინი სულ რამდენიმე თვეა, რაც შე-  
ულდნენ. ქალისათვის ძნელი იყო მარ-  
ტობა. როცა ქმარი გვერდით არ ჰყავ-  
და, ძლიერ ლეღავდა. თუმცა იცოდა,  
იგი სამსახურში იყო, მაინც ექვობდა,  
შეიძლება სადმე წავიდაო, ან კიდევ  
გზაში, იქნებ, რამე შეემთხვაო.

რევაზმა ლუკმა თეფშზე დადო.

— მე არ მიყვარს კაპრიზები, — თქვა  
მან და მის ხმაში სიმკაცრე გამოკრთა.

ქალს გულმა რეჩხი უყო.

— მე ვიცი, რომ შენ ბევრი რამ არ  
მიყვარს და მათ შორის მეც. — ნაღვლი-  
ანად თქვა მან და თეთრი, პატარა სახე

ჩაეთეთქა: თვალეებზე ცრემლი მოადგა.

— აბა ვინ მიყვარს?

— არ ვიცი.

— ბავშვო, პატარა, უჭკუო ბავშვო.

— მე მეგონა მეტი ყურადღებოთ მო-  
მეკიდებოდი, — თრთოლვით თქვა ქალ-  
მა. მერე ადგა, თვითონაც არ იცოდა რა-  
ტომ. რევაზმა ისე გულთბილად უთხრა  
„პატარა, უჭკუო ბავშვო“, ამ სიტყ-  
ვებში იმდენი სიყვარული ჩანდა, რომ  
სხვა დროს გადაეხვეოდა მას, მაგრამ  
ახლა გაბრაზებული იყო და ეუხერხუ-  
ლა, ეუხერხულა, რომ ცივად ელაპარა-  
კებოდა ქმარს.

— მე არ ვიცი, რას მოითხოვ ჩემგან!  
ქალმა არაფერი უპასუხა.

— იქნებ, ფიქრობ, სამსახურს თავს  
დავანებებ და მთელი დღე შენთან ვიქ-  
ნები?! რა მოხდა, თუ ხანდახან დამაგვი-  
ანდა?! მამაკაცი ვარ. ხან ნაცნობი შემ-  
ხედება, ხან მეგობარი.

— მე ვიცი, რომ ჩემს თავს მეგობარი  
გირჩევენია.

— კარგი, თამარ, გეყოფა. რის მაქნი-  
სია ეს საყვედურები?! თვითონაც იცი,  
რომ მართალი არ ხარ. სადილი რატომ  
მიატოვე?

ქალმა ხელეებში თავი ჩარგო და აქ-  
ვითინდა.

— გესმის? — უტბად დაიყვირა რე-  
ვაზმა. — არ მიყვარს კაპრიზები! — მას  
არ უნდოდა დაეყვირა, მაგრამ ახლა  
სხვაგვარად არ შეეძლო, თავი ვერ შეი-  
კავა. ბოლოს და ბოლოს, ის ხომ მამაკა-  
ცია და ცოლის კული ვერ გახდება.

— რა გინდა ჩემგან? — ქვითინით  
თქვა ქალმა.

— გაჩერდი!

— მე ვგრძნობ, რომ უბედური ვარ,  
უბედური.

— გაჩერდი-მეთქი! — ხელი მაგიდას  
დააკრა რევაზმა. თეფშზე ჭიქა წაიქცა  
და ცოლს და ქმარს შეკრთა. ქალმა  
გატეხილ ჭიქას შეხედა და არაფერი უთ-  
ქვამს. — არა, მე არ შემიძლია ასეთი კა-  
პრიზების მოთმენა! — დაიყვირა ქმარ-  
მა. — ყოველდღე თუ ასე წუწუნნი და-

მიწყე, შენთან ვერ გავძლებ, გესმის?!  
ქალი ისევ ადგა. სახე ცრემლით ჰქონდა სველი. მეორე ოთახში გავიდა და საწოლის კიდეზე ჩამოჯდა.

რევაზიც ადგა და ბოლთას ცემა დაიწყო.

გარეთ ბნელოდა.

კაცს ქვითინი მოესმა. ვერ მოითმინა და მეორე ოთახში გავიდა. თამარი ჰრელ ხელჩანთაში თავის კაბებს აწყობდა.

— ეს რას ნიშნავს? — კითხა ქმარმა და ხელჩანთაზე თვალით ანიშნა.

— მივდივარ.

— სად?

— შინ. აქ არ გამეჩერება. მე უბედურარი ვყოფილვარ. შენ კი, — ქმარს შეხედა, თვალი ვერ გაუსწორა და ისევ დახარა, — ჩემს გაუბედურებას არ შეგარჩენ. შენ არ იფიქრო, უპატრონო ვიყო. გიყვარდი მეგონა, შენ კი... — ისევ აქვითინდა. — მომატყუე, დამჩაგრე...

კაცს გაელიმა და იგრძნო, რომ ქალი ძლიერ უყვარდა.

— დადე ხელჩანთა.

— არა, მე მივდივარ!

— როდის დაბრუნდები? — კაცს ისევ გაელიმა.

— არასოდეს.

— მტოვებ?

— ჰო.

კაცმა ხელი გაუწოდა.

— მომეცი ხელჩანთა. დაიღლები.

— არა, მივდივარ. ბოლოს და ბოლოს მეც ადამიანი ვარ.

რევაზმა ხელჩანთაზე ხელი მოჰკიდა.

— დაწყნარდი, — უთხრა მან, — რატომ გგონია, რომ არ მიყვარხარ? არ გაფასებ? ბავშვი ხომ არ ხარ, მალე დედა იქნები. ჩვენ თუ ერთმანეთს ყოველდღე ასე ვეჩხუბეთ, რა გამოვა? მომეცი ეს ხელჩანთა და დამშვიდდი. მოდი, აქ დავსხდეთ და მიაშბე, დღეს რა გააკეთე.

კაცი რბილი, სათნო ხმით ლაპარაკობდა, ქალს თანაგრძნობით შესცქეროდა და, ეტყობოდა, როგორ ძლიერ უყვარდა იგი. თამარი ამ წუთს ბედნიერი იყო და უნდოდა მიხუტებოდა ქმარს. დღეს

წართლაც რამდენი რამ გააკეთა ოჯახში, ბევრი რამ ჰქონდა სათქმელი, მკვლევარობა თანამოყვარობა ქენჯინდა. წასასვლელად მომზადებული ვერ დაბრუნდებოდა, ყოველ შემთხვევაში ხელჩანთას თავად ვერ დადგამდა ძირს.

— მოდი დავსხდეთ.

— შენ არ გინდა ჩემთან ლაპარაკი. — იყუჩა და ისევ განაგრძო. — შენ რომ გიყვარდე, ასე არ მომექცეოდი! — იგო მკლავდაშვებული იდგა და ხელჩანთა ისე უხერხულად ეჭირა, საცა იყო გაუვარდებოდა. — არა, მე წავალ.

— მომეცი ხელჩანთა.

ქალმა ჩანთიანი ხელი უკან წაიღო, მაგრამ მაშინვე წინ გასწია.

დასხდნენ. ოთახში სიჩუმე იდგა.

ნათქვამია, გატეხილი ჭიქის ხმას პირველი მეზობელი გაიგონებსო, ასეც იყო. მათი კარის მეზობელმა გარეთ გამოიხედა. ეზოში არავინ იყო. ერთგან ფანჯარაში სინათლე შენიშნა და დააკაკუნა.

— რა იყო, ქეთევან? — ფანჯარაში შუახნის ქალმა გამოიხედა.

— გაიგე?

— რა?

— რევაზი და თამარი წაიხუტნენ. ღმერთმა უწყის, ამ ორი დღის შეუღლებულ ცოლ-ქმარს რა მოუვიდა!

— რას ამბობ, ქალო?! შემოდი ოთახში!

— შენ გამოდი გარეთ, მათ ჩხუბს კარგი არაფერი მოჰყვება. წარმოგიდგენია, რა ტყბილი ცოლ-ქმრობა ჰქონდათ და... ასეა ახლანდელი ახალგაზრდები.

ცა ვარსკვლავებით იყო მოჭყედილი, მაგრამ მაინც ბნელოდა, ციოდა. სახლის კუთხესთან ატუშული ორი ქალი კი სიცივეს არ გრძნობდა. თვალი ახალგაზრდა ცოლ-ქმრის ოთახისაკენ ეჭირათ. ყოველ შემთხვევაში, ისინი მათ შერიგებას შეეცდებიან, ხოლო თუ ეს არ მოხერხდა, იმდენს მაინც გააკეთებენ, რომ უბედურება არ დატროილდეს.

ღამე ნელა და შეუმჩნევლად მიიპარებოდა.

მერე ახალგაზრდა ცოლ-ქმრის ოთახში სინათლე ჩაქრა.

— საინტერესოა, რა ქნეს? — თქვა ერთმა.

— ყველაფერს დილით გავიგებთ. — უთხრა მეორემ და სახლში შევიდა.

ორივეს სინანული ეხატა სახეზე. ასე წინდაუხედაობით იშლება ხოლმე ოჯახი. ქეთევანმა ფრთხილად შეაღო ოთახის კარი. კედელს ყური მიაღო. არავითარი ხმაური არ ისმოდა ახალგაზრდა ცოლ-ქმრის ოთახიდან. მერე დაწვა, მაგრამ ძილს არ იკარებდა. როგორც კი თვალს მილულავდა, მაშინვე წამოსწევდა თავს და სმენას გაამახვილებდა. უძილობისაგან თვალეზი დაუსივდა.

ირიყრაყა. ქეთევანი პირველი გავიდა ეზოში. მალე სხვა ქალებიც გამოვიდნენ. ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ ეს ახლად შექმნილი ოჯახი ინგრეოდა. ერთ მათგანს ქალიშვილი ჰყავდა და იფიცებოდა, მირჩევნია. შინ იჯდეს, ვიდრე მეორე დღეს შერცხვენილი უკანვე დამიბრუნდესო. მზე ნელ-ნელა იწვევებოდა და ცოტა ხნის შემდეგ ეზოში ჩაიხედა. მოვერცხლილი კრიალა ნამი აკამკამდა. ახალგაზრდა ცოლ-ქმრის ოთახში ჩამოჩუმიც არ ისმოდა.

— ოჯახის არევა ქალის ბრალი იქნება, — თქვა ქეთევანმა, — ერთი შეხედვით, თამარი კარგი გეგონება, მაგრამ დიდი კერპი ვინმეა. ქმარს ხელის შეწყობა უნდა, დაღლილი მოდის შინ

და... მოგეხსენებათ. ახლანდელი ცნებები საკუთარ პერანგს ვერ ირეცხვენ.

— აბა, აბა. — თქვა მეორემ. — დიდი პრანკია ვინმეა. მოთხოვნილება დიდი აქვს. ხან ამას თხოულობს, ხან იმას, გადაყოლილია ფრჩხილების ღებვას.

— ახლანდელი არც კაცები ვარგა. თავი მოაქვთ, თითქოს ბევრი იციან და გულს გამოგიხრავენ. აბა, ახალგაზრდა კაცმა ქალს ხელი როგორ ვერ უნდა შეუწყო?

— სწორია, ჩემო დაო, სწორი.

მზემ ახალგაზრდა ცოლ-ქმრის ოთახის ფანჯარას მიანათა. მინა შავი ფერისა გახდა და არეკლილი სხივები ირიბად დაეშვა მოლზე. ქალებმა უეცრად საუბარი შეწყვიტეს — კარი რევაზმა გამოაღო. მას ღია შოკოლადისფერი კოსტიუმი ეცვა, წითელი ჰალსტუხი ეყეთა და თმა გვერდზე ჰქონდა გადავარცხნილი. ძალზე მშვიდი, მოლიმარი სახე ჰქონდა. კართან შეჩერდა და მეუღლეს მიუხედა. თამარმა ჯაგრისი გამოიტანა, ქმარი პირით კედლისკენ დააყენა და პიჯაკის მხრები გაუწმინდა, მერე ჰალსტუხი შეუსწორა და რევაზმა კიბე თამამი ნაბიჯებით ჩაიარა.

— გამარჯობათ, მეზობლებო! — გასძახა მან ქალებს.

თამარი კიბეზე იდგა და სიყვარულით გაცქეროდა ქმარს, რომელიც ჩვეული გრძელი ნაბიჯით მიდიოდა.



## ახალგაზრდა პომეტიზის ლექსები

ჯეგაძე ქათამაძე

### მე მინდა

როცა შევხედავ თვალებში დილას,  
გამიხარდება, ჩიტოვით ვმღერი.  
მაგრამ მზეს სახე თუ დაეჩრდილა,  
ვწუხვარ, არ მიყვარს დღეები ბნელი.

მე მინდა მუდამ მზე ენთოს ცაზე,  
შევებით და ვნებით მღეროდეს გული  
ადამიანის ამ დიად გზაზე  
ჩქეფდეს სიცოცხლე და სიყვარული.

### ციცინათელა

პატარა ციცინათელა,  
პატარა ცეცხლის ფრთება,  
შენი ციციცი  
ციმციმით  
გული და სული ტკბება.

შენ როცა გხედავ, ბავშვობის  
ნეტარი წამი დგება.  
თითქოს პატარა ბიჭი ვარ,  
პატარა ხუჭუჭთმება. —

დაგედევნები, დაგიჭერ,  
გული სიამით თბება.  
პატარა ციცინათელა,  
პაწია ოქროს ფრთება.

## რომ უნს იცოდე

იქნებ, არ ვიცნობთ...

და ერთმანეთს ვზომავთ

თვალებით,

იქნება, ვიცნობთ...

და რატომღაც მაშინ ვმუნჯდებით.

იქნებ, ამიტომ

ენა გვებმის, ასე ვწორდებით

და სადღაც ვტირით

თებერვალში მოჭრილ ტოტივით.

დღეს ხომ ასეა,

რომ ცხოვრება მოითხოვს ახალს,

კაცთა ოცნებას,

ხომ შეესხა ფრთები საფრენი.

თუ კი ჩემამდე

ბედმა გზები გადაგიშალა,

ერთად დავზარდოთ

სახვალიო წამოსაფრენი.

თუ ჩემზე ფიქრობ,

ღია არის ჩემი სახლ-კარი!

გულში სითბოა

ქართველური და მასპინძლური,

თუ ჩემთან მოხვალ,

წინ ვიდლოდეს, როგორც მაყარი,

სუფრის მადლი და

ამ ოჯახის ქართველქალობა.

ის სითბოება,

სიტკბოება სტუმართმოყვრული,

მარადიული

იავნანის ტკბილი ვალობა.

ერთად გავთელოთ

ამ ცხოვრების დიდი გზაკვალი,

ერთად დავიდგათ

ჩვენიც ტვირთის ჩვენი უღელი

და მშობელ მიწის

ყამირები ისე გავტეხოთ,

რომ ამ ცხოვრების

ამ დიდ გზაზე ვიყოთ უღლეელი.

ცხოვრების სიღრმეს

სიალალით ერთად ჩავხედოთ.

## სულიყო ჯინჭარაკე

### რად არ ვალობ

რად არ ვალობ, პაწაწინა გულწითელა ჩიტო?

იქნებ, წვიმის ვეშინია, რომ შხაპუნობს ვითომ?

ხის ტოტებში მიმალულობარ, მუხა ქოლგად გზურავს,

შემოდგომას ემდურები, ნაღვლიანობ ჩუმაღ.

ქარმა ბუდე ავიშალა, გაფრინდიო, ვითხრა,

ნაკადული გზას გილოცავს, მშვიდობის გზა გიჩანს.

ტყე ფოთლებად დაიღვარა, ზღაპრულ ნოხს ვავს მიწა,

ცაზე ღრუბლის ხომალდები დასცურავენ წყვილად.

შემოდგომამ გაიხურა ზეცის ლურჯი კარი,

ჩიტუნიავე, განშორებამ დაგიცრემლა თვალი.





## გიორგი უკუბაძე

### ნიშანი

ყველაფერს მირჩევნია სოფლად, ჩემს დედუღეთში ზაფხულის გატარება.

წელიწადის ისედაც შემკულ ამ დროს ჩემთვის ერთ უთქმელი სიხარული მოაქვს. მაგრამ შევდგამ თუ არა ჩემს ორდობეში ფეხს. ქალი თუ კაცი სულ იმას შემომჩივის, რატომ მარტო მოდი, ცოლი არ შეგირთავსო...

ყველაზე მეტად მაინც დეიდა ნინო და ბიძია ვასილი ამიხიბდნენ:

— ბიჭო, დაბერდი უკვე... შენს მამას და პაპას ათი-თორმეტი შვილი ჰყავდათ, შენ რა ღმერთი გიწყურება! კაცი საქართველოში უცოლშვილოდ ბერდებოდეს, ამაზე მეტი ღვთის რისხვა იქნება?! ნუთუ ამდენ ხანს შენი საკადრისი ქალი ვერ მონახე?..

მიხარია, ჩემთვის ასე რომ ზრუნავენ, მაგრამ მწყინს, სიბერეს რომ მიხსენებენ.

მე დარცხვენილი ვცდილობ თავი ვიმართლო: ეს მოდაშია ახლა ჩვენში, ხომ ხედავ... განა მარტო მე ვარ უცოლო?

სინამდვილეში კი ოჯახს იმიტომ არ ვეკიდებოდი, მეშინოდა, ვაი თუ ვერ გავუძლევ-მეთქი. სამსახური გვიან და-

ვიწყე და ბევრი არაფერი ქონების პატრონი ვარ. ცოლი რომ შევიერთო, სირცხვილია, სხვაზე ნაკლებად ხელდამშვენებული რომ მივიღე ახალ მოყვრებში-მეთქი, ვფიქრობდი... ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ნიშანი? დანიშვნა ხომ უნდა? მერე ქორწილი? სხვა არაფერი მიშლიდა ხელს. ეჭვიც კი არ მეპარებოდა, რომ ჩემი ამორჩეული ძლიერ მეყვარებოდა და ტკბილ ოჯახს შევქმნიდი. და როცა ერთხელ ბიძას გამოვუტყდი და ყველაფერი ეს ვუთხარი, მან გაიკვირვა:

— მაგი რა საკადრისია, ჩემო შიო, მასე ახლა ვინ მსჯელობს? დღეს განა ისეთი დროა, კაცის ღირსება ქონებით გაიზომოს? ოღონდ კარგი მეგობარი გაიჩინე და აგერ არა ვართ, ყველა ხელს წამოგიკრავთ. ერთბაშად ვინ გამდიდრებულა! რაც დრო გავა, უფრო გაგიძნელებდა გადაწყვიტო ცოლის შერთვა... მონახე ვინმე კეთილსინდისიერი მეუღლე, ჩვენც კმაყოფილი ვიქნებით და შენც.

კარგი გამპირე საქმის მენახვერეაო, ნათქვამია. მეც გადავწყვიტე ცოლი შევიერთო, მაგრამ სანიშნოდ რა მიმეტანა!

— მაინც რა უნდა მივუტანო, — ვუ-  
თხარი ბიძას, — რალაც ძვირადღირე-  
ბული ხომ?

— არა, შვილო. ნივთი რა დიდი და  
ძვირფასი განია! მეუღლისათვის ყვე-  
ლაზე ძვირფასი საჩუქარი ოქროს ბეჭ-  
დები. საყურეები და ბრილიანტის ქვე-  
ბი როდია. ძვირფასი საჩუქარი — ეს  
ურთიერთგაგებაა. ერთმანეთის დაფა-  
სება და პატივისცემა, უზადო, ალალი  
სიყვარულია!.. სიმდიდრესაც ამით შეიქ-  
მნით და ტკბილ ცხოვრებასაც. არ მეს-

მის, რა უნდა მიუტანოს საქმრომ  
ცოლეს სიყვარულზე დიდი და ძვირფასი  
ჯილდო?..

სახეგაბადრული ბიძაჩემი ოდნავ შე-  
ჩერდა და დაუმატა:

— მეც ეს მივუტანე, შვილო, ჩემს მე-  
გობარს... სხვა, აბა, რა გამაჩნდა. ჰოდა,  
ცუდი მეუღლეობა გვაქვს?.. ჩემზე მდი-  
დარი ამ სოფელში აბა რომელია?! —  
თქვა მან ამაყად, წელში გაიმართა და  
ექვს ვაჟიშვილსა და ოთხ ქალიშვილზე  
მიმითითა.



## რასუღ გამზათოვი

### მომბლიური ენა

ზოგჯერ სიზმარი მართლაცდა შეგშლის...  
ვხედავ: სიკვდილის მაწევს აჩრდილი,  
დალესტნის ველზე, დღისით, სიცხეში  
გულალმა ვწევარ მძიმედ დაჭრილი.

დუღუნებს სადღაც ღელე ზვირთსავსე,  
და ხევში ნაცნობ ძახილს მიტოვებს.  
მე კი ჩემს ლამაზ მშობელ მიწაზე  
ვწევარ, რომ მიწად ვიცქე თვითონვე.

მე ვკვდები. მაგრამ ამის შესახებ  
ვინ იცის, შევლად რომ მოიბრბინოს!  
მხოლოდ არწივი არწივს ეძახის  
და მესმის შორი კენესა ირმების.

რომ დამიტვირონ საფლავთან მწოლი  
მე, დაღუპული ასე უდროოდ,  
არც ღედა მადგას, არც ძმა, არც ცოლი,  
მხოლოდ გულცივი დგას სიმყუდროე.

როცა უღონო ვკვდებოდი ასე,  
ჩამესმა უცებ ხმა ავარული, —  
მარად საყვარელ მშობელ ენაზე  
მისაუბრობდა ხალხი აულში.

დალესტნის ველზე, მზეში, მწყურვალ  
მე, მომაკვდავი, ვუსმენდი გლეხებს,  
ლაპარაკობდნენ ვიღაცა აღის  
და ხუსეინის სიცუღლუტეზე.

მაგრამ ხმამ თითქოს შუქი დამხურა.  
სულში სიცოცხლის სითბო მობერა  
და ვიგრძენ, — თუ კი ვინმე განმკურნავს,  
უნდა განმკურნოს ენამ მშობელმა.

სხვისი ენით კი მე ვერ მოვრჩები  
და ვერც ვიმღერებ. არ მინდა ეს მე!  
თუ გაქრეს უნდა ხვალ ენა ჩემი,  
მამინ მე თვითონ მოგკვდები დღესვე.

მიყვარს ცხოვრება, მიყვარს სამყარო,  
მისი ყოველი სულ მცირე კუთხეც.  
საბჭოეთი კი მიყვარს სხვაგვარად  
და, როგორც ძალმიძს, მე იმას ვუმღერ.

ბალტიის ზღვიდან სახალინამდე  
ჩემთვის ძვირფასი მიწაა, ხალხო.  
სადაც არ ვიყო, მისთვის თავს დავდებ,  
მაგრამ ბოლოს აქ — მთებში დამმარხონ,

რომ ჩემს აულთან საფლავს ჩასულიც  
ვგრძნობდე — ჩემს ენას დღე არ ელევა.  
რომ ავარელთა შვილი — რასული  
ისევ მახსენონ ავარელებმა.

თარგმნა ფრ. ხალვაშმა.



## ჟან ღაჭიანი

### როზ შრანსი

ბერნარ კალმა სიმღერის გუნებაზეა. ერთი კვირაა არ მოუსვენია. დღეს მიზანს უახლოვდება. ეს ამაღამ უნდა მოხდეს, უფრო სწორად, აი ახლა. საფუძვლიანად დანაყრებული, დაღამებისას ის ბლანკფორისკენ მიმავალ ტრამვაიში ჩაჯდა. ბოლო გაჩერებაზე ჩამოვიდა, ლაბადას საყელო აიწია, რათა თავი დაეცვა წვიმისაგან, რომელიც ნასადილევს შემდეგ განუწყვეტლივ მოდიოდა. მერე სიბნელეში შეიჭრა როგორც კაცი, რომელსაც შინ დაბრუნება ეჩქარება. მარტოდ რომ დარჩა, წუთით შეჩერდა. უკან დაბრუნდა და დინჯად გაყვა ფართო გზას. როგორც კი ქალაქიდან გავიდა, სოფლის შარას დაადგა.

რა კარგად მოიქცა, რომ წინასწარ მოვიდა გზის დასათვალისწინებლად, თორემ დღეს გაუჭირდებოდა გზის გაგნება. პართალია, ჩრდილების მეტი არაფერი არ ჩანს, მაგრამ ეს ნამდვილად ის გზა იყო, რომელიც გასულ კვირას როზთან ერთად გაიარა.

როზი? ახლა იგი ორ ამხანაგთან ერთად გარეუბნის მატარებელში იჯდა, რომელიც მათ უახლოეს სადგურამდე მიიყვანდა, ბორდოდან თითქმის თორმეტი თუ ცამეტი კილომეტრის დაშორებით. უფრო შორს შეიძლებოდა ადგილის არჩევა, მაგრამ დაბრუნება გაუძ-

ნელდებოდათ, ადგილი კი ხელსაყრელი იყო — ცოტა ხალხი, ფიჭვნარი, ვენახები და უეცარი გზები.

აი გამოჩნდა ქოხიცი, სადაც როზს თავისი ჯგუფი უნდა მოეყვანა. ისე ბნელადა, რომ ბერნარს, რაკი წვიმა ჯიუტობდა, შეეძლო ერთ ხანს დაესვენა და პაპიროსი მოეწია.

ღამე, ბუნება და მარტოობა კაცს ფიქრის განწყობილებაზე გაყენებს. შეგიძლია ფიქრებს თავი მოუყარო, არც ერთი გარეშე არსი არ დაგიშლის ამას. შეგიძლია იფიქრო, ხმამაღლი ილაპარაკო, თავისუფლად იმოძრაო.

ადამიანის აზრი ხდება უსასრულო სივრცედ, რომელიც გარს აკრავს მას და რომლის შეგნებულ და ამაყ ნაწილაკსაც თვითონ შეადგენს. ბერნარს არაერთხელ წარმოედგინა საქმე, რის გამოც იყო აქ. მხოლოდ დღეს პირველი მოვიდა, რათა კიდევ მოეფიქრა. გრავის კონცხიდან იერიში უნდა მიეტანათ გერმანელი ჯარისკაცებით სავსე მატარებელზე. პარიზში, ეროვნული ფრონტის შეიარაღებული ნაწილების შტაბსა და პარტიის ხელმძღვანელობაში ამხანაგებმა იცოდნენ, რომ ბერნარს ევალებოდა ამ გმირობის შესრულება ამაღამ.

ეს არ არის ადვილი ამოცანა. ამიტომ მის შესასრულებლად კალმამ მთელი

სამხედრო აპარატის — თერთმეტი კაცი მობილიზაცია მოახდინა. გაყო სამჯგუფად. რაც შეეხება იარაღს და სამხედრო მარაგს, ჯერჯერობით არ იციან მათ განკარგულებაში რა იქნება. ეს დოკუმენტსა და წყალსადენის ოსტატებზეა დამოკიდებული. აქვთ შვიდი თურვა რევოლვერი, დაპირდნენ სამ სანადირო თოფს. ბერნარმა მოახერხა, რომ ამ ექსპედიციაში ორ რკინიგზელს მიეღო მონაწილეობა. მათთვის იარაღი არ არის საჭირო. მხოლოდ მუშის ხელსაწყო დასჭირდებათ.

ბოლოს, პარტიის ნებართვით, ზედამხედველობა როზ ფრანსს მიენდო.

„უნდა გავიმარჯვოთ“ — ფიქრობდა ბერნარი.

უპირველეს ყოვლისა, გამარჯვებაში ეჭვი რომ ეპარებოდეს, როზს არ მიაღებინებდა მონაწილეობას ექსპედიციაში. მართლაც, მას და მის ჯგუფს არავითარი საშიშროება არ მოელოდა.

სოლანჯი და ჟერარი, დათქმული პირობის მიხედვით, მოვიდნენ სადგურ სენ-ლუის შესასვლელში და იმავე მატარებელში ჩასხდნენ, რომელშიც როზი ჩაჯდა. როგორც დათქმული იყო, მთელი გზა სიტყვა არ უთქვამთ მისთვის და მხოლოდ ჩამოსვლის შემდეგ შეხვდნენ ერთმანეთს.

ახლა სოლანჯი და მისი ძმა დგანან პოსტებზე. როზი მათ ვერ ხედავს. გარშემო ყველაფერი მოძრავ ფანტასტიკურ ლანდებად ეჩვენება. არაფერი ისმის, გარდა რკინის ძელის ხმაურისა, რომელიც რელსებს ხედება.

ღამე ყოველი სახე მკრთალად მოჩანს, როგორც მოჩვენება; მაგრამ ხმაური ძლიერდება და უფრო და უფრო დიდდება. ჩიტი გაფრენისას არწივივით ხმაურობს, ქვა, რომელიც ვარდება, თითქოს კლდე მოგორავს, და წყაროს, რომელიც ორმოში ეცემა, ჩანჩქერის ხმა აქვს...

რელსს უნდა გადაუნაცვლონ ადგილი. ამას დიდი დრო დასჭირდება, დიდი...

რომელი საათი იქნება? მატარებელი რომ მოასწროს?

როზი წამოხტა. შეუძლებელია! ეს სტვენა იმის ნიშანია, რომ ყველაფერი დამთავრდა. როზი აძლევს უკანასკნელ ნიშანს ლამპით და დამშვიდებული მიემართება სოლანჯისკენ.

— ხედავ, არც ისე რთული საქმე ყოფილა!

— უკვე მოჩინენ?

ჟერარი მიუახლოვდა მათ.

— რა უნდა გავაკეთოთ ახლა?

— არაფერი. უნდა წავიდეთ.

ისინი მოშორდნენ ლიანდაგს და ქობისკენ წავიდნენ.

— იპოვით შეხვედრისთვის დათქმულ ადგილს? — კითხა როზმა.

— რა თქმა უნდა, — უპასუხა ჟერარმა, — მიჩინებია კი დავრჩე. ყველაზე საინტერესო გამოძრება.

— ხაბრძანებია წახვიდეთ.

— შენ?

— კიდევ ერთი საქმე მაქვს გასაკეთებელი, მალე დაგეწევით.

როზმა დააჩქარა წასულიყვნენ. როდესაც მარტო დარჩა, მიეყრდნო კედელს, სადაც ორი საათით ადრე ბერნარმა თავი მოარიდა წვიმას.

აქედან ყველაფერს დაინახავს.

გარშემო სიჩუმე იდგა.

ახლა, როდესაც მარტო დარჩა, საშინლად უღონოდ იგრძნო თავი. რა უნდა გაეკეთებინა, თუ ბერნარი დაიჭრებოდა? ან თუ მოკლავდნენ? მან გადაწყვიტა მივიდეს და უთხრას: „დავამთავრე ჩემი საქმე და შენთან ვრჩები ბოლომდე“. აჰ, აგერ მატარებელი!

ამ ყოყმანში როზი ქობიდან გამოვიდა. სტვენამ დაარღვია ღამის სიჩუმე. რახრახი, მოახლოებული რახრახი მატულობდა...

ჯერ ვერაფერს ხედავდა.

უეცრად გამოჩნდა რომელიღაც უშველებელი მხეცის, აღმოდებული ღრუბლით გარშემორტყმული, შავი აჩრდილი. ეს ორთქლმავალი...

აი იგი სულ რაღაც ასი მეტრიითაა და-

შორებულნი... აი საცაა გაივლის... გაი-  
რა და გაიყოლა ვაგონების შავი მასა.  
უფრო და უფრო უმატებს სელას...

გულისგამგვირავი ხრჭილი... მიწა-  
ყრილს ნაპერწკლების კონა მოაწყდა და  
მერე უცებ საშინელი დარტყმა. რო-  
მელსაც მოსდევს მკაფიო ექო...

როზი ძალაუნებურად ხუჭავს თვა-  
ლებს და სწორედ იმ დროს გაახელს  
მათ, როდესაც უხარმარარი, გაკაშკაშე-  
ბული მასა თითქოს იმისათვის დგება  
ყირაზე, რომ ნახტომი გააკეთოს. ვაგო-  
ნები ეხლებიან ერთიმეორეს. თითქო  
უშველებელი გარმონი იკეცებაო და  
აი გასკდა გარმონი — ვაგონები გაიფან-  
ტნენ იქეთ-აქით.

სამარისებური სიჩუბე და შემდეგ უე-  
ცრად საშინელი ღრიალი, რომელიც  
ერევა ორთქლმავლიდან გაპარული ორ-  
თქლის სტვენას.

როზს გული შეეკუმშა. ნეტავ მემან-  
ქანე და ცეცხლფარეში არ დაიღუპონ!  
მაგრამ გაჩერებული მატარებლიდან  
ამოიფრქვა ჯალი ცხოვრება. აქა-იქ გა-  
მოჩნდა სინათლე და გამოაჩინა ფუთ-  
ფუთი, რომელიც ჭიანჭველების ბუდეს  
მოგაგონებდათ.

ადამიანები ყვიროდნენ. გარბოდნენ.  
ერთმანეთს ეძახდნენ...

„ცეცხლი!“

ბრძანება თითქოს მის ფეხქვეშ გაისმა.  
როზი ჩაიკეცა ტალახში. საკმაოდ შორს,  
ტყის პირას სროლის ჭახა-კუხი  
გაისმა. ისინი არიან... ბერნარი... ამხანა-  
გები ისვრიან..

უკვე დარჩენა არ შეიძლებოდა. როზ-  
მა გადააბიჯა რკინის მავთულს, რათა  
გზისაკენ გადაეხვია.

ტაკტაკტაკ... ტაკტაკტაკ... ტაკტაკ...

ახლა გერმანელები ისროდნენ. თო-  
ფები ცეცხლს იფურთხებოდნენ ტყვი-  
ამფრქვევის სიწრაფით. მალე სროლა  
ყოველი მხრიდან დაიწყო. როზმა ყურა-  
დღება არ მიაქცია ჩქარ-ჩქარ სტვენას.  
თავზე რომ გადაუდიოდა. როდესაც ახ-  
ლო მშრალი ტკაცუნი გაისმა, მიხვდა,  
რომ ეს ტყვიები იყო. ახლა კი ჩაწვა ყა-

ნაში. რამ აფიქრებინა ასე ახლო მისე-  
ლა! ბერნარი? გერმანელებმა, ეტყობა  
მიზანში ტყისპირი აიღეს. შეუძლებელი  
იყო იქ გაჩერება. გაქცევის საშუალება  
ექნებათ კი? მან კი უნდა დატოვოს ეს  
ადგილი.

ნელ-ნელა ხმაურს შეეჩვია. სროლა  
არ წყდებოდა. მან გაიარა ერთი ყანა,  
შემდეგ მეორე. უკვე გზაზე იდგა. გაკ-  
ვირვებული ქოხის წინ შეჩერდა. ჯერ  
კიდევ აქოშინებულს. მიუხედავად ყვე-  
ლაფრისა; სიხარულისაგან გაეცინა; ცე-  
ცხლით ნათლობა მიიღო!

რომ გამთბარიყო, სიარული დაიწყო.  
ნეტავ რას აკეთებს ბერნარი?

ბოლოს, გაისმა ხმაური. ვიღაც მოდი-  
ოდა... მაგრამ თუ უცხო იყო ვინმე?  
როზი გაჩერდა. რათა ყური დაეგდო.  
თითქოს ლერუს ხმა იყო. ლერუ გამო-  
დგა.

როზმა დაიძახა:

— ბერნარ!

— აქა ვარ!

როზი მივარდა და მოეხვია.

— ძვირფასო!

— შენი ჯგუფი სად არის? — კითხა  
ბერნარმა.

— ეტყობა, გზა აებნათ. შენ?

— ყველაფერი რიგზეა. მხოლოდ ერ-  
თია დაჭრილი.

— მიმივდ?

— არა მგონია.

— სადაა?

— ლერუს ზურგით მოჰყავს.

— ძალიან მიმივა, — თქვა ლერუმ,  
რომელიც ჭაობში მოაბოტებდა.

როზმა ისინი ბოსელში შეიყვანა და  
ლამპას მოუკიდა.

— აი აქ შეიძლება დავაწვინოთ. აჰ!  
ერთი შეხედეთ!

მათ წინ საწოლში სოლანქსა და ყე-  
რარს ეძინათ.

ლერუმ დაჭრილი მიწაზე დააწვინა.

— ხელი მომიკიდე, ბებერო. დამშვიდ-  
დით. არაფერი აქვს მოტეხილი. თავი  
მოიკატუნა, რომ ხელით მეტარებინა.

დაჭრილმა ოდნავ გაიღიმა და, როდ-

საც მიწაზე დაჯდა, შარვალი აიწია. ფეხი სისხლში ჰქონდა გასვრილი. გასინჯვის შემდეგ გამოირკვა, რომ ტყვიას რბილში გაუვლია. ძვალი არ უნდა ყოფილიყო გატეხილი, მაგრამ სისხლი მოსდიოდა და, რასაკვირველია, სიარული არ შეეძლო.

ბერნარმა ჟერარი სადარაჯოზე დააყენა, გავიდა და დაბრუნდა ძველი კარით, რომელიც ბოსელს მოადგა. როზი წავიდა და კონსერვის ქილით წყალი მოიტანა. სოლანჟის დახმარებით დაჭრილს ფეხი გაუწმინდა და ხელსახოცით მაგრად შეუხვია.

— საველე სავადმყოფო, მოწყალეების დები, — თქვა ლერუმ. — არაფერი აქვია ფრანგი პარტიზანების ჯარს, კაპიტანო, შენ შეადგენ შესანიშნავ პატიკს: ოცი მოკლული, ასი დაჭრილი მტერი, ნადავლი: ხუთი რევოლვერი. სამი ტყვიამფრქვევი: მარაგს, აბა, ვინ ჩამოთვლის! ჩვენმა ლაშქარმა უკან დაიხია უდანაკლისოდ და წესიერად...

ბერნარმა დაჭრილს შეხედა.

— როგორ გრძნობ თავს?

— ჭრილობა მეწყვის.

— ფეხზე დგომა შეგიძლია?

ახალგაზრდა ვაჟმა, რომელიც ოცი წლისა იქნებოდა, სცადა წამოდგომა, მაგრამ ვერ შეძლო და გაფითრდა.

— ორი გამოსავალია, — თქვა ლერუმ. — ან ვინმე დავტოვოთ მასთან, ან წაიყვანათ.

— არც ერთი და არც მეორე, — თქვა ბერნარმა. — აქ დარჩენა შეუძლებელია, ხვალ ნამდვილად დაიჭერენ, ბორდოში წაყვანას ჩვენ ვერ შევძლებთ.

— მაშ რა ექნათ?

— მესამე გამოსავალია — უშიშარად გილას წაყვანა.

— სად?

— თვითონაც არ ვიცი.

ამის თქმაზე ბერნარმა გაიფიქრა, რომ მომავალში უნდა გაითვალისწინოს ამგვარი შემთხვევისათვის სავაკუაციო ადგილი.

— რომ ვთხოვოთ რომელიმე გლეხს? — თქვა სოლანჟმა.

— კარგი აზრია, — თქვა ბერნარმა.

— მე სხვა აზრი მაქვს, — თქვა როზმა. — აქ ერთი მასწავლებელი, ჩემი ყოფილი კოლეგა ცხოვრობს პავილიონში, ბლანკფორის მხარეს. აქედან ხუთი ან ექვსი კილომეტრი იქნება. გზას გავიკვლევთ რუკით; მისამართი მაქვს. მთავარია, მიიღებს თუ არა დაჭრილს.

— შენი ნაცნობი მარტო ცხოვრობს? — კითხა ლერუმ.

— დიას.

— მაშინ სიტყვას გაძლევ, რომ უარს არ გვეტყვის.

ბატონი ლამბერი ღრმა ძილში იყო, როდესაც არაჩვეულებრივმა ხმაურმა გააღვიძა. მოესმა, თითქოს მაგრად მოაბრახუნეს ფანჯრის დარაბაზე.

„ალბათ, დამეხისმრა“, — გაიფიქრა მან. გარედან მხოლოდ ქარისა და წვიმის ხმა ისმოდა.

— ბატონო ლამბერ!

ახლა კი ნამდვილად დაუძახეს; ქალის ხმა ეცნაურა. გულისცემით წამოიწია და სინათლე აანთო, დილის ოთხი საათი იყო.

— ბატონო ლამბერ!

ლამბერი წამოხტა ლოგინიდან და უბედურების მოლოდინში ფანჯრისკენ გაიქცა. ხანძარი ხომ არ გაჩნდა?

— ვინაა?

— მე ვარ.

— ვინ მე?

— მადემუაზელ ვერნონი.

— მადემუაზელ ვერნონი! აქ რა ვინდა?

— გამიღეთ კარი! გამიღეთ!

ლამბერმა ხალათი გადაიცვა და შესასვლელი კარისკენ გაიქცა.

— ქალიშვილო, რა მოგივიდა?

— ჩუმად!

შეშინებულმა ლამბერმა უკან დაიწია. როზ ფრანსის უკან ბერნარმა და ლერუმ დაჭრილი შემოიყვანეს. მათ ჟერარი და სოლანჟი მოყვებოდნენ. ამ უკანასკნელმა მშვიდად მოიხურა კარი. ყველა ტა-



ლახში იყო ამოსვრილი. ტანსაცმლიდან წყალი წურწურით ჩამოსდიოდათ. ლერუს ხელეზზე სისხლი ეცხო. დაჭრილი მკვდარსა ჰგავდა. ბატონმა ლამბერმა უკან დაიხია.

— რა გინდათ ჩემგან?

როზმა შეარხია სველი თმები და ნახად გაიღია.

— გვაპატიეთ, მაგრამ მეტი გამოსავალი არ გვქონდა. ფრანგი პარტიზანები ვართ. ახლა გერმანელებთან ვიბრძოლებთ. ერთი დაჭრილია, რომელსაც ვერ წავიყვანთ, და ვიფიქრეთ, რომ თქვენ თავშესაფარს მისცემდით...

— მაგრამ...

— ეს დიდხანს არ გასტანს, ორი თუ სამი დღე, ხვალ ექიმს მოვა...

— მაგრამ...

— მისი სიცოცხლე საფრთხეში არ არის, მხოლოდ ჭრილობა სიარულს უშლის...

— მაგრამ გერმანელები...

— გერმანელები აქ არ მოვლენ.

— მაგრამ, რომ გაიგონ, რომ ჩემთან ვილაცაა.

— ვერ გაიგებენ.

— თქვენ და თქვენი მეგობრები რაღას აპირებთ?

— ჩვენ, თუ ნებას მოგვცემთ, ცოტას ტანსაცმელს გავიწმენდთ, გავიშრობთ და გათენებამდე დავტოვებთ თქვენს სახლს.

— მაშ მარტო უნდა დავრჩე ამ კაცთან?

— ცხადია.

— ეს შეუძლებელია. რას იტყვიან მეზობლები?

— მეზობლებმა არ უნდა გაიგონ. ექვიც არ უნდა აიღონ.

როდესაც სხვები გაჩუმდნენ, ბატონმა ლამბერმა იგრძნო, რომ სიმხნევე დაუბრუნდა.

— მისმინეთ, ქალიშვილო, მე ჩემს ქალიშვილს სანაღმრო ვარ და ვერ გამიგია რატომ უნდა ლევით თავს უფლებას ასე დაჟინებით მოითხოვოთ.

ლერუ მთელი ტანით აღიმართა.

— შენ ფრანგი ხარ?

— ისე, როგორც თქვენ, ბატონო.

— მაშინ ეს უბრალო საქმეა. უარს ვერ იტყვი, დაჭრილი მიიღო.

— მაგრამ...

— არავითარი „მაგრამ“. ამ კაცმა თავისი თავი გასწირა, როდესაც შენ ხგრიწავდი. გუუნები, დამალე შენთან და მოუარე, თორემ თუ უბედურება მოუვიდა...

თავისი სიტყვების დასამტკიცებლად ლერუმ ქურთუკიდან ხელის ტყვიამფრქვევი გამოაჩინა.

ლამბერმა უკან დაიხია.

— მაგრამ, ბატონო.

— ხომ ხედავ, — თქვა ლერუმ. — მე ეს გერმანელებს წავართვი და ძალიან მეწყინება, თუ ამით მოკვდება ფრანგი რომელიც გვილატებს!

ბერნარი ღიმილით მიუახლოვდა.

— ნუ გეშინიათ, ბატონო ლამბერ. მხოლოდ იცოდეთ, რომ ჩვენ ვიბრძვით როგორც ჩვენთვის, ისე თქვენთვისაც. ამ წუთას ადამიანის სიცოცხლეზეა ლაპარაკი, თქვენ შეგიძლიათ მისი გადარჩენა. ეს ყველაფერზე წინ უნდა დავაყენოთ. აი რატომ დავაკაუნეთ თქვენს კარზე. მადემუაზელ ვერნონმა ჩვენ დავარწმუნა, რომ თქვენ ნამდვილი პატრიოტი ხართ.

— ეს მართალია.

— მაშ?

— თანახმა ვარ!

დაჭრილს ჩასძინებოდა სავარძელში. სადაც ის დასვენს.

ფრანგულიდან თარგმნა კლეოპატრა ჯაშმა.



### ხალხის ნდობით აღჭურვილი

გვიანი საღამოა, მაგრამ მალალი, მხარბეჭვანიერი მამაკაცი მაინც არ შორდება საწერ მაგიდას და გულდასმით ათვალეირებს გაშლილი გაზეთების ფურცლებს. დიდი ხანია ასე არ შეყოვნებულა მღელვარებით სავსე, მოუსვენარი სამუშაო დღის შემდეგ. მაგრამ სხვანაირად არ შეიძლება, დრო არ ითმენს — იგი დილიდანვე უნდა ესაუბროს კოლმეურნეებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმზე ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში დასახული ახალი ამოცანების გარშემო.

...აი იგი წითელ ზოლს ავლებს კიდევ ერთ აბზაცს და ბლოკნოტში იწერს ამ სიტყვებს:

„თუ ავიღებთ საქართველოს, იგი წარმატებით ასრულებს ჩაის წარმოების შეიღწეულის დავალებას. პირველი სამი წლის გეგმა შესრულებულია 109 პროცენტით. ეს კარგია. ჩაისათვის საბჭოთა ადამიანები მადლობას გიძღვნიან, ამხანაგო ქართველებო. იმისათვის კი, რომ ხორცის წარმოების შეიღწეულის პირველი სამი წლის დავალება შესრულებულია 85 პროცენტით და რძისა — 74 პროცენტით, არა მგონია ვინმემ მადლობა გითხრათ წარმოების ასეთი დონისათვის“.

არა მგონია... თავისთვის იმეორებს კოლმეურნეობის ხელმძღვანელი ნიკიტა სერგისძე ხრუშჩოვის სიტყვებს. ამ ორ მოკლე სიტყვაში სერიოზული

საყვედურია ჩვენდამი, ხუცუბნელი კოლმეურნეებისადმიც. ჯერ ჩვენც არ გავიკეთებია ყველაფერი მეცხოველეობის სათანადო სიმაღლემდე ასაყვანად. რამდენი რძე მივიღეთ შარშან თვითულ საფურაყე ძროხაზე? — ფიქრობს იგი. — 2.228 კილოგრამი, რაც გეგმით გათვალისწინებულზე ნაკლებია. ხორცი? 100 ჰექტარ სავარგულზე გაანგარიშებით სულ 15.7 ცენტნერი. ერთი სიტყვით, კიდევ ბევრია გასაკეთებელი. თვითეულმა ჩვენგანმა მთელი ძალდონითა და ენერგიით უნდა იმუშაოს. სხვანაირად ვერ შევასრულებთ პარტიის დავალებას...

მეორე დღეს კოლმეურნეობის თავმჯდომარემ იმავე ოთახში თავი მოუყარა კოლმეურნეებს. პლანტაციის გამგზავრებამდე, სადაც ამ ხელსაყრელ ამინდებში ფართო ფრონტით გაჩაღდა ბუჩქების გასხვლა-გაფორმება მან დააწყვიტა მოთათბირებოდა აქტივს, რით დაეწყოთ და პირველ რიგში რა სამუშაოები შეესრულებინათ.

საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრებაში ახალი ეტაპის უდიდესი მნიშვნელობის შეგნებით, მხურვალედ განიხილავდნენ კოლმეურნეები ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებას. და რაზეც არ უნდა ყოფილიყო ლაპარაკი — მეცხოველეობის საკუთარი მტკიცე საკვები ბაზის შექმნაზე, ფერმაში შრომატევადი სამუშა-

ოების მექანიზაციაზე თუ ციტრუსები-  
სა და ჩაის მოსავლიანობის გადიდების  
გზებზე — გულგრილი არავინ დარჩე-  
ნილა, ყველას კარგად ესმოდა საქარ-  
თველოს სოფლის მეურნეობის მშრომე-  
ლების გადაუდებელი ამოცანები.

...სულ სამი თვეა, რაც სოფელ ხუ-  
ცუბნის კოლმეურნეებმა თავიანთ მე-  
თაურად აირჩიეს ვლადიმერ გიორგის-  
ძე ბაჯელიძე, მაგრამ მათთვის ის ახალი  
კაცი როდია. ბევრ ხუცუბუნელს ახსოვს  
ვლადიმერი ჯერ კიდევ თმაქოჩორა ბი-  
ჭუნად, როცა ამხანაგებთან ერთად და-  
ბრუნდა ადგილობრივ სკოლაში. და გარ-  
შემო მყოფთათვის სრულიად შეუმჩნე-  
ვლად გაირბინა ამ სწრაფმავალმა გზამ  
უდარდელი ბავშვობიდან ჭაბუკობამდე  
და დავაუკაცებამდე.

1947 წელს აჭარის სასოფლო-  
სამეურნეო ტექნიკუმდამთავრებულმა  
ვლადიმერ ბაჯელიძემ პირველი ნაბიჯი  
გადადგა დამოუკიდებელი ცხოვრების  
გზაზე. იგი დაინიშნა ჩაქვში უბნის აგ-  
რონომად. შემდეგ სხვადასხვა ადგილას  
მუშაობდა, იქ, სადაც საჭიროდ მიაჩნ-  
დათ გამოეყენებინათ მისი ცოდნა, და  
მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ გა-  
მოჩნდა მშობლიურ სოფელში უბნის  
აგრონომად. თუმცა ხანგრძლივად არც  
აქ დარჩენილა... 1955 წელს იგი გაგზა-  
ვენეს სოფელ გვარას ენგელსის სახე-  
ლობის კოლმეურნეობაში, სადაც ენერ-  
გიულ, ინიციატივან სპეციალისტს დი-  
დი ნდობა გამოუცხადეს — კომუნის-  
ტებმა ვ. ბაჯელიძე აირჩიეს პარტიული  
ორგანიზაციის მდივნად, ხოლო ორი  
წლის შემდეგ არტელის ხელმძღვანე-  
ლობა მიანდეს. მალე მას წილად ხვდა  
უდიდესი პატივი — არჩეულ იქნა სკკპ  
XXII ყრილობის დელეგატად.

კომუნისმის მშენებელთა ყრილობა!  
სამუდამოდ ემახსოვრება ვლადიმერ  
ბაჯელიძეს ეს ღირსშესანიშნავი დღე-  
ები, როცა ისტორიული პარტიული  
ფორუმის ტრიბუნიდან გაისმა ლენინ-  
ური პარტიის მგზნებარე მოწოდება მი-

ლიონობით საბჭოთა ადამიანისადმი  
თავდადებულად იშრომონ ჩვენს ქვეყ-  
ნაში კომუნისმის მშენებლისათვის. და  
სწორედ მაშინ ჩაინერგა გულში თავისი  
შემდგომი ცხოვრების უპირველესი  
მცნება: კვლავ ხელმოუღლეოდ იშ-  
რომოს ნათელი მიზნის მისაღწევად.

...როგორც საკუთარ ოჯახში, ისე მი-  
ვიდა ვლადიმერ ბაჯელიძე ხუცუბნის  
კოლმეურნეობაში. მან კარგად იცოდა,  
რომ ამოცანა იოლი არ იყო. ბევრად  
უფრო ძნელია უხელმძღვანელო ისეთ  
მეურნეობას, სადაც ჩაისა და ციტრუ-  
სოვანთა პლანტაციების ფართობი ორ-  
ჯერ მეტია, ვიდრე გვარაში, მაგრამ მან,  
რაც მთავარია, ისიც იცოდა, რომ მის-  
თვის მტკიცე საყრდენი იყო ხუცუბ-  
უნელ მშრომელთა კოლექტიური გამოც-  
დილება. პარტიული ორგანიზაციის მა-  
მობილიზებული ძალა, კოლმეურნეობის  
შუქურათა სულ უფრო მოკაშკაშე შუ-  
ქი, აი ისეთებისა, როგორც არიან ზია  
ნურიძე, მემედ ბაჯელიძე, შუქრი შაქა-  
რიშვილი და სხვები.

და ვლადიმერი არც შემცდარა. თავი-  
სი საქმიანობის პირველი დღეებიდან-  
ვე თავმჯდომარემ იგრძნო დიდი, კარ-  
გად შეწყობილი კოლექტივის ძალა.  
შეძლო გამოევილინებინა გამოუყენებე-  
ლი რეზერვები, აემოქმედებინა ისინი  
მეურნეობის ყველა დარგის ახალი აღ-  
მავლობისათვის.

— ეს რეზერვები კი უამრავია. —  
გვეუბნება ვლადიმერ ბაჯელიძე. —  
მაგალითისათვის თუნდაც იგივე ჩაი  
ავილოთ, ნიკიტა სერგის-ძემ რომ შეა-  
ქო ქართველი მეჩაიეები. თქმა არ უნ-  
და, ჩვენმა კოლმეურნეობამაც წარმა-  
ტებით გაართვა თავი შეიღწეულ  
მესამე წლის დავალებებს. 1.115 ტონა-  
ზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი  
ჩაბარდა სახელმწიფოს, ე. ი. 5.000 კი-  
ლოგრამი თვითული ჰექტარიდან, რაც  
გვემის 107,8 პროცენტია.

— საყვედური თითქოს არ გვეთქ-  
მის. — ვანაგრძობს იგი ოღნავი ღუმი-  
ლის შემდეგ. — და მაინც, შეცდომა

იქნებოდა გვეფიქრა, რომ ჩვენ მილიონად ვიყენებთ პლანტაციების მოსავლიანობის ზრდის შესაძლებლობებს. ეს რომ ასე იყოს, მაშინ რატომაა, რომ ჩვენმა ცნობილმა მეჩაიემ ზია ნურიძემ ნახევარ ჰექტარ ნაკვეთზე მოკრიფა თორმეტი ტონა ფოთოლი? რატომაა, რომ ზოგიერთ მეზობელ კოლმეურნობას ჩვენზე უფრო უხვი მოსავალი მოჰყავს? გამოდის, რომ საქმის წარმატება დამოკიდებულია კრეფის კარგ ორგანიზაციაზე, იმაზე, რომ ყველა ბრიგადა და რგოლი განუწყვეტელი კრეფდეს ფოთოლს, არ ელოდეს მის მასობრივ შემოსვლას, რათა, თავიდან აიცილოს ფოთლის გაუხეშება.

ესაუბრები ამ ადამიანს და ნათლად ხედავ: არა, ასეთი კაცი არ ამოეფარება ზოგიერთ ხელსაყრელ ციფრს, განაშს არ ასტეხს თვითნებური წარმატებისათვის. მიღწეულით დაუკმაყოფილებლობის მოსაწონი გრძნობა აძილებს მას მუდმივად ეძიოს ახალი, უკეთესი გზები საკოლმეურნეო წარმოების შემდგომი აღმაშენებისათვის, და არა მარტო თვითონ ეძიოს, არამედ გაიყოლიოს სხვებიც, ისინი ვისზეც უპირველეს ყოვლისა დამოკიდებულია პარტიის დავალებათა პირნათლად შესრულება.

...ხუტუბანში ჩვენ მივედით, როცა ვ. ბაჯელიძე არტელის მოწინავეთა ჯგუფთან ერთად ის-ის იყო დაბრუნდა აფხაზეთიდან. სადაც ისინი ეწვივნენ თავიანთ მეგობრებს კოლმეურნეობა „დურიფში“. მოძმე ავტონომიური რესპუბლიკების ამ ორი უდიდესი მეურნეობის შეჯობება კარგა ხანია ტრადიციად იქცა. ახლა ხუტუბნელებმა ჩამოიტანეს ახალი სოციალისტური ხელშეკრულება, რომელიც შვიდწლედის მეოთხე წლისათვის ბევრად გადიდებულ ვალდებულებებს ითვალისწინებს. დასახულია ყველა კულტურის — ჩაის, ციტრუსების, ღვინის მოსავლიანობის ზრდის, რძისა და ხორცის წარმოების მკვეთრად გადიდების, პროდუქცი-

ის თვითღირებულების შემცირების ამოცანა.

— დურიფშელ მეგობრებთან საუბარში — ამბობს ვლადიმერ ბაჯელიძე, — ერთხელ კიდევ დავრწმუნდით, თუ რა ბევრი გვაქვს ჯერ გასაკეთებელი. აფხაზმა კოლმეურნეებმა, მაგალითად, გავისწერეს ჩაის პლანტაციების მოსავლიანობის მხრივ, რძისა და ხორცის წარმოებაში კი გამარჯვება ჩვენ მოვიპოვეთ. მაგრამ ეს რაღა გამარჯვებაა, თუ შარშან ჩვენ თვითონ ვერ შევასრულეთ ძროხების წველადობის გეგმა? უბრალოდ, აფხაზებს ამ მხრივ უარესი მდგომარეობა ჰქონდათ, ესაა და ეს. დასკვნა კი ერთია — ორივე კოლმეურნეობამ სერიოზულად უნდა მოჰკიდოს ხელი მეცხოველეობის ფერმების მექანიზაციას, დანერგოს ჩვენი ქვეყნის მოწინავე კოლმეურნეობათა გამოცდილება.

ხუტუბნელი კოლმეურნეები ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის სოციალისტური სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელი, ახლა გამსჭვალული არიან იმ ამოცანების უდიდესი მნიშვნელობის შეგნებით, რომლებიც დასახა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმმა, ამ პლენუმზე ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებამ. თავიანთ ფიქრებსა და გეგმებს ისინი პირველ რიგში უზიარებენ იმას, ვისაც ნდობა გამოუცხადდეს არა მარტო როგორც კოლმეურნეობის მეთაურს, არამედ ვინც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატადაც აირჩიეს.

და სწორედ ამიტომ განაცხადა ასე მღელვარებით ვლადიმერ ბაჯელიძემ ამომრჩევლებთან შეხვედრისას:

— ხალხის ნდობა ჩვენდამი, საბჭოთა პარლამენტის დეპუტატებისადმი, — ეს ლენინური პარტიისადმი ნდობაა. პარტია ხელმძღვანელობს ყველა ჩვენს გრანდიოზულ წამოწყებას. ხოლო ასეთი 'ნაცადი ხელმძღვანელობით საბჭოთა ადამიანები ყველა სიძნელეს გადალახავენ.



აღმართს ჩქარი ნაბაჯებით მივყვებით, ადრეა და სახლში გვინდა მივუსწროთ.

კოლმეურნეობის უმცროსი აგრონომი რევაზ კვირიკაძე დროდადრო ჩერდება. გამხდარ და ფერმკრთალ სახეზე ღიმილი დასთამაშებს. რევაზი ძნელად ეგებს გვესაუბრება.

მარტო ლეილა კი არა, მთელი ოჯახი თითოთი საჩვენებელი; რვა მუშაობს ერთი ოჯახიდან კოლმეურნეობაში, რვა ადამიანი. ეს ხომ მთელი რგოლია!

ბედნიერია ემინე — სახელოვანი შვილები აღზარდა. ვაჟაკცია, ნამდვილი ვაჟაკცია; შვიდ შვილს დედობასაც უწევდა და მამობასაც...

ლეილა დედ-მამიშვილებში ყველასაგან გამოირჩეოდა: ცოცხალი, მოძრავი, საქმიანი და ემზაკიც იყო, მაგრამ ყოველთვის იმას ცდილობდა, როგორმე გაეხარებინა დედა.

უხაროდა, როცა მთელი ოჯახი სამუშაოდ წავიდოდა: დაიკაპიწებდა, უმცროს დას ნანულის გვერდით ამოიყენებდა და ჰგვიდნენ და წმენდნენ, რეცხავდნენ თეთრეულს, ხეხდნენ ჯამ-ჭურჭელს.

ლეილას ყველაფერი აინტერესებდა, განსაკუთრებით, კერძების დამზადება. ჩაცუტკედებოდა სამზარეულოში და თვალს არ აშორებდა დედის ხელებს.

დედა ილიმებოდა და ქალიშვილს ასაქმებდა: ფქვილს გააცრევიანებდა, მწვანილს გაარეცხვინებდა, მარილს დანაწყინებდა...

ერთ დღეს იხმო და უთხრა, შენ უკვე დიდი გოგო ხარ, მალე ათი წელი შევისრულდება, აწი ოჯახობა უნდა შეგეძლოს, მისმინე და ყველაფერი ისე გააკეთე, როგორც დავარეგო.

ციბრუტივით დატრიალდა ლეილა: დიდ ქვაბში რძე აადულა, მერე გააცივდა და ნაყენი მოხადა. მონახადში ჩაყარა ჭყინტი ყველი და დედას მიამიტი თვალეებით შეაცქერდა.

ემინე ილიმებოდა და არაფერს ეუბნებოდა.

— ახლა რა გავაკეთო, დედა? — წამდაუწუმ ეკითხებოდა ლეილა.

— ახლა მჭადი გამოვაცხოთ, კაიმალი მზად გაქვს. — ასაქმებდა დედა.

— რა ადვილი დასამზადებელი ყოფილა! — უხაროდა პატარა ლეილას და დედას ეხვეწებოდა, კიდევ მასწავლე რამეო.

— გასწავლი, როგორ არ გასწავლი, შვილო, მაგრამ ჯერ საქონელს გახედე.

ასე თანდათან აჩვევდა გარჯას ემინე ქალიშვილს.

სკოლაშიც მუყაითი, მაგრამ ძლიერ ცელქი იყო ლეილა. ხან წიგნს გადაუმალავდა ამხანაგებს, ხანაც, სამეღნეს. განსაკუთრებით უყვარდა ქართული ენა, ქიმია და გეოგრაფია. გეოგრაფიას ნოდარ ქიქავა ასწავლიდა, ახლა რომ კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მუშაობს.

შემდეგ თანდათან ფიზიკაც შეუყვარდა. ფიზიკის მასწავლებელი იზეთ ქიქავა იყო, სკოლის დირექტორი. იზეთი ყველა მოსწავლისაგან არჩევდა ლეილას და სხვებს მიუთითებდა, მიბაძეთ, ასე ბეჯითად იმეცადინეთო.

რვა კლასი რომ დაამთავრა ლეილამ, დედამ უთხრა: გეყოფა, მეტი სწავლა არ გინდაო.

ერთხანს შემკრთალი და გაოგნებულ იდგა ლეილა, მერე თვალეები აუცრემლდა და ტირილი მორთო. დედას გაეღიმა და დაუყვავა:

— ოღონდ შენ ისწავლე, შვილო, და არაფერს მოგაკლებ, აბა რისთვის ვწვალობ, თქვენთვის მინდა ყველაფერი.

ლეილა დედას მოეხვია თვალგაბრწყინებულ.

საშუალო სკოლა 1956 წელს დაამთავრა. სცადა უმადლეს სასწავლებელში შესვლა, მაგრამ ვერ მოახერხა და კოლმეურნეობაში დაიწყო მუშაობა. ეს გა-



დაწყვეტილება არ იყო შემთხვევითი. ლეილა ხშირად დაჰყვებოდა სამუშაოზე დედასა და უფროს დებს — უმიანსა და ნედიმეს.

უფრო ხშირად ნედიმეს ახლდა ჩაის პლანტაციებში. გამოცდილი მკრეფავივით ამოუდგებოდა გვერდში და მასავით ჩქარ-ჩქარა ამოძრავებდა თითებს, მაგრამ ორ ფოთოლს რომ მუქში მიიქცევდა, სამი უცვივდებოდა. ლეილა ბრახობდა, ნედიმე კი გულიანად კისკისებდა, თან უმცროს დას ასწავლიდა, აი ასე უნდა კრიფო. მაშინ ლეილა ორსამ კილოგრამ ფოთოლს თუ მოკრეფდა და საღამომდე იმის გადარჩევას უნდებოდა. ეს უხეში ფოთოლიაო, ეუბნებოდა ნედიმე. ეს ყრუ ღუყი შეგიყოლებიაო, ეს თევზა ფოთოლი მოგიგლეჯიაო...

ნედიმეს რჩევა-დარიგებები შემდეგ გამოადგა ლეილას.

მალე სამი ათასი კვადრატული მეტრი ჩაის პლანტაცია მიუზომეს სახლის ქვემოთ, გზის გადაღმა.

ეს ნედიმეს ყოფილი პლანტაციის ნაწილი იყო. ნედიმე რომ გათხოვდა, მომვლელი ხელი დააკლდა ჩაის ბუჩქებს და ნაკვეთში აქა-იქ ეკალ-ბარდები წამოიზარდნენ.

პლანტაციის გაწმენდა-გასუფთავებაში საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზებული ენვერი შეეშველა უმცროს დას.

ლეილამ გადაბარა ნაკვეთი, შეიტანა მინერალური სასუქები, ჩათონა, შემდეგ გასხლა და გააფორმა ბუჩქები. აპრილის დამლევს კი საკრეფი კალათი მოიმარჯვა და ნახი ღუყებით გადაბინებულ ბუჩქებში ჩადგა.

გაუბედავად, თითქოს რაღაცნაირი შიშის გრძნობით დაიხარა ბუჩქზე. მას მოეჩვენა, რომ ღუყები ეურჩებოდნენ, ხელიდან უსხლტებოდნენ. მაგრამ ასე ცოტა ხანს გაგრძელდა. მერე ყველაფერი თავის რიგზე დადგა, ყველაფერი ჩვეულებრივად წარიმართა...

შეუმჩნევლად მიიპარებოდნენ ნედიმეები.

ლეილამ შეასრულა წლიური გეგმა, მოკრიფა ორი ტონა და ორასი კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, შემდეგ, სეზონის ბოლომდე, კიდევ სამასი კილოგრამი წაუმატა.

ეს იყო ახალბედა მეჩაიე ქალშვილის პირველი წარმატება.

მომდევნო წელს მეტი მონდომებით შეუდგა საქმეს, გეგმაც მეტი ჰქონდა — სამი ტონა უნდა მოეკრიფა.

ლეილამ იცოდა, ბევრი უნდა ეწავლა მოწინავე მეჩაიეებისაგან, კარგად დაუფლებოდა აგროწესებს, უკეთ დაოსტატებულყო. ლეილამაც არ დაიშურა შრომა და სარეკორდო მოსავალი მიიღო, ოთხნახევარი ტონა „მწვანე ოქრო“.

ასეთ წარმატებას ლეილაც არ მოელოდა. არ მოელოდა ამდენ დაფასებასაც: საანგარიშო კრებაზე განსაკუთრებით აღნიშნეს მისი სასახელო შრომა; მერე მოსკოვში გაგზავნეს სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე.

ჩაისუბნელი ქალიშვილი მოხიბლა კრემლის კომპეგმა, წითელი მოედნის სიღამაზემ, ცათამბეჭენებმა, ფართო პროსპექტებმა, მეტრომ, გამოფენის პავილიონებმა...

შინ დაბრუნებულს არ ასვენებდნენ თანასოფლელები, ათობით კითხვას აძლევდნენ, მოსკოვურ შთაბეჭდილებებს აამბობინებდნენ, ყურადღებით უსმენდნენ...

ლეილამ იცის, როცა ხალხი გაფასებს, პატივს გცემს, მეტი მოგეთხოვება, გაორკეცებული ენერგიით უნდა იშრომო. იგი ვერ ელევა თავის პლანტაციას, თუმცა ძლიერ სურს უმაღლეს სასწავლებელში განაგრძოს სწავლა. მან მთელი სულითა და გულით მიულოცა სტუდენტობა თანაკლასელებს — ლიანა აბაშიძეს, თინა ხალვაშს, ლეილა ბაკურიძეს, გივი ხალვაშს, ზურაბ სარჯველაძეს. მიულოცა და წარმატებები უსურვა. თვითონ კი კვლავ ჩაის პლანტაციებს

დაუბრუნდა და ერთხანს გადასდო უმაღლეს სასწავლებელზე ფიქრი.

ძვირფასია ჩაის კულტურა, მაგრამ დიდ ყურადღებას და მოვლა-პატრონობას მოითხოვს. ლეილას კი შრომა არ ეზარება. პლანტაციის დიდი რაოდენობით შეაქვს ტორფი. ნიადაგს კვებავს წუნწუნებით, აძლევს აზოტსაც. დროულად ბარავს და თოხნის ნაკვეთს, ათანაბრებს ჩაის ბუჩქებს, რადგან უსწორმასწორო — ზოგი დაბალი და ზოგი მაღალი ბუჩქები ართულებს მუშაობას და მოსავლასაც ამცირებს.

ლეილა ძნელაძეს უკვე მოწაფეებიც ჰყავს — ახალბედა მეჩაიეები — ნანი ბერიძე, მერი წითელაძე, თავისი დისწული უმიანის ქალიშვილი მერი...

ახალგაზრდების დიდი მეგობარია ლეილა, ყველას ეხმარება, სასარგებლო რჩევა-დარიგებებს აძლევს. ამას თავის მოვალეობად თვლის, მით უმეტეს, რომ საკოლმეურნეო კომკავშირული ორგანიზაციის კომიტეტის წევრია. მისი რეკომენდაციით კომკავშირის რიგებში მიიღეს შაქრო ნაგერვაძე, შოთა და იაკობ დუმბაძეები. ისინი სასახლოდ შრომობდნენ ჩაისა და ციტრუსების პლანტაციებში, ახლა კი საბჭოთა არმიის რიგებშიც პირნათლად ასრულებენ მხედრულ მოვალეობას. ამას წინათ იაკობ დუმბაძეზე გაზეთებიც ალაპარაკდნენ.

შრომასთან ერთად ლეილას უყვარს წიგნები, კინო, თეატრი. ფართოა მისი სულიერი ინტერესების წრე. შელამდებია თუ არა, თავის ბიბლიოთეკას ესტუმრება. აქ ბევრი წიგნი აქვს: კონსტანტინე გამსახურდიას თხზულებათა ტომები, მიხეილ შოლოხოვის „გატეხილი ყამირი“ და „წყნარი დონი“, მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“, პარმენ ლორიას „შვილები“, კაპიტონ რუსიძის „ნაზიბროლა“, „ბეწვის ხიდზე“...

კოლმეურნეობის ბიბლიოთეკიდანაც ხშირად გამოაქვს წიგნები.

საათობით ზის მაგიდასთან თავდახრილ და ეწაფება ცოდნას. მეორე დღეს

მეგობრებს გატაცებით უყვება ხული მოთხრობებისა და რომანების ნაარსს, ესაუბრება საყვარელ გმირებზე.

კინოშიც ხშირად დადიან და თეატრშიც. ნანახს არჩევენ, ერთმანეთს უზიარებენ შთაბეჭდილებებს. მსჯელობენ, კამათობენ...

\*\*\*

უკანასკნელი აღმართი კარგა მოზრდილია. იმას რომ აივლით, სწორი აღვილია. იქ ლამაზად ნაგები ქვის ორსართულიანი სახლი დგას. ეზოში ბევრი ხეხილია. სახლის წინ, რცხილას ძირში, ონკანია, საიდანაც მთის წყაროს ცივი წყალი მოიხრიალებს. იქვე ძელსკამი და ხის მაგიდაა.

ფანჯარაში ლოყებწითელა თაფლისფერთვალეზიანი ბიჭუნა იჭვრიტება. მის უკან სახეჭორფლიანი თმაქუჩუნა გოგონა მოჩანს. ნაილეს უფროსი ძმის იუსუფის შვილებია — მერაბი და ნუნუ. ნუნუს ექვსი წელი შეუსრულდა, მერაბი ერთი წლით უმცროსია. მათზე უფროსი ნოდარია. იგი სკოლაში დადის, მეოთხე კლასშია.

ქვედა სართულიდან ჩვილი ბავშვის გაბმული ტირილი ისმის. მერე ტირილი წყდება და ქალის ტკბილი საალერსო სიტყვები ისმის: ბებია დაჭხარის შვილიშვილს.

ენვერი იღიმება. ეს მისი ვაჟიშვილი ტირის, შვიდი თვისაა.

მრავლდებიან ძნელაძეები. ოჯახში უკვე თოთხმეტი სული ცხოვრობს — დედა, ორი ქალიშვილი, სამი ვაჟი, სამი რძალი, შვილიშვილები. სამი შვილი კიდევ უმიანს ჰყავს, ოთხი ნედიმეს. ისინიც რომ ესტუმრებიან...

ბედნიერი ქალია ემინე: ამდენი შვილი, რძალი, სიძე, შვილიშვილები.

ახლა ენვერი ორსართულიან სახლს იშენებს, მაგრამ უძნელდება ოჯახიდან გამოყოფა. სოფელში ამობენ, ძნელაძეების ოჯახით და ეს ყველასათვის გასაგებია.

ოჯახში ათასი საქმეა; შვილიშვილებ-  
საც მოვლა უნდა, თორემ ემინეც სია-  
მოვნებით ამოუდგება გვერდით რძლებ-  
სა და შვილებს. მართალია, სამოც წელს  
მიუახლოვდა, მაგრამ ამდენ სიხარუ-  
ლში რა დააბერებს! იუსუფი ოთხი წე-  
ლია ბრიგადას უძღვება და ემადლიერე-  
ბიან კიდევაც. დანარჩენი შვილებიც  
თითოთ საჩვენებელი არიან, რძლებმაც  
თავი ისახელეს.

შარშან ძნელაძეებს ოჯახმა ორი  
ათასამდე შრომადღე გამოიმუშავა.

რაც კოლმეურნეობა დაარსდა, ასე  
შრომობს ეს ოჯახი.

სოფლის თავში, მალალ გორაკზე  
დგას ძნელაძეების ოდა-სახლი.

აქედან მთელი ჩაისუბანი ჩანს პატა-  
რა სოფლებით — აგართა და ყორო-  
ლისთავით.

ემინეს თვალწინ იცვალა იერი ამ  
კუთხეში. უწინ ორთაბათუმი ერქვა ამ  
სოფელს, რომ შებინდებოდა, უჭრა-  
ქოდ სახლიდან სახლამდე ვერ მიხვიდო-  
დით, რომ გაწვიმდებოდა, წელამდე  
ტლახი დგებოდა. სოფელში იშვიათად  
დინახავდით ხის ორსართულიან სახლს,  
უმეტესობა ქოხმახებში ცხოვრობდა.

რა სწრაფად წავიდა ცხოვრება წინ!  
რამდენი ახალი კერა გაჩაღდა, რამდენი  
ახალი ქვის ორსართულიანი სახლი აშე-  
ნდა; ქუჩები გაფართოვდა, მოიკირწყ-  
ლა, მოასფალტდა; სოფელი ელნათუ-  
რებით გაჩახჩახდა. კოლმეურნეობის  
ფულადი შემოსავალი ექვსასი ათას მა-  
ნეთს აღემატება. სოფელს აქვს მალა-  
ზიები, სასადილო, კლუბი, საკუთარი  
კინოდანადგარი, რადიოკანძი, საშუა-  
ლო და დაწყებითი სკოლები.

მარტო შვიდწლედის მესამე წელს  
რამდენი სიახლეა: აშენდა აბანო, დაწ-

ყებითი სკოლის შენობა, მალაზი-  
ცხრა ბრიგადიდან შვიდში ტელეფონის  
ხაზი გაიყვანეს; მდინარე ყოროლისწყა-  
ლზე აიგო შესანიშნავი კაპიტალური  
ხიდი.

სოფლის ცენტრიდან ყოროლისთავა-  
მდე მოასფალტდა გზა და დაინიშნა და-  
მატებითი ავტობუსი ბათუმი-ყოროლის-  
თავი.

კიდევ ბევრი რამ გაკეთდება ახლო  
მომავალში: კეთილმოეწყობა სოფლის  
ცენტრი, აიგება საავადმყოფო, გაიყვა-  
ნენ საპლანტაციო გზებს. ფერმაში ფა-  
რთოდ დაინერგება მექანიზაცია, ბრი-  
გადებში აშენდება კაპიტალური ფარ-  
დულები, აგარის გადასახვევთან გაკეთ-  
დება ავტომოსაცდელი, სოფელში მა-  
ლე ყველას ექნება რადიო.

ერთი სიტყვით, სულ მოკლე ხანში  
უდიდესი გარდატეხა მოხდება. ასე თან-  
დათან სოფელსა და ქალაქს შორის წა-  
იშლება ზღვარი, დამყარდება კომუნის-  
ტი და იზივმებს უმაღლესი პრინციპი —  
ყველასაგან მისი უნარის მიხედვით,  
ყველას მოთხოვნილების მიხედვით.

ბედნიერია ემინე ძნელაძე, რომ მის-  
მა შრომამ ნაყოფი გამოიღო, ასეთი  
სასახელო ოჯახი შექმნა. შვილი შვილში  
არ გამოერჩევა ემინეს, მაგრამ ლეილა.  
ყველაზე მეტად ასახელა: შესანიშნავი  
მეჩაიე ქალის სახელი მოიხვეჭა, ალა-  
ლი შრომით, კეთილსინდისიერებითა და  
პატიოსნებით თანასოფლელთა სიყვა-  
რული და პატივისცემა დაიმსახურა —  
ხალხმა იგი ერთსულოვნად აირჩია სსრ  
კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტა-  
ტად.

ყველას სჯერა, რომ ლეილა ძნელაძე  
გამართლებს ამ დიდ ნდობას.







რეზენ სიკაძე

სკკპ პროგრამა — მესნიერული კომუნისმის დიდმნიშვნელოვანი შედეგები

სკკპ პროგრამა, რომელიც პარტიის XXII ყრილობამ მიიღო, მეცნიერული კომუნისმის დიდმნიშვნელოვანი შედეგებია. მან პარტია და საბჭოთა ხალხი შეაიარაღა კომუნისმის აშენების ყოველმხრივ დასაბუთებული კონკრეტული გეგმით, დიდად გაამდიდრა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის იდეური შინაარსი, პასუხი გასცა იმ აქტუალურ საკითხებზე, რომლებიც კაცობრიობას აღელვებს.


სკკპ ახალ პროგრამაში შეჯამებულია ლენინური პარტიის მიერ გაწეული გიგანტური მუშაობის შედეგები. მარქსიზმ-ლენინისმის თეორიაზე დაყრდნობით ჩვენმა პარტიამ, მსოფლიოში პირველმა, გააშუქა კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასვლის მრავალმხრივი საკითხები, რევოლუციური მოქმედებისათვის დარაზმა ხალხთა მასები და უზრუნველყო ამ საკითხების პრაქტიკული განხორციელება. „კაცობრიობამ, — ნათქვამია პროგრამაში, — მიიღო რეალურად არსებული სოციალისტური საზოგადოება და გამოცდილებით შემოიქმნა მცენერება სოციალიზმის შესახებ. სოციალიზმის მთავარი გზა გაკაფულია. ამ გზით მიდის უკვე ბევრი ხალხი, ამ გზით ადრე თუ გვიან წაეყველა ხალხი“.

პარტიის ახალი პროგრამის შემუშავებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სკკპ XX და XXI ყრილობებს, პიროვნების კულტის გადაჭრით უარყოფასა და მისი მანერ შედეგების დამლევას. XX ყრილობის კურსის მტკიცედ გატარებამ, პარტიული და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყველა დარგში ლენინური ნორმებისა და პრინციპების აღდგენამ, მოლოტოვის, მალენკოვის, კავანოვიჩისა და სხვათა ანტიპარტიული ჯუღის იდეურმა და ორგანიზაციულ-

მა განადგურებამ კომუნისმის მშენებლობის ყველა დარგში შექმნა შემოქმედებითი მოღვაწეობის ფართო შესაძლებლობანი, გააძლიერა მასების აქტიურობა. განხორციელდა ბევრი რევოლუციური ღონისძიება, რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდათ თეორიისა და პრაქტიკისათვის. XX და XXII ყრილობებმა წამოაყენეს კომუნისტური მშენებლობის მნიშვნელოვანი თეორიული დებულებანი და პოლიტიკური დასკვნები. შეუენელებლად იბრძვის რა ორ ფრონტზე — რევიზიონისმისა და დოგმატიზმის და სექტანტობის წინააღმდეგ, პარტია მტკიცედ იცავს და ავითარებს მარქსისტულ-ლენინურ მეცნიერებას ცხოვრებასთან ორგანულ კავშირში, საზოგადოებრივი განვითარების მოთხოვნისათა შესაბამისად.

სკკპ პროგრამაში შემოქმედებითად შემუშავება მწყობრი თეორიისა, რომელიც შეიცავს სოციალიზმიდან კომუნისმზე გადასვლის მრავალმხრივ და რთულ პროცესს, წარმოადგენს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის უთვალსაჩინოეს მეცნიერულ მიღწევას. ამით ლენინურმა პარტიამ ერთხელ კიდევ ახალი ძალით ცხადყო, რომ იგი არის საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის თეორიული აზრის მედროშე.

მომე პარტები ჩვენს ახალ პროგრამას თანამედროვე ეპოქის კომუნისტურ მანიფესტს უწოდებენ. როცა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ დაიწერა, მაშინ კაპიტალიზმი ჯერ კიდევ აღმაშავალი საზოგადოება იყო, ხოლო კომუნისმი მხოლოდ მეცნიერულ წინასწარდასახულობას წარმოადგენდა. ახლა კი კაპიტალიზმის დაისია, მის არყევს ღრმა კრიზისები, ხოლო კომუნისმი მტკიცდება ვეებერთელა სივრცეებზე. თუ მარქსისა და



ენგელსის „მანიფესტმა“ დასაბუთო კომუნის-  
მის გამარჯვების გარდუვალობა, სკკ ახალ  
პროგრამის ვიგანტური ისტორიული გამოცდი-  
ლებისა და მეცნიერების მიღწევების საფუძვე-  
ლზე მეცნიერული კომუნისმის თეორია აწყავს  
თანამედროვე ეპოქის დონეზე და სახავს კო-  
მუნისტური საზოგადოების აშენების პრაქტი-  
კულ გზებს, საშუალებებსა და მეთოდებს.

სკკ პროგრამაში ამომწურავადა დასასიათე-  
ბული კომუნისტური საზოგადოება, მოცემუ-  
ლია მისი ბრწყინვალე და დიდი სახე, ამასთან  
ნაჩვენებია სოციალიზმიდან კომუნისმში გადა-  
სვლის ბუნებრივ-ისტორიული ხასიათი, კანონ-  
ზომიერება და ამპობრავებელი ძალები, „სო-  
ციალიზმის თანდათანობითი გადაზრდა კომუ-  
ნისმში. — ნათქვამია სკკ პროგრამაში, — ობ-  
იექტური კანონზომიერება: იგი მოამზადა სამ-  
ჭოთა სოციალისტური საზოგადოების მთელმა  
წინა განვითარებამ“.

ჩვენი პარტია — მეცნიერული კომუნისმის  
პარტია აყენებს და აწვევს საზოგადოებრივი  
განვითარების ამოცანებს საამისოდ მატერია-  
ლური და სულიერი წანამდღვარების მომზადე-  
ბის კვლობაზე. კომუნისტური საზოგადოების  
აშენება, როგორც უშუალო ამოცანა, პარტიამ  
დააყენა იმის მეოხებით, რომ საბჭოთა კავშირ-  
ში მთლიანად და საბოლოოდ გაიმარჯვა სოცი-  
ალიზმმა, მიღწეულ იქნა მწარმოებლური ძა-  
ლების, სოციალისტური წარმოებითი ურთიერ-  
თობის, სოციალისტური კულტურის მაღალი  
დონე.

პროგრამაში ნაჩვენებია, რომ რამდენადაც  
კომუნისმზე გადასვლა ხდება ამავე ფორმაციის  
პირველი ფაზიდან — სოციალიზმიდან, ეს გა-  
დასვლა თვისობრივად, პრინციპულად განსხვავ-  
ებულ ხასიათს ატარებს, ვიდრე კაპიტალიზმიდან  
სოციალიზმზე გადასვლა. უკანასკნელ შემთხვე-  
ვაში აუცილებელია სოციალისტური რევილუ-  
ცია, რომელიც დაამხოვს კაპიტალისტურ წყობ-  
ილებას, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა  
მხარის რევილუციური გარდაქმნა, საზოგადო-  
ებისა, რომელიც დაფუძნებულია კერძო საკუთ-  
რებაზე, მშრომელთა ექსპლობატაციასა და ჩაგ-  
ვრებაზე. კომუნისმზე გადასვლა კი, პირიქით,  
მოასწავებს სოციალისტური საზოგადოების,  
საერთო საკუთრებაზე დამყარებული მისი წარ-  
მოების შემდგომ განვითარებას, სოციალიზმის  
პრინციპების პროგრესულ შესაძლებლობათა  
ყოველმხრივ განვითარებას, ცხოვრებაში წარ-  
მოშობილი ახალი, კომუნისტური ნიშნების გან-  
მტკიცება-განვითარებას.

სკკ პროგრამაში მთელი სიღრმითა და კონ-  
კრეტულად აირს დამუშავებულია სოციალიზმი-  
დან კომუნისმზე გადასვლის მრავალფეროვანი,  
ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული პრობ-  
ლემები. მათ შორის ძირითადს წარმოადგენს:

— კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური  
ზის შექმნა;

— კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერ-  
თობის დამკვიდრება და განვითარება, კლასო-  
ბრივ განსხვავებათა მოსპობა და სოციალისტურ-  
ნი საზოგადოების გადაზრდა უკლასო კომუ-  
ნისტურ საზოგადოებად;

— საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზა-  
ციის გარდაქმნა, სოციალისტური სახელმწი-  
ფოებრიობის გადაზრდა კომუნისტურ საზოგა-  
დოებრივ თვითმმართველობად.

— კომუნისტური საზოგადოების სულიერი  
სამყაროს ფორმირება და ახალი ადამიანის  
აღზრდა.

პროგრამა იძლევა ზუსტ და გარკვეულ პა-  
სუხს, თუ როგორი იქნება კომუნისმის მატე-  
რიალურ-ტექნიკური ბაზა, და ნათელს ჰყენს  
მისი შექმნის მრავალმხრივი სოციალურ-ეკონო-  
მიური პროცესის არსს. საქმე ეხება საწარმოო  
ძალების ახალ თვისობრივ დონეზე აყვანას.  
შრომის იარაღების ისეთი ახალი ტიპების შექ-  
მნას, რაც აუცილებელია უმაღლესი შრომის  
ნაყოფიერების, მატერიალური დოვლათის სი-  
უხვის, შრომის ხასიათის შეცვლის უზრუნველ-  
საყოფად.


„კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის  
აშენება, — ამბობდა ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი  
თვის მოხსენებაში სკკ XXII ყრილობაზე, —  
გადამწვევტი რგოლია ეკონომიური, სოცია-  
ლური და კულტურული ამოცანების ჯაჭვში და  
ნაყარნახეია ჩვენი სამშობლოს განვითარების  
როგორც შინაგანი, ისე გარეუე პირობებით. ეს  
საშუალებას მოგვცემს გადავიკრათ შემდეგი უმ-  
ნიშვნელოვანესი ამოცანები:

ჯერ ერთი, შეექმნათ უმაგალითო სიმძლავ-  
რის საწარმოო ძალები და მსოფლიოში პირვე-  
ლი ადგილი დავიკავოთ ერთ სულ მოსახლეზე  
წარმოების მხრივ;

მეორე, უზრუნველყოთ მსოფლიოში შრო-  
მის უდიდესი ნაყოფიერება, რაც საბოლოო ან-  
გარიშით ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე  
მთავარია ახალი საზოგადოებრივი წყობილების  
გამარჯვებისათვის, შევადაროთ საბჭოთა ადა-  
მიანი ყველაზე სრულყოფილი ტექნიკით, გა-  
დავაციოთ შრომა სიხარულის, შთაგონებისა  
და შემოქმედების წყაროდ;

მესამე, განავითაროთ მატერიალური დოვ-  
ლათის წარმოება საბჭოთა ადამიანის ყველა  
მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, უზრუნ-  
ველყოთ მთელი მოსახლეობის ცხოვრების  
ყველაზე მაღალი დონე, შეექმნათ ყველა პი-  
რობა შემდეგში მოთხოვნილების მიხედვით გა-  
ნაწილებაზე გადასვლისათვის“.

კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის  
შექმნაში მთავარ მიმართულებად ითვლება ქვე-  
ყნის მთლიანი ელექტრიფიკაცია, წარმოების  
კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზა-



ცია, მანქანათმშენებლობის, ჰიმიური, სათბორები და მეტალურგიული მრეწველობას განვითარება. პროგრამაში ხაზგასმულია მძიმე ინდუსტრიის წამყვანი როლი და მოცემულია სოფლის მეურნეობის მძლავრი აღმავლობის გეგმა, ურთმლისოდაც შეუძლებელია ამ ბაზის აშენება. პროგრამა ითვალისწინებს მეცნიერების უახლესი მიღწევების სრულ და ეფექტიან გამოყენებას, წარმოებასთან მეცნიერების ორგანიზულ შეერთებას და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სწრაფ ტემპს, მშრომელთა მაღალ კულტურულ-ტექნიკურ დონეს, მნიშვნელოვან უპირატესობას ყველაზე განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების წინაშე შრომის ნაყოფიერების მხრივ, სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებას, კომუნისტური შრომის კოლექტივისა და დამკვერთის წოდებისათვის მოძრაობის გაშლა-გაფართოებას.

კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აშენების პროცესში დიდად განვითარდება სოციალისტური საკუთრების საერთო-სახალხო და საკოლმეურნეო-კოოპერაციული ფორმები, შემდეგში კი ორივე ეს ფორმა თანდათან გადაიქცევა საკუთრების ერთიან კომუნისტურ ფორმად.

აღსანიშნავია, რომ არც თუ ისე დიდი ხნის წინათ სოციალისტური განვითარების ორი ფორმისა და მათი შეერთების საკითხის გაშუქებისას სერიოზულ შეცდომებს უშვებდნენ. ერთგვარი გავრცელება პოვა თვალსაზრისმა, რომლის მიხედვითაც საკოლმეურნეო საკუთრებამ თითქოს ამოწურა თავისი თავი და იწყებს საწარმოო ძალების დამუხრუჭებას. არა კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, არამედ საკოლმეურნეო საკუთრების გადაიქცევა საერთო-სახალხო საკუთრებად გამოცხადებული იყო კომუნისმზე გადასვლის საფუძველად.

ყრილობაზე თავის მოხსენებაში ამხანაგი ხრუშჩოვი ამ საკითხის გამო ამბობდა:

„ზოგიერთი ამხანაგი იძლევა კითხვას: როგორ წავა შემდეგში სოფლის მეურნეობის განვითარება — კოლმეურნეობის თუ საბჭოთა მეურნეობის გზით? პარტია ითვალისწინებს იმას, რომ სოფლად კომუნისმის მშენებლობა წავა სოციალისტური წარმოების ორივე ფორმის განვითარებისა და სრულყოფის გზით. არ შეიძლება მეურნეობის ერთი სოციალისტური ფორმა დავუპირისპიროთ მეორეს. როგორც კოლმეურნეობები, ისე საბჭოთა მეურნეობები მსხვილი სოციალისტური მეურნეობებია, რომლებიც შესაძლებელს ხდიან ეფექტურად გამოვიყენოთ ტექნიკისა და მეცნიერების მიღწევები, სწრაფად გავაფართოოთ საზოგადოებრივი წარმოება. თანაბარი მატერიალური შესაძლებლობის, წარმოების კარგი ორგანიზაციის, კვალიფიციური ხელმძღვანელობის პირობებში

როგორც ერთი, ისე მეორე ფორმა დიდ შედეგს მოგვცემს.“

ამიტომაც სკვპ პროგრამა აცხადებს: „კომუნისტური მეურნეობა კომუნისმის სკოლაა გლეხობისათვის“.

კომუნისმზე გადასვლისას საწარმოო ძალების მძლავრ აღმავლობასთან ერთად მიმდინარეობს სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის კომუნისტურ ურთიერთობად გადაზრდის პროცესი. კომუნისტური ეკონომიკის ჩამოყალიბება, საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარება, ახალი ადამიანის ფორმირება ურთიერთდაკავშირებული პროცესებია.

პროგრამაში დასმულია თავისუფალი და შეგნებული მშრომელების უკლასო კომუნისტური საზოგადოების აშენების ამოცანა.

ჩვენში დიდი ხანია მოსაზობლია ექსპლოატატორული კლასები და ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის საფუძველი. არსებობს ორი მეგობრული — მუშათა და გლეხთა კლასი და სოციალისტური ფენა — ინტელიგენცია. ყველა მათგანს აქვს საერთო მიზანი — კომუნისმის აშენება.

პროგრამაში დასმულია ამოცანა — მოისპოს მუშებსა და გლეხებს შორის კლასობრივი განსხვავება, ქალაქსა და სოფელს შორის არსებითი განსხვავება და შეიქმნას პირობები ფიზიკური და გონებრივი შრომის ორგანიზული შეერთებისათვის.

როგორ შეიძლება ამ ამოცანის გადაწყვეტა? მშრომელ კლასებს შორის ზღვარი წიშლება საწარმოო ძალებისა და სოციალისტური წარმოებით ურთიერთობის მაღალი განვითარების ბაზაზე, ხოლო წარმოების ტექნიკაში, შრომის ხასიათში მომხდარი დიდი ცვლილებების შედეგად აღმოიფხვრება არსებითი განსხვავება ფიზიკურსა და გონებრივ შრომას შორის.

კლასებს შორის ზღვარის წაშლის გაშლილ პროცესს მივყავართ საზოგადოების სულ უფრო მეტი სოციალური ერთგვარობისაკენ. რატომა უნდა, კლასები შორის ზღვარის წაშლა ერთი ხელის დაკვრით არ განხორციელდება, იგი თანდათანობით და ხანგრძლივი პროცესია. ყველა კლასობრივი სხვაობის ლიკვიდაცია დამთავრდება სრული კომუნისტური საზოგადოების აშენების შედეგად.

ამ პროცესთან ერთად და მასთან განუყოფლად კავშირში ჩამოყალიბდება ადამიანების სრული სოციალური თანასწორობა — კომუნისტური თანასწორობა, რაც ნიშნავს წარმოების საშუალებებისადმი ერთნაირ დამოკიდებულებას, სრულ თანასწორობას განაწილებაში, პიროვნებისა და საზოგადოების ჰარმონიას კერძო და საზოგადოებრივი ინტერესების ორგანიზული შეხამების საფუძველზე. ამრიგად, უკლასო კომუნისტური საზოგადოება ადამიანთა საერთო ცხოვრების ორგანიზაციის უმაღლესი ფორმა იქნება.

სკვპ პროგრამა დიდად ამდიდრებს მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას სახელმწიფოს შესახებ. მასში დასმული და გადაჭრილია კომუნისტების თეორიისა და პრაქტიკის ახალი უმნიშვნელოვანესი საკითხი. — პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს საერთო-სახალხო სახელმწიფოდ გადაზრდის შესახებ, ამ სახელმწიფოს ხასიათისა და ბედის შესახებ.

ე. ი. ლენინი გვასწავლის, რომ დიქტატურა მუშათა კლასს სჭირდება სოციალისტური საზოგადოების შექმნისათვის, ადამიანის მიერ ადამიანის ყოველგვარი ექსპლუატაციის მოსპობისათვის. „ამ მიზნის განხორციელება, — ამბობდა ე. ი. ლენინი, — ერთბაშად არ შეიძლება, იგი მოითხოვს კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე საკმაოდ ხანგრძლივ გარდამავალ პერიოდს. — იმიტომაც, რომ წარმოების ხელახალი ორგანიზაცია ძნელი საქმეა, იმიტომაც, რომ საჭიროა დრო ძირფესვიანი გარდაქმნისათვის ცხოვრების ყველა სფეროში, იმიტომაც, რომ მეურნეობის ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული წარმართების ჩვევის უდიდესი ძალის გადალახვა შესაძლებელია მხოლოდ ხანგრძლივ, შეუწყობარი ბრძოლით. ამიტომაც ლაპარაკობს მარქსი პროლეტარიატის დიქტატურის მთელ პერიოდზე, როგორც კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის პერიოდზე“ (თხზ., ტ. 29, გვ. 454).

პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფო — ეს არის კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალი პერიოდის სახელმწიფო. ძირშივე მცდარია მოსაზრება, რომელიც ამტკიცებს, რომ პროლეტარიატის დიქტატურა შენარჩუნებულ უნდა იქნას კომუნისტების სრულ გამარჯვებამდე. როგორც ცნობილია, სოციალისტური სახელმწიფოს განვითარება განისაზღვრება საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურით და მისი ცვლილებებით. ჩვენს ქვეყანაში კი კლასობრივი სტრუქტურა ძირფესვიანად შეიცვალა. ახლა, როდესაც სოციალიზმმა ჩვენს ქვეყანაში მთლიანად და საბოლოოდ გაიმარჯვა და შევედით კომუნისტურ ვაშლი მშენებლობის პერიოდში, გაქრა პირობები, რომლებიც პროლეტარიატის დიქტატურის აუცილებლობას იწვევდა, მისი საშინაო ამოცანები შესრულდა.

„მუშათა კლასი ისტორიაში ერთადერთი კლასია, — ნათქვამია სკვპ პროგრამაში, — რომელიც მიზნად არ ისახავს თავისი ძალაუფლების საუკუნოდ დამკვიდრებას.

პროლეტარიატის დიქტატურამ, უზრუნველყო რა სოციალიზმის — კომუნისტების პირველი ფაზა — სრული და საბოლოო გამარჯვება და საზოგადოების გადასვლა კომუნისტების ვაშლი მშენებლობაზე, შესარულა თავისი ისტორიული მისია და შინაგანი განვითარების ამოცანებს თვალსაზრისით იგი აუცილებელი აღარ არას

სსრ კავშირში. სახელმწიფო, რომელიც ახალი იშვიათ პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფო, ახალ, თანამედროვე ეტაპზე გადაიქცა საერთო-სახალხო სახელმწიფოდ, მთელი ხალხის ინტერესებისა და ნების გამოხატვის ორგანოა“. გამოხატავს რა ხალხის ნებას, იგი მოწოდებულია მოაწიოს კომუნისტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, სოციალისტური ურთიერთობის გარდაქმნა კომუნისტურ ურთიერთობად, დაიცვას საბჭოთა მოქალაქეების უფლებანი და თავისუფლებანი, სოციალისტური მართლწესრიგი და სოციალისტური საკუთრება, აღესრლოს ხალხის მასები შევსებული დისციპლინის და შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულსკვეთებით, საიმედოდ უზრუნველყოს ჩვენი ქვეყნის თავდაცვა და უშიშროება, განავითაროს ძმური თანამშრომლობა სოციალისტურ ქვეყნებთან და დაიცვას საყოველთაო მშვიდობის საქმე.

მართალია, მუშათა კლასის დიქტატურა აუცილებელი აღარ იქნება ჯერ კიდევ მანამდე, სანამ სახელმწიფო მოკვდებოდეს, მაგრამ სახელმწიფო, როგორც საერთო-სახალხო ორგანიზაცია დარჩება კომუნისტების სრულ გამარჯვებამდე. სახელმწიფოს კვდომის პროცესში მერტად ხანგრძლივი იქნება, მოიცავს მთელ ისტორიულ ეპოქას და მხოლოდ მაშინ დამთავრდება, როდესაც საზოგადოება მთლიანად მომწიფდება თვითმმართველობისათვის. სსრ კავშირში განვითარებული კომუნისტური საზოგადოების აშენების შედეგად და საერთაშორისო ასპარეზზე სოციალიზმის გამარჯვებისა და განმტკიცების პირობებში სახელმწიფო საჭირო აღარ იქნება, იგი მოკვდება.

პროლეტარიატის დიქტატურის საყოველთაო-სახალხო სახელმწიფოდ გადაზრდასთან დაკავშირებით, ამბობს ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი, ჩვენი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ძლიერება კი არ შესტდება, არამედ, პირიქით, მრავალჯერ იზრდება. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ჩვენი ძალის ადრინდელ წყაროებს ახალი წყაროები ემატება. ეკონომიკური სიძლიერის მუდმივად ვადიდებასთან ერთად განმტკიცდა და გაფართოვდა ჩვენი სახელმწიფოს სოციალური ბაზა, საზოგადოება ისეთი ერთიანი და მონოლითური გახდა, როგორც არასოდეს არ ყოფილა. ეს კი სახელმწიფოს ძალის მთავარი წყაროა. ყოველ მუშას, ყოველ გლეხს, ყოველ ინტელიგენტს შეუძლია თქვას: სახელმწიფო ჩვენ ვართ, მისი პოლიტიკა ჩვენი პოლიტიკაა, მისი განვითარებისა და განმტკიცების ყოველგვარი ხელყოფისაგან მისი დაცვის ამოცანა ჩვენი საერთო ამოცანაა. საერთო-სახალხო სახელმწიფოს განვითარების მთავარი მიმართულებაა დემოკრატის ყოველმხრივი გაფართოება.

სკვპ XXII ყრილობამ გააშუქა თვით პარ-

ტიის შემდგომი განვითარების გზები. სკკპ პროგრამასა და წესდებაში. ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის გამო მიღებულ რეზოლუციაში, ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებებში განსაზღვრულია პარტიის მიზნები და ამოცანები, შემდგომ განვითარებულია მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება პარტიის შესახებ.

ექსპლათატატორული კლასების ლიკვიაციის, სოციალისტური საზოგადოების შექმნისა და მისი ერთიანობის განმტკიცების შედეგად ჩვენი მარქსისტულ-ლენინური პარტია, რომელიც წარმოიშვა როგორც მუშათა კლასის პარტია, მთელი ხალხის პარტია გახდა.

კომუნისმის გაშლილი მშენებლობის პერიოდს — ნათქვამია სკკპ პროგრამაში, — ახასიათებს კომუნისტური პარტიის, როგორც საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალის, როლისა და მნიშვნელობის შემდგომი ზრდაა.

პარტიის ხელმძღვანელი როლის ამაღლება, როგორც ნაჩვენებია პროგრამაში, გაპირობებულია კომუნისტური მშენებლობის მასშტაბების ზრდითა და ამოცანების სირთულით, რაც პოლიტიკური და ორგანიზაციული ხელმძღვანელობის უფრო მაღალ დონეს მოითხოვს; მასების შემოქმედებითი აქტიურობის აღმავლობით, სახელმწიფო საქმეებისა და წარმოების მართვაში ახალ მილიონობით მშრომელთა ჩაბმით; სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარებით, საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლის ამაღლებით, მოკავშირე რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ორგანიზაციების უფლებათა გაფართოებით; მეცნიერული კომუნისმის თეორიის, მისი შემოქმედებითი განვითარებისა და პროპაგანდის მზარდი მნიშვნელობით. მშრომელთა კომუნისტური აღზრდის გაძლიერებისა და ადამიანთა შეგნებაში წარსულის გადმონაშთების დაძლევისათვის ბრძოლის საჭიროებით. პარტია არის ჩვენი ეპოქის გონება; სინდისი და ღირსება; ხალხის მასების კოლექტიური ბელადი, ორგანიზატორი და აღ-

მზრდელი და რაზმავს მათ კომუნისმის ასეუბისათვის.

სკკპ პროგრამასა და წესდებაში, ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებებში განვითარებულია პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმები და კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპები. როგორც კომუნისტური საზოგადოების მშენებელი ხალხის მოწინავე რაზმი, ნათქვამია პროგრამაში, პარტია წინ უნდა მიდიოდეს თავისი შინაპარტიული ცხოვრების ორგანიზაციაშიც, გვიჩვენებდეს კომუნისტური საზოგადოებრივი თვითმმართველობის ყველაზე სრულყოფილი ფორმების შემუშავების, მაგალითსა და ნიმუშს.

სკკპ პროგრამა და წესდება ამკვიდრებს ისეთ წესებს, რაც გამოირიცხავს პიროვნების კულტის რეციდივებს და ხელს უწყობს იმას, რომ ფართოდ გაიშალოს შინაპარტიული დემოკრატია, შემდგომ ამაღლდეს პარტიის ხელმძღვანელი როლი. შემოღებულია არჩევითი ორგანოების სისტემატური განახლების პრინციპი. ეს კი ხელს შეუწყობს იმას, რომ არ მოხდეს ცალკეული მუშაკების ხელში ძალაუფლების განუზომელი თავმოყრა, ხელისუფლების ბოროტად გამოყენება, ფართო გზას ხსნის იმისათვის, რომ ხელმძღვანელ სამუშაოზე მოვიდეს ახალი ძალები, თანამიმდევრულად განხორციელდეს ხელმძღვანელობის კოლექტიურობა, ფართოდ გაიშალოს კრიტიკა და თვითკრიტიკა.

მარქსიზმ-ლენინიზმი უარყოფს პიროვნების კულტს, როგორც უცხოის მისი სულისკვეთებისათვის, ამასთან იცავს პარტიის ხელმძღვანელი მოღვაწეების გამოზრდის, მათი ავტორიტეტის განმტკიცების აუცილებლობას. პარტიის მუშათა, მის ხელმძღვანელ მოღვაწეთა ავტორიტეტი პარტიის დიდი სიმდიდრეა და ყოველნაირად უნდა განვამტკიცოთ იგი.

სკკპ XXII ყრილობის მასალები, პარტიის პროგრამა ეპოქალური მნიშვნელობის დოკუმენტებია, რომლებიც ახალი დებულებებითა და დასკვნებით ამდიდრებენ მარქსიზმ-ლენინიზმს და ახალ მაღალ საფეხურზე აყავს მეცნიერული კომუნისმის თეორია და პრაქტიკა.



## პოთა ქაჩიძე

# ბუნება და ადამიანი კოლაუ ნალირაძის პოეზიაში

ადამიანის და ბუნების წინაშე მდგომმა,  
ამ ორ სასწაულს უღიადესს უცქირე ხარბად.

კოლაუ ნალირაძე.

არიან პოეტები, რომლებსაც განსაკუთრებით უყვართ ბუნება და თავიანთ პოეზიაში ფართოდ აღივსნენ მისი ცალკეულ სურათებს, იმდენად გატაცებით, რომ სწორედ ბუნება ჩრდილავს კიდევაც ადამიანს. არიან ისეთი პოეტებიც, რომლებიც თითქმის ვერ ამჩნევენ ბუნებას, გვერდს უვლიან მას და ცდილობენ ადამიანის სულის მოძრაობა დახატონ ბუნებისაგან დამოუკიდებლად. კოლაუ ნალირაძე პოეტების არც პირველ და არც მეორე წყებას არ ეკუთვნის. მას მიაჩნია, რომ ქვეყნად ორი სასწაულია — ადამიანი და ბუნება, მაგრამ ისინი ერთმანეთისაგან როდი არიან გათიშული და, მაშასადამე, პოეზიაში უნდა ასახოს არა მარტო ერთიც და მეორეც, არამედ ამასთან ერთად გვიჩვენოს მათი უმჭიდროესი კავშირი და განუყვანლობა. ვინც ბუნებას გადამეტებით უმღერის და ვერ ხედავს ადამიანს, ბუნების ამ მშვენიერებასა და გვირგვინს, იგი უთუოდ სცოდავს ადამიანის წინაშე, მაგრამ ვინც ბუნებას უგულებელყოფს, ვინც გვერდს უფლის მას, იგი სცოდავს ბუნების წინაშეც და ადამიანის წინაშეც, რადგან ბუნებას მოწყვეტილი ადამიანი ისევე უფერული და მკრთალია, როგორც ლოდქვეშ ამოსული, მზის სხივებს მოკლებული მცენარე.

ადამიანისა და ბუნების ერთობლიობის, მათი განუყოფლობის იდეა კოლაუ ნალირაძემ ძლიერ კონდესირებულად გადმოგვცა ლექსში „პოეტს“, რომელშიც მან ზოგადად ჩამოაყალიბა თავისი ძირითადი ესთეტიკური შეხედულებანი, ესთეტიკური მისწრაფებანი. ფრიალ საგულისხმოა, რომ ეს საპროგრამო ლექსი იწყება

სწორედ იმის ხაზგასმით, რომ პოეტს ერთდროულად უხედავს ცხოვრება ადამიანთა საზოგადოებაშიც და ბუნებაშიც და ამიტომ მოვალეა მხედველობიდან არ გამოიჩინოს არც ადამიანი და არც ბუნება:

ადამიანის და ბუნების წინაშე მდგომმა,  
ამ ორ სასწაულს უღიადესს უცქირე  
ხარბად.

რა თქმა უნდა, თავისთავად ასეთი პოზიცია ადამიანისა და ბუნების ურთიერთობაში სრულიად არ არის უცხო არც მსოფლიო და არც ქართული ლიტერატურისათვის. საკმარისია დაეხსახელოთ გენიალური ვაჟას პოეზია, რომელშიც ბუნება და ადამიანი ისევე განუყოფელია, როგორც თვით სინამდვილეში, მატერიალურ სამყაროში. მართალია, ვაჟას სწორად უწოდებენ ბუნების მგოსანს, მაგრამ არა იმ გაგებით, რომ იგი თითქმის მარტო ბუნებას უმღეროდა და მის პოეზიაში არ ჩანდა ადამიანი, არამედ იმ საოცრად დიდი, არაჩვეულებრივი მხატვრული ძალის გამო, რომლითაც უკვდავი ქართველი პოეტი ბუნების ცალკეულ დაუვიწყარ სურათებს ქმნიდა. ბუნება და ადამიანი ასევე განუყოფელია ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ალ. ყაზბეგისა და სხვა ქართველ კლასიკოსთა შემოქმედებაში, რაც იმას მოწმობს, რომ ადამიანისა და ბუნების ურთიერთობის პრობლემას კოლაუ ნალირაძე განიხილავს ქართული ლიტერატურის უმდიდრესი ტრადიციების შესაბამისად და გვევლინება ამ საუკეთესო, ჯანსაღი ტრადიციების ერთ-ერთ მანმგრძობელ ახალ ისტორიულ ვითარებაში.



ტრადიციების განგრძობა, ცხადია, არ ნიშნავს რამე ეპოგონობას, როგორც ზოგიერთ „მოღერნისტს“ ჰგონია. ეპოგონებს ბადებს არა ტრადიციის ერთგულება, არამედ დამოუკიდებელი მხატვრული აზროვნების უქონლობა. თუ ტრადიცია პროგრესული და ჯანსაღია, ხოლო შემოქმედელი — ჰემარტიტ ხელოვანი, იგი ხელს კი არ უშლის, პირიქით, ეხმარება მას შექმნას ეპოქის სულისკვეთების გამომხატველი, თავისი ინდივიდუალური იერით განუმეორებელი უნიკალური მხატვრული ნაწარმოები, რადგან ნამდვიელ ხელოვანს ტრადიციულში აუცილებლად ვეჭვს თავისი სულის ნაწილი, ინდივიდუალობა, რაც მკვეთრად გამოხატულ სპეციფიკურ ელფერს აძლევს მის თხზულებებს. ტოლსტოიცი და ბალზაკიცი უარესად ერთგული იყვნენ რეალისტური ლიტერატურის ტრადიციებისა და ხელმძღვანელობდნენ ერთი და იგივე — რეალისტური პრინციპებით, მაგრამ ამის გამო ისინი არავის მიუჩნევენა ეპოგონებად. ეს იმიტომ, რომ ერთსა და იმავე პრინციპს შეუძლია ლიტერატურაში მოგვეცეს უთვალავი სახესხვაობა, სულ სხვადასხვა ხასიათის ნაწარმოებები, რომლებშიც საერთოსთან ერთად იქნება კერძოც, მსგავსთან ერთად — განსხვავებულებაც. თუ კი, რასაკვირველია, ხელოვანის მხატვრული აზროვნება დამოუკიდებელი, ორიგინალური და თვითმყოფელია. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ მწერლის ბუნებრივ ნიჭთან ერთად აქ უდიდესი მნიშვნელობა აქვს ეპოქას, ისტორიულ პირობებს, რომლებიც თავისებურ დაღს ასვამენ ლიტერატურის ამა თუ იმ ნაწარმოებს.

საბედნიეროდ, კოლაუ ნადირაძე თავიდანვე გამოირჩეოდა საკუთარი ხმით, მუდამ ჰქონდა და აქვს ზედვის საკუთარი არე, ამასთან მოღვაწეობს ახალ ისტორიულ ვითარებაში, სოციალისტურ საზოგადოებაში, რამაც განაპირობა მისი პოზიციის მთელი რიგი თავისებურებანი და საშუალება მისცა პოეტს არა მარტო დაეცვა, არამედ განეგრძო და გაემდიდრებინა ქართული კლასიკური ლიტერატურის უმდიდრესი ჯანსაღი ტრადიციები, მათ შორის ადამიანისა და ბუნების ურთიერთობის პოეტურ ასახვაშიც. მთავარი და ძირითადი ამ თავისებურებათაგან ის არის, რომ პოეტი ბუნებას უპირველეს ყოვლისა აღიქვამს როგორც მშრომელ ადამიანთა სარბოელს, სამოქმედო ასპარეზს, ხოლო ადამიანს — როგორც ბუნების გვირგვინს, მის მეუფეს, რომელიც იმორჩილებს, გარდაქმნის და ამშვენებებს ბუნებას, წარმოადგენს რა ამავე დროს ბუნების განუყოფელ შემადგენელ ნაწილს. ამით აიხსნება, რომ კოლაუ ნადირაძეს ნაკლებად იზიდავს „წმინდა“ პეისაჟი და თითქმის ყოველთვის ბუნების სურათებს ხატავს ადამიანთან ერთად, მასთან მჭიდრო კავშირსა და ურთიერთობაში. ყველაზე უკეთ ეს ჩანს იმ ლექსებში, რომლებიც პოეტმა საქართველოს

ერთ-ერთ ულამაზეს და აყვავებულ, ვარდისფერ ბუჩქს აპირებს მიუძღვნა.

როცა კითხულობთ კოლაუ ნადირაძის ლექსის „ბათუმის ბაღთან“ პირველ ტავეებს, გეგონათ, რომ პოეტს მიზნად დაუსახავს გვიჩვენოს ქალაქის საქვეყნოდ სახელგანთქმული ზღვისპირა პარკის სილამაზე და მშვენიერება. შავი ზღვის მომხიბლავი ხედი და ზღვაზე მზის ჩასვლის გრანტიოზული სურათი. მაგრამ მაღე, როგორც მოსალოდნელი ყყო, ლექსში ჩნდება ადამიანი — ქაბუკი მენავე, უკიდევანო ზღვის მეუფე, რომელიც ლაღად დააქროლებს ნავს და თან მღერის, რადგან თავისუფალი და ბედნიერი, ახალი ცხოვრების მშენებელია. იგი ამ მშენებევაში განსახიერებს თავისი აწყობითი უაღრესად კმაყოფილ და კიდევ უფრო ბრწყინვალე მომავლისათვის მტკიცედ მებრძოლ მთელ საბჭოთა ხალხს, რასაც პოეტი სავანებოდ უსვამს ხაზს:

ტალღების ქაფი იცრება ქვეშო.  
შორს დარჩა ზამთრის უამინდობა.  
და მღერის ქაბუკ მენავის ხმებში  
ხალხის შრომა და ქვეყნის მშვიდობა.

ხალხის ეს შრომა, ბუნებას რომ გარდაქმნის და ახალ იერს, ახალ სახეს აძლევს, ალამაზებს და ამშვენებებს. აპირის წარმტაცი ლანდშაფტით, მისი სიმდიდრითა და ბარაქით, მისი მშრომელი, გამრჯე ადამიანებით მოხიბლული პოეტი „ბუნებისა და სიცოცხლისადმი რაღაც სხვაგვარი გრძობით“ ინთება, სულში ეღვრება სიმშვიდე და სინახე, სურს დედამიწაზე ყველა ადამიანი ისე ბედნიერად და ლაღად ცხოვრობდეს, როგორც საბჭოთა ადამიანები, კურთხეული მხარის — აპირის მშრომელები. „მე მინდა ყველას ხელი ჩაეჭიღო, მინდა ამქვეყნად არცინ გმინადესო“, ამბობს პოეტი და, აღტაცებული თავისი სოციალისტური სამშობლოთი, სიდაც დიდი ხანა მოისპო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, ადამიანთა გმინვა და ვაბაჟ, ყველას უღიმის, ყველას შეხარის, ვინც კი გზად შეხვდება, რადგან იცის, რომ ყველაფერი, რაც ხილავს მას აქ, აპირაში და საერთოდ ჩვენს ქვეყანაში, მათი, მშრომელი ხალხის მარჯვენის ნახელავია, მათი გმირული შრომის, ბუნებაზე გაბატონების ნაყოფი და შედეგია, თვით ბუნების სილამაზეც კი:

ნეტაც, ვინ ფანტავს მარგალიტს ამდენს,  
ნეტაც, ვინ მაწუღის ამდენ საუნჯეს?  
აპირის სერებს ამართულს ცამდე  
რა ასხივოსნებს და რა ალურჯებს?  
ადამიანის შრომა და გარჯა  
ვონებას ხიბლავს, ენას ამუნჯებს!  
ნეტაც, ვინ ფანტავს მარგალიტს ამდენს,  
ნეტაც, ვინ მაწუღის ამდენ საუნჯეს?  
(„როცა ვარდისფრად სუნთქავს პაერი“)



თითქოს ყველაფერი თქვა, პირდაპირ მიგვი-  
თითა, თუ ვინ ქმნის ამდენ მარგალიტს, ამდენ  
საუნჯეს, რა ასხიონუნებს და ალაშქრებს აჭარის  
ბუნებას, აჭარის სერებს — „ადამიანის შრომა  
და გარჯა“, მაგრამ პოეტი ამით არ კმაყოფილ-  
დება და ცდილობს უფრო კონკრეტულად გვი-  
ჩვენოს თუნდაც ერთი მშრომელთაგანი. აი  
ამიტომ იგი საგანგებოდ ხატავს მეჩაიე გოგო-  
ნას, რომელიც, მართალია, სულ ერთი წამით  
გამოჩნდება ლექსში მეჩაიესათვის დამახასია-  
თებელი თავსაფრით და ზედნეირი ადამიანის ღი-  
მილით, მაგრამ მაინც არ გვავიწყდება, იმდენად  
კოლორიტული და შთამბეჭდავია პოეტის მიერ  
შექმნილი მხატვრული სახე.

ბაღების ახლოს, ჩაის ბუჩქებთან  
შემომხვდა გოგო თავსაფრიანი;  
იღიმებოდა, გულში უჩქევდა  
ამ გაზაფხულის დილა მზიანი.  
რა სჯობს, როდესაც ნათელი სახით  
ღიმილს გაჩუქებს ადამიანი?  
ბაღების ახლოს, ჩაის ბუჩქებთან  
შემომხვდა გოგო თავსაფრიანი.

როგორც იტყვიან, პოეტი აქ კალმის ერთი  
მოსმით ისეთ ცოცხალ მხატვრულ სახეს ხატავს,  
რომ რამდენიმე ტაბის შემდეგ, როცა კითხვას  
სვამს: „ნეტაიე გული, თუ სიღრმე. ცისა უფრო  
უძირო და წმინდა არი?“, მაშინვე კვლავ თვალ-  
წინ წარმოვიდგებათ თავსაფრიანი უბრალო მე-  
ჩაიე გოგონა, მისი გაზაფხულის მზიანი დილით  
აჩქეფებული გული, თავისი უძიროობითა და სიწ-  
მინდით, ცის სიღრმესაც რომ უწყევს მეტოქეო-  
ბას! და რა საკვირველია, თუ ნანახითა და ვანც-  
დილით აღფრთოვანებულ პოეტს ახალი ძალით  
ეუფლება პატრიოტული გრძობა და ლექსს ამ-  
თავრებს მაკორული აკორდით, აჭარისა და სა-  
ერთოდ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ქე-  
ბათა-ქებით:

კურთხეულ იყოს ეს ტურფა მხარე,  
კურთხეულ იყოს სამშობლო ჩვენი.  
გამოდით ყველა სიმღერით გარეთ,  
დატკბეთ ფრინველთა გალობის სმენით.

მშრომელმა ადამიანმა არა მარტო, აჭარას უც-  
ვალა სახე, არა მარტო მისი ბუნება გარდაქმნა.  
ასეა ყველგან, ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს  
ყველა კუთხეში. აი თუნდაც ძველთაძველი კო-  
ლხიდა! როგორ ძირფესვიანად შეიცვალა იგი  
საბჭოთა ხელისუფლების წლებში, როგორ გარ-  
დაიქმნა და აყვავდა, სულ სხვა იერი და სულ  
სხვა სილამაზე მიიღო. იხსენებს რა მთელ  
მსოფლიოში ფართოდ ცნობილ მითს არგო-  
ნატებზე, კოლაუ ნადირაძე ხაზგასმით აღნიშ-  
ნავს, რომ ახალი კოლხიდა სულ „სხვა სასწაუ-  
ლის მოწამე ხდება“, რომ „აქ თითქოს მიწა  
ხელახლა ჩნდება და მზეც პირველად ამოდის  
ცაზე!“ ეს იმიტომ, რომ საბჭოთა ადამიანის  
მარჯვენა გააჭრა და მოსბო საუკუნეობრივი

პაობები, საშინელი სენი ციებ-ცხლებზე ხელს  
რომ მუსრს ავლებდა, და გაუფერო ქაბუღი  
მდვილ წალოტად, აყავებულ მხარედ აქცია.  
ბუნება იძულებული გახდა დამორჩილებოდა  
კომუნისმის მშენებელთა ნებას და ხალხის სამ-  
სახურში ჩამდგარიყო. დედამიწამ გადაიხსნა  
გული და თავისი წიაღის მიელი სიმღიდრე ახა-  
ლი ცხოვრების დამამკვიდრებელ ადამიანებს,  
ჩვენი დროის სახელოვან გმირებს გადასცა:

თითქოს ლეგენდა ცოცხლდება ისევე  
და დედამიწა სიმღერას ამბობს,  
პირველ სხივებით უბეებს ივსებს  
და პირველ თავის ნაყოფსაც ატკბობს.  
ზღაპრული ოქრო ამოაქვს თითქოს,  
რომ ის უბრძოლოდ დაუთმოს იმათ,  
ვინც გრძობს ახალი ცხოვრების სითბოს,  
ახალ ცხოვრებას გაბმია სიმაღ!

(„ორფეოსის სიმღერა“)

ბევრ სხვა ლექსშიც პოეტმა თავისი ლირი-  
კული გმირი წარმოვიდგინა როგორც ბუნების  
მბრძანებელი, გარდამქმნელი და გამამშვენებელი.  
რითაც ახალი ნიშან-თვისებებით გაამდი-  
დრა მისი სულიერი სამყარო. მაგრამ კოლაუ  
ნადირაძე როდის კმაყოფილდება ერთი ფერით  
და ადამიანის დამოკიდებულებას ბუნებასთან  
გვიჩვენებს სულ სხვადასხვა ასპექტში.

მართლაც, ბუნება განა მარტო შრომის საარ-  
ბიელია, ხოლო ადამიანი მარტო მბრძანებელი  
და გარდამქმნელი ბუნებისა? რა თქმა უნდა, არა,  
ბუნება ამავე დროს სიცოცხლის სამეფოცაა,  
ადამიანი კი მისი შემადგენელი ნაწილი, მისი  
ღვიძლი შეილი. ხომ იყო დრო, როცა დედამი-  
წაზე არათუ ადამიანი, სიცოცხლეც არ არსე-  
ბობდა. სიცოცხლეც და ადამიანიც ბუნებამ წარ-  
მოშვა თავის უსასრულო განვითარებაში. სი-  
ცოცხლის, შედეგ კი ადამიანის გაჩენა დედა-  
მიწაზე უდიდესი მოვლენა იყო მთელ სამყა-  
როში და მან, ცხადია, პოეტის განსაკუთრებული  
ყურადღება მიიქცია. ლექსში „ზღვის პირას“  
კოლაუ ნადირაძე ცდილობს წარმოვიდგინოს,  
„იდუმალ ძალით“ იგრძნობს ის ზედნეირი დღე,  
ზედნეირი დილა, „როცა სიცოცხლე პირველად  
განჩნდა!“ ეს დღე, ეს დილა მას მოაგონა პატა-  
რა ბავშვმა, რომელმაც ზღვის პირას ნამიან სი-  
ლაზე გაიარა და თავისი „ტერფების კვალი“  
დააჩინა დედამიწას. ოდესღაც, მრავალი მილიონ  
წლის წინათ, ალბათ, ასევე გაიარა პირველმა  
ცოცხალმა არსებამ ხმელეთზე და თავისი პირვე-  
ლი კვალი თუ ნატერფალი დატოვა. დრომ იგი  
წაშალა, როგორც წაშლის ზღვის პირას ნამიან  
სილაზე დღევანდელი ბავშვის პაწა ტერფების  
კვალს, მაგრამ სიცოცხლე კვლავ თავისი გზით  
წავა, კვლავაც დაუსრულებლად იდგნ.

მასასადამე, ადამიანი ბუნების არა მარტო  
მბრძანებელი და გარდამქმნელია, არამედ მისი  
ნაწილიც, მისი ღვიძლი შეილიც, ხოლო ეს იმას



ნიშნავს, რომ იგი ისევე მოკვდავია, როგორც ყველა სხვა სულდგმული. საშინელი ზამთარი და სიკვდილი თანაბრად მოეღის ყველა ცოცხალ არსებას, ადამიანი იქნება იგი, ცხოველი, ხე თუ ყვავილი, რადგან სიცოცხლე რომ გაჩნდა, მას მაშინვე გვერდით ამოუდგა სიკვდილი. და ვასაგებია, თუ რატომ ამბობს პოეტმა: „მე ვტირი, როცა სულდგმული გმინავს, და საწყალ პირუტყვს ხელს ვუსვამ თავზე“ („უკვე ორმოცდამთხი წელია“), ვასაგებია ის ღრმა ადამიანური სევდა-ნადველი, რასაც პოეტის გულში აღძრავს სიკვდილის გარდუვალობა. მაგრამ კოლაუ ნადირაძე არასოდეს არ ყოფილა ამაოების ქადაგი. იგი მუდამ სიცოცხლეს და ქმნადობას უმღეროდა და არასოდეს არ უფიქრია, რაკი სიცოცხლეს გარდუვალად თან სდევს სიკვდილის აჩრდილი, იგი ამაოება და უაზრობაა.

თუ კი სიკვდილს შეუძლია მოსხის სიცოცხლე, მაშ რატომ ჰყვავის სიცოცხლე ყველგან — ხმელეთზეც, ჰაერშიც, წყალშიც? არა, სიცოცხლე მარადიული და უსასრულოა, როგორც სამყარო. ვარდებუნენ თაობები, ვაილიან საუკუნენი, მაგრამ სიცოცხლე მუდამ დარჩება, მუდამ იზივებს თავის დაუსრულებლობას. განსაკუთრებით მკაფიოდ, ნამდვილად კლასიკური ოსტატობითა და სიხადით გამოთქვა ეს იდეა კოლაუ ნადირაძემ სულ ოთხსტროფიან ლექსში „ხის სიკვდილი“, რომელიც წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს და მუდამ დარჩება ქართული პოეზიის საგანძურში როგორც პაწია მარგალიტი:

ტყეში პატარა ამბავი მოხდა  
მოულოდნელი და უცნაური:  
ასი წლის მუხა უეტრად მოკვდა  
და შეწყდა მისი ფოთოლით ხმაური.  
იღვა ზაფხული. ამწვანებულ  
ტყე იყო სავსე ჩუმი სიგრილით,  
ნიათის ქროლვით აქლერებულთი,  
ამღერებულთი მზითა და დილით.  
მხოლოდ მზიარულ ჩიტებს უკვირდათ  
გამოყვითლებდა ფოთლების ჩქარი,  
ოქროს ფოთლებით მკვდარი ხე წვიმდა,  
ფოთლებს შრიალით ფანტავდა ქარი.  
და ისევ ისე ამწვანებულ  
ტყე იღვა სავსე ჩუმი სიგრილით, —  
ნიათის ქროლვით აქლერებულთი,  
ამღერებულთი მზითა და დილით.

რა უბრალოდ, რა მხატვრული ძალით გადმოგვცემს თვითმული სტრიქონი სიცოცხლის მარადიულობას, სიცოცხლის ზეიმს, თუმცა ლექსი იმაზე მოგვითხრობს, თუ როგორ მოკვდა ასწლოვანი ხე უღრან ტყეში. დიახ, ხე კვდება, მაგრამ ტყე რჩება, ისევ ცოცხლობს და შრიალებს, ისევ ჰიკიკებენ მზიარული ჩიტუნები. ერთი წუთი რაა მარადისობაში, მაგრამ ტყის სიცოცხლე ერთი წუთითაც არ შემდგარა —

მის ცხოვრებაში ასი წლის მუხის მოულოდნელი სიკვდილიც კი მხოლოდ და მხოლოდ „ტარა ამბავი“, უმნიშვნელო რამ იყო. რა ვუყოთ, თუ მუხა მოკვდა, — სადაც სიცოცხლეა, იქ სიკვდილიცაა. ისინი ერთი მეორის გვერდით არიან და ერთმანეთს ისე ებრძვიან, როგორც მოსისხლე მტრები. და მაინც სიკვდილი მხოლოდ უმნიშვნელო ეპიზოდია, წამიერი მომენტი სიცოცხლის დაუსრულებელ დინებაში. მაგრამ სულთ ერთიარად კვდება ადამიანი და სხვა სულდგმული, თუნდაც ხე ან ყვავილი? ნუთუ ადამიანიც ისევე უკვალოდ ქრება, როგორც მუხა უსიერ ტყეში და მისგან არაფერი რჩება, გარდა მტვერისა და ფერფლისა?

ამ კითხვას კოლაუ ნადირაძემ პირდაპირი პასუხი გასცა ერთ-ერთ ბოლოდროინდელ ლექსში „ომარ ხაიამ“. როგორც ცნობილია, დიდი ირანელი პოეტი ბევრ თავის რომაიში ამტყეცებდა, „ფერფლი ვართ, მხოლოდ ფერფლი, ნამსხრევნი თიხისა“ და ამაოების შემზარავი შეგრძნებით სიმშვიდე და მოსვენება უკრთებოდა. მაგრამ თუ ადამიანი მართლაც მხოლოდ თიხა, მტვერი და ფერფლია, როგორ მოხდა, რომ თვითონ ომარ ხაიამი, რომელიც საუკუნეთა წინათ გარდაიცვალა, თავისი ლექსებით დღესაც ესაუბრება მილიონობით ადამიანს დედამიწის პეველა კუთხეში? და სასვებით მართალია ადამიანი, როცა ლექსის დასკვნის სტროფებში ეუბნება ომარ ხაიამს:

ევ ხომ მარადი შენი სული  
ლექსად მეტყველებს,  
ევ ხომ მარადი შენი სული  
ჩვენ გვიწვდის ხელებს!  
მაშ, არ ყოფილხარ მხოლოდ თიხა,  
ფერფლი და მტვერი!  
ომარ ხაიამ, კიდევ რაღაც  
დარჩა და მღერის!

(„ომარ ხაიამ“)

ის, რაც „დარჩა და მღერის“, რა თქმა უნდა, მარადი სულია, ე. ი. შემოქმედება, კეთილი საქმე, კეთილი სახელი, რომელსაც ფიზიკური სიკვდილის შემდეგ ტოვებს ადამიანი აქ, დედა მიწაზე. სხვათაირად რომ ვთქვათ, ადამიანს ფიზიკურთან ერთად სულეირი ცხოვრების უნარიც აქვს და სწორედ ამით განსხვავდება იგი ყოველი სხვა სულდგმულისაგან, ბუნების ყველა სხვა შეილისაგან. ადამიანი ყველაზე გონიერი და ერთადერთი მოაზროვნე არსებაა ბუნებაში. იგი ქმნის, აშენებს, კეთილ საქმეს ემსახურება და ამიტომ ფიზიკური სიკვდილის შემდეგ რჩება მისი სხონა, მისი საქმე და, მათადამე, გარდაცვალების შემდეგაც განაგრძობს არსებობას ხალხის მეხსიერებაში. ამდენად, ადამიანის ფიზიკური სიკვდილი ჯერ კიდევ არ ნიშნავს მის სრულ სიკვდილს, რამდენადაც შეუძლია განაგრძოს სიცოცხლე სხვა ადამიანების ხსო-



ენაში. სიკვდილს მხოლოდ ის შეუძლია მოსპოს, ვისაც ნამდვილი სიცოცხლე არ განუცდილია, ვინც არ ამძლევებულა იმ იდეამდე, რომ სიცოცხლე ადამიანს ეძლევა კეთილი, საშვილიშვილო საქმისათვის, რომ იგი დიდი მოვალეობა და არა უაზრო არსებობა, ფუქსავატური დროსტარება. რა ფასი აქვს, რადღირს ისეთი სიცოცხლე, თუ გული არ გრძნობს,

რომ ამ დიდ ბალში მზრუნველი ხელით თუნდაც ერთი ხე შენც გაქვს დაგვლი.  
(„თბილისში“)

ამ გაგებით ადამიანი ერთდროულად მოკვდავაც არის და უკვდავიც. მოკვდავია იმდენად, რამდენადაც ბუნების ნაწილია, მისი შვილია და ფიზიკურ სიკვდილს ვერსად წაუვა, როგორც ყოველი სულდგმული, ხოლო უკვდავია იმდენად, რამდენადაც სულიერი ცხოვრება აქვს და, თუ ისე იცოცხლებს, როგორც საქირათა, შეუძლია შეუერთდეს მარადისობას, განდეს მისი ნაწილი. ვანა საქართველო ოდესმე დაიფიწყებს ღმირტი თავდადებულს ან ცოტნე დადიანს, სამას არაგველს ან ცხრა ძმა ხერხეულიძეს, შოთა გამცემლიძეს ან ისრაფილ ჯიჰარაძეს? ისინი ისევე უკვდავი არიან, როგორც სიცოცხლე, როგორც მათი საგმირო საქმენი. ასეთი ადამიანები, არათუ კვდებიან, არამედ, პირიქით, თვითონ ამარცხებენ სიკვდილს, თვითონ ზეიმობენ სიკვდილზე გამარჯვებას და უკვდავებასთან წილნაყარი ხდებიან, რადგან, პოეტის სიტყვებით რომ ვთქვათ, „სიკვდილის სიტყბის თან უკვდავების ახლავს დიდება“. მაშასადამე, უნდა გეშინოდეს არა სიკვდილისა, არამედ უსარგებლო და უაზრო სიცოცხლისა, როცა არსებობ, მაგრამ არაფერს არ ქმნი, არავითარი წვილილი არ შეგაქვს საერთო-სახალხო საქმეში, კაცობრიობის წინსვლაში, ე. ი. თუ არა გაქვს სულიერი ცხოვრება. ამიტომ არის, რომ ის ადამიანი, ვინც ღირსეულად ცხოვრობს და მთელ თავის ნიქს, ენერჯიას უანგაროდ ახმარს მშობლიურ ხალხს, საყვარელ მამულს, — სიკვდილს მხნედ, ვაჟაკურად, სრული სიმშვილით ხვდება, როგორც გარდუვალ აუცილებლობას, რეალურ ფაქტს, რომლის გარდავლენა არცერთ მიწიერს არ შეუძლია. ტყუილად კი არ ნატრობს პოეტი, ფიზიკურ სიკვდილს ისევე მშვიდად და ვაჟაკურად შეხვდეს, როგორც ხვდებიან თავიანთი სიცოცხლის ზამთარს ოდესღაც მძლავრხმანი, მეფურად ტოტებგაშლილი, მაგრამ დროთა მდინარებით დღეს ტანდაკორძებული დიდი ჰადრები, მისი ახალგაზრდობის მეგობრები. ასეთი დატოვება სიცოცხლისა სიკვდილზე, სიკვდილის შიშზე გამარჯვებაა და ჩვენთვის საყვებით გასაგებია პოეტის მისწრაფება, როცა მრავალჯერ გრიგალგამოვილ და ნამეხარ ჰადრებს მიმართავს:

ო, მეგობრებო წარსულ დროების ფოთლები მკვდარი გადამაყარეთ გაჰფანტეთ სევდა დანაგროვები, მომეალერსეთ და გამახარეთ, რომ მეც უშიშრად და გაბედულად ჩემს ზამთარს შევხვდე თქვენთან; ხეებო, და ვთქვა: „გმორდებით უსაყვედუროდ, ახალგაზრდობის ოქროს დღეებო!“  
(„ჰადრები“)

ამრიგად, თუმცა ადამიანი ბუნების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი და მისი ღვიძლი შვილია, მაგრამ მაინც არ შეიძლება იგი გავიგვივინოთ თუ გავათანაბროთ სხვა სულდგმულთან და ბუნებას ისეთივე ნაწილად, ისეთივე შვილად მვიჩინოთ, როგორც, ვთქვათ, ცხოველი, ხე, ბუჩქი თუ ყვავილი. ადამიანი ბუნების შვილიცაა და მისი მეუფეც, მისი დიდება და მშვენება, მისი გვირგვინი და სიამაყე, მორე მხრივ, ბუნება არა მარტო შრომის სარბიელია, არამედ სიცოცხლის, სამეფოც. იგი სიცოცხლეა, სიცოცხლის ზეიმი, მასში ყველაფერი სიცოცხლით სუნთქავს და მღერის; ანუ, როგორც პოეტი ამბობს:

მარად ნორჩი და მარად უკვდავი ბუნება ირგვლივ სიცოცხლეს ძერწავს...  
(„როცა ვარდისფრად სუნთქავს ჰაერი“)

ლიხ, ასეა, „მარად ნორჩი და მარად უკვდავი ბუნება“ განუწყვეტლივ ძერწავს სიცოცხლეს და, მაშასადამე, მარადისობისა და სიცოცხლის ჭურჭელია, და მთელი თავით მალა დგას ყოველგვარ წუთიერსა და წარმავალზე. ადამიანიც, როგორც ბუნების ღვიძლი შვილი, ვალდებულია, მოვალეა აგრეთვე ამალდეს წუთიერსა და წარმავალზე და ისე იცოცხლოს, რომ შეუერთდეს მარადისობას. ასეთ მალა, წმინდა იდეალებით აღსავსე სიცოცხლეს უმღერის პოეტი ერთ-ერთ თავის ლექსში, რომელშიც კოლხიდის განუმეორებელ და ულამაზეს საღამოს ხატავს.

აჰ, საღამოც აშრილდა მშვიდი და სათნო; ცხრება ნელი-ნელ ელვარება ზაფხულის დღისა; გაფანტულ ღრუბლებს მზე სხივებით სიცრეში ადნობს და ბუტბუტებენ დაბურვილი ფოთლები ტყისა. კიდევ წუთი და აინთება ცაში ვესპერო, დაიტვირთება ვარსკვლავების მტენებით ღამე, თითქოს მას სურდეს სიმალიდან მიწას ეფეროს და ადამიანს მოაფინოს ზეცის სიამე! ამაღლი სულო, შეუერთდი შენც ამ სამყაროს, დაჰკმე წუთიერ და წარმავალ გრძნობათა ზრახვა, —

რომ ეზიარო პარმონის უძირო წყაროს,  
რომ პპოვო სიბრძნე იმ ფოთოლშიც,  
ხეზე რომ გახმა!  
(„კოლხეთის საღამოები“)

ბუნებისა და ადამიანის ურთიერთობაში არის კიდევ ერთი მხარე, რომელსაც კოლხე ნადირაძე განსაკუთრებით გამოყოფს: ბუნება შთააგონებს და აღფრთოვანებს ადამიანს, ეხმარება მისი სულის მოძრაობას, მის სულისკვეთებას, როგორც ნამდვილი მეგობარი და მისწრაფებათა თანაზიარი. იყო დრო, როცა პოეტის ლექსებში სისინებდა ცივი ქარი, ისმოდა თოვლის შრიალი და ცრინდა წვიმა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ქართველი ხალხის ისტორიაში გამოიდარა და ცხოვრება ახალი, სოციალისტური გზით წავიდა, მათი ადგილი დაიკავა მზემ, დილა, ჩიტუნების ჭიკჭიკ-გალობამ. ბუნების დიდმა საგალობელმა პოეტის გულშიც გამოიწია ენა და აღფრთოვანა იგი ისევე, როგორც ფრინველნი, ბუნებას რომ უგალობენ. მან სულგანაბლმა მიუგდო ყური „სიცოცხლისა და მზის მახარობელს“ — მერცხალს, მის საამო მხიარულ ჭიკჭიკს, რადგანაც თეთრონაც გული საესე აქვს უქრედევანო სიხარულით, რადგან ახალი სოციალისტური ცხოვრების დამკვიდრებით ბედნიერს თეთრონაც ეძღვრება:

როცა ფრთოსანმა გაშალა ფრთები  
და გადასცურა ჰაერში რხევით,  
მავთულესს მოსწყდნენ წვიმის წვეთები  
და აღმასებად დაიფრქვნენ ქვეითი.  
და კიდევ დიდხანს სულგანაბული  
თვალს ვადევნებდი ჩემს მახარობელს,  
და ამ ცხოვრების დიდ საგალობელს,  
მზის საგალობელს ამბობდა გული.  
(„დილით“)

მეორე ლექსშიც „თბილისის დილა“ კოლხე ნადირაძე აგრეთვე ბუნებასთან უშუალო კავშირში გადმოგვცემს თავისი ლირიკული გმირის — საბჭოთა ადამიანის სიხარულისა და ბედნიერების დაუოკებელ გრძნობას. დილა აქ განცდილი არა მარტო როგორც ბუნების უღამაზესი მოვლენა, ბუნების სასწაული, არამედ როგორც ჩვენი ბედნიერი ცხოვრების პირდაპირი გამოვლინებაც. ვინ იცის, რამდენი დილა გათენებულა დედამიწაზე, მაგრამ არასოდეს არ ყოფილა იგი ისე მომხიბლავი და სასიამოვნო, ისე წარმტაცი, როგორც ჩვენს დროში. არ ყოფილა და არც შეიძლება ყოფილიყო. ადამიანი ბედნიერი გახდა მხოლოდ სოციალისტურ საზოგადოებაში, როცა მის წინაშე გადაიშალა ნაყოფიერი შემოქმედებითი შრომის ფართო ასპარეზი, უაღრესად ნათელი პერსპექტივები. შემთხვევითი როდია, რომ პოეტი ხაზგასმით აღნიშნავს ამ ფაქტს და ცხოვრებაში ლირიკული გმირის შესვლის რამდენიმე ვარიანტს გვაცნობს. შესაძ-

ლთა, იგი, ლირიკული გმირი, მქსოველი ვახდა,  
ან კიდევ კოლხიდის მზეში გააღული ფრთები  
ლებს კრფეს; ისიც არ არის გამორიცხული,  
რომ სადმე ჩრდილოეთში ძველ უბანზე შრომა  
ამოხონა ყველაფერს. მაგრამ სადაც არ უნდა იყოს იგი, „ეს აღტაცება, ამ დილის ფეთქება, ეს მზე და სითბო. — ამ ცის დიდება თაყზარდამიკები“ ყველგან განუყრელად თან ახლავს და სიცოცხლეს უტკობს.

მაგრამ ბუნება არა მარტო თანაუგრძობს ადამიანს მის დიდ სულიერ აღტკინებაში — იგი თეთრონაც, დამოუკიდებლად ანიჭებს მას უნაპირო სიხარულს. ბუნების სიღამაზე და სიტურფე ახალისებს თვალს, სულიერ სიმშვიდესა და შვებას გვრის ადამიანს, იწვევს ენერჯის ახალ მოზღვავებას. შეიძლება, თამამად ითქვას, რომ ადამიანზე ბუნების სიტურფის ყველაქრული ზემოქმედება ძირითადი მოტივი ვადაქრული ლექსისა, რომლებიც კოლხე ნადირაძემ ჩვენს საყვარელ აჰარას მიუძღვნა. ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან აჰარა, რომლის არცთუ იშვიათი სტუმარიცაა პოეტი, საქართველოს ერთ-ერთი უმშვენიერესი მხარეა განსაუკიდებლად ლამაზი და მრავალფეროვანი ბუნებით.

კერძოდ, აჰარის ბუნების, მისი სიღამაზის ამოღებული ქებათაქებაა კოლხე ნადირაძის ცნობილი ლექსი „თუ ედემს ეძებ...“, რომელსაც წამლდევრეტი აქვს დიდი საბჭოთა პოეტის ვლადიმერ მაიაკოვსკის უკვდავი სტრიქონები, საქართველოს რომ მიჩნევს იმ ზღაპრულ ედემად და სამოთხედ, პოეტები რომ უმღერდნენ საუკუნეთა მანძილზე. ამგვარი ეპიგრაფი, ცხა-დილა, ახალი ძალით ხაზს უსვამს აჰარის ბუნების განუმეორებელ მშვენიერებას. მის თვალს-მომპრელ სიღამაზეს, ადამიანზე მისი ზემოქმედების საოცარ ძალას, მისი ხილვით აღტაცებული და ბედნიერი პოეტი თითქოს მეორედ დააბდა ამ ქვეყანა, თითქოს უკვალდ გაქრა წარსული და დარჩა მარტო დიდებული აწმყო. აქ ყველაფერი ლამაზი და მომხიბლავია, ყველაფერი სიცოცხლითა და უკვდავეთი სუნთქავს:

მართლაც, ეგ ზეცა საფირონს აფრქვევს,  
ზადაგის ტბორში ყვინთაობს არე,  
თუ ედემს ეძებ — შეჩერდი აქვე,  
აქ, სადაც მიწა საკმეველს აქმევს  
და უკვალდების გზით გაიარე, —  
თუ სულ მარტო ხარ,  
თუ ვერსად ვერ ძღვბ,  
თუ ედემს ეძებ!..

მეტად ძლიერი სტრიქონება! ისინი ერთ-დროულად მოწმობენ ადამიანზე ბუნების ზემოქმედების ძალასაც და აჰარისადმი პოეტის დიდი, ამოღებული სიყვარულის ძალასაც. და ასეა ყველა ლექსში, რომლებშიც კი კოლხე ნადირაძემ ასახა ჩვენი მხარის ბუნება და ადა-მიანები. მათგან შეუძლებელია ცალკე არ გამოვყოთ კიდევ ერთი ბრწყინვალე ლექსი „ბა-

თუმისკენ, მწვანე კონცხიდან“. მასში პოეტის ბუნების ცალკეული სურათების ორგანული შეერთებით ისე ხატავს აჭარის გაზაფხულის დიდებულ პანორამას, თითქოს მოზაიკის მხატვარი იყო, რომელიც სხვადასხვა ფერის ქვებისაგან ქმნის დიდებულ სურათს. ამასთან ხაზს უსვამს ბუნების „მკურნალ“ ძალას. ადამიანზე ბუნების განსაკუთრებულ გავლენას. აი ერთი ადგილი ამ შესანიშნავი ლექსისა:

ძილვიძიარდ იდგნენ ზეები თითქოს,  
თითქოს სიზმარში ვხვდავდი არეს.  
კვირტებს აპობდა აპრილის სითბო  
და ყვავილებით ამკობდა მხარეს.  
და როგორც წყლიდან ამომხტარ თევზებს,  
ეუცქერდი სხივებს — ანარეკს ზღვიდან.  
აპრილის დილა აჭარის მთებზე  
გაღომებული ბავშვივით იდგა.  
მზე მაღალ ზეებს თავს უფარცხნიდა,  
გულს შორდებოდა ჭმუნვა და დაღლა.  
აპრილი კვირტებს პერანგს აცილიდა  
და მიეღ ბუნებას მოსავდა ახლად.

სხვათაშორის, აჭარაზე შთაგონა პოეტის ორიოდე ლექსი, რომლებშიც მან „წმინდა“ პეიზაჟები დახატა. როგორც უკვე ვთქვით, კოლაუ ნადირაძეს ბუნება უპირველეს ყოვლისა ინტერესებს ადამიანთან მიმართებაში. ამიტომ მას წაყლებად იზიდავს „წმინდა“ პეიზაჟი. მაგრამ ნახო აჭარა, გაეცნო მის ბუნებას და არ შეეცადო ცალკე ლექსში გადაიტანო მისი განუწერიებელი პეიზაჟები, ისევე უცნაური იქნებოდა, როგორც იმ მხატვრის საქციელი, რომელიც სოფელს მსუყე შემოდგომაზე ესტუმრება და ყალბს არ მოკიდებს ხელს თუნდაც ერთი ნატურმორტის შესაქმნელად. ალბათ, ამით აიხსნება, რომ კოლაუ ნადირაძემ სწორედ ბათუმში დაწერა თავისი შესანიშნავი „ღრუბელი“, სადაც მხოლოდ ბუნებას ეხებათ, ბუნებას უადამიანოდ:

ღამდება, მაგრამ სადაც ზღვის ფარჩა  
ცას უერთდება იისფერ ხაზად, —  
სხივმოელვარე ღრუბელი დარჩა  
დაისის შუქით შემეკული ნახად.  
დარჩა ღრუბელი მოკრძოვილი  
ორი უფსკრულის წინაშე მარტოდ,  
ერთ გამჭვირვალე უცხო ქსოვილი  
გედის ფრთასავით გაშლილი ფართოდ.  
მაგრამ გავიდა წამი და წყნარად  
გაქაა ღრუბელი — ჯავარი მზისა...  
მხოლოდ მოჩანდა უცვლელი მარად  
ზღვის უდაბნო და უფსკრული ცისა.  
ეს უადამიანო ბუნების, „წმინდა“ პეიზაჟის გა-

მომხატველი ლექსი, რა თქმა უნდა, სრულიადაც არ არის მოკლებული ადამიანურ გრძნობებსა და გაცნობებს, მაგრამ ისინი ლექსის მხატვრულ ხანაში, პოეტი მათ შეფარვით გვატყურობს და არა პირდაპირ. „ღრუბელი“ რომ სხვა პოეტს დაეწერა, იგი უთუოდ სხვა განწყობილების შემცველი იქნებოდა. ბუნებას ხომ ყოველი ადამიანი თავისებურად, თავის სულიერ მისწრაფებათა შესაბამისად აღიქვამს. ზოგს უყვარს მქუხარე ჩანჩქერები, ზოგს კიდეც ყველაფერს ურჩევნია პატარა ნაკადულის ნახი რაკრაკი, ზოგს იზიდავს გაშმაგებული თერგის ღრიალი, ზოგი კი მას წყნარად მოდლდუნე მტკერის ბუბუბუტს ამჯობინებს. კაცია და გუნება! კოლაუ ნადირაძე ერთი იმ პოეტთაგანია, რომელსაც მშვიდი, ნაზი ბუნება იტაცებს და არა ქარტეხილი, არა სტიქიონის გუგუნე. იგი მოხიბლული ვასცქერის წყნარ, უძრავ ზღვას და ტკბება მისი ტალღების ნელი შრიალით, ტალღებისა, ბათუმისკენ მწვანე კონცხიდან რომ მოამერებებს ნიავე. დამახასიათებელია, რომ კოლაუ ნადირაძის არც ერთ ლექსში არ გაისმის ადელეგებული ზღვის ტალღების გრიალი, თუმცა ზღვა მის არაერთ ნაწარმოებში ჩანს.

\* \* \*

თავის ერთ-ერთ ლექსში „ბუნების ენა“<sup>1</sup> პოეტი წერს: „ახლა ჩემს ფიქრებს და აღმადრენას მთელმა ბუნებამ გაულო კარი“. მართლაც ასეა, კოლაუ ნადირაძე მხნედ შევიდა ბუნებაში, მიავნო მის გრძნულ ენას და იგი აამეტყველა ადამიანის სულიერი სამყაროს გადმოსაცემად, იმის სათქმელად, რაც „ცხოვრებამ ცხადად“ უჩვენა. მაშასადამე, ბუნებას კოლაუ ნადირაძის პოეზიაში თავისთავადი, დამოუკიდებელი კი არა, დაქვემდებარებული მნიშვნელობა აქვს: ბუნებისადმი ადამიანის მიმართებაში პოეტმა, ერთი მხრივ, შეძლო უფრო სრულად ეჩვენებინა ჩვენი წარმტაცი ცხოვრების სიღიადე, ხოლო მეორე მხრივ, გაეფართოებინა და გაემდიდრებინა ლირიკული გმირის სულიერი ინტერესების სფერო. ვაუხადა იგი კიდეც უფრო მრავალფეროვანი და მიმზიდველი.

1 ეს ლექსი, აგრეთვე კოლაუ ნადირაძის ისეთი ბრწყინვალე ნაწარმოებები, როგორცაა „განთიადი ზღვაზე“, „მზეს“, „ჩემი ვარსკვლავი“ და ბევრი სხვა, ე. წ. ფილოსოფიურ ლექსებს განეკუთვნებიან და გადმოგვეყვებ კოსმოგონურ პროზალებს. მათ შესახებ იხილეთ პროფ. ბენაშვილის წიგნი „გალაქტიონ ტაბიძე, კოლაუ ნადირაძე“, 1961 წ., გვ. 85-94.





## პეპე ხმელაძე

### ლევ მებრელი

ლევ მებრელი დიმიტრი თომას-ძე ხოსტარის ლიტერატურული ფსევდონიმია. მას გამოქვეყნებული აქვს მრავალი ნაწარმოები.<sup>1</sup>

დ. მებრელის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლა ამჟამად რამდენადმე გაადვილებულია, რადგანაც 1948 წელს, თბილისში, სერგი ჭილაიას რედაქტორობით დაიბეჭდა მისი თხზულებების ვრცელი კრებული, სადაც მოთავსებულია 127 ლექსი, სამი პოემა, რვა იგავ-არაკი, ცხრა მოთხრობა და რუსი და უცხოელი მწერლების ცალკეულ თხზულებათა თარგმანები. მაგრამ, სამწუხაროდ, დღემდე სათანადოდ არაა განხილული ლევ მებრელის შემოქმედების ძირითადი მოტივები. 1898 წლის გაზეთ „კვალში“ (№ № 45, 47, 49, 50) პ. გ. ე. ა-მ (პ. ჭარია) თავის „კრიტიკულ შენიშვნებში“ გაარჩია ეგნატე ნინოშვილისა და ლევ მებრელის ნაწარმოებები. 1894 წელს იმავე გაზეთში (№ 45) თავისი წერილით „ფიქრები და შენიშვნები“ დ. ხ-მ (ლევ მებრელი, დიმიტრი ხოსტარია) გაკვრით უპასუხა ეგნატე ნინოშვილს.

პოეტი და პროზაიკოსი ლევ მებრელი დაიბადა 1867 წელს სოფ. სუჯუნაში, აბაშის მახლობლად. განათლების მისაღებად იგი შეიყვანეს ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, ხოლო შემდეგ წარჩინებით დაამთავრა ოდესის უნივერსიტეტი.

1 დ. მებრელის უმთავრესი წიგნებია: „სურათები ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან“, 1891 წ., „ცრემლები“, 1893 წ., „პირველი ტალღები“, 1894 წ., „მწვანე ფიქრები“, 1897 წ., თხზულებანი, 1909-1910 წ., „მწირო სარდალი“, 1915 წ., საყმაწვილო მოთხრობები, 1919 წ., მოთხრობები, 1920 წ., „ჩემი სიტყვა“, 1932 წ., მოთხრობები, 1933 წ. და სხვ.

დ. მებრელი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა გასული საუკუნის 80-იან წლებში. მისი პირველი ლექსი „სადღეგრძელო“ 1885 წლითა დათარიღებული. მწერლობაში იგი გაბედულად მიჰყვებოდა დადი რეალისტური შემოქმედების გზას, შეუფერადებლად გამოხატავდა მეფის-დროინდელ ცხოვრებას, ხალხის ჭირ-ვარამს.

ლევ მებრელის ლექსები თვითღმწე გულმხურვალედ მიიღო ქართველმა საზოგადოებამ. მან უმაღლეს მოიპოვა პოპულარობა, ხალხმა დაიწყო მისი ლექსების სიმღერა, ბევრგან უმალ გაიზვიარეს მისი „მე პატარა ქართველი ვარ, კავკასიის მთების შვილი“ და სიამაყით წარმოთქვამდნენ:

ქართლ-კახეთი, იმერეთი,  
გურია და სამეგრელო —  
ყველა ჩემი სამშობლოა,  
საყვარელი საქართველო.

ასევე, უჩვეულო პოპულარობა მოიპოვა ლევ მებრელის სიტყვებმა:

შეჩვიე ტანჯვას სული და გული,  
ჯოჯობეთის ცეცხლში დამწვარ-დაგული-  
ვერა ბედო, ვერას მიზამ, იწამე;  
მარტო ერთი მომერევა მიწა მე.

1904-1906 წლებში დ. მებრელმა დაწერა რევოლუციური სულსცვეთებით გაელენთილ-მთელი რიგი ლექსები „პატარა სიმღერები“, „ჩვენი თაობა“, „ნუგეში“, „პრომეთეოსი“ და სხვ.

მეფის თვითმპყრობელობას პოეტი სამართლიანად უწოდებდა არაწმინდა, მავნე, მკლურ-ბოროტ სულს და ასე მიმართავდა მას:



ისიც კმარა, რაც მტანჯე, მაწვალე.

აქ კი დრო არის, მეც ვინეტარო!

პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ გამეფებული მძვინვარე რეაქციის პერიოდში დ. მეგრულმა დაწერა ლექსი „შავი ყორანი“ (1909 წ.), სადაც ასე აღწერდა იმ შავნულ ხანას: შავი ყორანი კვლავ თავს დაგვიჩხავის, უბედურებას ისევ გვიქაღის, სჩანს, იმ ზღვა სისხლით რაც დაიღვარა, შეჩვენებული, ვერა გამძლარა!

1911 წელს პოეტი ისევ მებრძოლ სულისკვეთებას ავითარებდა მშრომელ ხალხში: მოკვიდი ვით გმირსა შეენის სიკედილი, — არვის ასმინო ოხერა-ჩივილი...

(„გმირს“)

დ. მეგრელი გარდაიცვალა 1938 წლის 23 მარტს. დაკრძალულია თბილისში, მთაწმინდაზე, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

\*\*\*

როგორც აღვნიშნეთ, დეტუ მეგრელი რეალისტური შემოქმედების პრინციპს აღიარებდა და საგნებსა და მოვლენებს ხატავდა სინამდვილისაგან დაუშორებლად. რეალისტური ხელოვნება, პოეტის საქმის საზოგადოებრივი დანიშნულება განსაზღვრავდა დ. მეგრელის მთელ შოთღვაწობას. თავის ერთ-ერთ აღრინდელ ნაწარმოებში „ყმაწვილი და მგოსანი“ (1886 წ.) პოეტს ასე ესმის თავისი მოვალეობა:

მე მოვედი, რომ დაეუბრუნო ერს ძლიერება,  
მონას, დაჩაგრულს, მოვანატრო თავისუფლება!  
ჩვენ უნდა აღძვრათ ხალხში გრძნობა, გრძნობა მალაღი და მოვანატროთ უკეთესი მას მომავალი!  
მგოსანს აღვლეგებს ხალხის უმწეო მდგომარეობა და მზად არის მოკედეს ბრძოლის ველზე,  
სადაც მრავალნი დამარცხდებიან და დაჩაგრულთა, გამარცხებულთა, დროშანი მალა აიშლებიან.

(„ჩემი სურვილი“, 1889 წ.).

ლექსში „პოეტი“ (1892 წ.) დ. მეგრელს პოეტად მხოლოდ ის მიაჩნია, ვინც ტანჯულია ერის წყლულით და გამსჭვალულია სპეტაკი გრძნობით, ვინც იბრძვის ბოროტების დასაბრუნებად:

პოეტი ლექსს სისხლითა სწერს, ცრემლით ალბობს,  
და ის ლექსი აცოცხლებს მას, კი არ ართობს.

პოეტს არ იზიდავს სახელის განთქმა, ქებათა-ქება.

მაშ, რა მინდა?  
— აზრი წმინდა, —

აცხადებს ის ლექსში „ჩემი სიყვარული“ (1892 წ.).

პოეზიის უტილიტარული გაგება უდევს საფუძვლად დ. მეგრელის ბევრ სხვა ნაწარმოებსაც, როგორცაა, მაგალითად, „მგოსანი“ (1887 წ.), „მამია გურიელის სიკედილის გამო“ (1891 წ.), „კალამს“ (1893 წ.), „ნ. ბართაშვილს“ (1893 წ.), „ჩემი სიმღერა“ (1893 წ.), „ჩემი მუხა“ (1893 წ.), „ე. ნინოშვილს“ (1894 წ.), „მუხას“ (1894 წ.), „პასუხი“ (1894 წ.), „მგოსანს“ (1895 წ.), „აკაკის“ (1895 წ.). მაგრამ პოეტის მიზანი და დანიშნულება დ. მეგრულმა ყველაზე მკაფიოდ გამოხატა ერთ უსათაურო ლექსში (1894 წ.), სადაც იგი გაბედულად აცხადებს:

მინდა ვთქვა რამე, — პირსაკრული ვარ, მინდა გავინძრე, — აღარ მაქვს ძალა, მინდა ვკენსოდე, — ხმა ჩამწყვეტია, მინდა ესტიროდე, — ცრემლი გამშრალა, ოპ, ბარემ მალე გაივსე გულო, გადმონახიე ეგ საწამლაი, რომ მით მოსწამლო ძალა ბოროტი, ყოველ კეთილის ქვეყნად მიავრავი!..

განსაკუთრებით დიდი სიყვარულით სარგებლობდა დ. მეგრელი ნორჩ მკითხველთა შორის, და ამიტომ პირველ რიგში ჩვენც მისი საბავშვო ნაწარმოებები განვიხილოთ.

ლექსი „პატარა ქართველი“ ძალზე პოპულარული საბავშვო ნაწარმოებია. მასში სადა პოეტური ხერხებით, მკაფიოდ არის გამოხატული ქართველი ყმაწვილის იდეალი. პატარა პატრიოტის უბრალო, სამშობლოს სიყვარულით შთაგონებულ სიტყვებში ისმის მთელი ქართველი ხალხის დაუცხრომელი მისწრაფება ეროვნული და სოციალური თავისუფლებისაკენ:

მე პატარა ქართველი ვარ, კაკასის მთების შვილი და ვანცხრომით სხვაგან ყოფნას მირჩენვია აქ სიკვილი!  
ქართლ-ჯახეთი, იმერეთი, გურია და სამეგრელო — ყველა ჩემი სამშობლოა, საყვარელი საქართველო.  
ქვეყნის თვალი, ეს ქვეყანა, ლეთის მშობლისა არის წილი; ბევრ მწარე დღეს მისწრებია და უნახავს ბევრი ტკბილი. ხან თუ მტერი აოხრებდა, იყო მღერელი ცრემლის ცხარის, ბრწყინვალე დღეც დასდგომია, დრო დავითის და თამარის!..  
მე პატარა ქართველი ვარ, სახელოვან ერის შვილი და მსურს მეგრის სასახელო მეც სიცოცხლე და სიკვილი!..

გასაგებია, როდენ ენაბურებოდა ამ ლექსის თვითული სიტყვა ცარიელ რუსეთში სულ-შეხუთული მშრომელი ხალხის გრძნობებს. იგი



იყო მძლავრი პატრიოტული ჰიმნი, რომელსაც ქართველი დედები ჩვილობიდანვე ასწავლიდნენ თავიანთ შვილებს.

ნორჩ მკითხველთა შორის ასევე დიდი პოპულარობით სარგებლობდა დ. მეგრელის მოთხრობა „ქინაქინა“<sup>1</sup>, რომელშიც გადმოცემულია პატარა მიხას სიყვარული ავადმყოფი დედისადმი; პატარა შევირდმა მიხამ თავისი ცოდნით დამსახურა სკოლაში მოწონება, რის გამოც სტუმარმა იგი დასაჩუქრა სურათებიანი წიგნებით და ქინაქინით.

„აუწერტლია ის მზიარულება, რომელსაც გრძნობდნენ როგორც მიხას მშობლები, ისე თვითონ მიხა, ამისი მხოლოდ გრძნობა შეიძლება და არა გამოთქმა“, — წერდა დ. მეგრელი მოთხრობის დასასრულს.

ბავშვის ფსიქოლოგიის საუკეთესო ცოდნით არის შექმნილი დეტუ მეგრელის სხვა საბავშვო მოთხრობებიც, კერძოდ, „კეთილი პეტრე“ და „პატარა ქველმოქმედი“.

დ. მეგრელის შემოქმედებაში ღრმა ნაკადად იყო შეჭრილი პატრიოტიზმი, სამშობლოს სიყვარულის გრძნობა. ახალგაზრდა პოეტი გატაცებით უმღეროდა მშობლიურ მშრომელ ხალხს:

ხელი ჰქეხს, ვადღეგობდით  
დაცემული ჩვენი ერი,  
რომ კვლავ მიინც აღსდგეს იგი  
და შეიქმნეს ბედნიერი...!

ბევრ ლექსში დეტუ მეგრელმა არა ერთგზის გამოხატა ქართველი პატრიოტი დედის მამულიშვილური განწყობილება:

სამშობლოსთვის საბრძოლველად  
გაისტუმრა დედამ შვილი  
და უსურვა გამარჯვება,  
ან გამირული მას სიკვდილი.  
დამარცხება და სიცოცხლე  
მას ვერ წარმოუდგენია, —  
დამარცხებულ შვილის ნახვას

მეგდარი ნახოს ურჩევნია!.. (1900 წ.).

გიორგი ჭალაიძელისადმი მიძღვნილ ლექსში (1898 წ.) პოეტი წერდა:

მამ, ეგ სიმიდრე, საქართველოვ, რის  
მაქნისია?..

მარტო სახელით არის შენი, საქმით  
სხვისია:

როდესაც შენში სხვა ნეტარებს, ერთგულს  
შენს შვილსა

ელის სიკვდილი უტხოვთში გადახვეწილსა.  
ქართულ პატრიოტულ პოეზიაში თვალსაჩინოდ  
ადგილი უკავია დ. მეგრელის ლექსებს „ორი  
დედა“ (1893 წ.), „გაზაფხული“ (1893 წ.), „სა-

ქართველო“ (1906 წ.), „ნუ სტირი (1915 წ.)  
„სამშობლოსაკენ“ (1912 წ.), „სამშობლოსაკენ“  
გვექვს“ (1916 წ.) და პოემას „გმირი დედა“  
(1896 წ.).

ერთი სიტყვით, მართებულად უნდა მივიჩნიოთ ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში გავრცელებული აზრი, რომ დ. მეგრელის ლექსები ქართველ ხალხში აღიქმებდა ეროვნულ თვითშეგნებას და მოუწოდებდა თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრებისათვის საბრძოლველად. აი ამიტომ ბევრმა მათგანმა უქცნობი სიცოცხლე დამიკვიდრა ქართულ პატრიოტულ პოეზიაში.

უსაზღვროდ უყვარდა რა თავისი მრავალტანჯული სამშობლო — საქართველო, მისი აწმყო პოეტს უზომო ცრემლს აღვრევიებდა. მაგრამ იგი ერთი წუთითაც არ კარგავდა უკეთესი, ბედნიერი მომავლის იმედს და გამარჯვების რწმენით აღფრთოვანებული წერდა:

სამშობლოვ, რისთვის შეწუხებულხარ?...  
ნუთუ არ იცი, რომ ეს დროც შავი,  
ვით წინანდელი, მალე გაქრება;  
კვლავ გაგიღივებს ბედის ვარსკვლავი,  
კვლავ მოგეცემა თავისუფლება?

ასრულდა პოეტის ეს იმედი: საბჭოთა ხელისუფლებამ მის სამშობლოს გაუთენა ნათელი დღე. უკვე ხანდაზმულმა, მოხუცმა მგოსანმა დაწერა სასიმიდრო ლექსი „ქართული ლაშქრული“. მასში დეტუ მეგრელმა გვიჩვენა მებრძოლი გმირი ხალხი, რომელიც აგებს ახალ თავისუფლების სამყაროს. ამავე ლექსში მან გამოხატა მთელი საბჭოთა ხალხის ნება-სურვილი:

ვეიცავთ სახელს წინაპართა,  
მედგრად დავხვდეთ მომხვედურ მტრებსა  
და შეუვალ ურყევ ზღუდედ  
შემოვერტყათ ჩვენს საზღვრებსა.

მსოფლიან პოეტს დიდად ახარებდა საბჭოთა საქართველოს წარმატებები და თავისი ლექსებით გამოხატა მთელი ქართველი ხალხის მადლობის გრძნობა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლებისადმი.

სიხარულის ეს გრძნობა პოეტმა შესანიშნავად გამოხატა თავის წიგნებში „ჩემი სიტყვა“ და „მუშები საქართველოში და შრომის გმირი ხოშტარია“.

მშრომელ მასებთან უახლოესი კავშირი, მისი აზრების, გრძნობებისა და ყოფის გამოხატვად. მეგრელის სახელს მუდამ აცოცხლებს ქართული ლიტერატურის ისტორიაში.



## სოლომონ ჩხიძე

### „და“ კავშირისათვის „ვეფხისტყაოსანში“

როგორც „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებში, ისე ბეჭდურ გამოცემებშიც ყოველი სტროფის მეოთხე სტრიქონი იწყება კავშირით „და“. ყურადსაღებია, რომ რუსთველიდან დაწყებული შაირით დაწერილ ნაწარმოებებში XVIII საუკუნემდე სტროფის უკანასკნელ სტრიქონს აგრეთვე „და“ კავშირი აქვს წამძღვარებული. ბუნებრივია, ვიკითხოთ, რა ფუნქციითაა აღჭურვილი იგი ძველი ქართული მწერლობის ძეგლებში, კერძოდ „ვეფხისტყაოსანში?“ სად უნდა ვეძიოთ „და“-ს წარმომავლობის ფესვები?

წინასწარ უნდა აღვნიშნოთ, რომ ფოლკლორულ ტექსტებში გამოყენებული „და“ კავშირი ერთგვარ წინადადებათა, რიტმულ პერიოდთა მართიანებელია, ესე იგი გრამატიკული ფუნქციითაა აღჭურვილი. და მას „ვეფხისტყაოსნის“ „და“-სთან არავითარი მსგავსება არა აქვს.

ისმება კითხვა, ხომ არ არის „ვეფხისტყაოსნის“ სტროფისეული „და“ კავშირი მწიგნობრივი წარმოშობის, შეიძლება იგი მოიძებნოს რუსთველამდე ცნობილ პროზაში ან პოეზიაში? საკითხის ამგვარად დასმისას მხედველობაში გვაქვს ერთგვარი „და“ კავშირი, რომელიც სისტემატურად გავრცელებულია როგორც უძველეს ჰაგიოგრაფიულ ბელეტრისტიკაში, ისე საისტორიო საერო თხზულებებშიც. მაგალითისათვის გავსინჯოთ XI საუკუნის სახელგანთქმული ისტორიკოსის ლეონტი მროველის თხზულების „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“ ერთი ნაწყვეტი.

„და ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა...“

„და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული. და მოკლდა ფარნავაზ... და ამის წილ მეფე იქმნა მისი ძე საურმაგა“.

როგორც ვხედავთ, „და“ კავშირი იწყებს დამოუკიდებელ წინადადებას. იგი ბიბლიის ენობრივი არსენალიდან მომდინარეობს; ძველი და ახალი აღთქმა, ბიბლია ხომ საშუალო საუკუნეთა ყოველი მწერლისათვის ნიადაგსახმარი წიგნი იყო და ენობრივ სფეროშიც კანონმდებლის როლს ასრულებდა. მაგრამ მას „ვეფხისტყაოსნის“ სტროფში საგანგებოდ გამოყენებულ „და“ კავშირთან ვერ გავაიგივებთ.

ძველ ქართულ ჰიმნოგრაფიულ პოეზიაში „და“ კავშირი მრავალტაყობიანი სტროფის ბოლო სტრიქონის შიგნითაა მოცემული და „მეტრშია ჩამჯდარი“. სანიმუშოდ მივმართოთ X-XI საუკუნეთა სახელმძღვანელო პოეტისა და კომპოზიტორის რატი ორბელის საგალობელს, რომელიც ტიტე მოციქულისადმი მიძღვნილი.

- რომელი ცად მესამედ (7)
- მიიწია და ესმა მას (8)
- უსმენელი სიტყუაჲ (6)
- მას დაემოწაფე, ტიტეჲ (8)
- და ისწავე მისგან გზაჲ ჰეშმარითი (11)
- აღივსე შენ სიბრძნითა (7)
- სულისა მიერ წმიდისა (8)
- და ერთგულ მოწაფე (6)
- იქმენ პავლე მოციქულსი, (8)
- და მის-თანა ჰქადაგე სახარებაჲ (11)<sup>2</sup>...
- „და“ კავშირის გამოყენების მხრივ საყურად-

1 ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. 1, 1955 წ., გვ. 26.  
2 პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, 1954 წ., გვ. 098.



ღებოა დაეთვის საგალობლების ძველი ქართული ვერსიები. მუხლდება დაწყობილ ლექსში გვხვდება ტაბთა გამამოლიანებელი, მხატვრულ სახეთა ნაირფერი პარალელოზმების დამაკავშირებელი „და“ კავშირი. ამ მხრივ ტიპურია XI საუკუნის მიწურულში (1093 წელი) გადაწერილი ხელნაწერი, რომელშიც მე-18 ფსალმუნის ტექსტის ერთი ნაწყვეტი ასე იკითხება:

დაიძრა და შეძრწუნდა ქუეყანად.  
და საფუძველნი მათათანი შემოფონენს,  
და შეირყინეს, რამეთუ შერისხდა მათ ღმერთი<sup>5</sup>.

იოანე საბაწმინდელი-სინელის (X-XI საუკუნეები) განთქმულ ძეგლში „ქებაჲ ქართველთა და ქართლისა ენისაჲ“ შემიჩნევა მუხლების დასაწყისში კანონზომიერად განმეორებული სტროფულ-ალიტერაციული „და“.

დამარხულ არს ენაჲ ქართული  
ღღემღმე მგორედ მოსლვისა...

და ესე ენად  
მიძინარე არს ღღესამომღე<sup>6</sup>...

როგორც ვხედავთ, „და“ კავშირი მეტრში შედის, უმისობა რიტმს დაარღვევს. ამგვარ „და“ კავშირს არაფერი აქვს საერთო „ვეფხისტყაოსნის“ სტროფულ „და“-სთან.

ძველად „ვეფხისტყაოსნის“, ისე როგორც სხვა ნაწარმოებთა, ხელნაწერები ზეპირი წაკითხვის გზითაც იკვლევდა გზას, იქმნებოდა პოემის ხალხური ვარიანტები და ასე გადაეცემოდა თაობიდან თაობას. იქნებ, თავისი დროისათვის „და“ კავშირი მუსიკალურ-სადეკლამაციო მიზნით იყო მოხმობილი? XI საუკუნის შესანიშნავმა ფილოსოფოსმა ეფრემ ტარიძისძემ სინტაქსური ურთიერთობის ცხადყოფელი ნიშნების (წერტილ-მძიმე) გარდა, შემოიღო ე. წ. „ხმის საქცევი“, რაც მიღებული და ცნობილი იყო იმდროინდელ საქართველოში. უპირატესად სასულიერო ტექსტის წაკითხვისას მინიშნებული იყო, თუ რა ადგილას „ხმა იქციოს მკითხველმან“<sup>5</sup>. სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია, რანაირად კითხულობდნენ შაირის სტროფს ძველად, პუნქტუაციის რაგვარი სისტემა ანდა „ხმის საქცევი“ ჰქონდა მიღებული „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს, რომ სტროფში მეოთხე სტრიქონის წინ არსებული „და“ კავშირი სადეკლამაციო-მუსიკალური მიზნით მოხმობილ ერთეულად მივიჩნიოთ.

თუ სტროფის მეოთხე სტრიქონის წინა „და“-ს საზომში შევიტანთ, მაშინ მეოთხე სტრიქონი ჩვიდმეტმარცვლიანი გამოდის, რაც არღვევს მეტრს.

„ვეფხისტყაოსანში“ ხანდახან სტრიქონები

გადადის სტრიქონში აზრობრივად, ასევე სტროფი უერთდება სტროფს. სტრიქონების ნასწენი სიტყვები რამდენიმე „და“ კავშირით არის გამოლიანებული. აქ „და“ კავშირი სტრიქონში ან სტროფში დაუმთავრებელ აზრს წყვეტს. ზოგჯერ ერთ წინადადებაში რამდენიმე „და“ კავშირი იყრის ერთად თავს. ასეთ შემთხვევებში „და“ ფუნქციის მქონე რომ იყოს, პოემაში, რასაკვირველია, იგი მაინც ზედმეტია. „ვეფხისტყაოსნის“ რიგ სტროფებში მეოთხე სტრიქონი „მაგრა“, „თვარა“ და სხვა მაპირისპირებელი ან მაქვემდებარებელი „რომ“, „რადგან“, „ამად რომე“ კავშირებით იწყება. კვლავ ერთგვარ წინადადებათა მერიანიანებული „და“ კავშირი, ცხადია, უადვილოა. ერთი სიტყვით, „და“ კავშირი პოემის რიტმული, რითმული, აზრობრივი და გრამატიკულ-სინტაქსური სტრუქტურის გარეშე დგას. ამის გამო მთარგმნელთაგან არაყინ მოითხოვს მის სხვა ენაზე გადატანას, თუმცა იგი არც შეიძლება თარგმნოს.

ღღემღე მოღწეულია X საუკუნის პოეტისა და მაგალობლის მკვიდლ მოდრეკილის უმესესნიშნავესი კალიგრაფიით შესრულებული ხელნაწერი (S-425). რომელშიც ვერ პოულობდა ისეთ სტროფს, სადაც უკანასკნელი სტრიქონის წინ მეტრისა და აზრის გარეშე მდგომი „და“ კავშირი იყოს. ჭალაღენის შემოსეებმა, როგორც ცნობილი, საქართველო მათობრა, გაანადგურა კულტურის ძეგლები. ჩვენი წინაპრების მიერ ჭაფით, რულუნებით შექმნილი ჭირნახული. დიდად გულსატკენია, რომ ძნელბედობის ხანებში დაიღუპა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ხელდასმული ანდა დროის მიხედვით მასთან ახლოს მდგომი ხელნაწერი. შექმნილ ვითარებაში ჭეშმარიტი აზრი „და“ კავშირისა შეიძლება დადგინდეს „ვეფხისტყაოსნის“ დროინდელი ან მისი მომჩიწავე საუკუნეების ხელნაწერებით, საისტორიო-სალიტერატურო წყაროებში დაცული ცნობებით. ამისათვის საჭიროა გავითვალისწინოთ ქართული ჰიმნოგრაფიული პოეზიის შესახებ უკანასკნელი დროის კვლევა-ძიებით გამოვლენილი ფაქტი, რომელიც ქართული დამწერლობის თავისებურებებზე, ხელრთვის თავისებურ ტექნიკაზე მეტყველებს. პროზით, ერთიმეორეზე სტრიქონების მიყოლებით დაწერილი და პროზად მიჩნეული ტექსტები ხომ პოეზია აღმოჩნდა!

ღღელს დადასტურებულია, რომ ძველ საქართველოში გარკვეულად პროზით იწერებოდა არა ოდენ პოეზია, არამედ ლექსითი ჰაგიოგრაფიული მოთხრობებიც<sup>7</sup>. რასაკვირველია, „ვეფხისტყაოსანი“ სხვა და ჰიმნოგრაფიული

3 იქვე, გვ. 713.

4 იქვე, გვ. 749.

5 თ. ჟორდანი, ქრონიკები, I, გვ. 218.

6 პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 547-0120.

7 იქვე, გვ. 749.



პოეზია ანდა ძველ ქართული ჰაგიოგრაფიული პოემა სხვა, მაგრამ ამჯერად ჩვენ გვინტერესებს პოეზიის გარეგნულად პროზად წერის ფაქტი.

ყურადღებოა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ სალექსო ზომა, შიარი გეხვდება საეკლესიო მწერალთა თხზულებებშიც. XI საუკუნის ფილოსოფოსის არსენ იყალთოელის ნაწარმოებში „ხელმწიფის კარის გარიგება“ მოტანილია გრძელი შიარის ერთი სრულიად უნაკლო სტროფი — კატრენი, რომელიც დავით აღმაშენებლის ეპიტაფიას წარმოადგენს.

ვის ნაჰარმაგვეს (3) (2) შეფენი (3) თორმეტნი (3) ურად (2) დამესხნეს (3)...

ხელნაწერში იგი ჩვეულებრივ პროზადაა ნაწერი და მოთხრობისაგან გამოყოფილი, როგორც ლექსი, რაიმე განმასხვავებელი ნიშნით არ არის. საერთო ლექსითი ფრაგმენტების, უფრო ვრცელი მონაკვეთების ამგვარი გრაფიკა ჩვეულებრივია ძველი ქართული მწერლობის სხვა ძეგლებში. ამით ჩვენ იმის თქმა როდი გვინდა, თითქოს „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონებიც ასე ურთიერთგადაბნობით იყო დაწერილი. არა. ეს ფაქტები მოწმობს, თუ როგორ მკიდროდ, ადგილის დაზოგვით იწერებოდა პოეტური ტექსტები. „ვეფხისტყაოსანი“ რითმულ-რიტმულად ურყევი კანონზომიერებით ჩამონაკეთული სტროფებისაგან შედგება. ამგვარად იყო იგი ძველ ხელნაწერში წარმოდგენილი. ოღონდ ერთიმეორესთან დიდოსტატური სიმკიდრევით დაწერილი სტროფები გამოიყოფოდნენ „და“ კავშირით. სტროფთა მკიდროდ წერა, ახლობა დამახასიათებელია ძველი ქართული ხელნაწერებისათვის. რა თქმა უნდა, ჩვენი წინაპრები საწერ მასალას უფრობილდებოდნენ. ჩვენ მოგვეპოვება ხელნაწერები ქილისა, ბამბიციანისა, ქალაღისა, პაპირუსისა. ძველ საქართველოში ძვირობდა ეტრატიც (საწერ მასალად დამუშავებული ხბოს, ცხვრის ტყავი). სიძვირე განსაკუთრებით ცხადი შეიქმნა მონღოლების გამანადგურებელი შემოსევების შემდგომ პერიოდში. დამახასიათებელია ერთი ხელნაწერის ანდერძში აღნიშნული ცნობა: „ღირს ვიქმენ... მწერალი ავგაროზ ბანდაის ძე აღწერად წმიდისა ამის წიგნისა. ხელეყუე და ვიწყე წერად ღიდსა სიგლახაყესა და ეტრატის

სიძვირესა... შინა. ქორონიკონი იყო ლექსი 1348 წელი.

ცხადია, თუ რისთვისაა ზოგ უძველეს ხელნაწერში ახლო, მკიდროდ დაწერილი სტრიქონები და რისთვის იყენებდნენ „და“ კავშირს — სტროფების ერთიმეორისაგან გამოსაყოფად. დაცულია ცნობა იმგვარი ხელნაწერის არსებობის შესახებაც, სადაც თითონ ასოები წერილად, ურთი მეორესზე მიჯრით ყოფილა დაწერილი. ამ მხრივ ტიპურია XI საუკუნის დასასრულს (1093 წელი) სამხრეთ საქართველოში, ოპიზაში, გადაწერილი ხელნაწერი. დედაჲ (დედანი) გიორგი მთაწმიდელისა მქონდა... — წერს გადაწერილი, — მაგრამ ეზომ წურილად ნაწერი იყო, რომელ კაცისა თავისა თმისა ჰვეთებაჲა. ამგვარ ხელნაწერში და საზოგადოდ სხვაგვარ ხელნაწერშიც, ისიც სტროფებად დაყოფილი ვრცელი პოემის შემთხვევაში, თვალსაჩინოებისათვის საჭიროა სტროფის სტროფისაგან რაიმე ნიშნით გამოყოფა. ცნობილი ამბავია, რომ თვით პროზაული ტექსტებშიც კი ხელნაწერში გარკვეულ პროზაულ მონაკვეთებადაა დაყოფილი: მუხლგებდად დაყოფილია, მაგალითად, გიორგი დიდი მთაწმიდელის დიადი პატრიოტული სულისკვეთებით აღბეჭდილი ძეგლი „ცხოვრება იოანესი და ექვთიმესი“...

თუ V-XI საუკუნეებში პოეზია პროზის სახით წერდნენ, როგორი იქნებოდა საერო პოეზიის ლექსები, ისიც ქართულ სინამდვილეში პირველი ეპიკური ძეგლი „ვეფხისტყაოსანი“ ათასეკვასსზე მეტი სტროფით? „ვეფხისტყაოსნის“ უძველეს ხელნაწერებში, როგორც ეს აშკარაა V-XII საუკუნეთა ხელნაწერებით, სტროფებს შორის იმდენი ადგილი იქნებოდა დატოვებული, რაც დღევანდელ ვითარებაში სტრიქონებს შორის არსებობს. ამის გამო, სტროფი სტროფისაგან გამოიყოფოდა „და“ კავშირით. ასე ერთგვაროდ განმეორებული „და“ იყო ერთგვარი თვალსაჩინოება ერთიმეორეზე მიწყობით დაწერილი სტროფების გასარჩევად. ეს იყო მხოლოდ გრაფიკული მაჩვენებელი ერთი რიტმული სახეობის სტროფის დასასრულისა და მეორე სახეობის დასაწყისისა. ესაა ძირითადი, მთავარი, დამახასიათებელი.

8 თ. ჟორდანი, თბილისის საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა (რუს.), ნაწლი II, გვ. 93.  
9 იქვე, გვ. 95.





## ქაბაღ ნოღაიღი

### ერთი გჳკიინის გჳმ

როგორც ცნობილია, მეცხოველეობა ქართულ ტომებში უძველესი დროიდან ყოფილა განვითარებული, მაგრამ რძის ნაწარმის ასორტიმენტი ყველგან ერთნაირი როდი იყო. ასე, მაგალითად, გურულებმა და იმერლებმა კარაქის დამზადება არ იცოდნენ. ისინი ცნობილი იყვნენ და არიან ე. წ. „ხელეუთი“ ყველის დამზადებაში. მეგრელებმა სახელი გაითქვეს „სულგუნის“ გამოყვანაში, ხოლო კარაქის საუკეთესო მწარმოებლები არიან აჭარლები და ზოგიერთი მთის ხალხი აღმოსავლეთ საქართველოში. სამაგიეროდ მათ მიერ რძისაგან დამზადებული სხვა პროდუქტები შედარებით მდარე ხარისხისა იყო.

რძის პროდუქტების წარმოებისათვის ქართველები უძველესი დროიდან სხვადასხვა სახის კურჭლეულს ამზადებდნენ. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს კურჭლეული ჯერ ხისა იქნებოდა და შემდეგ გამოიწვარი თიხისა, ანდა პირიქით. აჭარაში უფრო მეტად ხის კურჭელს იყენებენ. გვხვდება აგრეთვე თიხისაც. ამ ვარემოებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

რძის ნაწარმის კურჭელთა შორის აღსანიშნავია ე. წ. „სადღებელი“. ამის შესახებ მოუხსენიოთ სახელოვან მეცნიერს ივ. ჯავახიშვილს:

„მცხეთა-სამთავროს ბრინჯაოს ხანის სამარხებში თიხის საღებველის აღმოჩენას ფრიალ დიდი მნიშვნელობა აქვს კულტურის ისტორიის თვალსაზრისით, რამდენადაც ეს კურჭელი ჩვენი წელთაღრიცხვის V ს-ზე გაცილებით უფრო აღრინდელ ხანის ეკუთვნის და ამასთანავე ხისა კი არა, არამედ გამძლე და უფრო გამოსადეგი, გამოიწვარი თიხისაგან არის გაკეთებული. მაშასადამე, ქართველებს ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაშივე სცილდნით კარაქის დღება, იმისდა მიუხედავად, რომ საქართველოში ნიგვზის ზე-

თიც ძალზე იყო გავრცელებული და დასავლეთ საქართველოში უმთავრესად მას ხმარობდნენ“ („ქართველი ერის ისტორია“, 1, 1960 წ., გვ. 462-463).

საყურადღებოა, რომ აჭარაში ნიგვზის კულტურაც და მეცხოველეობაც არის განვითარებული, მაგრამ საყურადღებოა აჭარლები ნიგვზის ზეთს იშვიათად ზღიან და ადგილობრივ საკმელებსაც ნიგვზით იშვიათად, ან თითქმის არ ამზადებენ. ხოლო მეზობელ კუთხეებში — გურჯისტანში, იმერეთსა და სხვაგან, საკმელს უფრო მეტად ნიგვზის, თხილისა თუ სხვა ზეთისაგან აზავენენ. კარაქს გურია-იმერეთში იშვიათად ხმარობენ.

კარაქის დამზადებას აჭარაში უშუალოდ უკავშირდება ე. წ. „კაიმალი“ (ყაიმალი), რაც, რძის ნაღებს, მონახაღს წარმოადგენს. კაიმალი აჭარაში ერთ-ერთ საუკეთესო კერძად ითვლება. იგი შედგება საკარაქე რძის ნაღებისა და ჩვილი ყველისაგან. ნიშანდობლივი ის არის, რომ კაიმალის შემზადება სხვა ქართველ ტომებში ნაკლებად არის გავრცელებული. საგულისხმოა ისიც, რომ აჭარაში რძის წარმოებასთან დაკავშირებით იყენებენ ხელსაწყო-იარაღებს, რომელთაც ეწოდებათ საღებველი ან სარეგველი, აგრეთვე ვარია, კოდანა, კაპიწი, გვარდა, კოთხო, ჯამი, თასი, საწური... ყველა დასახელებული კურჭელი ხის მასალისგან მზადდება, თუმცა ახლო წარსულში აჭარლები საღებველს თიხისგანაც აკეთებდნენ. ჩამოთვლილი ნივთებიდან საღებველი სარეგველის სინონიმია და კოდანა — ვარიას, კაპიწი — გვარდას და ჯამის სინონიმად თასი ითვლება. ვფიქრობთ, ერთი და იგივე საგნის ორი სახელწოდება იმაზე მიუთითებს, რომ ამ კურჭელს ხისგანაც და თიხისგანაც ამზადებდნენ.

მეცხოველეობა ისტორიულად აჭარის მთის



მოსახლეობაში იყო განვითარებული და სადღეებელით, ვარაიით, კოდანათი თუ სარეგველით რძის მოღვლევა თუ მორეგვა კარაქის გამოსახდელად აქ იცოდნენ.

როგორც დავინახეთ, კარაქის გამოსახდელად აქარლებს ორი ტერმინი მოეპოვებათ: „მოღვლევა“ და „მორეგვა“. დღეობა რქვასთან არის დაკავშირებული, რეგვა კი ქანებას უნდა უკავშირდებოდეს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გარკვეულ პერიოდში სადღეებელს სარეგველიც ეწოდებოდა; ყურადსაღებია სახელწოდება „ვარაია“, აგრეთვე „კოდანა“.

„აუსანიშნავია, რომ ბრინჯაო-რკინის ხანის სამარხებშივე ოთხი მოჭიქული, სხვადასხვა სამარხებში ნაპოვნი თიხის ჭურჭელი აღმოჩნდა, რაკი მოჭიქვის ხელოვნება ეგვიპტიდან მახლობელ აღმოსავლეთში XII საუკუნეში შემოტანილად ითვლება ჩვენ წელთაღრიცხვამდე. ბრინჯაოს ხანის მცხეთის საფლავებში მოჭიქული ჭურჭლეულის აღმოჩენა ფრიად საყურადღებო გარემოებას წარმოადგენს.

მცხეთის მკვდრეთის თიხის სხვადასხვა მოყვანილობისა და დანიშნულების ჭურჭლებს (შორის) უაღრესად საყურადღებოა კარაქის სადღეებელი, რომლის მსგავსაა საქართველოს შთიანეთში და ნაწილობრივ ბარადაც XX საუკუნის დამდგამდეც კი მოაღწია.

ვიქ. ჰეჰნს აუნიშნული აქვს, რომ ძველმა ბეჭდებმა კარაქის არც შედღეობა იცოდნენ და

არც ხმარობდნენ. მათი საკვები ცხიმოვან ნივთიერება ზეთისხილისაგან გამოხდილი იყო.

ჰეროდოტეს მხოლოდ გავიანილი ჰქონდა, რომ სკვითები ცხიმს რძისაგან აკეთებდნენ ხის ღრუიან ჭურჭელში, ამ ჭურჭლის რბევის საშუალებით. მხოლოდ ჰიპოკრატეს აქვს დაწერილებით (აღწერილი) კარაქის შედღეების ის წესი, რომელიც სკვითებმა ცხენის რძისაგან ხის ჭურჭელში რბევით იცოდნენ“ (ივ. ჯავახიშვილი, დასახ. შრომა, იქვე).

აქ ანგარიშგასაწევია აგრეთვე ის გარემოება, რომ აჭარაში რძის შედღეობა კარაქის გამოსახდელად იცოდნენ არა მარტო სადღეებელის, ვარაის, კოდანას თუ სარეგველის რბევით, არამედ რევიითაც; ვარაიაში ლაფერას, ჩოვანს, ციცხვს თუ კოვზის მაგვარს სისტემატურად ურევენ და ისე ხდიან კარაქს.

ყველაფერი ეს საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ საქართველოს შთიანეთში მცხოვრებმა ქართველმა ტომებმა, მათ შორის აქარლებმაც, შემოგვინახეს ხისა და თიხის სადღეებელი, კარაქის მიღების წესი, რაც აშკარად უნდა მეტყველებდეს იმაზე, რომ აქარლები დღევანდელი აჭარის უძველესი ბინადარნი ყოფილან. როგორც ჩანს, ისინი აქ სახლებულან არა უგვიანეს VIII-VII საუკუნეებში ჩვენს წელთაღრიცხვამდე.





დიდი ჩიქოვანი

# დიდი ჩიქოვანი

ა. ი. გერცენის დაბადების 150 წლისთავის გამო

გასული საუკუნის რუსული მოწინავე საზოგადოებრივი უზრისა და განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში ერთ-ერთი ფრიად თვალსაჩინო ადგილი უკავია მეფის თვითმპყრობელობისა და ბატონყმობის წინააღმდეგ დაუცხრომელ მებრძოლს, გამოჩენილ ფილოსოფოს-მატერიალისტს, პუბლიცისტსა და მწერალს ალექსანდრე ივანეს-ძე გერცენს.

ა. ი. გერცენის ისტორიული როლი რუსი ხალხის ცხოვრებაში გენიალურად განსაზღვრა და მისი მდიდარი მემკვიდრეობა სათანადოდ შეაფასა დიდმა ლენინმა თავის ცნობილ სტატიაში „გერცენის ხსოვნას“. ამ სტატიაში ვ. ი. ლენინმა ბოლომდე ამხილა ყველა ისინი, რომლებიც შეგნებულად თუ შეუგნებლად ამახინჯებდნენ გერცენის მრავალმხრივი და ნაყოფიერი მოღვაწეობის არსსა და მიზანს, ხედავდნენ მის სუსტ მხარეს, მაგრამ ვერ ამჩნევდნენ ძლიერ, პროგრესულ მხარეებს. ვ. ი. ლენინმა პირველმა დაახასიათა გერცენი, როგორც რუსული სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთი წინამორბედი, როგორც მწერალი, „რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა რუსული რევოლუციის მომზადებაში“. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ თუმცა რუსეთის რევოლუციამო მოქმედი პირველი თაობა, პირველი კლასი — თავადაზნაურები და მემამულეები, დეკაბრისტები და გერცენი საშინლად შორს იდგნენ ხალხისაგან, ვიწრო იყო ამ რევოლუციონერთა წრე, „მაგრამ მათს საქმეს ამაოდ არ ჩაუვლია. დეკაბრისტებმა გამოაღვიძეს გერცენი. გერცენმა გააჩაღა რევოლუციური აგიტაცია“.

ა. ი. გერცენი დაიბადა 1812 წელს მოსკოვში. გერცენის მამამ, ივანე ალექსის-ძე იაკოვლევმა, მხოლოდ მაშინ დატოვა ქალაქი, რო-

დესაც ნაპოლეონის ჯარის ნაწილები უკვე შეიჭრნენ დაკარგებულ მოსკოვში. ასე, რომ მთელმა ოჯახმა საკუთარი თვლით ნახა და განიცადა ომის საშინელებანი. სხვათა შორის, ივანე იაკოვლევს ხედა წილად წაეღო მოსკოვიდან ალექსანდრე პირველთან წერილი, ნაპოლეონის წინააღმდეგობით დაზავების შესახებ. ტუნებრივია, 1812 წლის სამამულო ომის ამბები ამოუწურავ თემად დარჩა იაკოვლევების ოჯახში და დიდი გავლენა იქონია პატარა გერცენის მგრძობიარე გულსა და ფიზიკურ გონებაზე — მან საუკუნოდ შეიყვარა მოსკოვი და გმირირუსი ხალხი.

ათი წლის იყო გერცენი, როცა მათ სახლში თავი ჩამოიხრჩო ყმა ინტელიგენტმა ტოლოჩანოვმა. ამ შემთხვევის შემდეგ უკმაყოფილებისა და პროტესტის გრძობამ კიდევ უფრო ძლიერად იწყო დღილი მომავალი რევოლუციონერის გულში. მაგრამ ყველაზე დიდი და გადამწყვეტი როლი გერცენის, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ზნეობრივ გამოღვიძებაში“ შეასრულა 1825 წლის დეკემბრის ისტორიულმა აჯანყებამ, რომელმაც გააოცა და შეარყია მთელი რუსეთი.

1829 წელს გერცენი შევიდა მოსკოვის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. აქ იგი გულმოდგინედ სწავლობს, იღებს ღრმა და ყოველმხრივ ცოდნას, თვალყურს ადევნებს პოლიტიკურ ამბებს როგორც თავის ქვეყანაში, ისე დასავლეთ ევროპაშიც და ოჯარიოვთან ერთად აარსებს სენ-სიმონის სოციალისტური იდეებით გატაცებული სტუდენტების წრეს, რომელიც მეტოქეობას უწევდა სტანკევიჩის ცნობილ წრეს.

უნივერსიტეტის კურსი ა. ი. გერცენმა 1833 წელს დაამთავრა, ხოლო ერთი წლის შემდეგ



იგი, როგორც „საეკო პიროვნება“, ხელისუფლებაში გაიმევეს პერში, იქიდან გადაიყვანეს ვიატკაში, შემდეგ კი ვლადიმირში. 1839 წელს გერცენი კვლავ ბრუნდება მოსკოვში, 1840 წელს კი გადადის პეტერბურგში, სადაც ეცნობა და უახლოვდება ბელინსკის. 1842 წელს იგი ისევ მოსკოვშია და იწყებს თხზულებათა გამოქვეყნებას „ისკანდერის“ ფსევდონიმით. 1847 წელს განუწყვეტელი დევნილი შვეიცრიაში უბრუნდება გერცენმა სამუდამოდ დატოვა სამშობლო და უცხოეთში გადასახლდა.

1857 წელს, ლონდონში, ოჯარიოვთან ერთად გერცენმა დააარსა თავისუფალი რუსული ბეკდვითი ორგანო — პოლიტიკური გაზეთი „კოლოკოლი“, რომელმაც უდიდესი გავლენა მოახდინა არა მარტო რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, არამედ უმაგალითო პოპულარობითა და გავლენით სარგებლობდა მთელ ევროპაშიც. გერცენი უშვებდა პერიოდულ ჟურნალებსაც („პოლარული ვარსკვლავი“, „საზოგადო საბჭო“, „სასამართლოს მივცემო!“).

გერცენის პრესამ, როგორც დიდი ლენინი აღნიშნავდა, დაარღვია მონური დემილი და ფასდაუღები სამსახური გაუწია რევოლუციური აგიტაციის გავლას რუსეთში.

მეორე თავისი ცხოვრების მანძილზე გერცენი დაჟინებით ეძიებდა სწორ რევოლუციურ თეორიას და, თუმცა ვერ შეძლო მიეგნო იგი, მაინც მნიშვნელოვნად მიუახლოვდა მას.

მაღალ შეფასებას აძლევდა რა გერცენის ფილოსოფიურ შეხედულებებს, ლენინი გერცენის შესახებ წერდა: „მან შეითვისა ჰეგელის დიალექტიკა. მან შეიგნო, რომ ეს დიალექტიკა წარმოადგენს „რევოლუციის აღგებბას“. იგი წაიგია ჰეგელზე შორს, მატერიალიზმისაკენ, გაჰყვა ფეიერბახის კვალს... გერცენი უშუალოდ მივიდა ანალიტიკურ მატერიალიზმამდე და შეჩერდა ისტორიული მატერიალიზმის წინაშე“.

გერცენის ფილოსოფიურმა შრომებმა („დელტანტიზმი მეცნიერებაში“, „წერილები ბუნების შესახებ წერა“, „იი ნაპოიდიან“) აღნიშნეს მთელი ეტაპი რუსულ მატერიალისტური ფილოსოფიის განვითარებაში და დიდი ზეგავლენა მოახდინეს 60-იანი წლების რევოლუციონერ-დემოკრატთა მსოფლმხედველობის ფორმირებაზე. გერცენის ფილოსოფიურ ძიებებს საერთაშორისო მნიშვნელობაც ჰქონდა, მაგრამ ჩამორჩენილი, ბატონყმური რუსეთის პირობებში გერცენმა ვერ შეძლო მოეცა მატერიალისტურ და იდეალისტურ სისტემებს შორის ბრძოლის, როგორც საზოგადოებაში კლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთი გამოვლინების მატერიალისტური ახსნა.

პირადი ცხოვრების, იდეურ-პოლიტიკური ბრძოლის, საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და

დაუღალავ ფილოსოფიურ ძიებათა ბაზაზე, გერცენი რმოიშვა გერცენის სრულიად თავისებურ ტერულ-ლტერატურული შემოქმედება.

30-იან წლებში გერცენის ბელეტრისტული ცდები სინამდვილის რომანტიკული აღქმის ელფერს ატარებენ, მაგრამ 40-იანი წლების მიჯნაზე იგი უკვე ქმნის ღრმად რეალისტურ ნაწარმოებებს. მათგან პირველია „ახალგაზრდა კაცის ჩანაწერები“ — თხზულება, რომელშიც მაშინვე მიიტკია „საერთო ყურადღება“. ბელინსკიმ მას „კუყით, გრძნობით, ორიგინალობითა და მახვილსიტყვაობით სასე“ ნაწარმოები უწოდა. „ჩანაწერებში“ ასახულია პროვინციული (ვიატკის) მონეღურ-მემამულური ცხოვრების მკაფიო სურათები.

1845 წელს „ოტჩინესტენნიე ზაპისკის“ ფურცლებზე დაიბეჭდა პირველი თავები რომანისა „ვინ არის დამნაშავე?“ ბელინსკი კვლავ ერთ-ერთი პირველი გამოუმართა გერცენის ამ რომანს და იგი რუსული მოწინავე ლიტერატურის დიდ მიღწევად გამოაცხადა.

ბატონყმობასთან შეუბრძვებელი და დაუნდობელი ბრძოლის პათოსი შეადგენს ამ შესანიშნავი ნაწარმოების ძირითად შინაარსს. ლიბერალურ-რეაქციულ და დემოკრატიულ-რევოლუციურ ბანაკებს შორის გაჩაღებულმა დავამ რომანის განაშემო კიდევ უფრო დაადასტურა ნაწარმოებში აღნიშნული საკითხების ცხოველმყოფელობა და აქტუალობა.

რომანის გმირების ტრაგიკული ბედი განაპირობა მაშინდელმა სოციალურმა ვითარებამ. გერცენმა თამადა და აშკარად დასვა კითხვა: „ვინ არის დამნაშავე“ ხალხის ამდენ უბედურებაში და თვითონვე გასცა მას პასუხი: თვითმპყრობელურ-ბატონყმური რეჟიმი.

განსაკუთრებული წარმატება ხვდა წილად გერცენის მოთხრობას „ქეიმი კრუპოვი“ (1847 წ.). რომა ფსიქოლოგიურმა ანალიზმა, ფილოსოფიურმა განზოგადებებმა და სოციალურმა სიმახვილემ აქციეს ეს ნაშრომი ავტორის მხატვრული შემოქმედების შედეგად.

ბატონყმობის პირობებში ხალხის უფულებობის თემზეა აგრეთვე აგებული მოთხრობა „ქურდი კაკკაი“. მემამულე სკალისკის თვითნებობისა და ბოროტი თავგასულობის მხსენრების — ნიჭიერი ყმა მსახიობ ქალის ანეტას ტრაგიკული ისტორია შეადგენს ნაწარმოების ფაქულს. მოთხრობა გამსჭვალულია რუსი ხალხის შემოქმედებითი ძალებისა და ნიჭიერების ღრმა რწმენით.

საგულისხმოა, რომ გერცენის შემოქმედების მთავარი პრობლემა დადებითი გმირის პრობლემაა. ამ გმირებს ის პოულობს ხალხის საუკეთესო წარმომადგენლებში, ყმა ინტელიგენტებსა და პროგრესულად მოაზროვნე თავდაზნაურთა წრეში.

თავისებური იყო გერცენის სტილი. მწერა-

ლი ცვილობდა რაც შეიძლება მკაფიოდ, დამაჯერებლად და მახვილად ვადმოეცა თავისი აზრები. ისტორიული, ფილოსოფიური, და პოლიტიკური გადახვევები ავტორს საშუალებას აძლევდა ნაწარმოებებისათვის მიეცა მწვავე პუნ-ლიცისტური და სატირული ხასიათი.

ა. ი. გერცენის მხატვრული შემოქმედების მწვერვალს წარმოადგენს არა მარტო რუსული, არამედ მსოფლიო მეშუაბრული კლასიკის შე-დევრი „ნამყო და ფიქრები“. ეს წიგნი რუსე-თისა და დასავლეთ ევროპის საზოგადოებრივი ცხოვრებისა და რევოლუციური ბრძოლების უდიდესი ცოცხალი მატანეა. იგი მორიყვს რამდენიმე ათეულ წელს. დაწყებული დეკაბ-რისტების აჯანყებიდან და პარიზის კომუნის წინააღმდეგობით დამთავრებული.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მეფის მთავრო-ბისაგან დევნილი გერცენი 1847 წელს საზო-გადოებრივად გადასახლდა, რათა იქიდან განეგრძო ბრძოლა რუსი ხალხის თავისუფლებისათვის.

უცხოეთში გერცენი ახლო გაეცნო ევროპის ქვეყნების კულტურულ და საზოგადოებრივ წესებსა და ყოფას. გაეცნო და დაუშვებობრდა ბევრ გამოჩენილ ადამიანს. ცნობილ ისტო-რიულ პიროვნებებს. შეესწრო 1848 წლის რე-ვოლუციის ტალღების მოზღვაებასა და პრო-ლეტარიატის აჯანყებას. მაგრამ, ამავე დროს, მალე ვახდა რევოლუციის სისხლში ჩახშობისა და რეაქციის ზემოის მოწამე. ყოველივე ამან მეტად მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა გერ-ცენზე. იმედების დამსხვრევამ და მოლოდინის გატრეხებამ მტანჯველი განცდები მოუტანა მას. ამას დაერთო პირადი უბედურებაც. 1851

წლის შემოდგომაზე ტრაგიკულად დაიღუპნენ გერცენის დედა და ვაჟიშვილი. 1852 წლის 2 მაისს კი გარდაიცვალა გერცენის მეუღლე. სასოწარკვეთილებამდე მისული მწერალი ყვე-ლაფერს დაკარგულად თვლიდა. ერთხანს იგი მოგზაურობდა ევროპაში. შემდეგ, 1852 წლის აგვისტოში, ჩავიდა ლონდონს. აქ დაიწყო მისი თანდათანობითი გამოცოცხლება-შემობრუნე-ბა და, ბოლოს, გერცენმა შეწყვეტილი მოღვა-წეობა ახალი ძალითა და ენერჯით, გატაცებო-ბა და მგზნებარებით განაახლა. პესივიზმი ის-ტორიულმა ოპტიმიზმმა შეცვალა.

„ნამყო და ფიქრები“ იწერებოდა სამშობ-ლოს ვარეთ, მაგრამ სამშობლოს სიყვარულით და სამშობლოსათვის, ამიტომაც აირცვლა მასში ასეთი სიტბოთი და სიყვარულით. ასე სუფ-თად, ფაქიზად და სრულყოფილად რუსი

ხალხის ნამყოც, აწმყოცა და ნათელი ქართული სპირიტუალის შორეული სხივებიც.

წიგნი დაწერილია საუცხოო სტილით და წარმოადგენს სხვადასხვა ენარული ფორმის შეუღარებული ისტატობით შეხამებასა და შერწყმას.

დასასრულ, ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ გერცენის შემოქმედების დიდი კეთილწყოფიე-რი გავლენა ქართული ლიტერატურისა და აზ-როვნების განვითარებაზე. როგორც ცნობილია, რუსული რევოლუციურ-დემოკრატიული მწერ-ლობისა და პროგრესული ფილოსოფიური აზ-როვნების ტრადიციები შემოქმედებითად აი-თვისეს მრავალსაუკუნოვანი ქართული კულ-ტურის გამოჩენილმა წარმომადგენლებმა, სა-ქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურებმა.

ა. ი. გერცენის მდიდარ შემოქმედებას რო-გორც მხატვრული ლიტერატურის, ისე ფი-ლოსოფიური აზროვნებისა და რევოლუციური იდეოლოგიის სფეროში კარგად იცნობდნენ ქართველი თერგდალეულები. ა. ი. გერცენი პირადად იცნობდა და დიდად აფასებდა ბევრ ქართველ მოღვაწეს, მწერალსა და მოაზრო-ვნეს. ასე, მაგალითად, ვიატკაში გადასახლება-ში ყოფნისას გერცენი შეხვდა გამოჩენილ ქართველ ფილოსოფოსს სილომონ დოდა-შვილს, რომელიც მეფის მთავრობამ გადასახ-ლა იქ და სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა.

1865 წელს საზღვარგარეთ გაეცნენ ერთმა-ნეთს გერცენი და დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწე ნიკო ნიკოლაძე და მას შემდეგ მათ შორის იდეური კავშირი და თანამოაზროება არ გაწყვეტილა. ნიკო ნიკოლაძე ხშირად ათავსებ-და წერილებს გერცენის ცნობილი გაზედის „კოლტკოლის“ ფურცლებზე. მის თანამშრო-ლობას გერცენი დიდად აფასებდა; ითვალის-წინებდა, იზიარებდა და პატივით ეკიდებოდა შესანიშნავი ქართველი მოაზროვნის ესთეტი-კურ და ფილოსოფიურ შეხედულებებს. ნიკო-ლაძეც თავის მხრივ „ფართო პროპაგანდას უწყევდა საქართველოში გერცენის მხატვრი-ალისტურ ფილოსოფიას და მაინც იგი მკლავრ იარაღად მისტიციზმისა და ფილოსოფიური რეაქციის წინააღმდეგ“ (ა. ნიკოლაძე).

გერცენის სახელი ისევე ძვირფასი და ახლო-ბელია ქართველი ხალხისთვისაც, როგორც დიდი რუსი ხალხისათვის. რომელიც სამართ-ლიანად ამაყობს თავისი ღირსეული და უკვდა-ვი შვილით.



ნაღი ლეგენა

ლილექვიკურ-ალმზრდელობითი მოგონი ქართულ  
ხალხურ შრომის პოეზიაში

ფოლკლორის მრავალფეროვან ქანრებს შო-  
რის შრომის პოეზია ერთ-ერთი ყველაზე ად-  
რინდელია. მისი ჩასახვისა და განვითარების  
მონოგრაფიული ანალიზი ერთ-ერთმა პირველ-  
მა მოგვცა ე. ბიუხერმა თავის ცნობილ წიგნში  
„შრომა და რიტმი“. მასში, სხვათა შორის,  
მკვლევარი ეხება შრომის ლექს-სიმღერებს და  
მიუთითებს, რომ ქართველებს ზეპირსიტყვიე-  
რების ეს ყანრი უძველესი დროიდან ჰქონდა-  
თო. ამის დასადასტურებლად ე. ბიუხერი იმო-  
წმემს ძველი აღთქმის ქართულ თარგმანს, სა-  
დაც ნათქვამია: „...დამდაბლდნენ ასულნი გა-  
ლობისანი...“ „ასულნი გალობისანი“, მკვლე-  
ვარის აზრით, მეწისქვილე ქალებია, რომლე-  
ბიც საფქვევის სიმღერებს მღეროდნენ.<sup>1</sup>

ფოლკლორისტი თ. ოქროშიძე ოშკის ბიბ-  
ლიაში პოულობს „ასულნი გალობისანი“ შე-  
სატყვისს — „ასულნი იგი სახიობისანი“<sup>2</sup> ამას-  
თან ბიბლიიდანვე დამატებით მიუთითებს ერთ  
ადგილს, სადაც ყურძნის მწურავთა სიმღერებ-  
ზეა ლაპარაკი (მცხეთის ბიბლია, A-15).

შრომის პოეზიის შესახებ ცნობებს გვაწვდის  
თამარის ისტორიკოსი ბასილი ევოსმოძღვარი,  
რგი წერს: „ყრმანი მემროწლენი, განებასა ში-  
ნა ორნატასა, თამარის ქებათა მეღესქეობ-  
დიან“<sup>3</sup> ე. ი. მიწათმოქმედნი ხენის დროს სიმ-  
ღერებში თამარის საქებარ ლექსებს ამბობდნე-

1 შრომა და რიტმი (რუს. ენაზე), 1932 წ.  
გვ. 44.

2 სახიობა — ეს არს მუსიკა მწყობრი ძალთა  
და საკრავთანი და მოანება ტკბილი ვალობა და  
სიმღერა. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი,  
1928 წ., გვ. 308.

3 ქართლის ცხოვრება, ბროსეს გამოცემა, გვ.  
336.


ნო. „მოხსენებულ მეღესქეობაში. — წერს თ.  
ოქროშიძე, — ჩვენ საქმე გვაქვს შრომის ლექ-  
სთან, რომელიც თან ახლავს მიწის დამუშავე-  
ბას, ხენას. აქ უნდა ვიგულისხმოთ გუთანთან  
დაკავშირებული სიმღერები, ე. წ. გუთნური,  
თავისი დამახასიათებელი რიტმით, მელოდიითა  
და სპეციფიკური ტექსტუალური მასალით. ამ  
ადრინდელი ცნობის მიხედვით, შრომის პოეზი-  
ის პერსონაჟად ისტორიული პირი გვევლინება  
და თემატიკაც სახობტო ხასიათისაა. იგი ნა-  
თელ სურათს იძლევა შრომის პოეზიის, რო-  
გორც ადრიდანვე ჩამოყალიბებული ყანრის  
შესახებ საქართველოში“<sup>4</sup>.

უფრო გვიანდელი პერიოდის შესახებ ბევრი  
საინტერესო ცნობა შემოგვიწახებს უტეხოვსკა  
მოგზაურებმა, კერძოდ, შრომის სიმღერა „თო-  
ხნურის“ გუნდური შესრულების თაობაზე.  
მხედველობაში გვაქვს უპირველეს ყოვლისა არ-  
ქანჯელო ლამბერტის „სამეგრელოს აღწერა“  
(გვ. 51-52) და შარდენის „მოგზაურობა შარდე-  
ნისა ამიერკავკასიაში“ (გვ. 24-25, 1902 წ. რუს.  
ენაზე). საგულისხმოა, რომ ეს მოგზაურები სა-  
წინააღმდეგო შეფასებას აძლევენ ქართველთა  
ჩვეულებას — ყანის თიხნის დროს სიმღერას.

ბუნებრივია, რომ ქართულ ხალხურ შრომის  
პოეზიას განსაკუთრებული ყურადღება დაუთ-  
მეს საბჭოთა ფოლკლორისტებმა, რომლებმაც  
შეკრიბეს და სათანადოდ გააანალიზეს მდიდარ  
ფოლკლორული მასალა. ამ საქმეში განსა-  
კუთრებით თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს მ.  
ჩიქოვანმა. თ. ოქროშიძემ, ქს. სიხარულიძემ,  
ე. ვირსალაძემ, ჯ. ნოღაიდელმა, აპ. ცანავემ,  
ახალგაზრდა მკვლევარმა ჯ. ჩხეიძემ და სხვ.

4 ლიტერატურული ძიებანი, VIII, 1953 წ.,  
გვ. 310.





ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ ყურადღებას გვაქმავს იმ მოლოდინს, რომელიც ზრდის მართლმადიდებლობის მოტივზე ქართულ ხალხურ შრომის პოეზიაში, რომელიც შედარებით ნაკლებად შესწავლილია.

შრომის ლექს-სიმღერები შეიძლება შემდეგნაირად დავაჯგუფოთ: გუთნური, თიხნური, სამკალი, მთბდღური, საფეიქრო, მეტივერი და სხვ. ამგვარ დაყოფას საფუძვლად უდევს პრინციპი, თუ შრომის რომელ სახეობას ეხება ესა თუ ის ხალხური პოეტური ნაწარმოები. ხალხმა კი თავის პოეზიაში შრომის თითქმის ყველა დარგი ასახა, რომლებსაც ისტორიულად მისდევდა ქართველი კაცი.

რეკოლუციამდე შრომის ლექს-სიმღერებში სოციალური უსამართლობის გმობასთან ერთად ყურადღებას იქცევს ისეთი მოტივები, როგორცაა სიკეთისაკენ სწრაფვა, ურთიერთ გატანა და მეგობრობა. ამავე დროს, რაც ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ისინი განაზოგადებენ მშრომელთა პრაქტიკულ გამოცდილებას, შეიცავენ სამეურნეო ხასიათის სასარგებლო მიზნებებს, ე. ი. დიდაქტიურ-აღმზრდებლობითი ელფერი დაქარავეთ.

ნათქვამის საილუსტრაციოდ მთლიანად მოვეყავს ხალხურ ლექსის „გუთანი ისე გავმართე...“ ძირითადი ნაწილი:

გუთანი ისე გავმართე,  
როგორც რომ მართებულა:  
პირველ გავთალე ხის რვილი,  
სახელდებულე თელისა,  
მოვუქერ სასლმე შუაზე,  
შემოვუღერე ყელიცა.  
ყელი კარგა მოუვიდა  
და შუა წელი სრულია.  
კაკლის დედანი შევები  
შალაშინ გადასმულია,  
ზედ გავუკეთე ხელ-კული,  
როგორც რომ ჩამოსხმულია.  
იფნის ხმალი გავატარე,  
ფარეშით გათანგულია.  
ლირიტის მორგვი გავთალე,  
პიტალო კაკლის გულია.  
მუხისა სოლი ვახმარე  
ხელჩით დაწმენდილია,  
ჯაგ-რცხილის ფერსოს მოვიკიდე  
როგორც დუღაბი-კირია.  
ისე გავმართე გუთანი,  
როგორც რომ მართებულა.  
ზედ მოვუბი საყვერები  
წნელებით გადაბმულია,  
შიგ დაუემართე უღლები  
ახალი დატუსულა:

5 ლექსი „გუთანი ისე გავმართე...“ ციტირებულია მ. ჩიქოვანის წიგნიდან „ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია“, 1956 წ., გვ. 230.

შიგ ჩაუყარე ტაბიკი,  
დათლილი შეინდის გულში,  
შევები აპურები,  
ახალი დაგრეხილია,  
შევები ხარი-კამეჩი,  
რქა-კუდი შემკობილია...

საანალიზო ლექსი უპირველეს ყოვლისა საინტერესოა ტერმინოლოგიურად. მასში ბევრი ისეთი სიტყვაა, რომელიც დღეს ცოცხალ სასაუბრო ენაში უკვე აღარ გვხვდება, როგორცაა, მაგალითად, რვილი, ფარეში, ჯაგი, ფერსო და სხვ. ყურადღებას იპყრობს იარაღები, რომლებსაც გუთნის სხვადასხვა ნაწილს დამზადებისას ხმარობდნენ, კერძოდ, შალაშინი, ფარეში ან რკინის ქანკიკი და ხელჩით. შალაშინით კაკლის ხეს ასწორებდნენ („კაკლის სულს შევები შალაშინ გადასმულია“). მუხის დედანი ხელჩითით სწმენდნენ („მუხისა სოლი ვახმარე, ხელჩით დაწმენდილია“), იფნის ხეს ამუშავებდნენ ფარეშით — რკინის ქანკიკით („იფნის ხმალი გავატარე, ფარეშით გათანგულია“). ვარდა ამისა, საყვერები — ურმის გასაწვევი ლატნები წნელებით უნდა გადაებათ („ზედ მოვუბი საყვერები წნელებით გადაბმულია“). უღელი შევეტუსათ ანუ შევერუჯათ („შიგ დაუემართე უღლები ახალი დატუსულია“), აპურები (ტაბიკის თოკები) კი დაეგრიხათ („შევები აპურები, ახალი დაგრეხილია“).

როგორც ვხედავთ, შრომის ლექსი „გუთანი ისე გავმართე...“ მსმენელს ასწავლიდა გუთნის გამართვას და პრაქტიკულ-სასარგებლო ცოდნით აიარაღებდა.

ყურადღების ღირსია აგრეთვე ის გარემოება, რომ ლექსის „გუთანი ისე გავმართე...“ ავტორი მსმენელებს შეაგონებს არა მარტო გუთნის გამართვას, არამედ ხარ-კამეჩის მზრუნველ მოვლასაც. „სახრო ფრთხილად მოიხმარეთ, არ მოახვედრთ მხარობა“, — არიკებს იგი ხარ-კამეჩის გამრეკს. ან კიდევ: „სახრის ცემა არ დაუწყეთ, გაუქნივეთ ხელია“. ასე უფრთხილდებოდა, თვალისჩინივით უვლიდა გლეხი ხარ-კამეჩს, რადგან პირუტყვი მისი შრომის მონაწილე და ჭირის მალამოა. გულითადობის ეს გარანობა ცხოვრებისეულია, მართალი გრძობაა და მას სოციალური საფუძველი აქვს.

„ხარის ლექს-სიმღერებში, — წერს მკვლევარი თ. ოქროშიძე, — გადმოცემულია გლეხის დამოკიდებულება მუშა საქონელთან, მუდმივი ზრუნვა მასზე, გლეხმა იცის, რომ მისი წლიური მოსავალი „ხარის ქედზედ იარება“. ამიტომ იგი ყოველნაირად ცდილობს შეუქმნას მუშა საქონელს უკეთესი პირობები. რეალური ხელშეწყობის გარდა მაგიურ მოქმედებასა და სიტ-

6 „ერქუნ-გუთანში სულ ცოტა უნდა ექვსი უღელი ბმულიყო“, ივ. ჯავახიშვილი, „საქართველოს ეკონომიური ისტორია“, 1, 1930 წ., გვ. 269.



ყვიერ ფორმულებს მიმართავდნენ მუშა საქონლის უზრუნველსაყოფად.

ხალხურ ლექსებში გადმოცემულია განუზომელი სიყვარული ქედნაქურთხი პირუტყვისადმი:

ხარო, ხარო, ვინ დაგარქო,  
ხარო სახე მშვენიერო,  
ჩვენ ნუგეშად მოგვინილო,  
ქედნაქურთხო, ღონიერო.<sup>7</sup>

მშრომელის დიდი სიყვარული მარჩენალი ხარებისა და სეართოდ პირუტყვისადმი არაერთგზის აისახა ქართულ სიტყვაჯამულ წერილობითს ლიტერატურაშიც. საქმარისია დავასახელოთ ეკ. გაბაშვილის „ღვინია გადაიჩეხა“, მისივე ფართოდ გახმაურებული „მაგდანას ლურჯა“, შიო არაგვისპირელის „ჩემო ვინიდავ“, რ. ერისთავის „თანდილას დარდი“ და ბევრი სხვა. განა ცხოვრებისეული, გლეხის მართალი გრძნობები არ არის გადმოცემული ლექსში „თანდილას დარდი“?

მომიკვდა ხარი გიშერა,  
მოკვდა გამიწყრა ღმერთია,  
სადღა ვუშოგო მეუღლე,  
ცალად-ლა დამრჩა ერთია...  
რილათი მოვხნა ნაწრეტი,  
რით ავიცილო შიმშილი,  
რილთი გავუძღვე ქვეყანას,  
რილთი ვარჩინო ცოლ-შვილი.<sup>8</sup>

მარჩენალი ხარებისადმი მშრომელთა განსაკუთრებული სიყვარული და მზრუნველობა მართლიედნ სოციალურ-ეკონომიური პირობებით როდი აისხნება. ეს მოტივი ძველია და მას შორეულ წარსულში აქვს ღრმა ფესვები. „ხარი, როგორც პერსონაჟი, ხშირადა ეპოსში და იგი მართლ ლირიკასა და ლირიკ-ეპიკაში არა გვხვდება, — წერს პროფ. მიხ. ჩიქოვანი, — ასეთი პოპულარობა შემთხვევითი მოვლენა არ არის. მას ღრმა საფუძველი აქვს. დადასტურებულია, რომ პირველყოფილ ტომებში ხარის ტოტემი არსებობს, ე. ი. ხარი მიჩნეულია ადამიანთა წინაპრად. ეგვიპტურთა მითოლოგიის გმირი ოსირისი ხარის სახეს ღებულბოს... ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, დიონისმა ხარის სახე მიიღო, ზევსიც ხარად იქცევა ხოლმე. პერკულესი ხარს ებრძვის, ხოლო კოლხიდაში მოსულ იაზონს ცეცხლის მფრქვევ ხარებთან უხდება პაექრობა. საქართველოში, ფშაველთა წარმოდგენით, „შავეთს ხარი ხნავს ცალარქა“. ზღაპარში ხარი-წიკარა ადამიანის ქომაგია, იგი ბოროტი ძალი-საგან იცავს დევნილ გმირს. ეს მდიდარი სიტყვიერება მეტ-ნაკლებად საწესჩვეულებო წარმოშობისაა. ხარის კულტის მაჩვენებელია ჩვენში

7 ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, გვ. 199.

8 რ. ერისთავი, თხზ., ტ. I, 1935 წ., გვ. 146.

უკანასკნელ დრომდე დარჩენილი ჩვეულებრივ ლეჩხუმში ვაზაფხულზე სოფელი ერთ ხარს აარჩევს, კარგად მოუვლის, გაასუქებს (არ ამუშავებენ) და დაკლავენ იმ ადგილზე, რომელსაც „ხარელია“ (ხარელია) ეწოდება. ხორცს იმდენ თანაბარ ნაწილად გაყოფენ, რამდენი კომლიცა სოფელში და ჩამოარაგებენ. საღამოთი ოჯახში ხორცს სუფთად მოხარშვენ და ჰამენ მოლოცვით (სოფ. ცხუქუშერი). მსგავსი დღეობა არსებობს სვანეთში, სადაც ამ ჩვეულებას მთელი სოფელი კი არ ასრულებს ერთად, არამედ 3-4 კომლი, უკეთ გვარი, ამ დღესასწაულს „უფლი-შერი“ ეწოდება. შესაწირავ ხარს იქ ორშაბათობით არ ამუშავებენ მხოლოდ.<sup>9</sup>

ხარის ქებას, და არა მარტო ქებას, არამედ გაფერთხებას შეიცავს ქართული ხალხური ლექსი „ორშაბათობით აშენდა ციხე-ქალაქი მთაზედა“. ლექსში ნათქვამია, რომ ადამიანის ერთადერთი ქომაგი, მზრუნველი და მოამაგე მხოლოდ და მხოლოდ ხარია. როცა ყველას უხარი უთქვამს ადამიანის შენახვაზე, ხარს უკისრია მთელი პასუხისმგებლობა მისი შენახვა-მომსახურებისა: აი, ეს ლექსიც:

ორშაბათობით აშენდა  
ციხე-ქალაქი მთაზედა,  
ქვა შემოივლო გალავნად  
ცა დაიხურა თავზედა,  
სასახლე, სადარბაზვი  
დგას ოქროს ბოძობაზედა.  
ადამიანის შენახვა  
ვერავინ იღვა თავზედა.  
ხენა-თესვა, ფარცხედა და ზიღვა  
ვაკირდა მეტად ძალზედა.  
ხარმა თქვა, პირ-ნათლიერმა,  
მე დამაწერეთ რაქზედა.<sup>10</sup>


ლექსი „ორშაბათობით აშენდა ციხე-ქალაქი მთაზედა“ ხარის ტოტემის გადმოწამით უნდა იყოს. ეს უფრო მკაფიოდ დასტურდება ამ ლექსის მეორე ვარიანტში, სადაც ხარი და ადამიანი ქრისტე ღმერთის წინაშე დგანან „ერთ სა-მართალზე“.

სამშაბათს იყო ყრილობა ქრისტე მეუფის  
კარზედა  
ხარი და ადამიანი დადგნენ ერთ  
სამართალზედა.

ადამიანის დარჩენა ვერვინ ვერ იღვა  
შხარზედა.  
ადგა, ხარმა მოახსენა, მე დამიღვა თავზედა...  
ადამიანისადმი ამ დიდი სიკეთისათვის ხარი  
ღვთიურ არსებად არის მიჩნეული.

9 მ. ჩიქოვანი, „ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია“, გვ. 269.

10 ციტირებულია მ. ჩიქოვანის წიგნიდან „ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია“, გვ. 269.



წამოდგნენ ანგელოზები, აკოცეს ორსავე თვალებდა ღვთის ჩამოსხმული სანთელი დააკრეს ორსავე რქაზედა.

ანგელოზებისაგან ხარის თვალების დაკონა და ღვთის ჩამოქნილი სანთლის რქებზე დაკერა, სხვა არაფერია, თუ არა ხარის წმიდანად აღიარება, მისი ღვთიურობის ხაზგასმა. ლექსი მთავრდება ხარის საპატივცემულო ღღესასწაულის დადგენით. კვირა დღე უქმე დღედ დაუწესებია ღმერთს ხარისათვის:

წალი ხარო და იხარე ცასა და ქვეყანაზედა მექსი დღე კი იმუშავე, მეშვიდეს დაწექ მხარზედა.

ვინც მეშვიდეს შენ შეგაბას, რისხვა მიადგეს კარზედა.

ერთი სიტყვით, შრომის ლექსებში გადმოცემულია მშრომელის პრაქტიკული ცოდნა-გამოცდილება. ცხოვრების მოვლენებზე ღრმა და ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად მიწის მუშა არა მარტო სამეურნეო-ტექნიკურ ცოდნას იძენდა, არამედ წმინდა „აგრონომიულსაც“. რა თქმა უნდა, გლეხის აგრონომია თეორიულ-მეცნიერულ საფუძვლებზე არ აღმოცენებულა. მაგრამ რამდენადაც პრიმიტიული არ უნდა ყოფილიყო იგი, მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. შრომის ლექს-სიმღერებში გადმოცემული გამოცდილებით დაგროვებული პრაქტიკული ცოდნა — თუ როდის უნდა დაიხნას მიწა, როდის დაითესოს, როგორ გაშენდეს ვენახი, მკის, თიბესი წესები და ა. შ. — ეხმარებოდა გლეხებს მოსავლის გადიდებაში.

აი ვენახის მოვლის ლექსი:

ვენახი კარგი იქნება თხოით ღრმათ გათოხნილია,  
ყოველთვის დაკრეფის ღროსა მას მტევანი აქვს სხვილია,  
გათოხნილი ვენახისა ღარში გამოდის სხვილია,  
გაუთოხნავ ვენახისა მძიმედ ჩამოდის წვრილია.<sup>11</sup>

აქ, როგორც ვხედავთ, საუბარია ვენახის დამუშავების წესებზე. ლექსის მიხედვით, ყურძნის მოსავალი დამოკიდებულია ვენახის გათოხნის ხარისხზე. თუ მიწას ღრმად მოთოხნიდნენ, ვაზი ბარაქიანად მოიხსამდა ყურძენს და ღვინოც ბევრი დაიწურებოდა: „გათოხნილი ვენახისა ღარში გამოდის სხვილია“, გაუთოხნავი ვენახი კი, პირიქით, ცოტა მოსავალს გამოიღებდა: „გაუთოხნავ ვენახისა მძიმედ ჩამოდის წვრილია“. ასეთივე აზრია გატარებული ლექსში „გოგოვ“.

გოგოვ ვენაცვალე“, რომელიც სატრფიალში ბიკის მოტივზეა აგებული.

გოგოვ, გოგოვ ვენაცვალე,  
სანთელივით ნუ დამანდე,  
თორემ მიწა მომერვევა,  
ბელტს ველარ გადავებრუნებ,  
ვაზი ღვინოს აღარ მომცემს,  
გუნება წამიხდებოა.<sup>12</sup>

მოუსვლიანობის თავიდან ასაცილებლად სახალხო მოლექსეს, იგივე პრაქტიკოს მევენახეს აუცილებლად მიანიჩა „დავეკრათ და მიწა ვაბრუნოთ, როგორც ნანგრევი ციხისაო“.

ეს ლექსი ბუნების სტიქიური მოვლენების საწინააღმდეგო პროვილაქტიკურ ღონისძიებებზეც მიგვითითებს. საკვირა ვაზის ძირს მიწა ბლომად შემოვავაროთ, ვენახი გავამაგროთ, რადგანკი გაზაფხულზე სპირი წვიმებია და წვიმებს კი ნიაღვარი ახლავს, რომელიც ვენახს მოთხრის და გაატიალებს:

ვაზაფხული მობრძანდება, ამწვანდება მთა და ბარი,

ციდან ქუხილი წამოვა, მოვარდება ნიაღვარი,  
ვაზს ძირამდისინ დაიყვანს, იქ ღარება მარტო სარი.

ბევრ სასარგებლო პრაქტიკულ რჩევა-დარიგებას შეიცავს ლექსები მკაზე. მათში ხაზგასმულია, რომ მკის ხარისხი დამოკიდებულია სამკალ იარაღებზე. ერთ-ერთ პოპულარულ ხალხურ ლექსში ამის თაობაზე ნათქვამია:

გლესავ და გლესავ ნამგალო, —  
ნამგალო, ჩემო რკინაო,  
ვაგლესავ საღესავითა,  
გასჭერ, გამიძებ წინაო.<sup>13</sup>

აქედან ჩანს, რომ მკის უპირველესი პირობა ნამგლის კარგი მოლესილობაა. ნამგალს გულდაგულ იმიტომ ლესავდნენ, რომ მოქნევის უმაღლეს გავტრა და გაეადვილებინა გლეხკაცის შრომა. მაშასადამე, „გასჭერ, გამიძებ წინაო“ აქ შემთხვევით კი არ არის ნათქვამი — თუ ნამგალი ბლაგვი იქნებოდა, იგი, ცხადია, გლეხს წინ ვერ გაუძღვებოდა, ჩამოარჩენდა.

სამკალი იარაღის წესიერულობის აუცილებლობა ხაზგასმულია ლექსშიც „ლეკებმა რომ დამიჭირეს“ (მთქმელი იბრაიმ ნოღაიდელი, ს. წყაეროვა, ჩაწერილია 1959 წელს).

ლეკებმა რომ დამიჭირეს,  
დამდეგ იყო მკათათვისა.  
ასი მთა გადამატარეს  
მთები კაცესაიონისა.  
გაგებდე ჩერქეთ მინდორსა

12 ფ. არქ. 33800.

13 ჰ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, წ. I, გვ. 331.

ნისლი იდგა შვიი ზღვისა.

სამი ქალი თივას თიბდა  
სამი ჩერქეზთ ბატონისა.

**შელში ეჭირათ ცელები,  
კბილები აქეთ აღმასისა,  
მარმარილოს ხალხსავით  
იმით აუწყობენ პირსა.**

სამნიც ისე დასძახიან,  
როგორც ანგელოზნი ცისა.  
არ მენახა, ვამიყვირდა  
მუშაობა დიაცისა.<sup>14</sup>

ეს ლექსი მრავალშრიტ საყურადღებოა. მასში ასახულია მტრის მოძალება და თარეში, ადგილობრივი მოსახლეობის აწიოება-მოტაცება. ყველაფერი ეს აჰარის ისტორიული ძნელებდობის რეალისტური სურათია. მეორე მხრივ, ჩვენს მიერ ხაზგასმული სტრიქონები სამკალი იარაღის წესიერულობის მნიშვნელობაზე მიგვიბრუნებენ. ცელებს, რომლებითაც ჩერქეზი ქალები ბატონის მიწდობრზე თივას თიბავდნენ, კბილი აღმასის ჰქონია, მარმარილოს ხალხსავით აწყობილი. რაღა თქმა უნდა, ასე საუკეთესოდ მოღებულ ცელები აადვილებდა შრომას, აჩქარებდა მუშაობის ტემპს და მთიბველებიც ხმაშეწყობილად მღეროდნენ — „სამივ ისე დასძახიან, როგორც ანგელოზნი ცისაო“.

მაგრამ სამკალი იარაღების წესიერულობა ყველაფერი როდია. ამასთან ერთად აუცილებელია მომკალმა იცოდნეს მკის წესები. სახელდობრ, მან ნამკალი მცენარეს ძირში უნდა შემოჭრას, თორემ თავთავი ჩამოსცივია და მოსახელი განიავდება.

ძირში მოუსევი ნამკალი,

თორემ თავთავი ცვივიაო,

ბატარა გოგოს დაესხენ,

ცრემლები ჩამოსცივიაო.<sup>15</sup>

როგორც ვხედავთ, შრომის თემაზე შექმნილი ხალხური ლექსები მკვეთრად გამოხატულ დიდებულ-აღმზრდლობითს ხასიათს ატარებდნენ და სამეურნეო გამოცდილების გაზიარების საუკეთესო საშუალებას წარმოადგენდნენ. რევოლუციამდელი გლეხის ცხოვრებაში კი ამას ცოტა მნიშვნელობა როდი ჰქონდა. მოკლებული იყვნენ რა სწავლა-განათლებას, გლეხები თავიანთ შრომით გამოცდილებას აქსოვდნენ ზეპირ პოეზიაში და თაობიდან თაობას გადასცემდნენ.

საკულისხმო ფაქტია ისიც, რომ შრომითი გამოცდილების აგიტაცია-პროპაგანდასთან ერთად შრომის ლექსებში ხალხი თავის პედაგოგიურ გამოცდილებასაც გადმოსცემდა. პროფ. ა. შა-

14 მასალები აჰარული მუსიკალური ფოლკლორიდან, გვ. 68.

15 მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, გვ. 235.

ნიძეს „ხალხური პოეზიის“ პირველ ტომში (1923 წ. გვ. 021) შეტანილი აქვს ლექსი:

ცელი ვლესე და ვერ გავლესე, —  
გადაღესული ყოფილიყვა,  
ცოლი ვწუთონე და ვერ გავწუთონე  
თავში უწუთონი ყოფილიყვა.

მასასადამე, გაწვრთნა, აღზრდა ბავშვობიდან უნდა დაიწყოს. „თავში უწუთონი“ ძნელად თუ გასწორდება, ამასთან უწვრთნელი ადამიანი შედარებულია გადაღესილ ცელთან, რომელიც სამუშაოდ უკვე აღარ გამოდგება. ლექსის ქვეტექსტი ასე იკითხება: ყველაფერი თავის დროზე უნდა გავითეს, ადამიანის ხასიათის ჩამოყალიბებასაც ბავშვობიდან უნდა მოვეციდოთ ხელი. ეს სწორი მეცნიერულ-პედაგოგიური შეხედულებაა, რომელიც ხალხმა თავის ზეპირ პოეზიაში ჩააქსოვა.

ხალხური ლექსებით ვრწმუნდებით, რომ მიწის უზომო სიყვარულს — გლეხის ფსიქოლოგიის ამ საუკუნოობრივად განმტკიცებულ თვისებას — ბედნიერებისა და შრომის წყურვილი ასაზრდოებს. მშრომელ გლეხს უყვარს მიწა, გუთანი და ყველივე ის, რაც მიწაზე შრომისათვის არის საჭირო:

შენი კირივ გუთანო,

მაგ შენი მრუდე ყელისა,

წამოუწვები ვეერდზედა

ალება იცი ველისა...

შენ აჰმევე პურსა ცოცხალსა,

დამმარხველი ხარ მკედარისა...

ეს არ არის, რასაკვირველია, გუთნის ფეტვი-შიზმი, არც მარტო ჩვევის ძალა ამ სიყვარულში; იგი შექმნის, კეთების, ბედნიერების, დოვლათიანობისა და შრომაში ადამიანური ღირსების გამჟღავნების დიდი სწრაფვაც არის.

„მომკალი რასა მოკეა? ნარსა და გვირილა-საო“.<sup>16</sup> უთქვამს ქართველ კაცს და მასში მშრომელი ადამიანის სულის დიდი სიძარბოა.

ერთი სიტყვით, კარგი მოსავლის უსაზღვრო წყურვილი, დაკავშირებული შრომის სიყვარულთან, ჩაუქრობდალ ანთია რევოლუციამდელ ხალხურ ლექსებში. მიუხედავად იმისა, რომ მოსავლის უდიდესი ნაწილი მეტადონესა თუ მემამულეს უძიქონდა. მშრომელი გლეხი ამოღ ფიქრობდა, თითქოს ნანატრი ბედნიერების მოპოვება, ოჯახის ავსება დოვლათით შეეძლო მიწისა და მოსავლისათვის მზრუნველობით. რა თქმა უნდა, მუშაობის ხარისხს ჰქონდა მნიშვნელობა, მაგრამ მშრომელთა ბედნიერების მიღწევა განკარგობებული, თივანთ პატარა ნაკვეთებზე ფუჭი ოცნება იყო. ბევრ ლექსში ხალხი კიდევაც ხაზს უსვამდა ცხოვრების სრულუჭირგს, შრომის ამოებას და მკაცრ პროტესტს აცხადებდა სასტიკი ექსპლოატაციის წინააღმდეგ.

16 პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, წიგნი 1, გვ. 334.

გმობდა ექსპლოატატორებს, რომლებიც უსი-  
ცხვილოდ ითვისებდნენ მშრომელი კაცის ნა-  
ფლარს.

ამ გარემოებამ მნიშვნელოვანწილად განსაზღ-  
ვრა საბჭოთა ეპოქის შრომის პოეზიის ერთ-ერ-  
თი მთავარი თავისებურება — თანამედროვე  
ქართულ საბჭოთა ზეპირსიტყვიერებაში შრო-  
მის ლექსები ხასიათდება კონტრასტებით —  
ძველი ცხოვრების ახალთან შეპირისპირებით და  
ახლის უპირატესობის ხაზგასმით. სხვანაირად  
რომ ვთქვათ, შრომის ტრადიციულ სიყვარულს  
დაემატა შრომის უსაზღვრო სიხარულიც.

კოლექტიველი მწყემსი ვარ,  
მღერა მწადია მწყემსურად,  
დედა-სამშობლომ გამწარდა, —  
იმისი კალთა მეხურა,  
მახარებს მთების ნათელი,  
უწინ რომ ნისლი ეტურა.  
ცხვარი და ძროხა ვამრავლე  
ძმებთან ხელჩაიდებულმა.  
მზიანი სახლი ავავე  
ბნელ ქოხში დაბადებულმა.  
თუ კი რამ ვთქვი და ვინატრე,  
ამისდა, ცხადლივ მესტუმრა.

„მთების ნათელი“, რომელიც მშრომელს  
დღეს ახარებს, მხატვრული სახეა ბედნიერი და  
თავისუფალი ცხოვრებისა. მასთან დაპირისპირე-  
ბულია ნისლით დაბურვილი მთები, რაშიც  
ძველი, ბნელი ცხოვრება იგულისხმება. აქვე  
ხაზგასმულია კოლექტიური, ძველი თანამშრო-  
მლობის შედეგი — „ცხვარი და ძროხა ვამრ-  
ავლე ძმებთან ხელჩაიდებულმა“. კოლექტიური  
შრომით აიგო მშრომელმა „მზიანი სახლი“ და  
უაღრესად ბედნიერს არ ავიწყდება მწარე წარ-  
სული ის, რომ „ბნელ ქოხში“ დაიბადა.

თავისუფალი შრომა ბედნიერებისა და სიხა-  
რულის უშრეტე წყაროა. დღეს შრომაში მონა-  
წილეობა განსაზღვრავს პიროვნების ღირსებას.  
ამას გამოხატავს ახალი ანდაზები — მითხარი,  
როგორ შრომობ და გეტყვი ვინცა ხარო. შრო-  
მას დღეს ყველა ეტრფის — ახალგაზრდა თუ  
მოხუცი, ქალი თუ კაცი. აი მოხუცი მწყემსის  
სიმღერა:

მოხუცებული მწყემსი ვარ  
მეძროხეობის ფერმისა,  
ამცდა ის მწარე სიბერე  
ბედშავი მაძაჩემისა.  
ფერმის ხბო-ზაქში დავდივარ  
გალაღებულნი გულითა...

თუ „ძველად მუშა-ხალხისთვის ცხოვრება  
იყო ძნელია, იფლში ცურავდა დღე-ღამე, არა-

ვინ ჰყავდა მხსნელია“, დღეს სულ სხვაა:  
ემუშაობ და შრომის დილა გულს ემეფება  
აქობს დღე-ღამე

ოჯახი მაქვს, ქოხი თფილი, გაშლილია  
მდელო ბალად.

ასრულდა მიწის მუშის დიდი ხნის ოცნება —  
შრომა განთავისუფლდა ტყვეობიდან და ნაშრო-  
მი ახლა გლახსავე ეკუთვნის. ამიტომ მღერის  
იგი მგზნებარედ და თავის სიმღერებში აქსოვს  
ცხოვრების აღმავალ რიტმს, „შრომის დილის  
ჰანგებს“.

მეტად საგულისხმო ფაქტია ისიც, რომ თანა-  
მედროვე ხალხურ ლექსებში გაქრა გუთნისა  
და სხვა პრიმიტიულ საწარმოო საშუალებათა  
ხსენება. ახლა გლახი გუთნს კი არა. ტრაქ-  
ტორს, კომბაინსა თუ სხვა ახალ მანქანა-იარა-  
ღებს უმღერის:

ვინ მოიგონა ტრაქტორი,  
ვინ იყო იმის ჰკვისაო,  
რკინა ააწყო ერთერთზე  
მაგარი ფოლადისაო.  
კომბაინებიც დახშირდა, —  
გამლწყავია ძნისაო.  
თავისუფლად ემუშაობ,  
როგორ მინდებებსა მკისაო.  
ვეცდები მათი სწავლისთვის  
არ მოვიკიდებ ძილსაო.

როგორც ვხედავთ, ეს ხალხური ლექსი აბტი-  
მისტურ განწყობილებასთან ერთად შეიცავს  
მშრომელის მისწრაფებას სწავლისაკენ. მის სუ-  
რვილს — დაეუფლოს ტექნიკურ მეცნიერებათა-  
მოდურებს, რათა უკეთ მართოს თანამედროვე  
მანქანა-იარაღები. თავისთავად ცხადია. მას ამ  
სურვილის განხორციელების ფართო ასპარეზი  
გააჩინოს.

დღევანდელი გლახი, საბჭოთა კოლმეურნე,  
რომელიც თავისუფლად ფლობს რთულ მანქანა-  
იარაღებს და ხალისიანად მუშაობს. გალა-  
ღებული მღერის ძლევის, გამარჯვების სიმღე-  
რას:

კოლექტივი მე შენს გამჩენს  
ვენაცვალე ყელშია,  
გლახკაცობა, ღარიბობა  
შენ გამართე წელშია.

ხალხის ზეპირსიტყვიერება ხალხურ მატთანეს-  
წარმოადგენს, რომელიც როგორც სარკე, ისე  
გვიჩვენებს ძველსა და ახალ ვითარებას. ძველის-  
უსამართლობასა და ახლის სამართლიანობას,  
მის განუზომელ უპირატესობას ძველსა და  
დრომოკმულზე.



საკიზონ სხვადასხვა

საზღვრის ურთიერთობები

იმ მამულიშვილთა შორის, რომლებიც თავდადებით იღვწოდნენ დედა-სამშობლო საქართველოსთან აჭარის ტერიტორიული და სულიერი გაერთიანებისათვის, ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავს სულიმან ეუბის-ძე დიასამიძეს. იგი დაიბადა 1895 წელს ქ. ბათუმში. 1915 წელს დაამთავრა ბათუმის ვაჟთა გიმნაზია. სწავლის პერიოდშივე იტაცებდა საზოგადოებრივი საქმიანობა და განსაკუთრებით ინტერესებდა აჭარის მოსახლეობის კულტურული წინსვლა, იღვწოდა მუსლიმან და ქრისტიან ქართველთა დაახლოება-დამეგობრებისათვის, შეუპოვრად ებრძოდა პანისლამიზმსა და პანთურქიზმს.


ამის გამო ჯერ კიდევ გიმნაზიელ სულიმან დიასამიძეს ბეჯითად აღევნებდა თვალ-ყურს პოლიცია, როგორც პოლიტიკურად არასამიედო პიროვნებას. პოლიცემისტერმა პანინმა იგი გამოიძახა და გააფრთხილა, დაეგმო თავისი „მაგნი იდეები“, შეეწყვიტა აჭარა-საქართველოს მეგობრობის ქადაგება და პროკლამაციების გავრცელება, ჩამოშორებოდა რევოლუციურად განწყობილ მოსწავლეებს. მიუხედავად ამისა, იგი კვლავ განაგრძობდა აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობას, რისთვისაც პანინის განკარგულებით 1911 წელს დაპატიმრებულ იქნა. მამამისმა თოფან ბეგ შერვაშიძისა და სხვა გავლენიანი პირების თავედებით მოახერხა პატიმარი შვილის განთავისუფლება. რევოლუციურ საქმიანობაში ს. დიასამიძის ჩაბმას ხელი შეუწყო პირადმა მეგობრობამ მიხა კახიანთან — ისინი ერთად სწავლობდნენ ბათუმის ვაჟთა გიმნაზიაში.

როგორც ცნობილია, პირველი მსოფლიო ომის დროს პანისლამიზმისა და პანთურქიზმის პროპაგანდა მეტად გაძლიერდა. აზერბაიჯანელმა პანისლამისტებმა — მუსავატელებმა თავი-

ანთი მიზნების მისაღწევად ბათუმში ბაქოს საქველმოქმედო საზოგადოების განყოფილებაც კი დააარსეს და გააფრთხელეს ავტაცის ეწეოდნენ ქართული სკოლების წინააღმდეგ აჭარაში, ამავე დროს ქმნიდნენ თურქულ-აზერბაიჯანულ სკოლებს. ს. დიასამიძემ და მამინდელმა ქალაქის თავის მოადგილემ ზია აბაშიძემ პირველებმა გაილაშქრეს 1918 წელს თურქების მიერ პირველი ქართული სკოლის თურქულ სკოლად გარდაქმნის წინააღმდეგ და იგი კვლავ ქართველ მაჰმადიანთა ქართულ სკოლად გამოცხადდა.

ს. დიასამიძეს ინტერესებდა არა მარტო აქური აჭარლების ბედი, არამედ აჭარელი მუჰაჯირებისაც. ჯერ კიდევ სრულებით ახალგაზრდამ შემოიარა ოსმალეთში გადასახლებული აჭარლების ადგილსამყოფელი და გამოარკვია მათი ეკონომიური და სულიერი მდგომარეობა, მოინახულა ტრაპიზონი, უწყია, სამსუნი, სკუდარი, სტამბოლი და სხვა ადგილები, სადაც აჭარიდან გადახვეწილი მაჰმადიანი ქართველები ესახლნენ. ს. დიასამიძე იქ შეხვდა აჭარელ მუჰაჯირებს — თავდგირიძეებს, ლორთქიფანიძეებს, ნაკაშიძეებს, ლლონტებს, ჭიკინაძეებს, რომლებიც ძლიერ ხელშოკვლად ცხოვრობდნენ.

აი რას მოგვითხრობს ამის თაობაზე ს. დიასამიძე: „მუჰაჯირები დიდი სიყვარულით იხსენიებდნენ მიტოვებულ სამშობლოს და ოცნებობდნენ აქეთ დაბრუნებაზე. ისინი მწარედ იგონებდნენ, თუ როგორ პირდებოდნენ თურქები „ოქროს მთებს“, შემდეგ კი დასცილდნენ და „ფუშტ გურჯებს“ ანუ მილაღატე ქართველებს ეძახდნენ. მათ შერჩენილი ჰქონდათ მშობლიური ენა, სიმღერები, ზნეჩვეულება, ხასიათი და ქართული სილამაზე. სტამბოლში მაჰმადიანი და ქრისტიანი ქართველები ერთმანეთთან მეგობრობდნენ. სწორად ოჯახებში იყ-



რიდნენ თავს და ბასობდნენ ეკონომიურ და კროვულ საკითხებზე“.

მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ ს. დიასამიძემ მუჰაჯირებს გაუგზავნა „ღედა ენა“, ყურანლ-გაზეთები და ქართული წიგნები.

აქარაში თანდათან იზრდებოდა საქართველოს ორიენტაციის მომხრეთა რიცხვი, მუსლავატელთა და თურქოფილთა ავტორიტეტი ხალხის თვალში სულ უფრო ეცემოდა, მაგრამ ისინი ფარ-ხმალს მიიხედავდნენ არ ჰყრიდნენ.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ მუსლავატელმა მამუდ-ბეგ ეფენდიევს, სულთან-ბეგ სულთანოვის, იური განჯინსკისა და სხვათა მეთაურობით, აგრეთვე აქარის რეაქციონერი თურქოფილი ბეგების, აღებისა და ხოჯების დახმარებით აზერბაიჯანის საკველმოქმედო საზოგადოების შირშით ქალაქ ბათუმში მოიწვიეს კრება. ამ კრებას უნდა დაეარსებინა „ისლამის კომიტეტი“, რომელიც სათავეში ჩაუდგებოდა თურქეთთან აქარის შეერთებისათვის ბრძოლას. მაგრამ აქარის პროგრესულმა მოღვაწეებმა ს. დიასამიძის ხელმძღვანელობით ჩაშალეს ეს კრება. დიასამიძესა და მის თანამოაზრეებს ბეგებმა და ხოჯებმა ცილი დასწამეს, სკოლებში ქართული ენის სწავლებით ჩვენში ქრისტიანობის შემოღება სურთო. ამ კრებაზე დიდი შეხლ-შემოსლა მომხდარა ქართველ პატრიოტებსა და თურქოფილებს შორის. კონფლიქტს მებღ მწვავე ხასიათი მიუღია და შეიძლება სისხლიც დაღებოლიყო, რომ ხასან ვარშანიძეს და ზეჰერია შერვაშიძეს არ დაეშოშმინებინათ მოწინააღმდეგენი.

მალე აქარის პატრიოტებმა ს. დიასამიძის მეთაურობით აქარის რაიონებიდან მოიწვიეს წარმომადგენლები და აზიზის ჯამეო გამართეს კრება, რომელსაც ესწრებოდნენ აგრეთვე ქრისტიანი ქართველები ს. მდიბანი, კ. გოგოლაძე, ა. წულაძე, ს. გერსამია და სხვები. ამ კრებამ აირჩია „სამუსლიმანო საქართველოს კომიტეტი“. კომიტეტის თავმჯდომარედ დაუსწრებლად იქნა არჩეული მემედ აბაშიძე (იგი გადასახლებიდან ჭერ კიდეც არ იყო დაბრუნებული). ხოლო პასუხისმგებელ მდინდა — სულეიმან დიასამიძე. კომიტეტის მიზანს შეადგენდა სამუსლიმანო და საქრისტიანო საქართველოს ტერიტორიული გაერთიანება, აქარაში ქართული სკოლების გახსნა, მოსახლეობაში ქართული წერა-კითხვის გავრცელება და სხვ.

1918 წლის აპრილში თურქეთის ჯარებმა დაიკავეს ბათუმის ოლქი და თვით ბათუმიც. ამასთან დაკავშირებით სამუსლიმანო საქართველოს კომიტეტის წევრები გადასახლდნენ ოზურგეთში და იქიდან ეწეოდნენ მუშაობას. რადგან სულეიმან დიასამიძე გაიქცა ბათუმიდან, „სხვაი მილეთის“ მეშვეობით თურქეთის მთავრობამ იგი და მისი მომხრეები „ისლამისა და ოსმალეთის მთლიანტებად“ გამოაცხადა.

დევნილმა პატრიოტებმა თავი მოიყარეს თურქულ ლისში და იქ დააარსეს „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი“, რომლის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა მემედ-ბეგ აბაშიძე, ხოლო მდინდა — სულეიმან დიასამიძე. მემედ აბაშიძე იმ დროს თბილისში იმყოფებოდა, ავადმყოფობის გამო ვერ მოახერხა ბათუმიდან წსკლა. შემდეგ კი მემედ აბაშიძე და მასთან ერთად რამდენიმე აქარული პატრიოტი დააპატიმრეს და ეტაპით გადაიყვანეს ტრაპიზონის ციხეში.

მემედ აბაშიძე ამ დაპატიმრების შესახებ წერს: „1918 წელს, როცა თურქეთი შემოვიდა ბათუმის ოლქში და დაიპყრო, ამ პერიოდში ბათუმში ჩამოვიდა საზავო დელეგაცია თურქეთის პარლამენტის თავმჯდომარის ხალილ ბეგის მეთაურობით. ქალაქის საბჭოს დავალებით სიტყვით მივმართე საზავო დელეგაციას, არამარტო როგორც მასპინძლებს, არამედ როგორც სტუმრებს, აგრეთვე ბათუმის ოლქის მოსახლეობის სახელით ეთხოვე, რომ საქართველოს წინააღმდეგ საომარი მოქმედება შეეწყვიტა.“


აქარის ოკუპაციის შემდეგ თურქეთის სარდლობამ მიიწვია აქარელი ახალგაზრდობისაგან შედგინა რაზმი საქართველოს წინააღმდეგ საბრძოლველად. ახალგაზრდა აქარლები ძალიან შეჰყარეს აზარბეშტში. ამან ძალზე აღაშფოთა ადგილობრივი მოსახლეობა. ხალხმა მემედ აბაშიძეს მიმართა დახმარებისათვის. მემედ აბაშიძემ იცოდა, რომ ოკუპანტები მას არ დაუჯერებდნენ, ამიტომ აქარულ მოსახლეობას უჩინა, თურქეთის დელეგაციას ჩამოჰყვა გერმანიის წარმომადგენელი შულენბერგი და მას მიმართეთო.

ოსმალთა ხელისუფლებმა მ. აბაშიძეს ეს გაუგეს, სხვა ბრალდებებიც წაუყენეს და, როგორც ვქვითი, დააპატიმრეს და თურქეთში გადასახლეს.

„სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელმა კომიტეტმა“ ევროპაში დელეგაცია გაგზავნა ოსმალეთის ბატონობისაგან აქარის განთავისუფლებისა და საქართველოსთან მისი შეერთების საქმეში დახმარების სათხოვნელად, მაგრამ ამ ცდამ დადებითი შედეგი ვერ გამოიღო.

1919 წლის 31 აგვისტოს შედგა აქარის წარმომადგენელთა მეორე ყრილობა, რომელმაც ერთხმად აღიარა, რომ სამუსლიმანო საქართველო წარმოადგენს დედა-სამშობლო საქართველოს განუყოფელ ნაწილს და მას უერთდება ავტონომიურად. ამ ღონისძიების განხორციე-

1 მემედ აბაშიძის წერილი-განცხადება ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის თავმჯდომარის მ. ორახეშვილის სახელზე (მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის ფონდი 14, საქმე 912).



ელგებისათვის არჩეულ იქნა მეკლისი. ეს დადგენილება გაეგზავნა ევროპის ყველა სახელმწიფოს. ამ საქმეში მემედ აბაშიძესთან ერთად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ს. დიასამიძე. სულთნის ხელისუფლების დამარცხებისა და ინგლისის საოკუპაციო ჯარების ბათუმში შემოსვლის შემდეგ სედაიმილეთელებმა კურსი შესცვალეს და თურქეთის ნაცვლად ინგლისის საოკუპაციო ხელისუფლებას ამოუდგინენ მხარში. ისინი მოითხოვდნენ აჭარაზე ინგლისის მფარველობას და იმდენი მოახერხეს, რომ ართვინის მოსახლეობის ნაწილს ინგლისის სარდლობის სახელზე განცხადება შეატანინეს. სედაიმილეთელები შეეცადნენ აჭარის მოსახლეობის გადაპირებასაც, მაგრამ ამაოდ. ს. დიასამიძის თაოსნობით ამ გამყიდველთა განზრახვა ჩაიფუშა.

სედაიმილეთელების დახმარებით მეფის ყოფილმა მოხელეებმა, თეთრგვარდიელმა გენერლებმა აგრეთვე მოინდომეს აჭარაში შეექმნათ „მუსლიმანი ტომების გაერთიანების კომიტეტი“. ამ საქმეს სათავეში ჩაუდგნენ გენერალი ტრამენი და ოლქის უფროსი იონინი, რომლებმაც შექმნიეს კიდევაც ასეთი კომიტეტი. იგი მიზნად ისახავდა ოსმალეთთან ყარსის, ბათუმისა და ართვინის ოლქების „ავტონომიურად“ შეერთებას. კომიტეტს ჰქონდა თავისი ბუკდვითი ორგანო „სელია მილეთი“ („ხალხის ხმა“) და სწორედ ამიტომ ამ კომიტეტის მიმდევრებს ეწოდა სედაიმილეთელები.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ, აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, კიდევ უფრო გამწვავდა კლასობრივ-პოლიტიკური ბრძოლა. ამ ბრძოლების შედეგად ძირითადად ჩამოყალიბდა სამი ჯგუფი. პირველი — პანისლამისტთა ჯგუფი, რომელმაც შემდეგ სედაიმილეთელთა სახელი მიიღო, მოითხოვდა ოსმალეთთან აჭარის „ავტონომიურად“ შეერთებას; მეორე ჯგუფი — სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი, რომელიც მოითხოვდა აჭარის ავტონომიურად შეერთებას მენშევიკურ საქართველოსთან; ხოლო მესამე და ძირითადი ჯგუფი იყო ბოლშევიკური. იგი მოითხოვდა საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებასა და საბჭოთა საქართველოსთან აჭარის შეერთებას. ეს ჯგუფი ბათუმის ბოლშევიკური კომიტეტის ხელმძღვანელობით უკავშირდებოდა აჭარის სოფლებს, ავრცელებდა რევოლუციურ პროკლამაციებს, რაზმავდა გლეხობას აჯანყებისათვის. ამ ჯგუფში მთავარ როლს ასრულებდნენ ნ. ჩიკავაძე, ა. მიქელაძე, ს. ახვლედიანი, ს. ბარამიძე და სხვები. ბოლშევიკებმა თავიანთი ფართო აგიტაცია-პროპაგანდით აჭარის მშრო-

მელი მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ჩამოაყალივეს თურქოფილთა მანევ პოლიტიკის მომხრეებად.

მენშევიკების ბატონობის უკანასკნელ პერიოდში სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტში შეიქმნა სხვადასხვა მიმდინარეობა. სხვებთან ერთად კომიტეტში შედიოდნენ ალა-ბეგები, ეპურები, ხოჯები, რომელთა დიდმა უმრავლესობამ სედაიმილეთელებს დაუჭირა მხარი, ხოლო მეკლისის ზოგიერთი წევრი და თვით მემედ აბაშიძე წინააღმდეგა მენშევიკური მთავრობის პოლიტიკას აჭარაში. მემედ აბაშიძესა და მენშევიკური მთავრობის რწმუნებულ ბენია ჩიკვიციანი შორის დიდი უთანხმოება ჩამოვარდა.

მენშევიკებსა და ბოლშევიკებს შორის გამართულ ბრძოლაში ს. დიასამიძე კომუნისტებს უჭერდა მხარს. აი რას წერს ამის შესახებ დ. კობლაძე: „დიასამიძეს პირადად იცნობდნენ და დიდად აფასებდნენ იატაკქვეშ მომუშავე ბოლშევიკები ს. ორჯონიკიძე, შ. ელიავა, მ. ორახელაშვილი, აფხაზეთში — ნესტორ ლაკობა, ბათუმიდან — კ. თავბერიძე, ვ. პეცეოვი, გ. რამიშვილი, ა. ბერძენიშვილი, გ. პიასციკი, ხ. ჩიკავაძე, ს. კობისლოლი (ახვლედიანი), ს. ბარამიძე, ალი მიქელაძე, მ. კახიანი, ა. ყორეკიაშვილი და სხვები“.

ს. დიასამიძის პარტიულობის შესახებ დ. კობლაძეც ვადაცხადებს: „ს. დიასამიძე, როგორც განათლებული, პროგრესული იდეების მატარებელი, გამორჩენილი საზოგადო მოღვაწე და კომუნისტური პარტიის მიერ გამოცდილი, ოფიციალურად კ. პ. წევრად გაფორმებულ იქნა 1921 წლის პირველი მარტიდან“, ე. ი. აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე (ფაქტურად იგი ითვლებოდა კომუნისტად 1918 წლიდან). მართლაც აქ დღეებით არის განსხვავება, მაგრამ აჭარისათვის პირველი მარტი ნიშნავს არაბოგალურ პერიოდს, ხოლო 1921 წლის 18 მარტის შემდეგ ნიშნავს ლეგალურ პერიოდს, რადგან აჭარაში საბჭოთა ხელისუფლება 1921 წლის 18 მარტს დამყარდა.

1921 წელს, როცა წითელი არმია აჭარის განათავისუფლებულად მოდიოდა, სედაიმილეთელები ატყუებდნენ ხალხს, რომ წითელ არმიას შევხვედრებდნენ ოსმალურ დროშას და ისინი აქეთ არ წამოვლენო. მათი პროპაგანდის წინააღმდეგ მემედ აბაშიძისა და ს. დიასამიძის ხელმოწერით რაიონებში გაიგზავნა სპეციალური წერილები, რომლებშიც ახილებდნენ სედაიმილეთელთა პოლიტიკას და მოუწოდებდნენ ხალხს, არ აჰყოლოდნენ მათ ხმას. მართლაც, აჭარის მოსახლეობა არ აჰყვა თურქოფილთა პროპაგანდას, პირიქით, პურ-მარტილი შეაგება აჭარის ტერიტორიაზე შემოსულ წითელ ჯარს.





და მაინც, სედაიმილეთელებს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღეებში ჯერ კიდევ გარკვეული გავლენა ჰქონდათ. ასე, მაგალითად, 1921 წლის მაისში ქედის მაზრაში მილიციის ორი სამმართველო ყოფილა და მათ ორი დროშა ჰქონიათ — ერთი წითელი და მეორე ქემალისტური.<sup>1</sup>

ბოლშევიკების პროპაგანდის შედეგად სედაიმილეთელების გავლენა მოსახლეობაში თანდათანობით შესუსტდა, თუმცა პირველ ხანებში ზოგიერთმა ალა-ბეგმა და სედაიმილეთის პარტიის წევრმა მოახერხა რევოლუციისა და ახალ მეჯლისში გაქრობა. ისინი ცდილობდნენ ხალხის თვალში „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის“ მეჯლისის ავტორიტეტის დაცემას.

მაგრამ მალე გამოაშკარავდა ამ მეჯლისის სახე და მას „შავი მეჯლისი“ უწოდეს. ამ მეჯლისის ზოგიერთი წევრი იმდენად გათამამდა, რომ აჭარის ავტონომიის ფარგლებში მესხეთის შეყვანაც მოითხოვა. ამ მიზნით თბილისში სპეციალური დელეგაციაც კი მიავლინეს. სამუსლიმანო საქართველოს კომიტეტის მეჯლისი 1921 წ. 25 მაისს დაიშალა, ხოლო ე. წ. ახალი მეჯლისი, როგორც რეაქციული, გაუქმდა ნოემბერში. მის ნაცვლად იმავე თვეში არჩეულ იქნა ნამდვილი წითელი მეჯლისი. ამ ბრძოლაში სულეიმან დიასამიძე დიდ როლს ასრულებდა.

ძველი მეჯლისის მეთაურები მიხვდნენ, რომ საქმე უკვდავ იყო და გააჩაღეს ფართო პროპაგანდისტული მუშაობა. მათ მართლაც მიიზარეს სოფლის მოსახლეობის ნაწილი და დაიწყეს სიებისა და პროტესტების შედგენა, თითქოს ხალხი იბხოვდა მეჯლისის ძველი შემადგენლობის დატოვებას. აი, მაგალითად, რა წერილი ერთ-ერთ პროტესტში: „როგორც გავიგებ ჩვენი სარწმუნო წყაროებიდან, ჩვენი სახელის თბილისში წასულან შემდეგი პირები: მურად ბაკურიძე, ხასან ბერიძე, ისაკ თედორაძე და შერიფ მუსტაფიშვილი არსებული აჭარისტანის მეჯლისის წინააღმდეგ პროტესტის გამოსაცხადებლად, რომ თითქოს მეჯლისი ჩვენი სურვილების გამოიმხატველი არ არისო“<sup>2</sup> და ა. შ. არქივში დაცული ამ პროტესტების ტექსტი ყველა ერთნაირია. როგორც ჩანს, იგი თვით მეჯლისში წინასწარ შეუდგენიათ და მეჯლისის თურქთფილი წევრები ალა-ბეგებისა და ხოჯების გავლენით გლეხებს ხელს აწერიანდნენ მასზე. ეს ამბავი აჭარის მოსახლეობის ძირითადი მასისათვის ცნობილი იყო და ამიტომ „შავი მეჯლისის“ წევრების ეს ცდა სრული მარცხით დამთავრდა.

ს. დიასამიძე დიდ მუშაობას ეწეოდა აჭარის მოსახლეობის პოლიტიკური და ეროვნულ-თვითცნობიერებისათვის, იგი ხშირად და რაიონებში და მოსახლეობას განუმარტავდა სედაიმილეთელთა საქმიანობის რეაქციულ ხასიათს.

1921 წელს ს. დიასამიძემ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და დაბრუნდა აჭარაში სამუშაოდ. იგი პირველი აჭარელი იყო, რომელმაც უმაღლესი განათლების დიპლომი მიიღო საბჭოთა უნივერსიტეტში, რომდენიმე წლის შემდეგ იგი მოეწყო თბილისის საინჟინერო-სამშენებლო ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1932 წელს.

აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ ს. დიასამიძე ახალი ენერგიით ჩაება პარტიულ საქმიანობაში. საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის დაეხმარებით მან დიდი მუშაობა გასწია რაიონებში ღარიბ გლეხთა კომიტეტების ჩამოსაყალიბებლად. იგი არჩეული იყო ღარიბთა ცენტრალური კომიტეტის ბიუროს შემადგენლობაში, ხოლო აჭარის ასსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დაარსების შემდეგ არჩიეს ცაკის წევრად და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარედ.

1921 წლის 19 ნოემბრიდან ს. დიასამიძე ფინანსთა კომისრად დანიშნა. ამ პოსტზე მუშაობის დროს იგი იჩენდა პრინციპულობას, დიდ მონდომებას, მოითხოვდა თანხების მომჭირნეობით ხარჯვას. 1922 წლის 4 იანვარს იგი საფინანსო საქმეში არსებული უწყისრიგობის თაობაზე ფინანსთა სახალხო კომისარიატის სახელით წერილი უგზავნის საქართველოს საბჭოების ყრილობას. ეს ერთგული მუშაკი ფინანსური დისციპლინის დაცვას და განხორციელებას აღწევს მას შემდეგ, რაც თვითონ დანიშნა აჭარის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარედ.

ასევე პრინციპულობის გამო მას ხშირად შეხლა-შემოხლა უხდებოდა ზოგიერთ ხელმძღვანელ ამხანაგთან, რასაც პროვოკაციული მიზნებისათვის იყენებდნენ საბჭოთა ხელისუფლების მტრები. მათ ნიშანში ამოიღეს ს. დიასამიძე და უნდობლი მისი ხელმძღვანელობიდან მოშორება, მაგრამ ამის მიღწევა არც ისე ადვილი იყო, რადგან ს. დიასამიძე დადი ავტორიტეტით სარგებლობდა ხალხში.

ს. დიასამიძის წინააღმდეგ განსაკუთრებით აქტიურად მოქმედებდა ხასან-თახსიმ ხიმშიაშვილი, რომელიც მაშინ აჭარის ასსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე იყო. იგი ცდილობდა ს. დიასამიძე გადაეყენებინა ხახვოსსაბჭოს თავმჯდომარის პოსტიდან და თვითონ დაეკავებინა ეს ადგილი.

საქართველოს კომპარტიის აჭარის პარტიული ორგანიზაცია ო. ხიმშიაშვილის სამუშაოზე გა-

1 აჭარის ასსრ სახელმწიფო არქივი, ფონდი № 1, საქმე 7, გვ. 9.

2 იქვე, ფონდი № 11, საქმე 3, გვ. 8-14.

მოყენებას დიდი სიფრთხილით ეყილებოდა და მისგან მოითხოვდა გარკვეულ გარანტიას. 1922 წ. 16 ნოემბერს პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის დადგენილების ოქმში თ. ხიმშიაშვილის შესახებ აღნიშნულია. „...გასწყვიტოს კავშირი სედაიმილეთელებთან... იმ პირობით, რომ თუ იგი იმუშავეს აჭარელ ამხანაგებთან, რომელსაც ეხლა სულეიმან დიასამიძე მეთაურობს, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი გამოყენება შეუძლებელია“.

მაგრამ მაინც ისე მოხდა, როგორც თ. ხიმშიაშვილს უნდოდა — ს. დიასამიძე გაათავისუფლეს სამუშაოდან.

სულეიმან დიასამიძის სამუშაოდან განთავისუფლების დღიდან აჭარის ასსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარედ თ. ხიმშიაშვილი დარჩა, ხოლო ცაკის თავმჯდომარედ თ. მოწყობილი დაინიშნა. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა გავეცნოთ ს. დიასამიძის განთავისუფლების ფორმულირებას. „დადგენილება № 53 აჭარის ასსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა. 21 დეკემბერი 1922 წელი. თანახმად ა. ა. ასსრ ცენტრალური აღმასკომის პლენუმის დადგენილებისა, აჭარისტანის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ს. დიასამიძე, თანახმად მისი თხოვნისა, განთავისუფლებულია თავის თანამდებობიდან ამა წლის 21 დეკემბერიდან“.<sup>1</sup>

საგულისხმოა, რომ აჭარის ასსრ სახკომსაბჭოს დადგენილების № 29 ოქმის ბოლო ნაწილში, როგორც ჩანს, უხერხულობის დასტურად, ჩაუწერიათ ასეთი წინადადება: „წარსული მუშაობისათვის გამოეცხადოს მადლობა“.

აჭარის ასსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან განთავისუფლების შემდეგ სულეიმან დიასამიძე თბილისში გადაეიდა და მუშაობდა სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე. უკანასკნელად მან ათ წელზე მეტი იმუშავა თბილისის არქიტექტურული ტექნიკუმის დირექტორად და დიდი ამაგი დასდო ახალგაზრდა სპეციალისტების აღზრდის საქმეს.

სულეიმან დიასამიძე იყო მტკიცე, შეუპოვარი, უდრეკი ბოლშევიკი. უაღრესად კულტურული და განათლებული. გულისხმიერი ადამიანი. იგი მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე თავდადებით იბრძოდა ჩვენი პარტიის გადაწყვეტილებათა განუხრელად განხორციელებისათვის.

სამშობლოს წინაშე დამსახურებისათვის ს. დიასამიძეს მიღებული ჰქონდა მთავრობის რამდენიმე ჯილდო.

ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ს. ე. დიასამიძე გარდაიცვალა ქ. თბილისში მიმდინარე წლის 18 მარტს.

<sup>1</sup> აჭარის ასსრ სახელმწიფო არქივი, ფ. 4, ს. 4, გვ. 21.



## მართული (აჭარული) ხალხური სიმღერების კრებული

აჭარის სახელგამმა ახლახან გამოსცა „ქართული (აჭარული) ხალხური სიმღერების“ კრებული, რომელიც შეადგინა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დოცენტმა ვლადიმერ ახობაძემ.

კრებულის გამოსვლა დაემთხვა მთელ საქართველოში ფართოდ გაშლილ ფოლკლორულ-შემკრებლობით ლაშქრობას. ამ ნამდვილად საყოველთაო-სახალხო მნიშვნელობის ღონისძიებამ კვლავ გააღვივა ჩვენი საზოგადოების ინტერესი ქართული ხალხური შემოქმედებისადმი, რომელიც ვანუბრელი აღმავლობით ვითარდება და უჩვეულო აყვავებას განიცდის.

ამიტომ ამ კრებულმა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია როგორც პროფესიონალთა, ისე მუსიკის მოყვარულთა შორის. იგი უკვე ცნობილი და სასურველი გახდა ჩვენი საზღვარგარეთელი კოლეგებისთვისაც კი.

მკითხველთა ინტერესს აცხოველებს ის ფაქტი, რომ პირველად ამ კრებულში შეტანილია უნიკალური ოთხხმიანი ხალხური სიმღერები, რომლებიც თავისი რთული პოლიფონიურობით (მრავალხმიანობით) მეტად იშვიათ მოვლენას წარმოადგენენ მსოფლიოში და ქართული ხალხური სასიმღერო შემოქმედების მაღალ კულტურას და ოსტატობაზე მეტყველებენ.

აჭარაში გავრცელებული ხალხური სიმღერების ზოგიერთი ნიმუში ჩაიწერეს ჯერ კიდევ 30-იან წლებში კომპოზიტორებმა ალ. ფარცხალაძემ და შ. მშველიძემ, ხოლო უფრო გვიან — კომპოზიტორმა დ. არაყიშვილმა. მაგრამ შეკრებილი სიმღერების დამუშავება და მათი მეცნიერული ანალიზი მხოლოდ უკანასკნელ წლებში გახდა შესაძლებელი, რასაც საფუძვლად დაედო თვით ვლ. ახობაძის ხელმძღვანელობით 1958-1960 წლებში მოწყობილი ეთნოგრაფიული ექსპედიციის მიერ შეკრებილი მდიდარი და მრავალფეროვანი მასალა.

კრებული ორი განყოფილებისაგან შედგება.

პირველში წარმოდგენილია 69 ხალხური სიმღერა, ხოლო მეორე განყოფილებაში ხალხური საკრავიერი მუსიკა.


კრებულში შეტანილი სიმღერები ხასიათდებიან თემატიკური და ქანობრივი მრავალფეროვნებით, რის მიხედვითაც ისინი დალაგებული არიან ცალკეულ ჯგუფებად.

კარგია, რომ ექსპედიციამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო საყოფაცხოვრებო, შრომითა და თანამედროვე სიმღერების ჩაწერას. ავტორმა კრებულში უზენად სწორედ ასეთი სიმღერები შეიტანა და მისი მნიშვნელობა ამით თანამედროულობის ინტერესებს დაუახლოვა.

პირველი განყოფილება იხსნება თანამედროვე ხალხური სიმღერების საუკეთესო ნიმუშებით. მათში ხალხი უმღერის „წყველ წარსულში მტრის მიერ გადანათელ“, მაგრამ დღეს „გამარჯვებულ და განახლებულ აჭარას“, მის აყვავებულ ზღვისპირეთს. ამ მხრივ შესანიშნავია ხალისიანი ინტონაციებით აღსაჯე „სიმღერა აჭარაზე“, „სიმღერა საქართველოზე“ და სიმღერები ბეთუმზე, ქვანაზე, შუახევზე.

ბედნიერი ცხოვრების სიხარულს შეუქმნია „სიმღერა ოქტომბრის 40 წლისთაზე“ და „სალამი შენ, კოლმეურნე“. რაოდენ მაღლიანი გრძნობა და სისარული ჩაუქსოვია მთავარიან სოფელში მცხოვრებ გლეხს სიმღერაში „სოფელში გზა შემოვიდა“. და, ცხადია, ყოველივე ამის პასუხად ხალხი მაღლობას უმღერის ახალი ცხოვრების შემოქმედ ბელადს („სიმღერა ლენინზე“). აქვეა თანამედროვე ხალხური სიმღერები მშვიდობაზე, პარტიასა და სამშობლოზე.

ყურადღებას იქცევს საისტორიო-გმირული სიმღერები, რომლებიც კრებულში, სამწუხაროდ, ნაკლებადაა წარმოდგენილი. განსაკუთრებით საინტერესოა ზემო აჭარაში ჩაწერილი სახმშიანი სიმღერები „მე პატარა ქართველი ვარ“ და „ჩალმა ჩაყროლ ვენახო“.



კრებულში დიდი ადგილი ეთმობა საყოფაცხოვრებო და სატრფიალო-ლირიკულ სიმღერებს, როგორც ხალხის ზნე-ჩვეულებების, ყოფაცხოვრებისა და სულიერი სამყაროს ამსახველ მხატვრულ სურათებს. ეს სიმღერები განხილვად მდგრადი მელოდიურობითა და ნათელი განწყობილებებით. სიმღერაში „მე სიკვდილი მენანება“ ასახულია ადამიანის მისწრაფება სიცოცხლისადმი, ცხოვრებისადმი, ხოლო ძველებური „ორნანო“ ღრმა ოპტიმიზმით აღსავსე სიმღერაა დიდი შოთა რუსთველის სიტყვებზე. ზოგ სიმღერაში ხობტა ესმის გულადობასა და ვეჟაკობას („ძველი ლომანური“). აქვეა მხიარული და ხალისიანი სახუმარო სიმღერები — ხალხური იუმორის შესანიშნავი ნიმუშები. საინტერესოა აგრეთვე ხალხურ თქმულებებსა და არაკებთან დაკავშირებული სიმღერები (მაგალითად, „ლომს უთხრა თამგამი, ბატონო“). ყურადღებას იქცევს ომანიანი, მახვილრტყიანი მგზავრული და სალაშქრო-მხედრული სიმღერები. მათთან მკაფიო მხატვრულ კონტრასტს ქმნიან სინაზითა და სიფაქიზით ნატიფი ლირიკული სიმღერები. ერთი მხრივ, სიყვარულით გამოწვეული სევდა, ხოლო მეორე მხრივ, იმედიანი გრძნობებით აღღრთიანება—ასეთია სატრფიალო ფოკლორის თემატიკა. მათ შორის აღსანიშნავია „ხინწყალა“, „ეს რა ჩიტი მოფრენილა“, „ნანაიავ“, „სიმღერა სიყვარულზე“, „ფიქრის სიმღერა“ და სხვ.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა შრომის სიმღერების განყოფილებას, რომელიც კრებულს ისტორიულ მნიშვნელობას ანიჭებს. ეს იმტომ, რომ აჭარული ნაღურების სახით პირველად ქვეყნდება ოთხხმიანი ხალხური სიმღერები, რომლებიც დღეს მხოლოდ გურიასა და აჭარაში შემორჩენილი.

ნაღური სიმღერების ოთხხმიანობას პირველად დოქ. ჯ. ნოღაიდელმა მიაქცია ყურადღება ჯერ კიდევ 30-იან წლებში, მაგრამ მათი ჩაწერა და ნოტებზე გადატანა მხოლოდ უკანასკნელ წლებში განხორციელდა. ამ საქმეში დიდი როლი შეასრულეს ცნობილმა აჭარელმა ხალხურმა მომღერლებმა ხ. როყვამ, ქ. და ა. ტაკიძეებმა, მ. მამულაიშვილმა და სხვ. უხუცესმა მომღერლებმა კრებულის ავტორს ბევრი მტკად საინტერესო ცნობა მიუწოდეს ოთხხმიანი ნაღური სიმღერების შესრულების ტრადიციებისა და ხმათა აღმნიშვნელი ტერმინების შესახებ. ამიტომ სრულიად სამართლიანად უწოდებს იგი ხ. როყვას „ნაღური სიმღერების ცოცხალ ენციკლოპედიას“.

უპირველად დიდ ინტერესს იწვევს ნაღის, როგორც შრომითი პროცესის, და მასთან დაკავშირებული სიმღერების ანალიზი. მოხუცი მომღერლების მითითებით, არსებობს ნაღური

სიმღერების მთელი ციკლი, რომელშიც თორმეტი ან ცხრამეტი სიმღერა ერთიანდგება. სიმღერები გარკვეული თანმიმდევრობით სრულდებოდა ყანის სამუშაოთა სხვადასხვა ეტაპზე.

ნაღური სიმღერების შესრულება ყოველთვის უჩვეულო ინტერესს იწვევდა მოსახლეობაში და კარგ შემსრულებლებს დიდი პატივით იწვევდნენ ყანის ნაღური წესით დამუშავებისას.

კრებულში მოთავსებული ნაღურებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია „ქალი ვიყავ აზნაური“, „გორდელი“, „ნაღური ოთხი ნანა“, „ცალაზურაი“ და სხვ.

შრომის სიმღერებს შორის ყურადღებას იქცევს აგრეთვე აჭარაში გავრცელებული „ელენსა“, რომელიც დაკავშირებულია ტყიდან მოკროლი ხის გამოტანის პროცესთან. ეს სიმღერაც ნაღურის მსგავსად ოთხხმიანია და მისი შესრულება შრომის პროცესთან დაკავშირებით მეტად საინტერესო სახანაობას წარმოადგენს. საგულისხმოა ისიც, რომ შრომითი სიმღერების უმეტესობას ორი ვუნდი ასრულებს.

კრებულის მეორე განყოფილებაში წარმოდგენილია ხალხური საკრავიერი მუსიკა. საქართულში გავრცელებულ ხალხურ საკრავებს უმთავრესად აკომპანემენტის ფუნქცია ეკისრებათ და ამიტომ მათი რეპერტუარი დაკავშირებულია სასიმღერო შემოქმედებასთან.

აჭარული საკრავიერი მუსიკა ამ მხრივ დიდ ყურადღებას იმსახურებს, რადგან გარდა სიმღერების თანხლებისა, მისი რეპერტუარი მეტად მდიდარია სოლო მელოდიებით. ასე, რომ ყველაზე განვითარებული საკრავიერი მუსიკაა მართალი ფოლკლორის სწორედ აჭარაში გვხვდება. მართალია, სოლო საკრავიერი მუსიკა უმთავრესად საცეკვაო მელოდიებს მოიცავს. მაგრამ ვხვდებოდა აგრეთვე არასაცეკვაო ხასიათის საკრავიერი მელოდიებიც. რაც კრებულში, სამწუხაროდ, მხოლოდ ერთი ნიმუშითაა წარმოდგენილი („მელოდია კიბონზე“).

მეტად საინტერესოა „დადახვეული ხორუმი“, „განდავანა“, „ძველებური განდავანა“, „ლაზური საცეკვაო“ და სხვ. საყურადღებოა, რომ აჭარულ ხალხურ საცეკვაო მუსიკაში მთავარი მელოდია მეორდება ვარიაციული სახეცვლილებებით, რაც მელოდიური განვითარების საინტერესო მაგალითს წარმოადგენს (უმეტესად ხალხურ საცეკვაოებში რამდენიმეჯერ მეორდება ერთი და იგივე უცვლელი მოტივი). ამ მხრივ მეტად საინტერესოა ხორუმი ჩინგურისათვის.

კრებულს წამოღვარებული აქვს ვლ. ახობაძის ვრცელი ნარკვევი. მასში უპირველეს ყოვლისა ავტორი მიმოიხილავს აჭარაში ხალხური მუსიკალური შემოქმედების ისტორია-განვითარებას. აჭარაში გავრცელებულ სიმღერებს ავტორი განიხილავს ქართულ ხალხურ სასიმღერო ფოლ-



კლორთან მკიდრო კავშირში, კერძოდ კი ააშკარავენ მათს მსგავსებას აჭარის უახლოესი მომიჯნავე კუთხის — გურიის ხალხურ სიმღერებთან.

სრულიად სამართლიანად ნარკვევში უმეტესი ადგილი ეთმობა შრომითი სიმღერების მიმოხილვას. ავტორი დაწვრილებით აღწერს იმ შრომით პროცესებს, რომელთა წიაღშიც იშვიათად უნიკალური და იშვიათი ოთხხმიანი ნაღერის სიმღერები ასევე დაწვრილებითა განხილული ოთხხმიანობის სპეციფიკური საკითხები და მოცემულია თვითივე ხმის ფუნქციური თავისებურებანი.

ცალკე ქვეთავში ავტორი აღწერს და ახასიათებს აჭარაში გავრცელებულ საკრავებს: კიბონს, ჩონგურს და დოლს, ამასთან ხაზგასმით აღნიშნავს მათი, როგორც სოლო საკრავების რეპერტუარის განვითარებულობას.

კრებულს გააჩნია ნაკლოვანებებიც. ავტორი აჭარაში გავრცელებულ სიმღერებს უკავშირებს ქართულ სასიმღერო შემოქმედებას, მაგრამ ამავე დროს საჭირო იყო მათი თავისებურებების გარკვეულად განზოგადება. ავტორი სწორედ ამ ამოცანას ისახავს წინასიტყვაობაში და წშირად იხსენიებს „განსაკუთრებული ტიპის ოთხხმიან ნაღერ სიმღერებს“, მაგრამ რით გამოიხატება ეს განსაკუთრებულობა — არაა ნათელი და ხაზგასმული. ამავე დროს არაა სათანადო დასკვნები ნარკვევის დასასრულს.

კარგი იქნებოდა, მეკლავარს აღნიშნა, თუ სად და ვისგან ჩაიწერეს ესა თუ ის სიმღერა. განმარტა მათი სათაურების მნიშვნელობა და წარმოშობა. მართალია, ასეთი ცნობები ზოგიერთ სიმღერას ახლავს, მაგრამ ისინი მიმოხეხულია მთელ ნარკვევში.

კრებულში მეტად ძუნწადაა წარმოდგენილი სიმღერათა შინაარსის განმარტება რუსულ ენაზე, ხოლო ე. წ. „უშინაარსო ტექსტიან“ სიმღერებს ასეთი განმარტება სრულებით არ ახლავს, და ბუნებრივია, გამოიწვევს არაქართველი მკითხველის გაოცებას. ნუთუ მათი მუსიკალური დახასიათება და კონკრეტული ტექსტის უქონლობის აღნიშვნა ორიოდ სიტყვით შეუძლებელი იყო?

ამავე დროს კრებულში თანმიმდევრულად არ

არის განხილული აჭარის მუსიკალური სიმღერის კლორი. უმთავრესად ავტორი გატაცებულია ოთხხმიანობის საკითხებითა და შრომითი სიმღერებით. სხვა ქანრები და ფორმები კი სრულიად უყურადღებოდ მიუტოვებია. ამიტომ ნარკვევი ცალმხრივი და ჩამოუყალიბებელია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნარკვევის საერთო ტონი არ შეეფერება მის დანიშნულებას. ხალხური სიმღერების კრებულს წინ უნდა უძღოდეს ანოტაციური ხასიათის განმარტებითი ნარკვევი და წარმოდგენდეს ფოლკლორული მასალას განზოგადებულ, მაგრამ დახვეწილ და მეცნიერულად დასაბუთებულ დახასიათებას. ვ. ახობაძის ნარკვევი კი პოლემიკური ხასიათისაა. ავტორი ეღაფება სხვადასხვა სტატიისა და ნარკვევის ავტორებს „სპეციფიკური საკითხების არასწორად გაშუქებაში“. ასეთი სადავო საკითხების გადაჭრა მიზანშეწონილი იქნებოდა ცალკე სტატიაში. ჩვენი აზრით, გარდამავალი ხასიათის კამათი ასეთი ისტორიული მნიშვნელობის კრებულის შესავალ ნარკვევში გაუმართლებელია.

ჩრდილშია დატოვებული აჭარული საკრავიერი მუსიკის დახასიათება. გავერთავ კი არაფერია ნათქვამი ხალხური ცეკვების და საცეკვაო მუსიკის ხასიათის შესახებ. ავტორი გვერდს უვლის ისეთ ხალხურ შედეგებსაც კი, როგორცაა „ხორუმი“ და „განდაგანა“. მართო საკრავების აღწერა კი საკითხს ვერ ამოწურავს. ამასთან აჭარაში გავრცელებული საკრავებიდან მოხსენიებულია მხოლოდ სამი: კიბონი, ჩონგური და დოლი, მაგრამ კრებულში შეტანილია რამდენიმე ხალხური საცეკვაო პიესა ვარმონისტების.

კრებულის ეს ცალკეული ნაკლოვანებები, რა თქმა უნდა, ვერ ჩრდილავენ წიგნის უდიდეს მნიშვნელობას და ღირსებებს. მრავალფეროვანი სიმღერები ნათელყოფენ საქართველოს ერთ-ერთი უმშვენიერესი კუთხის — აჭარის მაღალ მუსიკალურ კულტურას და წარმოდგენენ ძვირფას მასალას თვითმოქმედი კოლექტივებისა, ფოლკლორისტებისა და კომპოზიტორებისათვის.

კრებული კარგადაა გაფორმებული და შესრულებული პოლიგრაფიულად.



## ჩემო მიზანძი

### როგორ გავხლი კოეტი

რაც გადამხდა. იშვიათი და უცნაური, მაგრამ მაინც სინამდვილეა.

შესტად ათი წლის წინათ, ოქტომბრის თვეში, დამშვიდებული ვზივარ მერხზე და გულისყურით ვუსმენ მათემატიკის მასწავლებელს.

ამბავი ქუთაისში ხდება.

ზოგჯერ გულდაწყვეტილი გადავხედავ გორისხელა ყვითლოყვებიან კომპს, რომელიც შემოსვლის დროს წამართვა მასწავლებელმა და ახლა მაგიდაზე უდევს.

ეს არის და ეს.

ჩემზე არ მოქმედებს არც ჩიტების ჭიკჭიკი, არც ეს ტანმალაი ჭადრის ხე და მისი ფოთლების შრიალი, არც დილის ცვირან ბალახზე გადატეხილი მზის სხივები და არც რიონის ჩუში ბუტბუტი „წუთისოფლის მომავლობ-წარმავლობაზე“.

არ მოქმედებს-მეთქი იმდენად, რამდენადაც მათი არსებობა არ მალეულებს და სულს არ მიფორიაქებს.

ეჰ, ნეტავ იმ დროს! მე მაშინ ჯერ კიდევ არ ვიყავი... თუმცა ყველაფერი რიგ-რიგობით.

მათემატიკის მასწავლებელი გავიდა თუ არა, ეზოში ჩვენს გაცვენამდე კარი გაიღო და ჩვენი დამრიგებელი, მშობლიური ლიტერატურის, საკონტროლო წერის და საშინაო დავალების მასწავლებელი შემოვიდა.

ჩვენ ზედმოიწევნით გვაქვს შესწავლილი მისი სხვის გამომეტყველება. ერთი თვალის შევლენითაც გასაგებია — ხვალისთვის ფულს მოგვატანინებს.

— ბავშვებო, ხვალისთვის სამ-სამი მანეთი მოიტანეთ და ჯღამაქვს ჩააბარეთ. ერთ-ერთ თქვენს მასწავლებელს ბებია მოუყვდა და გვირგვინი უნდა შევუყვებით.

ვინ გაბედავს და კითხავს, რომელ მასწავლებელსო.

რადგანაც ეს განცხადება ახალი არ არის, ზოგიერთი უკმაყოფილოდ ვიშმუშნებით და თავს ვიფხანთ. ზოგიერთები კი სიამოვნებით ილიმებთან. ესეც გასაგებია. მათემატიკის მასწავლებელმა ჯერ კიდევ მეორე კლასში გეასწავლა მოქმედება:  $5-3=2$ .

ჩემს გვერდით მჯდომმა გოგომ სამეღნეს წუთით ხელი მოაცილა, ცალხაზიანი რვეული ამოიღო, შუაში ფურცელი ამოხია და პირველ სტრიქონზე გარკვევით დააწერა: „3 მანეთი“.

შემდეგ რვეული ისევ შეინახა, ახლად ფრჩხილებმოკრილი სუფთა თითები მერხზე დააწყო და მასწავლებელს ჭკვიანურად მიაჩერდა.

შემდეგ, ის-იყო, დამრიგებელმა კლასს თვალი გადაავლო და მხერა ჩემზე შეაჩერა.

ჯიბიდან ხელები ამოვიღე და უხალისოდ წამოვიდექი.

ბიჭები სევდანარევი გაოცებით შემომტყვირიან.

ნეტავი რა უნდა ჩემგან! არაფერი დამიშაგებია, ორიანი არ მიმიღია, გაკვეთილებზე წყნარად ვზივარ და, საერთოდ, არც თუ ისე ცუდ მოსწავლედ ვიფიქრებ.

მაშ რისთვის? რისთვის შემომყურებ ასე გამომცდელად, პატრეცემულო მასწავლებელო?

— ბეშქენაძე, შაბათს საზვიმო საღამო გვაქვს და ჩვენი ქალაქისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი უნდა წაიკითხო!

შუბლზე მძივებად დაყრილი ცივი ოვლი უცებ შემავრა.

კლასმა ამოიხორა. ოცდაცხრა თავი ერთდროულად ჩემსკენ მობრუნდა და ორმოცდათვრამეტი თვალი ისე გაოცებით შემომაჩერდა, თითქოს პირველად მხედავენო.

— როდის შეგიძლია, მოიტანო ლექსი? — გამომთუხზულა მასწავლებლის ნათქვამმა.

— მე... მე... — ვლუღლუღებ გაუგებრად და არ ვციცი, რა უკუასუხი.

წინათაც გამეგონა, რომ ლექსის წერა არა-პოეტებსაც შეუძლიათ და წერენ კიდევცო. მაგრამ თუ ვინმე ამას მე დამაეალებდა, ვერ წარმოვიდგენდი. ყურებს არ ეუჭვრებ, იქნებ ხუ-მრობს? ნუთუ ნახა ჩემში რაიმე მონაცემი? ნუთუ ლექსის წერა ასე ადვილია?.. მამ ვცდი, ვცდი...

— ხვალ-მეთქი, — წამოვიღულულულე ამაყად თეჯახარობა.

ამხანაგები ისევ გაოცებით შემომკეროდ-ნენ.

\*\*\*

იმ დღეს გაყვითლები არ მომიმზადებია. მთელი დღე ვიფიქრე, მთელი ღამე ვიწვალე და... ალბათ, მაშინ დაფრწმუნდი პირველად, რომ მთავარი მონღომბა ყოფილა.

ღილით თვალბადაწითლებულმა ლექსი სწრაფად გადაათეთრე და ჩემი პირველი და ახლად დაბადებული ნამოღვაწარი სკოლის გზას გაუუყენე.

მაგრამ საქმე ასე ადვილად როდი დამთავრდა.

კიდევ ორი დღე ვიწვალე. ორ დღეს ვიმუშავებთ იმ ლექსზე მე და ჩემმა მასწავლებელმა და აი, ხალხით გაქედდი დარბაზში, სადაც მე-ზობელ-ნათესავების გარდა, მამაჩემის უფროსი და უახლოესი თანამშრომლებიც არიან, სა-ზენიოდ აცხადებენ: „მე-3 კლასის ფრიადოსანი მოსწავლე გურამ ბეშენაძე წაიციოსავს ჩვენი ჭალაქისადმი მიძღვნილ საკუთარ ლექსს“.

ამები და ქამარი გავისწორე. სცენაზე გავედი, ვლუსკიზიდან ოთხად გავეცილი ფურცე-ლი ამოვიღე. თვალები დახეხუე და დაიწყო:

საყვარელო ქუთაისო,  
ხარ სიმდიდრით ცნობილი,  
რომელ ქალაქში არ დაქრის  
შენი ავტომობილი.

ლამაზი ხარ, ქუთაისო,  
წივივით ცელქი ხარ.  
საქართველოს სამრეწველო  
ინდუსტრიულ ცენტრი ხარ.  
ვინ არ გაქოს, ქუთაისო,  
მრავალ დროს მოწაყე.  
საქართველოს დედაქალაქ  
ნენ თბილისის მოწაყე.  
ნენ ნაცრისფერ ქაფინილზე  
ამოსულა ვარდები.

ყამირზეც კი გავმგზავრა  
შენი ახალგაზრდები.  
რიონი რომ ჩამოგიცლის,  
კავკასიონს შობილი,  
ტკბილად მოგესალმება  
რიონ, მტკეარის ძმობილი.

არ მახსოვს, სცენიდან ჩემით ჩამოვედი თუ

ხელით ჩამომიყვანეს. დედის მეკრძმში თეგბარ გულს კარგა ხანს მესმოდა ტაშის გრილი და ალტაცების ოყაციები. საზოგადოება ფეხმძლავრად მდგარი მოითხოვდა ჩემს მეორედ გამოსვლას. არ დაეყოყნე. კვლავ სცენაზე გავედი, რო-გორც დედამ მასწავლა, თავი სამჯერ დავხარ-ავწიე და ისევ ჩემს ადვილს დაეუბრუნდი.

— ყოჩაღ, გურამ!

— ბატონო, პოეზია ამისთანა უნდა, ასახელა მშობლები!

— რა შესანიშნავი ბიჭი გყოლიათ, სიმონი!

— პოეტია ნამდვილად!

— თქვენ რას იტყვი. პატივცემულო ანთი-მროზიერი? — ეკითხება მამა თავის უფროსს.

— პო, პო, არა უშავდა რა, კარგი ბიჭია.

— არა, ნამდვილმა ნიჭმა, ალბათ, უცებ იცის ამოხეუქვა, თუ არა, ლექსი დასაწერად კი არა, წასაკითხავად ეზარებოდა, დედა ენაცვა-ლოს! — უყვება მეზობლის ქალებს დედაჩე-მი. — მოვიდა სახლში იმ დღეს, საქმელი არ უქამია: დედა, ქართულის მასწავლებელმა ლექ-სი დაშალა და რა დაწერო არ ვიცოი; და-ანებე, შვილო, თავი, თუ ასე გულით უნდა, რა-ღა შენ დაგავალა, თვითონ დაწეროს-მეთქი. არა, დედაო, მიიხრა, ხვალ რომ ლექსი არ მი-ვეუტანო, გაყვითლებზე არ დამიშვებსო. დაჯდა თავის ოთახში, მთელი ღამე იწვალა. იბუტბუ-ტა და მეორე დღეს ასეთი ლექსი გააშანაღლა, ენაცვალოს დედა!

ყველაფერი მესმის. იმასაც ვგრძნობ და ვნე-დავ, მამაჩემი დედას სახელოზე რომ ექაჩებ-და ღომილნარევი მრისხანებით თვალებს უბრი-ალებს.

მე კი ვერ ვხვდები, რომ თურმე დედაჩემი თავისი ნაამბობით ჩრდილს აყენებს ჩემს პოე-ტურ ნიქს.

ამას დედაჩემიც ვერ ხვდება. სანამ არ დამ-თავრა ჩემი ლექსის დაწერის ისტორია, ოღნა-ვადაც არ დაუწია მხას.

\*\*\*

ჩემთვის ნამდვილი საღამო და ზეიმი მერე დაიწყო.

მგონი, მეათეჯერ მადლეგრძელებენ, გუგუ-ნებს მრავალგამიერი. დილაშე ისმება და არ ილგევა ბეშენაძეების ოჯახში ახალდაბადებუ-ლი პოეტის სადღეგრძელო.

ამბობენ, რომ მე ცის დანიშნული და გამო-გზავნილი ვარ. ამბობენ, საქართველო კეშმა-რტი პოეტების სამშობლოა. ამბობენ, რომ პუშკინმაც მოწაფეობის დროს დაიწყო წერა და მისურვებენ, რომ ჩვენი ოჯახის, საქართვე-ლოს და ჩემი სახელი ალაღი გულიდან ამოხე-თქილი სტრიქონებით შორს გავტყურონო და გეაჯიროთო.

\*\*\*

ალბათ, მკითხველმა უკვე იცის, რომ პირვე-

ლსავე გამოსვლაზე ასეთი წარმატების შემდეგ ჩემი მისწრაფება და სიყვარული პოეზიისადმი წუთითაც არ შენელებულა.

ვწერ ხშირად და პროდუქტიულადაც. ვწერ ყოველ მნიშვნელოვან თუ უმნიშვნელო თარიღზე; რომელიმე ჩემი უფროსი კოლეგის იუბილეზე და მეშახტის დღეზე, ჩვენს ქალაქში ჩამოსული სტუმრის პატივსაცემად და საფლავის ქვაზე წასაწერად.

ვწერ, რა თქმა უნდა, სიყვარულზეც, რადგან ყველა ჰემმარიტი პოეტი, თვით რუსთველიც კი, წერდა სიყვარულზე.

პოეტი ვარ და ჩემს შემოქმედებით შესაძლებლობაში ღრმად დარწმუნებული.

მაგრამ მე სახალხო მოქმელი ხომ არა ვარ, მე ვარ კაცი, რომელმაც იცის წერა-კითხვა და ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა დაებეჭდო ლექსები?

აი სწორედ აქედან დაიწყო ჩემი ციებ-ციებლება.

აქ დაეჭაბა პირველ წინააღმდეგობას ჩემი შემოქმედების აფრააშეებული ნაეი.

პირველად რომ მივიტანე რედაქციაში, როგორც წესი, დამიწუნეს.

მეორედ...

მესამედაც, იმედს მაინც არ ვკარგავ.

განა მართო მე ვარ ასეთ დღეში!

მაგრამ არა უშავს, ვწერ უფრო მეტს, დრო გავა და დამიბეჭდავენ.

მართლაც გავიდა დრო, ჩემი ლექსების სტრიქონებმა კანტი-კუნტად გაილევეს აქა-იქ, მაგრამ რატომღაც სწრაფად გაქრნენ.

ამიტომ ეს არ მაკმაყოფილებს, კიდევ ვწერ უფრო მეტს და ვიბრძვი წიგნის გამოსაცემად.

— ნუ ჩქარობთ, ახალგაზრდავ, ნ. ბარათაშვილის სიცოცხლეში არც ერთი მისი ლექსი არ დაბეჭდილა, თქვენ ჯერ კიდევ ბევრი მუშაობა გმართებთ მხატვრული დაოსტატებისათვის. ლირიკაში მოისუსტებთ, ამ მხრივაც უნდა გაშალოთ შემოქმედებითი ფრთები.

დრო ისევ გადის და მე კიდევ უფრო ვშლი შემოქმედებით ფრთებს.

ისევ სირბილი რედაქციიდან რედაქციაში. ისევ გულს ამჩუყებელი თხოვნა და ნერვების აშლა საჭიროებისამებრ.

ისევ უიმედი დაპირებანი. თითქოს ყველამ პირი შეკრა ჩემს წინააღმდეგ.

ყველგან ერთი და იგივე პასუხი:

— მეტი უნდა იმუშაოთ, მეტი უნდა იმუშაოთ.

„ნაზო ქარიტნო და ოქროსთმიანო მუზეზო, მოლით“.

და მეც ვმუშაობ.





---

ხელმოწერილია დასაბეჭდად 9/IV 1962 წ. საბეჭდი 6 (პირობითი 8), საგამომცემლო 7  
თაბახი, შეკვეთის № 1657, ემ 00652, ქალაქის ზომა 70X108. ტირაჟი 2000.

საქ. სსრ კულტურის სამინისტროს პოლიგრაფიული მრეწველობისა და  
გამომცემლობათა მთავარი სამმართველოს ბათუმის სტამბა-ლითოგრაფია  
(ლუქსემბურგის, 22).

Батумская типо-литография Грузглаволиграфиздата  
Министерства культуры Грузинской ССР  
(Батуми, ул. Р. Люксембург, 22)

ფანი 40 ააა.

638/156



ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ  
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

*„ლიტერატურული აფჯარა“*

ОРГАН АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ  
СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ